ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№3 (45)

მარტი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

ეს-ეს

ნომრის ავტორები
ირაკლი სამსონაძე & დითი რონენი

პოეზია
გურამ ჯახუტაშვილი
დათო ქარდავა
მარიამ წიკლაური

პროზა
ალეკო შულლაძე
ზაზა კოშკაძე

კრიტიკა
ანდრო გუაჩიძე – გველის-მჭამელზე

ახალი თარგმანები
ვასილი შუკშინი
ვენედიქტ ეროფეევი

არტი
დავით ანდრიაძე – ზურაბ ნიჟარაძეზე
ზბიგნევ ჰერბერტი – პოლანდიურ მხატვრობაზე

№3 (45) მარტი, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ირაკლი სამსონაძე, დალილა გოგია, გურამ ჯახუტაშვილი, დათო ქარდავა, მარიამ წიკლაური, ალეკო შუღლაძე, ზაზა კოშკაძე, არსენ კორძაია, ნორიკ ბადოიანი, გიორგი ფირცხალაიშვილი, დავით ანდრიაძე, ამბროსი გრიშიკაშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი

ირაკლი სამსონაძის „ოსტატობა და მარტოობა“

ჯერ მისი «ლეას საათი» წავიკითხე, შემდეგ «ღრუბელი, სახელად დარინდა» და ბოლოს, «ყურთბალიში». გამომცემლობა «ინტელექტმა» ირაკლი სამსონაძის ეს სამი წიგნი ტრილოგიად ჩაიფიქრა და ასეთი თანმიმდევრობით გამოსცა: «ყურთბალიში», «ლეას საათი» და ბოლოს, «ღრუბელი, სახელად დარინდა». მე კი, მათ შორის არსებული კავშირის, თუმც კი არაპირდაპირის, მიუხედავად, ჯერ ტრილოგიის რიგით მეორე წიგნი წავიკითხე, მერე ბოლო და ბოლოს – პირველი და მივხვდი, რომ სამსონაძე ჩემი მწერალია – ამბების კაცია, რომელიც სადღაც ჩუმად ზის, ხანდახან ისე დიდხანს, რომ მოკითხვა სჭირდება და წერს. წინ ერთი ბოთლი სასმელი უდგას, ხელში ფიჭვის ხის ნაფოტი უჭირავს და დროდადრო ცეცხლს მოუკიდებს ხოლმე, კვამლს აადენს. დადგება ხის სუნი მის ოთახში, ირაკლი სამსონაძე კი წერს. წერს ხელით, კალმით – ქაღალდზე.

ამ სამის გარდა, სხვა წიგნებიც იყო: «ტრიპტიქი» (პიესების კრებული), «გარეუბანი» (მოთხრობები), «ინდაურის კვერცხი»... სპექტაკლებში დადგმულ პიესებს კიდევ რა ჩამოთვლის, ბევრია: «აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე», «იქ, სადაც ღვარად მოედინება», «აბეშურა – ფარნავაზიანთა უკანასკნელი დედოფალი», «ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი» და სხვები. მოკლედ, როგორც თვითონაც ამბობს, წერა ის ერთადერთი ხელობაა, რაც იცის და ერთადერთი საქმეც, რასაც მთელი ცხოვრება აკეთებს.

ამ საქმეს არაფერი აქვს საერთო წერასთან დაკავშირებულ იმ პროფესიასთან, რომელიც აბიტურიენტობისას აირჩია –

ჟურნალისტიკასთან. კი ჩააბარა და ისწავლა, მაგრამ არც თვითონ ჰქონია ჟურნალისტობის სურვილი და ინტერნეტში მარტივი მოძიებითაც დარწმუნდებით, რომ დიდად არც მედია უყვარს. ეს საუბარიც ასე დავიწყეთ – ჟურნალისტების მიმართ არსებულ სკეპტიციზმზე ლაპარაკით და ისიც ვკითხე, ასე რატომ აგვითვალწუნეთ-მეთქი. მახსოვდა მისი ფრაზა ერთ-ერთი (იმ იშვიათი) ინტერვიუდან, სადაც ამბობს, წერას ჟურნალისტიკასთან არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდა, მალევე მივხვდი და მანდ დასრულდა კიდეც ჩემი არჩეული პროფესიის მომავალიცო. მეც ვერ ვგრძნობ თავს კომფორტულად ჟურნალისტებთან და ალბათ, ხასიათის ამბავიცაა, მაგრამ თვითრეკლამა არ მიყვარსო. არადა, იმდენი კითხვა მქონდა ირაკლი სამსონაძისთვის დასასმელი, ამას რომ ამბობდა...

«ხო, ეგრეა. ვიღაცას ეს სჭირდება, ამით კაიფობს. განა ვინმეს განვიკითხავ – მე ვარ ეგრე. დროის ფუჭი ფლანგვა მგონია. მაგ დროს, სჯობს, დავჯდე და ჩემი საქმე ვაკეთო. ჩემი ცხოვრებაც ასე წავიდა – არაფერი სხვა, გარდა წერისა, მე არ ვიცი. არც ვაჭრობა, არც სხვა რამ, ესაა ჩემი საქმე და ამ საქმეს ბევრი დრო და შრომა უნდა. ჩემი ოჯახის შენახვა სწორედ ამ შრომით მიწევდა. ამდენი პიესა, აბა, რამ დამაწერინა? ხანდახან ვფიქრობ, ჩემი ყველა პიესა, რაც საქართველოში დაიდგა, სადმე, დალაგებულ ქვეყანაში რომ დაედგათ, ალბათ,

შეძლებული კაცი ვიქნებოდი, მაგრამ ჩვენ ახლა თავის გატანაზე ვლაპარაკობთ».

თავის გატანა კი, როგორც წესი, მუდამ რუტინასთან არის კავშირში. მოკლედ, რომანტიკისგან დაცლილი ამბავია, ამბობს ირაკლი სამსონაძე, მაგრამ რას იზამ, როდესაც ლურსმნის მიჭედებაც კი არ იცი? წერას აგრძელებ.

შიგადაშიგ პროტესტის გრძნობაც იყო, – იმ საქმით, რაც კარგად იცი და გამოგდის, მაინც რომ ვერ ცხოვრობ ღირსეულად საკუთარ სამშობლოში. მაგრამ ქვეყანაც მაგ დღეში არ იყო? იყო.

«მარტო მე ხომ არ ვიყავი ამ ქვეყნის ეპიცენტში. გარშემო ყველა იგივეს განიცდიდა... მე კიდევ მგონია, რომ მწერალი ვალდებულია, ობიექტურობის რაღაც ხარისხი შეინარჩუნოს. როცა ამას კარგავ, რაღაცის ან ვიღაცის აპოლოგეტი ხდება, რასაც სულ ვერიდებოდი... შესაძლოა, ამას სრულად ვერ ავცდი ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ვიღაცის მაქებარი რომ ვყოფილიყავი – არა. არასოდეს ყოფილა ასე».

იშვიათად ჩნდება ხოლმე – ლიტერატურულ თავყრილობებზე, წიგნების პრეზენტაციებზეც ვერ ნახავ. ირაკლი სამსონაძეს არც ფეისბუქ პროფილი აქვს და ვერც სხვა სოცქსელში იპოვით. თუ მისი მოძებნა გინდათ, ან სახლში უნდა ეწვიოთ, დიდ დიღომში, ან თეატრალურ უნივერსიტეტში, სადაც კვირაში ერთი დღე ლექციებს

კითხულობს. ეს ერთი დღეა «გამოსვლის» დღე, დანარჩენი წერისა და ფიქრისაა. არ გამოდისო, მითხრა, ერთად ყველაფერი. თან სადღაც ბარიკადზე დადგე, თან სოციალურ ქსელში იაქტიურო, აზრები გამოთქვა... ან იქ უნდა ვიყო, ან იქო.

«მე რომ ვიცი, რომ დილიდან ვარ სადმე გასასვლელი, მაგალითად, ლექციებზე, თეატრალურში, ვერ ვმუშაობ. მაშინ ღამე უნდა გავათენო. წასვლამდე ორ საათში რომ დავწერო რამე, ეგ არ გამომივა. **მე მგონია, რომ მწერალი ქვევრში ჩაკეტილი კაცია.** ამას ყოველგვარი გაიდეალების გარეშე ვამბობ, ასე ყოფნა, მარტო ყოფნა, პროფესიის ნაწილია. ერთხელ ტარიელ ჭანტურიამ თქვა კარგად და ვეთანხმები – მწერალი არის ოსტატობა და მარტოობაო. ეგ არი».

სამსონაძის სულ პირველი პიესა, «შუაღამისას» ჟურნალ «ხელოვნებაში» გამოქვეყნდა. მერე სცენაზეც დაიდგა. ნოდარ გურაბანიძე ჟურნალში შემთხვევით არაფერს ბეჭდავდა. ეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდია, – დაბეჭდვა ლამის აღიარების ტოლფასი რომ იყო. ასე, თავიდანვე დრამატურგიით დაიწყო და მხოლოდ მოგვიანებით, 40 წლის ასაკში გადავიდა პროზაული ნაწარმოებების წერაზე. ეგ ის პერიოდია, ბიჭვინთის სემინარების – თამაზ ჭილაძემ ახალგაზრდა დრამატურგები შეკრიბა და ირაკლიც მათ შორის მოხვდა. მერე ბიჭვინთიდან ამ სემინარებმა აჭარაში გადაინაცვლა – მიდიოდნენ, წერდნენ, მკითხველებიც კარგი ჰყავდათ, «ვინც კეთილი თვალით გიცქერს და სწორ შენიშვნებს გაძლევსო». ერთ პიესას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. მერე ერთ სპექტაკლს მეორე, მეორეს – მესამე, და ასე გაგრძელდა დიდხანს, თითქმის უწყვეტად.

«დრამატურგია, ჩემი აზრით, თავისი არსით, უფრო პოეზიისკენ არის, ვიდრე პროზისკენ. თუ პოეზია სადღაც, რაღაც სივრცეში არსებობს, დრამატურგია სცენიურ სივრცეში ექცევა... აი, მე რომ მკითხოს კაცმა, სემუელ ბეკეტი, გარდა იმისა, რომ დიდი დრამატურგია. დიდი პოეტიცაა».

პათეტიკა არ მიყვარსო და ეგრევე თეატრზე ვკითხე – თეატრი არ არის-მეთქი, პათეტიკური? თეატრში თამაშის სხვა წესიაო, მიპასუხა. ცოტა ზეაღმატებული უნდა იყოს, მაგრამ არა პათეტიკური – მსახიობი რომ შენს ტექსტს ამბობს, პარტერის მე-15 რიგში მჯდომ ადამიანს უნდა ესმოდეს და სცენიდანაც ამიტომ მოდის მეტი ემოცია, ხმა რომ მიაწვდინოსო.

«ამიტომაა, რომ სცენიდან მართლა მეტი ემოცია მოდის, ვიდრე, მაგალითად, კინოდან. სპექტაკლისთვის დაწერილი ტექსტიც განსხვავებული გამოდის – სხვა თამაშის წესებია. ისე ყოფილა, სცენაზე შემიცვლია სცენარი, ტექსტების ნაწილი ამომიგდია – ეს ძალიან ცოცხალი ურთიერთობაა, სინთეზური ხელოვნებაა და სცენაზე ხედავ საბოლოო შედეგს».

მერე ამ სპექტაკლებიდან ზოგი მეტად გეძვირფასება, ზოგიც ნაკლებად. ზოგს ისე ცვლის რეჟისორი, რომ, შესაძლოა, საკუთარი პიესის ცნობაც გაჭირდეს. თუმცა ირაკლი სამსონაძე ფიქრობს, რომ საბოლოო სახეს ამბავს მაინც რეჟისორი აძლევს, საბოლოო პროდუქტი მსახიობებთან, კომპოზიტორთან, მოკლედ, მთელ დასთან ერთად მაინც რეჟისორს გამოჰყავს. ირაკლი სამსონაძის პიესას რომ დგამდა, შალვა გაწერელიამ ყველაფერი ამოაყირავა, მაგრამ სამყარო შექმნა ისეთი, – იხსენებს ირაკლი, – რომ მოხიბლული უყურებდა სპექტაკლს.

ხანდახან ისეც მომხდარა, რომ პიესის სიუჟეტს კომპრომისისკენაც წაუყვანია. იყო ასეთიც, «კლინიკური ქორწინება», დღემდე აქვს შეგრძნება, რომ ამ პიესის წერისას კომპრომისზე წავიდა და თითქოს ლიტერატურა დაიკარგა. პირიქითაც ხდება – არის ტექსტები, დიდი ენერგია რომაა ჩადებული და დიდხანს არ ანებებს ხოლმე თავს – ასეთი იყო «აბეშურა – ფარნავაზიანთა უკანასკნელი დედოფალი» – რომელიც მხოლოდ ერთხელ დაიდგა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში. პიესებსაც. მწერლებივით, თავიანთი ბედი აქვთ.

პროზის წერა, როგორც ვთქვით, 40-ის მერე დაიწყო. თითქოს დაგროვილმა გამოჟონაო. რა არის მნიშნელოვანი ამბის გადმოცემისას? ვეკითხები. ალბათ ის, რომ ამბავი გასაგები უნდა იყოს. ეს არის აუცილებელი პირობა, მპასუხობს:

«მერე ტექსტში შენ რა ჩუქურთმებს გააკეთებ, ეგ სხვა საქმეა. მაგრამ ამბავი მთავარია. ერთმა ცნობილმა რეჟისორმა მასწავლა ჩემს ახალგაზრდობაში და ვეთანხმები, ამბავი მომიყევი ერთ წინადადებაშიო. მთავარია, ამბავი იყოს და მერე კომპასად იქცევა – შეიძლება, წერის ქარიშხალმა იქით-აქეთ მიგაგდოს, მაგრამ მაინც მთავარ ღერძს მიჰყვები. აი, ამბის თხრობის მხრივ, დავით კლდიაშვილი კონგენიალურია. ჩეხოვი...»

წერის დასაწყისში ყველაფერი დალაგებულ-გაცხადებული არ არის ხოლმე. ეგ ყველაფერი რომ ბოლომდე ვიცოდე, არც დავწერდი, დამეზარებოდაო, ამბობს ირაკლი. პროცესი უფრო საინტერესოა, თან აღმოჩენის, თან წერის, კომპასს მიყოლის და ქარიშხალთან ბრძოლის. ბოლომდე არც სიუჟეტია ხოლმე წერის დასაწყისში. შეიძლება იყოს

პატარა პასაჟი სიზმრიდან, ან ისე გაგონილ-დანახული და მერე ამაზე ფიქრი აეხვეს.

«ერთ ინტერვიუში წავიკითხე დაახლოებით ასეთი რამ, მარკესს უთქვამს თავისი სტუდენტებისთვის, დამჭკნარი ვარდის ატმოსფერო დამანახეთ ნაწერში, სქემები არ მინდაო. მეც ეგრე მგონია, ატმოსფერო უნდა შექმნა. და თემები... ნებისმიერ თემაში შეიძლება მარადიული თემა მოძებნო. ნებისმიერი ტკივილი, რაც დღეს ჩემს ქვეყანას ტკივა, შესაძლოა, მარადიულ თემად აქციო. აქ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება».

ყოველთვის იცოდა თუ არა, რომ მისი ადგილი სწორედ ლიტერატურაში იყო და არა სხვაგან? ერთი ამბავი გამოდგება ამ კითხვაზე პასუხად, რაც ირაკლი სამსონაძეს დღემდე ახსოვს – ერთი შეგრძნების ამბავი, რომელიც ბავშვობაში, სპექტაკლ «სალამურას» ნახვისას დაეუფლა. სპექტაკლი მიდიოდა, უცებ ბავშვებს დაუძახეს, სცენაზე აიყვანეს, სცენაზე მატარებელი ტრიალებდა, და იქ რომ დაჯდა, უცებ იგრძნო, რომ შინ იყო. **ამ შინ ყოფნის** განცდას აღარც მიუტოვებია. ჯერჯერობით იქაა, იმ ბინაში, იმ სამყაროში.

კიდევ არის ერთი-ორი ადგილი, სადაც «შინაა». როცა მეგობრებთან ერთადაა, მაშინ. და იქაც შინაა, სადაც დღესასწაულის შეგრძნებაა:

«დღეს ცხოვრების სხვა რიტმია, რუტინა. მე კი მიყვარს დალევა ჩემს მეგობრებთან ერთად, მაგრამ ყველას თავისი ცხოვრება აქვს. ისე ხშირად ვეღარ გამოდის».

და რასაც მართლა «შინ ჰქვია» – იქ ყველაზე მეტ დროს ატარებს. იქ წერს – სიჩუმეში. ერთხელ ფიჭვის ნატეხი აჩუქეს და რატომღაც ის ამოიჩემა წერისას, ცეცხლს მოუკიდებს და კვამლს აადენს ხოლმე და წერს. სხვა მხრივ, სიჩუმეა. ადრე დღეს ორად გაყოფდა ხოლმე – ადრე დილით დაიწყებდა მუშაობას, ასე გრძელდებოდა შუადღემდე. მერე ნახევარი ბოთლი არაყი უნდა დაელია, დაეძინა და გაღვიძების მერე ისევ გაეგრძელებინა წერა – ღამემდე, მერე ისევ დაელია დარჩენილი სასმელი და დაეძინა და მერე ისევ და ისევ და ისევ. მოკლედ, ადრე – ერთი დღე იყო ორი დღე. ახლა კი ერთი დღე – ერთი დღეა. საღამოს ან მუსიკას უსმენს, ან ფილმს უყურებს, ან ეზოში ჩავა, გაივლის.

ერთი ასეთი გარეთ გასვლა, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება ირაკლი სამსონაძეს. ადრინდელი ამბავია, მაგრამ მის ცხოვრებაში – გარდამტეხი. ის პერიოდი იყო, რაღაცნაირი გაჩერების, უძრაობის. არც წერდა. არც შემოსავალი იყო. არც წასასვლელი. და ერთხელაც, ოჯახის წევრებს სთხოვა, ყველაზე კარგი ტანსაცმელი ჩაეცვათ და გარეთ გასულიყვნენ, სადმე, სულერთია, ოღონდ უნდა ევლოთ. ასეც ქნეს. ამ გასვლამ თითქოს უძრაობა აამოძრავა. წერაც განაახლა. მაშინ უკვე დიდ დიღომში ცხოვრობდნენ.

უფრო ადრე სხვა უბანი იყო – სხვა მოგონებებით. ჯერ ვერა, სადაც მშობლები, ძმა და ბებია-ბაბუა ცხოვრობდნენ ერთად. ეგ ახსოვს – ნარდის თამაში საერთო დერეფანში, საერთო სამზარეულო. მერე ვაჟა-ფშაველას გამზირზე გადავიდნენ საცხოვრებლად.

«ძალიან მშვიდი ბავშვი ვიყავი, ძერწვა მიყვარდა. ცხენებს, ჯიხვებს, ფეხბურთელებს ვძერწავდი და მერე ამ ფიგურებს

ვათამაშებდი ხოლმე. იქ ვთხზავდი რაღაცებს. მაგიდის ქვეშ კიდევ ყველა ბავშვს უყვარს შეძრომა, რადგან იქ ჰგონია, რომ მისი სახლია... მერე, ცოტა რომ გავიზარდე, უფრო აქტიური ვიყავი, ყირაზე არ გადავდიოდი, მაგრამ არც ბეჩავი ვყოფილვარ».

ირაკლი ლომოურთან და კარლო ფაჩულიასთან ერთად

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო. პასპორტიც საბჭოთა კავშირის მოქალაქის ჰქონდა. იხსენებს, როგორ იკრიბებოდნენ ერთმანეთის სახლების სამზარეულოებში და დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობდნენ. მაშინ ბევრი რამ არ მოსწონდა, დღეს რომ იმ დროს იხსენებს, ახალგაზრდობის ნოსტალგია მოდის ხოლმე. თუ რამ შეიძლება იმ დროში გიყვარდეს, ალბათ მაინც შენი ახალგაზრდა თავიო.

დედამისი დღემდე ინახავს ამ ახალგაზრდობისდროინდელ ტექსტებს. თვითონ ირაკლი სამსონაძეს თუ გადაუგდია რამე სანაგვეში? კი, ასეც მომხდარა – ხუთი-ექვსი წლის მერე შეუხსენებია იმ ტექსტს

თავი და იქიდან პიესა დაბადებულა. ეგეთი იყო, მაგალითად, «საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში», რომელიც ბათუმის თეატრში დაიდგა, გოგა თავაძის რეჟისორობით.

ირაკლი სამსონაძისთვის წერისას ყველაზე რთული გარკვევის ეტაპია – როცა ზუსტად ადგენ, რა გინდა. მერე შრომა იწყება, მერე სიამოვნების ხუთი წუთია და მერე ისევ ახალი გინდა დაიწყო. ძველს კი გაუუცხოვდე.

«გაუცხოება არანაკლებ შრომას მოითხოვს. სულ გეჩვენება, რომ ვეღარაფერს დაწერ. როგორც შესვლაა ძნელი, ტექსტში თავის შეთრევა, ისე თავის გამოთრევაც რთულია».

უკვე წლებია, სახლში მუშაობს, ერთი ბოთლი ღვინო სჭირდება და სიგარეტი – სამუშაო პროცესში ზოგჯერ სამი კოლოფიც. თავი რომ კარგად იგრძნოს და წეროს.

«თუ მწერალი ხარ, მაგიდასთან უნდა იჯდე და ყოველდღე იმუშაო, მაღაროელივით უნდა იყო და ქანებში შეხვიდე და ყოველდღე წერო. შენ თავს უნდა გამოუყო ეს დრო. თითქოს სამსახურში წახვედი».

წერისას მაინც ექსპერიმენტია მთავარი – რაღაც ახალს უნდა მიაგნოს, ახალი შემოიტანოს ტექსტში. «ყურთბალიშში», მაგალითად, ზმნა ამოიღო, «ლეას საათში» თხრობის არქაული ფორმები შემოიტანა... სულ სხვა ენა უნდა ახალ წიგნში, რომელიც ახლა იწერება და «ქორწილი ქარში» ერქმევა.

«ვიზეც ვწერ, ყველა პერსონაჟის ტყავში ვჯდები. სხვანაირად არ გამოვა. «ლეას საათში» მწყერზე ვწერ. მისი პირით. ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მინადირია შაშვზე გურიაში, ერთი შაშვი მყავს მოკლული და იმასაც დღემდე

ვნანობ. ეს წიგნი კი სწორედ ამ მონაკვეთით იწყება, მწყრის მონოლოგით. დიდხანს ვიძიებდი მის თვისებებს. შადიმან შამანაძეს ვეკითხებოდი, სხვებსაც. რამდენად მოვახერხე მწყრის ტყავში შეძრომა, არ ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ სანამ იქამდე არ მიხვალ, რომ მის ტყავში იგრძნობ თავს, მანამ შენი თავი არ უნდა მოასვენო, უნდა გეგონოს, რომ უკვე ისა ხარ... ახლა საერთოდ ქალზე ვწერ, ერთი კლეპტომანი, ასაკში შესული მსახიობი ქალის ისტორიაა».

მერე, წერისას, გმირები თავის სიცოცხლეს იწყებენ – წერისას ისინი გმართავენ. ისინი გკარნახობენ, აი, აქ ვარ, ახლა მე გჭირდები, ახლა იქით წამიყვანე. ახლა მე გამომიყვანე სცენაზე... უყვარს, როცა წერას დაასრულებს ხოლმე და ერთ ბოთლ ღვინოს მოიდგამს გვერდით – ხელი აღარ მუშაობს, მაგრამ ჯერ კიდევ იქ არის, ტექსტში. აი, ეს უყვარს. კარგად დასრულებული დღე და მისი აღნიშვნა. შეგრძნება, რომ მოიპოვა ერთი ბოთლი ღვინის უფლება. თუმცა არის კიდევ შეგრძნება, რომ რაღაც ვერ გააკეთა. ალბათ, ესაა, რაც არ ასვენებს და სულ აწერინებს.

«მოუსვენრობის შეგრძნება, რომ დღე უნაყოფოდ გალიე, სულ მაწუხებდა, ბავშვობიდან. ასაკის მატებასთან ერთად ეს შეგრძნება სულ უფრო მიმძაფრდება, თუმცა ვნახოთ, ეს უფრო დამაწერინებს თუ ხელს ამაღებინებს წიგნის წერაზე».

და კიდევ, რაც ზუსტად იცის ირაკლი სამსონაძემ, ისაა, რომ რაც სხვა მწერლებისგან არის ასაკრეფი, ის ახალგაზრდობაშივე უნდა აკრიფო, და «მერე შეუდგე გზას უდაბნოში, აქლემივით და იქ დაიხარჯო ბოლომდე».

ამ გზას ახლა ადგას. ეს გზა «ოსტატობის და მარტოობის გზაა». ეს გზა აქ, ამ ქვეყანაში გადის.

«მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ქართველი ავტორი ვარ. ამ ქვეყნის იქით რომ სადმე ვიცხოვრო, ეგეც ვერ წარმომიდგენია. რამდენიმე დღე ვიყავი გერმანიაში და ვერ გავძელი. სხვა სამყაროა ჩემთვის. მირჩევნია, აქ, სადმე დუქანში დავჯდე ჩემს მეგობრებთან ერთად. და თან, ყველა მწერალს თავისი ბედი აქვს, არა აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადები, ამერიკაში თუ ინგლისში»...

ირაკლი სამსონაძე

„ქორწილი ქარში“ (ფრაგმენტი რომანიდან)

ზამთარი. სამშაბათი.

თითი ღილაკს. ეკრანი. ხანმოკლე პაუზა ეკრანზე. 1703. გუშინაც. გუშინწინ – 1698. გუშინ ხუთი მეგობარი დამემატა, დღეს – არა. არა და ნურა. როგორცაა – ისეა. ფილმი? – არა, ადრეა. რას ნიშნავს ადრეა? რასაც ნიშნავს, ადრეა და მორჩა. განწყობა სჭირდება. ბლოკბასტერს? ბლოკბასტერს მიჩერება სჭირდება, ბლოკბასტერს – მიჩერება, მზესუმზირის კვნეტას – თვალგაშტერება. ბლოკბასტერი ხანგრძლივი პაუზაა ტვინში. მინდა? – არა. რამე ისეთი მიუზიკლი, ძველი? რა? «მუსიკის ჰანგები»? სად წავედი! დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი, დაბანილ-დავარცხნილი ევროპა და მერე ხიფათი, რასაც გადაურჩნენ. მინდა? – არა, ახლა არა. პაუზა ტვინში, მზერა ფანჯარას. რა დღეა? – პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში – სამშაბათი. ჰო, სამშაბათი. ფარდა. ირხევა. ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში ზამთარი აღწევს. მზერა ეკრანს. ეს ფოტო უნდა გამოვცვალო. გამოვცვალო? – ახლა არა, მერე. პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში – ფანჯარა, აივნის კარი, ღრიჭოებიდან ჰაერის ცივი ნაკადი ფარდას, შიგნიდან სიცხე, სიცხე – ჩემში. ავიზიდეთ? – ჰო, ღრიჭოებისკენ, საიდანაც ჰაერის ცივი ნაკადი ფარდას. ფანჯარა. ფანჯრისკენ. ფანჯრიდან მეზობელი სახლის ჟანგისფერი

სახურავი. ღრიჭოებიდან ცივი საცეცები ხელის ზურგზე. აივანი მეზობელ სახლზე. სევდიანია. რა? ცარიელი აივანი სევდიანია, როცა ღრიჭოებიდან ზამთარი ცივი საცეცებით ხელის ზურგს. ჩემი აივანი და მეზობელი სახლის აივანი მეგობრობენ. არა, რაღაც სხვა, უფრო ზუსტი. რა? პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში, მზერა აივანს, – მჭიდრო თანამშრომლობა. სასაცილოა, ტვინის რომელი უჯრედიდან ამოიზიდა ეს «მჭიდრო თანამშრომლობა»? საბჭოეთში ჩარჩენილი უჯრედიდან, ალბათ. თუმცა, უფრო ზუსტია, თანაც ირონიული. თბილისის ძველი უბნების ვიწრო ქუჩებზე აივნები მჭიდროდ თანამშრომლობენ. ჩემი აივანი საყოველთაო ზამთარშია, მე – კედლის მეორე მხარეს და ღრიჭოებიდან შემოღწეული საცეცები კონკრეტულ სევდად მეხება. რას ნიშნავს კონკრეტული სევდა? კონკრეტულია, რაც კონკრეტულად გეხება, მთელ სამყაროსთან ზოგადი მეგობრობაა უაღრესად ზოგადი. გამოვრთო? – იყოს. ტელევიზორი? – არა. გაზის გამათბობლიდან სითბო ბარძაყებზე, ფანჯრის ღრიჭოებიდან საყოველთაო ზამთრის ანასხლეტები. საყოველთაო ზამთარში სჯობს. მოვიცვა რამე? – არა, არა, შიგნიდან სიცხე, სიცხე – ჩემში. კარის სახელურს. სუსხი, ჰაერი, სუსხი, მეზობელი სახლის აივანი ცარიელი, მე და ჩემი პატარა აივანი საყოველთაო ზამთარში. თაბუკაშვილიდან ჩამომავალ კიბეზე ნიკო საბელგამობმული შავი ძაღლით. ჭიშკრიდან ჩორნა ნიკო მობუზულად. უთვალთვალებდა ალბათ, სიგარეტს სთხოვს ახლა. ჩვენს პატარა ქუჩაზე ჩორნა ნიკო და ნიკო ექიმი. ნიკო ექიმი თავისი შავი ძაღლით ხშირად ერთად. გერმანიაში გათხოვილი ნიკოს ქალიშვილი, ქალიშვილთან გადაბარგებული ნიკოს ცხვირაბზუებული ცოლი და ნიკო საბელგამობმული ძაღლით კიბეზე. რაღაცით დაემსგავსა. რით? თვალებით. ქუთუთოჩამოღაბაბებული, სევდიანი

თვალებით ნიკო თავის ძაღლს დაემსგავსა. სევდიანი? თუ როგორი? რამდენიმე ნაკეცად ჩამოზიდულ ქუთუთოებში გუგები მოწყენით სხედან. თითქოს რაღაც ეზარებათო. დაღლა უფროა, ვიდრე სევდა. ჰო – დაღლა. ძაღლმა ამომხედა, ნიკომაც. ჰო, ჰგვანან. ჩორნა ნიკომაც ამომხედა, ხელს მიწევს, მილოცავს. ვუღიმი: «თქვენც მრავალს დაესწარით»! – ჩავძახი. ჩორნა ნიკოს ორი თითი მიაქვს ტუჩებთან, ნიკო ექიმი მოკლე დუბლიონკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს, ჩორნას აწვდის, რაღაცას ეუბნება, ჩორნა პირმოთნედ იღიმება და სიგარეტის კოლოფიანად უჩინარდება ჭიშკარში. ნიკო თავისი შავი ძაღლით ბროსესკენ, წინ ძაღლი, უკან – ნიკო. მე – სად? ჰაერი – ჩასუნთქვა, ჰაერი – ჩასუნთქვა, ზამთარმა სუსხი ჩამბერა, როგორც ცხელ ჩაის აგრილებენ ჭიქაში. სასაცილოა. იქ გავიცინოთ – შინ. გარედან შინ, ფანჯარასთან. ღრიჭოებიდან შემოცოცებული ყინვის ანასხლეტები აღარ მეხება კონკრეტულ სევდად, რადგან საყოველთაო ზამთარში ვიყავი და ეს ყოჩაღი ბგერებით შემეხო: «მშვენი-ერმა მაისმა, გული გამიხალისა», – მერე რა ტექსტია? პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში, – სითბო ბარძაყებზე. ფუჰ, შენი! არადა, ვოკალის გამოცდაზე ხუთიანი მივიღე ამ სიმღერაში. ინტერნეტიდან გავიხსენებ. მზერა მაგიდას – კომპიუტერი, მზერა კედელს – შეყვითლებული აფიშები. ჩემი აფიშები ჩემს კედელს შეაყვითლდნენ, ჩემი თეატრის დიდი სცენის რომელიღაც მაღალ სივრცეებში ღამურების ოჯახი ბუდობს. რამ გამახსენა? აფიშამ, ჰო, აფიშამ. სპექტაკლის დროს გამოფრინდნენ და მე სცენაზე და მაყურებლისგან გაუცხოება, გაწყვეტილი კავშირი დარბაზთან და აი, პარტერიდან ახალგაზრდა ბიჭი ხელს იშვერს, მის გვერდით მჯდარ გოგოს უთითებს რაღაცისკენ, თანაც იცინის და ლამისაა სცენიდან შევალეწო გინება, მაგრამ

ტექსტი მაქვს ჩასამთავრებელი. ჩავამთავრე, როგორც იყო, კულისებისკენ სახეაჭრილი და იქ პატიკო მეუბნება, რომ ღამურები. პატიკო. ნიჭიერი იყო, მაღალი, ხმელი და გალოთდა უღვთოდ და საბრალო. მელოდრამისკენ? არა, არ მინდა. იქნებ მაცივრისკენ? თევზი მაიონეზის სოუსში. არა – მოვიმატე. რამდენი კილო? სასწორზე არ შევდგები – ამეტირება. სიარულს დავიწყებ, დავიკლებ დე მერე სასწორზე. თევზი მაიონეზის სოუსში, თევზი მაიონეზის სოუსში, კალორიები მაიონეზში – არა! «დედაჩემი თევზია». სად წავიკითხე? – სადღაც წავიკითხე. რატომ თევზი? ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლე წყლიდან დაიწყო და დედა წყალს დაუბრუნდა. წყლიდან დაიწყო? წყალი საიდან? ატმოსფერული წნევიდან? არ ვიცი. სიცოცხლე რას ნიშნავს, ვიცი? ვიცი. სიცოცხლე ნიშნავს სიცოცხლეს, ცხოვრება – ცხოვრებას, არსებობა – არსებობას. მე ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში ვარსებობ, ჩემი აფიშები ჩემს კედელს შეაცხოვრდნენ, სათაფლიაში დინოზავრმა კონკრეტული ნაკვალევი დატოვა და მე ის ექსკურსიაზე ვნახე. რა შუაშია? მზერა შეყვითლებულ აფიშებს, სადაც მე შავით თეთრზე, – სათაფლიაში კი დინოზავრის ნაკვალევი შავით თეთრზე. დედა – თევზია? – არა, სხვაა. რა? რაღაცამ გამახსენა დედა. ბალახი. ალექსანდრეს ბაღი. იანვარი. გამზრალი მიწიდან ბალახი და ვიფიქრე – დედა. დედა თეფშზე სველ ბამბას შლის, ხორბლის მარცვლებით პენტავს, სააღდგომოდ ჯეჯილი თეფშზე, ჯეჯილი თეფშზე ჯეჯილი თეფშზე, იანვრის ბალახი გამზრალი მიწიდან – ლამაზი, თანაც განწირული და უღონო, ჩუმი და შეგუებულად მომლოდინე და სევდისმომგვრელი. ბოლოს ასეთი იყო, მანამდე – სხვა. მეც სხვა ვიყავი, – ჰორმონები, ჰორმონები, ჰორმონები, ეს დედააფეთქებული ჰორმონები და დედა, ვისაც ჩემს გაანჩხლებულ ჰორმონებს ვახლიდი. ჟანგისფერი სახურავი ლიბრში, ყელში – სიმწარე,

ხელისგულები – თვალებზე, ხელისგულები – სველი. ჰუუჰ. თეატრში? – არა, რადიოში ჩაწერა? – არა, სადმე – ვინმესთან? – არა, ამ თვეში – არა. იქამდეც ამერია. იქამდე ორი თვე – არა, მერე – ჰო, და ისევ – არა. დეიკო – დეა, მგონი, ნაადრევად დაიწყო. დაიწყო? ადრე თუ გვიან იწყება. თუ მთავრდება? ერთიც, მეორეც. უჩვეულოა. სხვა მიმართულებაა. მიდიოდი შენთვის, თითქოს იცოდი, სად და როგორ, ახლაც მიდიხარ, მაგრამ სხვა მიმართულებით. სამწუხაროა, რაღაც არის იმაში, კაცს რომ ეტყვი: «დღეს არ გამოვა, მომივიდა». სიახლოვეა. განდობაცაა. რაღაცაა. იქნებ, უფრო მეტიც. თანამფლობელობა. თანამფლობელობა თანაზიარობასაც ნიშნავს. ნიშნავს, თუ გულისხმობს? როგორცაა. თანაზიარები ხართ და ამ განცდით პასუხობ, რომ შეიქმნა ასეთი ვითარება და ესეც კი გაკავშირებთ, ეს ვითარება, რისი გამრიგეც შენა ხარ, ქალი და აი, თვითონაც გინდოდა, მაგრამ მოითმინეთ, ბატონო, ოთხი-ხუთი დღე მადროვეთ, ჩაირაზა კარიბჭე, მომანდეთ ეს ამბავი, მომანდეთ ჩემი ღვარცოფი, რაზეც ასე გახსნილად, განდობილად, თანაც პრაგმატულად ელაპარაკები და როცა ბეც ჩაღიმებაში მის შენიღბულ გულდაწყვეტასა თუ იმედგაცრუებას იხელთებ, უფრო მახლობლდება, თუნდაც იმიტომ, რომ უნდოდი. სურვილი. გაქრება? ალბათ, არა. რატომ – არა? არ ვიცი. სიცხე შიგნიდან, სიცხე ჩემში, სიცხე შიგნიდან, სიცხე ჩემში და რადგან სიცხე, მეხანძრე შლანგით, ვინც ხანძარს აქრობს. მეხანძრეღა მაკლდა. დეიკო-დეა, ფსიქიატრთან? არ მინდა ფსიქიატრთან, გიჟების ექიმს ეძახიან. ესე იგი, ზუსტად ეგ გჭირდება. არა, უფრო ასატანი სახელი ერქვას, უფრო ნელთბილი, ნეიტრალური უფრო. – ფსიქოთერაპევტი. ჰო, ფსიქოთერაპევტი კარგია. რას მკურნალობენ ფსიქოთერაპევტები? წარმოდგენა არ მაქვს, რაღაც ისეთს, ალბათ, მე რომ მჭირს. რა მჭირს ასეთი განსაკუთრებული,

არაფერიც არ მჭირს, დიდი ხანია, კაცი არ მყოლია და ჩემს კლიმატოზურ მდგომარეობაში წარმოვიდგინე მეხანძრე შლანგით, ვინც ხანძარს აქრობს. პატიკო რატომ არ წარმოვიდგინე, ან ის პირგაპარსული კარაბას ბარაბასი მოჭუტული თვალებით, ან თუნდაც თომა, ვისი ველოსიპედიც ჩემს შემოსასვლელში იყო აყუდებული, თავად კი იატაკქვეშეთიდან თავამორგულ რევოლუციონერს მაგონებდა თავისი მრგვალი სათვალითა და ბლანჟეთი? მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი, – ჩემმა კვერცხუჯრედმა ვერცერთის ნაყოფი ვერ შეინარჩუნა. იქნებ ამიტომაც მეფიქრება ხშირად მათზე? მათზე, თუ ნაყოფზე, რომელიც ჩემმა კვერცხუჯრედმა ვერ გამოზარდა? იმაზეც, ამაზეც, ყველაფერზე, რადგან თვითონაც არ იციან, რა ხარისხში ჩამისახლდნენ აქ, ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში. მეხანძრე რა შუაში იყო, საიდან გაჩნდა მეხანძრე შლანგით? საიდან უნდა გაჩენილიყო – კაცი ვიგულისხმე, მამაკაცი ზოგადად, ვის სახესაც ვერ ვხედავ, – არც პატიკოა, არც პირგაპარსული კარაბას ბარაბასი, არც თომა და მითუმეტეს – არც მეხანძრე, რომელიც სადღაც გარბის შლანგით, ერთ ამბვიშია, ხანძარი აქვს ჩასაქრობი. ჩარლი ჩაპლინის მეხანძრეს ჰგავს. დეიკო-დეა, ფსიქიატრთან აჯობებს, ფსიქოთერაპევტი ვერ დაგეხმარება, ეს აშკარაა! კომედიისკენ? კი ბატონო, იყოს კომედია. მივალ ფსიქიატრთან და გულწრფელად ვეტყვი: იცით, ბატონო ფსიქიატრო, ჩემს კლიმატოზურ გაუგებრობაში აღმოვაჩინე, რომ ჩარლი ჩაპლინის განსახიერებული მეხანძრე მიზიდავს. პაუზა ტვინში. მეხანძრე, ვიღაც მეხანძრე, სადღაც. პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში – მეხანძრე თეატრში. დირექციამ გამოიძახა ღამურების დასარბევად. ამწეზე შეაყენეს წვრილი ბადით, შლანგის გარეშე, მე – სცენაზე, სხვა მსახიობებთან ერთად.

ქვემოდან ვუცქერთ, როგორ მიიწევს ამწე მაღლა. ამწეზე მეხანძრეა ბადით, მიიწევს ამწე და ვფიქრობ, ვფიქრობ, ჩემთვის ვფიქრობ, რომ უცნაურია მეხანძრე შლანგის გარეშე, რომ ასეთი მეხანძრე მეხანძრეს არც ჰგავს და იქ, სცენაზე მდგომს მახსენდება ექსკურსია, – შინიდან წამოღებული სანოვაგით ტყისპირას, იქით მინდორი, მინდორზე თეთრი ცხენით და ბიჭების სიცილი გვესმის, ცხენს შლანგივით ფეხებთან და მერე გოგოები განცალკევებით, ვითომ არ ვიმჩნევთ, მაგრამ თვალი თავისით გარბის და ჩვენც ვიცინით – თითქოს რაღაც სხვაზე, საჩვენოზე, საგოგოოზე, მაგრამ თვალი თავისით იქით, ცხენისკენ და სიცილს რაღაც ისეთი ერევა – აღტკინებული, ალეწილი, რადგან სულელ ბიჭებზე მეტი ვიცით, გაცილებით მეტი და ჩვენს აღტყინებაში ესეცაა, ეს მინიშნება ბიჭებისთვის, რომ ვიცით, ვიცით, ბოქვენი შეგვეღინღლა უკვე, ძუძუკები წამოგვეზიდა და ზოგიერთი ლიფსაც ხმარობს და ჰო, იქით, თვალი იქით, ცხენისკენ და ჩვენთვის, ჩუმად: «შლანგივით არ ჰკიდია, შლანგივით, შლანგივით»! – და ისევ აღტკინება, სახეალეწვა ჩვენს სიცილში, მინდორზე ცხენი გრძელი შლანგით და ფიზკულტურის მასწავლებელი ცხენისკენ წკეპლით. საიდან სად წავედი? თუმცა, კარგია, გავაღწიე სადღაც, სადაც ფსიქიატრზე მეტად ფსიქოთერაპევტი დამჭირდება. ვატუკუნა, ვატატო, ვატო! ვატო ბევრს იცნობს, ფსიქოთერაპევტსაც, ალბათ. ვატო გოგოთი მომმართავს. საჭორაოდ განმაწყობს, როცა გოგოთი მომმართავს ვატო. ვატუკუნა, ვატატო – ჩემი ცისფერი თეატრმცოდნე თეატრალურ ამბებზე მეჭორავება. დავარეკინებ ფსიქოთერაპევტთან, ფსიქოთერაპევტი შეხვედრას დამითქვამს, წავალ და ვეტყვი: ბატონო ფსიქოთერაპევტო, დათქმულ დროს გამოვცხადდი. ფსიქოთერაპევტი ჩემი ასოციაციებით დაინტერესდება, მე ვუპასუხებ: იცით,

ბატონო ფსიქოთერაპევტო, ჩემს შინაგან სიმხურვალეში გამახსენდა ამწეზე შემდგარი მეხანძრე, ვისაც ღამურები უნდა დაერბია დიდი სცენის სივრცეებში, სადღაც იქ, მაღლა, შტანგეტებთან, და მიიწევდა და მიიწევდა შტანგეტებისკენ, ოღონდ მიიწევდა ცოტა უჩვეულოდ, შლანგის გარეშე, წვრილი ბადით და ეს მეუცხოვა, ბატონო ფსიქოთერაპევტო, და უეცრად თვალწინ დამიდგა ჩემს გოგოობაში მინდორზე ნანახი თეთრი ცხენი გრძელი შლანგით. «აუჰ», – იფიქრებს ფსიქოთერაპევტი, მაგრამ არაფერს შეიმჩნევს და იტყვის: – საინტერესოა, – ამის მერე მომაცქერდება გამჭოლი მზერით, მე კი უეცრად ავღელდები და ვეტყვი: – ნუ შეშინდებით, ბატონო ფსიქოთერაპევტო, მეხანძრემ ვერაფერი გააწყო, ღამურები გადარჩნენ და განა მარტო გადარჩნენ, ჭკუაც ისწავლეს, სპექტაკლის მსვლელობას ხელს არ უშლიან, არიან თავისთვის, მყუდროდ, მოთმინებით ელიან წარმოდგენის დასასრულს და მხოლოდ შემდეგ, როცა სცენას სრული უკუნი მოიცავს, გამოფარფატდებიან და დაფარფატებენ საყვარლად, – ვეტყვი ამას და სანამ კაბინეტიდან გავაბიჯებდე, რამეს მოვიპარავ ფსიქოთერაპევტის მაგიდიდან. რას? ლანცეტს. ლანცეტს? ლანცეტს – არა, ლანცეტისთვის ქირურგთან უნდა წავიდე. ფსიქოთერაპევტს – რა? ჩაქუჩი. სამედიცინო ჩაქუჩი; ჰო, მონიკელებული, პატარა, საყვარელი ჩაქუჩი, რასაც მუხლზე დაჰკრავენ ხოლმე პაციენტს. როგორ მოვიპარავ? გააჩნია, სად იქნება ჩაქუჩი. დავუშვათ – მაგიდაზე. თუ მაგიდაზე, წამოვდგები, ქმედებას დავასვამ ტექსტს ღამურების ოჯახზე, თვალებს მოვიწყლიანებ, დაე, იფიქროს – სადაცაა აბღავლდებაო და რაც მთავარია, მომაცქერდეს, სახიფათო ასოციაციების უფსკრულში გადაჩეხილ თავის პაციენტს თვალი არ მოსწყვიტოს, მე კი ამ დროს მივუახლოვდები, ახლოს, ახლოს, უფრო ახლოს

და ვუცქერ მოცრემლილი თვალებით და ისიც მიცქერს, ჩემი ხელი კი ჩაქუჩს ეხება უკვე, სახელოს ქვეშ იცურებს და იქ, იქ, ჩემი კანი იქ, სახელოს ქვეშ ხორკლიანდება, რადგან იქა გრძნობს ჩემი კანი მოპარული ნივთის ნეტარ სიგრილეს. მინდა! ეს მინდა! სამედიცინო ჩაქუჩი მინდა ფსიქოთერაპევტის მაგიდიდან. გადაწყვეტილია, შემდეგი ნადავლი ჩაქუჩი იქნება. მზერა ტახტისკენ – ტახტი, მობილური, მარაო. მარაოც ნადავლია. ჩემი ცისფერი, საყვარელი ჩემი მარაო მშრალი ხიდიდან. ფაშფაშა ქალს მოვპარე. ორ ლარად მთავაზობდა, ლარნახევრად, ლარადაც. ვიუარე, გავეცალე, სანაპიროსკენ ჩავუხვიე, გარემოვაჭრისგან კუზნეცოვის თეფში ვიყიდე, ამოვბრუნდი ფაშფაშა ქალთან, თეფშს ვთავაზობ იაფად, გახურდა, აენთო, უფრო იაფად უნდა, დამცინცლოს, ვვაჭრობთ, გაჭირვებაში ჩავარდნილ, არაპრაქტიკულ ინტელიგენტ ქალბატონს ვთამაშობ, ცოტაც დავუკელი, მეტად გახურდა, ამ დროს მალულად ვეხები საკეტს, ვხსნი ჩანთას, ვთანხმდები ფასზე, თეფშს ვაწვდი, დასცქერის, უხარია, თუმცა არ იმჩნევს; ვიხრები, ჩექმას ვისწორებ ვითომ, ჩანთას ისე ვდებ, რომ მარაო ჩემკენ აღმოჩნდეს – მარაო ჩემკენ, შემდეგ ჩანთა, იქით ფაშფაშა ქალი, ვინც აშკარად იხეირა და თეფშითაა გართული, – ქვემოდან მზერა ფაშფაშასკენ, ახლა შეიძლება! – ხელი მარაოს, მარაო ჩანთაში, ხელი საკეტს, ჩაიკეტა – ის იქაა! წელში ვიმართები, ფულს ვართმევ დამწუხრებულად, არა, არა, დამწუხრებულად არა – ფულს ვართმევ, როგორც ცოდვას, როგორც განივთებულ ღალატს ჩემსას, სინამდვილეში ყველა ნერვი მითრთის აწეული ადრენალინით, მაგრამ არა, ჯერ არა, სანამ სცენაზე ვარ, პერსონაჟის ტყავში უნდა დავრჩე – ინტელიგენტი ქალბატონი ოჯახურ რელიკვიას შეელია და გული რომ არ გაუსკდეს, მზერას არიდებს მისთვის ძვირფას ნივთს, ვიღაც ფაშფაშა გადამყიდველს

რომ შეატოვა და მაინც, მაინც, თვალის ერთი გულდათუთქული შევლება აუცილებელია, მერე კი ნაჩქარევი გასვლა სცენიდან, გასვლა ისე, რომ ვიღაცას აფიქრებინო, ამან შეიძლება თავიც მოიკლასო. და მივდივარ მშრალი ხიდიდან, ნათამაშევი როლით მოგვრილი ყიჟინა ბურღივით ტრიალებს ყელში, გახშირებული გულისფეთქვა სისხლს მითამაშებს, მუხლებში ქარი, ხელჩანთაში ნადავლი – ჩემი ცისფერი მარაო; გზა ალექსანდრეს ბაღამდე ერთი ამოსუნქვით, განმარტოებით მდგარი სკამი, რათა არც ხმაურმა, არც ვინმეს მზერამ არ გამიფანტოს ყურადღება. რა სხვანაირი განცდით იხსნება ჩანთა, როცა ჩანთაში ნადავლია; როგორ ფაქიზდება თითებზე კანი, როცა ნელა, ძალიან ნელა მოაცოცებენ მონადირებულს, მოპოვებულს, უკვე შენსას, შენი სიცოცხლის ღრმა ჩასუნთქვას, რამაც ფილტვები გაგიცოცხლა, და ზიხარ ასე, განმარტოებით, ვერც კი ამჩნევ, როდის გაუკიდე სიგარეტს, იქაა შენი ყურადღება, იმასთან, იხსენებ, როგორ გეფეთა თვალში მისი სიცისფრე, აკვირდები ნივთს, იგონებ ნადირობის ყველა დეტალს, თანაც უცქერ, სწავლობ, ეცნობი და ისევ და ისევ იხსენებ შენს ჟესტებს, ხმის ტემბრს, სახის გამომეტყველებას, რამაც შენ და ის ასე შეგკრათ და მერე, მერე, რომელიღაც ნაფაზზე გეჩვენება, რომ ამ სიგარეტს ხარისხიანი სექსის შემდეგ ეწევი. სექსი. ორგაზმი. მინდა. ეს მინდა? არ ვიცი, მაგრამ რაღაც მინდა. სიგარეტი. ჩვეულებრივი. ჩვეულებრივი სიგარეტი სამზარეულოს მაგიდაზე. იქით? – არა, ჯერ ვატატოსთან გავარკვიოთ ფსიქოთერაპევტის ამბავი, რადგან ყველაზე მეტად ფსიქოთერაპევტის ჩაქუჩი მინდა. მზერა ტახტისკენ. მარაო. მობილური. მობილურისკენ. მობილური ხელში. ზუმერი ერთი, ორი – ვატატო. «გოგოო» – ვატატოს ხმა, – «კუდიანი ხარ, გოგო, ახლა ვფიქრობდი შენზე», «ვატატუნა, ჩემი ბიჭი, ცოტა

მაქვს ანგარიშზე, უცებ მითხარი, ფსიქოთერაპეკტს იცნობ?» «რად გინდა ფსიქოთერაპევტი, გაგიჟდი?» – იცინის ვატატო, «ჰო», – ვიცინი, – «ცოტათი გავგიჟდი, იცნობ?» «ცოტა სიგიჟე არაფერია, რანაირად გაგიჟდი მაინც?» – იცინის ვატატო, «იმნაირად», – ვიცინი მე, – «გიჟების ექიმთან მისვლის რომ ეშინიათ», «მაშინ ნევროპათოლოგი გინდა, დამიჯერე», – აღარ იცინის ვატატო, – «გადმოგირეკავ, გინდა?» – მეუბნება მერე, «მოიცა», – ვეუბნები, – «ნევროპათოლოგი რას აკეთებს?» – «რას აკეთებს და ჩაქუჩს უკაკუნებს მუხლზე პაციენტს, არ გინახავს კინოში?» – იცინის ვატატო, «მანდ გყავს, მეზობლად და მე მეკითხები?» – იცინის ისევ, ეს ნიშანია – ვფიქრობ, – ეს ნიშანია, – ვფიქრობ, მაგრამ როგორ? – ვფიქრობ; უნდა დავფიქრდე, ავწონ-დავწონო, – ვფიქრობ; «შემომიარე, წავიჭორაოთ», – ვეუბნები ვატატოს, მობილური მაგიდაზე, ხელი მარაოს, მარაო მაგიდაზე, მე სავარძელში. ნიკო – არა. არ შეიძლება, ერთი ბეწო ქუჩაა, ყველა ყველას იცნობს, რაღაც ისეთი რომ მოხდეს, აბარგება მომიწევს. არა, არა, ნიკოსთან არ შეიძლება. ხომ არსებობს რაღაც, რაც არავითარ შემთხვვეაში არ შეიძლება. არადა, ხიფათია და ხიფათშია მთელი მუღამი. თეატრის ბუფეტიდან ყავის ჭიქა მოვიპარე და სანაგვეში გადავუძახე. სიამოვნება ვერ მომანიჭა, ამიტომაც მოვისროლე. ძალიან იოლად მოპარული სიამოვნებას არ მგვრის. ეს სახიფათოა, ოღონდ სხვანაირად სახიფათო, ყველა ყველას იცნობს. იცნობს კი? ვიცოდი, ექიმი იყო, რისი ექიმი, არ ვიცოდი. მოზომილი, კეთილგანწყობილი სალამ-ქალამი – ჰო, მაგრამ ამის იქით, არავითარი ურთიერთობა, არც ნიკოსთან, არც ნიკოს ცხვირაბზუებულ ცოლთან, ვინც გერმანიაში გადაბარგდა ქალიშვილთან, ისინი თავისთვის იყვნენ, მე – ჩემთვის, ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში. თანაც, ნიკოს რომ არ ვეცე, ამ

დანერვოზებულ ქვეყანაში ნევროპათოლოგი დაილია? არა, არა, ნიკო – არა, არ შეიძლება. პოლიკლინიკაში წავალ სულაც, კლიმაქსის ნიადაგზე ნერვიული აშლილობა მაქვს-მეთქი, ვეტყვი. ნიკოსთან არ შეიძლება. ნიკო – არავითარ შემთხვევაში. დეიკო-დეა, თავს ირწმუნებ? ჰო, საკუთარი თავის გეშინია. არადა, ნიშანივით იყო, გავედი აივანზე და პირველი, ვინც თვალში მეფეთა – ნიკო თავისი შავი ძაღლით. არა და მორჩა! აიზიდე ახლა და გაპაკიპუკდი პოლიკლინიკაში. პაკ-პუკ, მილიცა ქურქით საგრიმიოროსკენ, პაკ-პუკ, პაკ-პუკ! რაღაც მინდოდა. რა? სიგარეტი. ჩვეულებრივი სიგარეტი სამზარეულოს მაგიდაზე; ავიზიდეთ, აბა, ავიზიდეთ და ნიკოზე ფიქრი – არა! მორჩა ნიკო, არა! – შემოსასვლელის კედელზე სარკე, სარკეში – მე, ძალაუნებურად მესრუტება ლოყები, როცა სარკეში მე. ქალი ჯერ თავის თავს ეპრანჭება, მერე სხვას, რატომ? რა – რატომ? თავის თავს რატომ? იმიტომ, რომ იმიტომ. მაინც? თავს იმხნევებს? თუნდაც. არა, აშკარად მოვიმატე; მზერა სამზარეულოს მაგიდისკენ. საფერფლე. სანთებელა. სიგარეტის კოლოფი. დავიძარით ჩვეულებრივი სიგარეტისკენ. სიგარეტი – ყავა! ხელი ჯეზვეს ტარს, ჯეზვე გაზქურაზე. სიგარეტი კოლოფიდან. სიგარეტი პირში. ონკანი. წყალი. სანთებელით ჯერ სიგარეტს, მერე გაზქურას. ყავა კოვზით, ყავა ჯეზვეში. სიგარეტის კვამლი თვალისკენ. მეჭუტება. სიგარეტი პირიდან. კოვზით ჯეზვეში. მოვურიოთ, მოვურიოთ, საკმარისია. კოვზი ბაკანში. მზერა ჯეზვეს, პირში – სიგარეტი. მექანიკური მოძრაობები. რა წილი აქვს მექანიკურ მოძრაობას არსებობაში? ძირითადი. უმთავრესი. არა. არსებობა მექანიკური მოძრაობებია – სიცოცხლეა ორგაზმი. ჩავიწერო? ფუჰ, შენი! – არარეალიზებულმა მსახიობმა მწერლობა მოინდომა. მწერალი. ჰემინგუეი. მიყვარდა. მიყვარდა თუ როგორც

მამაკაცი მომწონდა? ერთიც – მეორეც. პატიკოს ფოლკნერი უყვარდა, მე – ჰემინგუეი. პატიკო. ფოლკნერი. «დედაჩემი თევზია», – ჰო, ფოლკნერი. პატიკომ წამაკითხა. პატიკო. ერთად ინსტიტუტში, ერთად სცენაზე, ერთად სუფრებზე, ერთად ლოგინში. ლაღი, აწყვეტილი, საინტერესო და მერე, უცებ, – უსუსური, საბრალო – უსუსური, საბრალო – უსუსური, მაღალი, ხმელი, საბრალო – უსუსური. თვითონ გამერიდა. შეატყო, ლოთდებოდა და გამეცალა. «მოვერევით», – ვეუბნები, – «ერთად მოვერევით», თავს აქნევს, – არა, – თავს აქნევს – არა, თვალებში ლოთის ცრემლი უდგას, – შენთან არ მინდა ასე ყოფნა, – ამბობს, მიდის. ითამაშა? ალბათ – არა. რაღაცას გაუფრთხილდა, იქნებ იმ ძველ პატიკოს, რომელიც ორივეს გვიყვარდა. ჰო, მე და პატიკოს ის პატიკო გვიყვარდა. შეეშინდა, რომ ვეღარასდროს მიგვატოვებდა ვერც მე, ვერც სასმელს და ის ცხოვრება დაინახა – ჩვენი სამეულის. ლოთები უსუსური ეგოისტები არიან. რაც უფრო უსუსურია ეგოისტი, უფრო ამაზრზენი ხდება. ჩემი ბრალია? იქნებ – ჰო, იქნებ – არა, იქნებ მეც გავუფრთხილდი იმ პატიკოს, რომელიც მიყვარდა. სისულელეა. ჩემი ბრალია და მორჩა, არ უნდა გამეშვა, გავუშვი, წავიდა, ლოთობს. ამასწინათ შემხვდა ქუჩაში, მობანცალებდა, დამინახა, თავს შეუძახა ეტყობა, ნაბიჯის გამართვას შეეცადა, ხელები გაშალა: «დეიკო-დეა, როგორა ხარ, საყვარელო!» – მიხუტებს, ვეხუტები, ვუცინი, სასმელის სუნად ყარს, მიხუტებს, მიხუტებს, მერე ახველებს, ამონახველს ცხვირსახოცით იწმენდს და უცაბედი მზერით ამოწმებს ამონახველში სისხლი ხომ არ ურევია, ისევ იყოჩაღებს თავს, შემომცინის, მინდა, რაღაცით დავეხმარო, ჩანთაში ფული მაქვს, ჰონორარი რადიოდან, «რამე ხომ არ გჭირდება?» – ვეკითხები, ხელებს ასავსავებს, «არა, არა, რას ამბობ», – უმწეოდ ასავსავებს ხელებს და უცებ მეცლება: «შევხვდებით, გკოცნი!» – მიდის,

არ ტრიალდება, ისე წევს ხელს და მიდის ხაზგასმულად გამოყოჩაღებული ნაბიჯით და ზუსტად ვიცი, – ფული უნდოდა, მაგრამ ცდუნებას რომ არ აჰყოლოდა, ამიტომ გამშორდა ასეთი ნაჩქარევი ფართიფურთით; თვალს ვაყოლებ, მეცოდება, ძალიან მონდომებულია, ფეხი არ აერიოს და მეცოდება, რადგან ტკეპნისო თითქოს ქვაფენილს, იმას, ქვაფენილს უმტკიცებსო თითქოს რაღაცას; ისე მიაბიჯებს, გეგონება, ცარიელ ფურცელს ბეჭედს ასვამსო, დაასვა ბეჭედი – მოისროლა ცარიელი ფურცელი, ისევ დაასვა ბეჭედი – ისევ მოისროლა და ისევ და ისევ, რაღაც განწირული, შეშლილობამდე მისული სიბეჯითით ცდილობს, ფეხი დააბეჭდოს ქვაფენილს, ფეხი დააბეჭდოს ქვაფენილს და მიდის და მე ვუცქერ და მიდის, მშორდება. პატიკო ნახანძრალ ხეს დაემსგავსა, მისი ხელების უმწეო სავსავში იყო რაღაც ძალიან ნახანძრალი. პატიკო. რა მოხდებოდა, იმ დღეს, რეპეტიციაზე, ლუკში რომ არ ჩავნარცხებულიყავი? რა მოხდებოდა და შვილი მეყოლებოდა პატიკოსგან, ეს მოხდებოდა, რა უნდა მომხდარიყო; ვიღაც იდიოტმა ლუკი დატოვა ღია და მოხდა, რაც მოხდა. ბიჭი ან გოგო, ბიჭი ან გოგო, – ფუჰ, შენი! ხელისგულები თვალებზე, ხელისგულები – სველი, ჰუუჰ – ნაფაზი, ჰუუჰ – ნაფაზი, კვამლი გულისკენ, გულთან, გულში. ჰუუჰ – მორჩა. ჰუუჰ – ნაფაზი, სიგარეტი საფერფლეზე, მზერა ჯეზვეს, ხელი ჯეზვეს ტარს, ჯეზვედან ჭიქაში, ჯეზვე ბაკანში, დავიძარით აქედან იქით, ოღონდ სარკისკენ მზერა – არა, მოვიმატე – ამეტირება. სავარძელი. სავარძლისკენ. მაგიდაზე ყავის ჭიქა, საფერფლე, სიგარეტის კოლოფი. მზერა წიგნების თაროს, თაროზე შავტყავიანი წიგნაკი, ხელი წიგნაკს, სავარძელში, შავტყავიანი ჩემი საუნჯე მაგიდაზე, იქვე მარაო, ჩემი ცისფერი მარაო და შავტყავიანი წიგნაკი – ორი ნადავლი. შავტყავიანი წიგნაკი პირველია. უმთავრესია შავტყავიანი

ჩემი საუნჯე. გადამარჩინა. გამომიხსნა. სიცოცხლე დამიბრუნა ჩემს სიმკვდარეში, რადგან იქამდე ცხადად მოვკვდი. არ მიოცნებია ოფელიას როლზე, მაგრამ მჯეროდა, რომ – მე. გავიგე თუ არა, «ჰამლეტი»-ო და ვიფიქრე, ოფელია – მე. მზერა კედელს. აფიშები. ძირითადად ქართული რეპერტუარი, სადაც მე ვარ შავით თეთრზე. იერი მაქვს, ეტყობა, მეტისმეტად ქართული. ასე მხედავენ, ეტყობა, პირგაპარსული კარაბას ბარაბასები. კლეპტომანია ვარსკვლავური დაავადებაა, ინტერნეტში. ჰოლივუდის ვარსკვლავები ოკეანის იქით, კალიფორნიაში, მე აქეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უკიდურეს მხარეში, იმ თეატრის მსახიობი, სადაც ღამურების ოჯახი ბუდობს. ისინიც, მეც – ერთი სენით. იმათ რა აპარინებს? რაც მე, – ვნება. ადრენალინის ნაკლებობა რომ ვიგრძენი, მაშინ პირველად. კედელზე არაა «ჰამლეტი»-ს აფიშა, სამაგიეროდ შავტყავიანი წიგნაკია მაგიდაზე, რამაც ოფელიას როლი ჩამინაცვლა და ჩემს სიმკვდარეში გამაცოცხლა. მსახიობი სცენის ჰაერით სუნთქავს, ჟანგბადს თუ გადაუკეტავ, რაღაცას იღონებს, სცენას მოიწყობს სადმე – მაღაზიაში, ქუჩაში, კაფეში, სადმე, ჰო, სადაც მოუხერხდება. იმათ – რა, ისინი ხომ ვარსკვლავები არიან? მათთვის თანდაყოლილი სენია, ალბათ. მათთვის თანდაყოლილია, ჩემთვის – შეძენილი. თავს ვიმართლებ? დამნაშავე იმართლებს თავს, მე – არა, მე ვცხოვრობ, როგორც მეცხოვრება. კი, თავს ვიმართლებ, ეგეც ჩემი ქართული წიკი, მოთხოვნილება – მსხვერპლად წარმოიდგინოს თავი. თუმცა, რატომ წიკი? იქნებ, ისტორიული გამოცდილება, ანდა ხვედრი? არარეალიზებულობა ხვედრია. მოლოდინის რეჟიმში არსებობაც ხვედრია. ამაში მე და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უკიდურესი ქვეყანა აშკარად ვემთხვევით, სცენაზე გვინდა გამოჩენა, არ გვიხერხდება. რას დავიჩემე

ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, იქნებ აზია უფროა? თუ აზიაა – რომელი აზია. აზიის უკიდურესი დასავლეთი? არ ვიცი. ის საიდან ვიცი, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უკიდურესი კუთხეა? პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში – იოსელიანი, ჰო, ოთარ იოსელიანის დოკუმენტური ფილმი საქართველოზე. მზერა ფანჯარას. ფარდა. ირხევა. გარეთ ზამთარი, ჩემში – სიცხე. ზამთარი ჩემს მდგომარეობაშია, შობა-ახალ წლამდე და მერე ზამთარი. ზამთარში ორი ზამთარია, ჩემში ორი – მე, ქვეყანაში, სადაც ახლა შიგნიდან მცხელა, ორი კონტინენტი. ზაფხულში შემცივდება? ხელი მარაოს ტარს. იშლება. მარაოს სიცისფრე თვალებთან, სახეზე – სიო. სასაცილოდ გამოვიყურები ალბათ, კლიმაქსიანი ქალი მარაოს იფრიალებს აფორაჯებულ სახესთან. რაღაცას მაგონებს. რას? რომელიღაც კომედიას. კონკრეტულ კომედიას? არა, – მდგომარეობას, ანდა, ხასიათს. ხასიათს, თუ ატმოსფეროს? კომედია. არისტოფანე. მოლიერი, მოლიერი არისტოფანეს პირდაპირი შთამომავალია, შექსპირი სხვაგანაა. არა, სხვაგან არა, შექსპირი ყველგანაა – ცასავით. რა შუაშია შექსპირი, როცა მარაოს ვიფრიალებ ჩემს კლიმატოზურ აალებაში? ვიფრიალებ, ვიფრიალებ და ვარ ასე და გულში ვმღერი: – მშვენიერმა მაისმა, გული გამიხალისა, ტა-რა-რა-რა, რარირა, სიტყვები არ მახსოვს, შევეცი სიტყვებს, ტარირირო, რარირა, შევე-შევე-შევეცი, შევე-შევე-შევევე – ჰო, მივხვდი, რა ხასიათის კომედიისკენ წამიყვანა. სამოციანი წლების ქართული კინოკომედია. «თოჯინები იცინიან». იპოლიტე ხვიჩია, სესილია თაყაიშვილი, მარინე თბილელი – სასაცილო ოჯახი სასაცილო სიტუაციაში, თანაც ზაფხული, სიცხე, გაზეთის გამალებული ფრიალი სახესთან, ცივი ბორჯომი მაცივრიდან, ყველას ცხელა, მეც მცხელა, «ჭრიჭინა». დოდო აბაშიძე თქეშის ქვეშ გაბუტულად, აქედან მედეა ჩახავა – ბიჭიკო! ბიჭიკო! და

მერე გაცხადებული სიყვარულით: – ბი-ჭი-კო! ჭრიჭიჭრიჭი, ჭრიჭინა, ჭრიჭიჭრიჭი, ჭრიჭინა – მედეა აბაშიძე. ახალგაზრდული, ნათელი სახე, თვალებში ვარსკვლავები, წკრიალა ხმით – მშვენი-ერმა აისმა, გული გამიხალისა, – და მერე სხვა მედეა, ასაკში მედეა, მსგავსება ფელინის ქალებთან. «რვანახევარი». რეჟისორი შოლტს ატყლაშუნებს, სქელუა ქალს მიერეკება მაღლა, მაღლა, დავიწყებისკენ. სქელუა ტრაკს ათამაშებს და ტირის, დარჩენას ითხოვს და ტირის, ტირის და გული გეწურება, როცა ცეკვავს და თანაც ტირის და მიდის მაღლა, დავიწყებისკენ. ახლა მე – მაღლა, სიმღერით და ტრაკის თამაშით: – მშვენიერმა მაისმა... ფუჰ, შენი! მარაო მაგიდაზე. ხელი წიგნაკს, წიგნაკი ხელში. შავტყავიანი ჩემი საუნჯე. იყოს აქ, იყოს ჩემთან. ჰო, ასე. მზერა კედელს. აფიშები. პრეისტორიული ადამიანის გამოქვაბულში გამოკრული ტყავებივით. ტყავები. ტყავი. ქურქი. მილიცა ქურქით. მილიცა მანქანიდან და ქურქით. მიპაკიპუკობს. მიპაკიპუკობს. თეატრის უკანა შესასვლელთან მანქანა და მილიცა ქურქით საგრიმიოროსკენ. მილიცა სცენაზე. მეც სცენაზე. პარტერის მეხუთე რიგში პირგაპარსული კარაბას ბარაბასი მოჭუტული თვალებით. გვერდით მაგიდა უდგას, მაგიდაზე ფინჯანი, საფერფლე, სიგარეტის კოლოფი. იცქირება აქეთ, ჩვენკენ, ახლა მილიცა კითხავს რაღაცას, ვგრძნობ, კითხავს, რადგან მილიცა ასეთია, თავის გამოჩენა უყვარს რეჟისორთან და ჰო, ეკითხება, იმას, იმას, იმ პირგაპარსულ კარაბას ბარაბასს, ვინც ხელის ძუნწი, ზეაღმატებული მოძრაობით მთავაზობდა თავისი ასოს სათანადოდ გამაგრებას, მერე ზემოდან შემოჯდომას, მხედრის პოზაში, თვითონ კი წევს, წევს, იქიდან მიცქერს, მაფასებს თითქოს, გეგონება, ლოგინშიც დისტანციაა ჩემსა და მას შორის, გეგონება, ლოგინშიც არსებობს პარტერის მეხუთე რიგი, საიდანაც თამაშს მიფასებს და

მერე, მერე, ჩემი სიშიშვლის რბილობებში ჩაჭედილი მისი ხელები და ჰა, ათავებს და ჰა, ჰა, მიდი და გინება ამოგმინვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბედნიერია და ამიტომ მაგინებს და ამ დროს მეც ბედნიერი ვარ, რადგან ისაა ბედნიერი და იმითიც ბედნიერი ვარ, რომ ვიცხოვრე მასთან და ერთად განვიცადეთ ვნების სიმძაფრე, რაც დედაჩემის გინებად ღირდა და სულაც არაა დედაჩემის გინება, ჩვენი სექსის მსუყე წერტილია, რის შემდეგაც კარგად იწევა სიგარეტი. რამდენ ხანს იწეოდა სიგარეტი ასე? წელიწადზე ცოტა მეტი და მერე მორჩა. სხვაგან იყო; ვიგრძენი. ამას მუდამ ვგრძნობ. მზერა უხდებათ ისეთი – გაუცხოებული. გადაღლილი. თავისთვის. საწოლიც ისეთი ხდება – შეჩვეული. არა. ჩვეულებრივი საწოლი, რაზეც მექანიკურად და გათვლილად მოძრაობთ და აღმოჩენა აღარ გაკავშირებთ. ხართ ასე – მშვიდად, თქვენთვის, გაცალკევებულად: «სიგარეტი მომაწოდე!» – «აჰა!» – აწვდი. შენც ეწევი და ესეც ჩვეულებრივია, ეს სიგარეტიც. ჩვეულებრივი სიგარეტი. ნაფაზი – ყავა, ნაფაზი – ყავა. სიგარეტი საფერფლეზე, მზერა წიგნაკს. წიგნაკი მაგიდაზე. ნაფაზი – ყავა, ნაფაზი, ფერფლი საფერფლეში. სიგარეტიდან ფერფლი, ჩემგან – რა? მეუბნება – «არ მინდა, გესმის შენ, არ მინდა, სამუდამოდ დამკარგავ!» ვეუბნები – «დაახვიე, ისედაც დაკარგული ხარ ჩემთვის, მე მინდა, მხოლოდ ჩემი იქნება!» მეუბნება – «სულელი ხარ!» – მიდის. წავიდა. გავაჩენ – ვფიქრობ, ჩემთვის გავაჩენ – ვფიქრობ, მოვა-მოვა, არ მოვა, არავინ მჭირდება – ვფიქრობ, თან იმედი მაქვს, რომ მოვა, მოვა, აბა, სად წავა, როცა პატარა კარაბას ბარაბასს გავაჩენ, მოვა, აუცილებლად დამიბრუნდება, – ვფიქრობ. მკერდი მიმაგრდება, მუცელი მეზრდება, ხსენი მადგება ძუძუსთავებზე, მე კი ვფიქრობ და ვფიქრობ, სულ ვფიქრობ იმაზე, რომ რაღაც დაიკარგა ჩვენ შორის და როცა პატარა გაჩნდება, ხელახლა

მოვახედებ, ახლიდან მოვიბრუნებ, ესაა ჩვენი შემოქმედება, ეს პატარა, – ვფიქრობ, – ამაზე მეტი შემოქმედება არ არსებობს, – ვფიქრობ და იმდენს ვფიქრობ, რომ არც კონსულტაცია მაინტერესებს, არც ექიმი, საერთოდ არავინ მაინტერესებს ჩემი ფიქრების გარდა და მერე – ბახ, ბაბახ! – ცრუ ორსულობა გამოდგა. ბახ! ბაბახ! – ჰო, ამას ჰგავდა. ჰუუჰ, ჰუუჰ, – ნაფაზი. რამდენ ჰუუჰ-ს იტევს გული, – ნაფაზი, ნამწვი საფერფლეში. ხელი წიგნაკს. წიგნაკი. მამშვიდებს, როცა ახლოს. სანამ ჩემი გახდებოდა, ფოიეში გამოკრული განაწილება იყო. მივაბიჯებ თეატრის დერეფანში და მივაბიჯებ და მივაბიჯებ, გული ყელთან ტოკავს, მაგრამ არაფერი უნდა შემემჩნეს და მივაბიჯებ, გულგრილი ვარ ვითომ, ჰო, გულგრილი და თავდაჯერებული ვითომ, იმიტომ, რომ მერე, მერე, როცა განაწილებას წავიკითხავ და იქ ჩემს გვარს აღმოვაჩენ, ამის კი მჯერა, მჯერა, ძალიან მჯერა, რომ მე ვიქნები ოფელიაზე და ეს იმიტომ, რომ მე ვარ ოფელია, ნამდვილად მე ვარ ოფელია და უნდა შევიშნოო, ოფელია რომ ვარ, აღელვება არ სჭირდება იმას, რაც თავისთავად ცხადია, რის დასტურსაც სულ მალე ვიხილავ ფოიეში, და მერე, როცა ამას წავიკითხავ შავით თეთრზე, თეატრის ბუფეტში ჩავალ, ფეხს ფეხზე გადავიდებ, ყავას მოვწრუპავ და ისე მოვწევ სიგარეტს, ვითომც აქ არაფერიო, რადგან მისაღები მივიღე და არაფერია საყიჟინო იმაში, რაც თავისთავად ცხადი იყო და მე ხომ ვიცი, ვიცი, ხომ განმიცდია, რა სხვანაირად იწევა სიგარეტი, როცა შენი შურთ და ამას არ ამჟღავნებენ, მაგრამ შენ ხედავ, ყველაფერს აფასებ შენი სიმშვიდის სიმაღლიდან და ამ იმედით ატაცებული მივაბიჯებ დერეფანში და გული ჩემი ჩემს ყელთან ტოკავს, მაგრამ არა, არა, არაფერი უნდა შემემჩნეს და მივაბიჯებ, მივაბიჯებ და აღარ მთავრდება ეს დაუსრულებელი დერეფანი, სადაც გულისრევამდე მჭახედ

ისმის ჩემი ქუსლიანი ფეხსაცმლის პაკი-პუკი და ჰე, დამთავრდა, იქ ვარ, სიასთან და სიაში შავით თეთრზე ჩემ ნაცვლად მილიცა. გული ყელიდან ტვინისკენ, გული ტვინში, თვალებზე მოწოლილი სიმწარე, მაგრამ – არა, არ შეიძლება, არ უნდა შევიმჩნიო, მსახიობებთან – არა, აქ – არა და ვდგავარ სიასთან, სადაც მე – არა და სანამ სიმწარემ გზა იპოვა თვალებიდან, სასწრაფოდ აქედან, სასწრაფოდ თეატრიდან, სასწრაფოდ, სასწრაფოდ აქედან სადმე და არავითარ შემთხვევაში ბუფეტში, სადაც ჩემ ნაცვლად მილიცა ეწევა სიგარეტს და მილიცა შეექცევა ყავას და მილიცასი შურთ და არა ჩემი და ისევ დერეფანი, ეს დაუმთავრებელი დერეფანი და ფიქრი – «ახლა არავინ შემხვდეს, ახლა არავინ შემხვდეს» და ჰუუჰ, ჰუუჰ, – დერეფანი, სადაც გაქცევა არ შეიძლება, გაიყიდები, ვინმემ თუ შეგნიშნა, და მივდივარ, მივდივარ და მეშინია, გულმა ტვინი არ გამიგლიჯოს, მაგრამ – არა, არ უნდა შემემჩნეს, – არა და ჰუუჰ, ჰუუჰ და მაინც – არა და მივდივარ დერეფანში. რამდენი თამაშია იქით და აქეთ, აქეთ მეტი, – ვიდრე სცენაზე. რაღაცნაირ გაზაფხულში გავაღწიე. ხელი რომ დაგიბუჟდება და ვეღარ გრძნობ ხელს და მკვდარია თითქოს შენი ხელი. ჰო, დაბუჟებულ, გაზაფხულში გავაღწიე და ჩემში არც სისხლი, აღარც ცრემლი, მხოლოდ სიმკვდარე, დასასრული და მეჩვენება, რომ ვეღარასოდეს გავალ სცენაზე, სადაც მაყურებლის სიჩუმე გზარავს, მაგრამ სწორედაც ეს შიში გიწევს ადრენალინს, ეს გამოძრავებს, გამეტყველებს, ამ შიშით გრძნობ სიცოცხლეს, შიშს გაჰყავხარ ჯილდომდე, გადანათებულ დარბაზამდე, სადაც ტაში და ბრავო, ტაში და ბრავო ერთად და შენ სცენაზე და ერთსახედ ქცეული მაყურებელი და ტაში და ბრავო, რაც ისე შორს იყო, ისე განზე ჩემგან იმ დაბუჟებულ, მკვდარ გაზაფხულში და მეც უსისხლო და მკვდარი მივაბიჯებ ქუჩაში და იქით სკამი, სკამზე მოხუცი

კაცი კრიალოსანით და მანქანა, რომელმაც ჩამიარა და ისინიც მკვდრები არიან – ის კაციც და მანქანაც, რომელიც დამშორდა, მოძრაობს, მაგრამ მეც ხომ ვმოძრაობ ჩემს სიმკვდარეში და რა გასაკვირია, ისიც მოძრაობდეს და ვმოძრაობ მკვდარი და ცოტათი მაინც რომ გავცოცხლდე, კონტაქტი მჭირდება – სიტყვები, ქმედება, რამის ყიდვა თუნდაც და წიგნის მაღაზია ხელმარცხნივ და ჩემი მკვდარი ფეხები თავისით მაღაზიისკენ და იქ, იქ, იქ, პირველად წვეული ფიქრი, რომ გამყიდველთან კონტაქტი კი არა, მოპარული ნივთი დამიბრუნებს შიშს და სიცოცხლეს და როგორც კი ეს ფიქრი – იმწამსვე აწეული ადრენალინი ჩემში, ეკლებივით წაწვეტებული, სხარტი ფიქრები ჩემში – როგორ? რანაირად? როგორ? რა? – ნადავლი თვითონ მოიწვევს შენკენ. მოიწევს – არა, თვალში გეჩრება, გეძახის იქიდან – შენი ვარ, შენი! მოდი, წამიღე! შავტყავიანმა ჩემმა საუნჯემ დამიძახა, მახსოვს: – შენი ვარ, შენი! მოდი, წამიღე! თვალით ვაფასებ, უკვე მიყვარს, უბეს ვისინჯავ კაბაზე, მოთავსდება – ვფიქრობ. მზერა გადამაქვს სხვა წიგნებზე, ერთ-ერთ წიგნს ვფურცლავ, გამყიდველმა გოგონამ უნდა შემნიშნოს, რომ დაინტერესებული მკითხველი ვარ, წიგნის ჭია, ვისაც აქ ყოფნის უფლება აქვს, რადგან არჩევს წიგნს, უკირკიტებს, ეძებს რაღაცას. ასე ვარჩევდი, სანამ მყიდველი არ გამოჩნდა მაღაზიაში. ვიღაც კაცი, მაღალი კაცი. ველოდები, სანამ მყიდველი გამყიდველთან არ მივა. ჩემი საუნჯისკენ ვინაცვლებ თანდათან, აუჩქარებლად. ცალი თვალი იქით მაქვს, გამყიდველი გოგოსკენ. ჯერ არა, – ვფიქრობ, – ჯერ არა, – ვფიქრობ, ახლა, ჰო, ახლა! – და ხელი წიგნაკს და უბეში სწრაფად, გათვლილად, ზუსტი მოძრაობით, მაგრამ არა, გასვლა ადრეა, რაღაც უნდა ვიყიდო. იაფფასიან ბროშურას ვაცქერდები, ვითომ დამაინტერესა, ვითომ ამას ვეძებდი ამდენი ხანი, ვეძებდი

და ჰა, ვიპოვე. ვუახლოვდები გამყიდველს, გული მიცემს, მიცემს, ვუახლოვდები, ვუღიმი, ბროშურას ვყიდულობ და მაღაზიიდან ქუჩაში, სადაც ხეები ყვავილობენ, იქით კი, სკამზე, ვიღაც მოხუცი კაცი ზის, კრიალოსანს ათამაშებს ხელში და ის კაცი აშკარად ცოცხალია, რადგან მე გავცოცხლდი, ჩემი ხელი გრძნობს ასე ცოცხლად უბეში მოყუჩებული წიგნაკის ტყავს, და მივაბიჯებ, მივაბიჯებ გაცოცხლებული, შინ მივდივარ, რათა ჩემს პირველ ნადავლთან განვმარტოვდე. არსებობა ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ არსებობის გარეშე სიცოცხლეს ვერ იგრძნობ. მუდმივი ორგაზმი არ არსებობს, არც უნდა არსებობდეს. მუდმივი ორგაზმი იგივე მექანიკაა და თავის შინაარსს კარგავს. წიგნაკი ახლოს, წიგნაკი ცხვირთან, ჩვილის სუნი აქვს. წკაპ. ეკრანი. მეგობრობის შემოთავაზება. წიგნაკი მაგიდაზე. მზერა ეკრანს. ვინ? ნიკო თავისი შავი ძაღლით ეკრანზე. ნაღდად ნიშანი იყო. ჰო, ნიშანი, ჰო, ნიშანი, ჰო, ჰო, ჰო, ნიშანი, ნიკო თავისი შავი ძაღლით ჩემი კომპიუტერის ეკრანზე, ჰო, დილიდანვე ნიშანი იყო, ჰო, ჩაქუჩი, ნიკოს ჩაქუჩი, ჰო, ვიმეგობროთ, ვიმეგობროთ, ჰო, ვიმეგობროთ, თითი ღილაკს.

ამონარიდები

ირაკლი სამსონაძის პირველი მწერლური ცდა პიესა იყო, რომელიც, საბედნიეროდ, წარმატებით დაგვირგვინდა – დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე და თავიდანვე გამოიკვეთა კიდეც ავტორის ტენდენცია – ებრძოლა (ჩვენში ხომ ყველაფერი ბრძოლაა – მწერლობაც კი!) შოუბიზნესის მიერ თეატრიდან გამოძევებული თეატრის დასაბრუნებლად. [...]

და მაინც, მიუხედავად მისი დრამატურგიის აშკარა წარმატებისა, ირაკლი სამსონაძის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე მკითხველის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა (თანაც სამართლიანად), ზედიზედ გამოქვეყნებული პროზაული ქმნილებები, უპირველეს ყოვლისა, მისი ბოლო ორი შედევრი – «ყურთბალიში» და «ლეას საათი», რომლებიც მეტად საინტერესოდ ეხმიანება თანამედროვე ევროპულ პროზას. ორივე ეგრეთწოდებული პოეტური პროზის შესანიშნავი ნიმუშია და თანაც, ერთგვარად ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს. ამგვარი პროზით იწყება თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა – ლექსივით შეკრული, მძაფრსიუჟეტიანი პოეტური რომანით...

თამაზ ჭილაძე

ძალიან საინტერესოა ირაკლი სამსონაძის ენა. ეს არის ენა, რომელიც ნამდვილ მწერალს და ზოგადად ქართულ ენას ეკადრება. არასიტყვამწირი და არაშემოკლებული, არა გაჟურნალისტებული ქართული. ეს ნამდვილი, მოქნილი, უაღრესად სიტყვაუხვი და მრავალი რამის გამომხატველი ენაა. აქ სტილიზაციებსაც შეხვდებით,

ალაგ-ალაგ უფრო დიდი დოზით, ალაგ-ალაგ ნაკლებად, მაგრამ ერთიანი ქსოვილი ყოველთვის ნარჩუნდება, როგორც ეს ოსტატს შეეფერება. ბიბლიური ენის და ქართული ხალხური ზღაპრების სინტაქსის სინთეზსაც აკეთებს. «ლეას საათი» ორ საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს და როდესაც ძველ ეპოქებს ეხება, იქ მეტად ჩანს ეს სტილიზაციები.

შადიმან შამანაძე

კონტრასტები და კონტრადიქციები ირაკლი სამსონაძის პროზის თვალშისაცემი ნიშნებია, რომლებიც გრადაციის პრინციპით ვითარდება, დაახლოებით, ასე: კომედია – აბსურდი – ტრაგედია. სხვათა შორის, თავისი პიესების კრებულიც ასე დაასათაურა: «კომედიიდან ტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით». «ქელეხი ქარშიც» ამ პრინციპით არის შესრულებული.

ივანე ამირხანაშვილი

«ყურთბალიში», ჩემი აზრით, ბოლო ხანებში ქართულ ენაზე დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და თანამედროვე ტექსტია, თუმცა, პირველ რიგში, იგი თავად ავტორისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი იმდენად, რომ მისი დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგაც ირაკლი სამსონაძე ვერ ახერხებდა «ყურთბალიშის» გავლენისგან გათავისუფლებას. ამას იგი თავადაც აღნიშნავდა ხოლმე პირად საუბრებში... და აი, თითქმის 10 წლის შემდეგ ირაკლიმ მოახერხა დაშორებოდა თავის Opus Magnum-ს, მთავარ ნაშრომს, და დაწერა ახალი, სქელტანიანი რომანი, სახელწოდებით «ლეას საათი».

ეს არის რომანი-საგა, ვრცელი პანორამული ნაწარმოები, სადაც უნგრეთიდან წამოსული ბაგარების გვარის

თავგადასავალია მოთხრობილი, გვარისა, რომლის პირველი წარმომადგენელიც XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა და დამკვიდრდა საქართველოში. ბაგარების ცხოვრება საქართველოში მიმდინარე რეალური მოვლენების ფონზე ვითარდება და ორი საუკუნის მანძილზე იმდენ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, სიტუაციაში გამოატარებს ავტორი ამ გვარს, რომ ხვდები, წიგნში იმდენად ეს რეალური მოვლენები არაა მთავარი, რამდენადაც ის, რაც ლამის მემკვიდრეობით გადადის ბაგარიდან ბაგარზე და რასაც რომანი ისტორიულიდან ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ პლანში გადაჰყავს. [...]

ისტორიული მოვლენები აქ ადამიანების გამოსაცდელად გაიელვებენ. ამ რომანის თემა არაა ქვეყნის ბედი, ერები, სახელმწიფოები, ქალაქები, ძველი და ახალი, მაღალი და დაბალი, აქ მხოლოდ ადამიანები არიან, ერთ ჯაჭვად გადაბმული ერთი გვარის შვილები, ამბავთა ხლართები, მითოლოგიური კომპლექსები, სადაც მხოლოდ გამეორების დემონები მოქმედებენ ან მართავენ სხვათა მოქმედებას.

რომანში ისტორიული გმირებიც გვხვდებიან – ახმედ ფაშათი და მამია გურიელით დაწყებული, ხრუშჩოვითა და ორჯონიკიძეთი დამთავრებული, თუმცა გადამწყვეტი ქმედებები მაინც ბაგარებზეა. წარსულის მოვლენები იქნება თუ ცხელ-ცხელი თბილისური ამბები, ბაგარები ყველგან ჩანან. აი, მაგალითად, ბიჭოლა ბაგარი სულმთლად ახალ ამბავში მონაწილეობს. იგი თბილისის დასუფთავების სამსახურის ზემდეგად მუშაობს და დარბეული მიტინგის ადგილის «დალაგებისას» ბუჩქებში გადამალულ გვამს აღმოაჩენს. ბიჭოლა სწორედ აქ გააცნობიერებს, რას ნიშნავს სიტყვა «ზემდეგი»

დასუფთავების სამსახურში. იგი მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას და თავის ორ ქვეშევრდომთან ერთად გვამი ოქროყანისკენ ააქვთ დასამარხად. ეს ბაგარების ერთ-ერთი ბოლო «გმირობაა». ასეთი ფარული «დაკრძალვის» ცერემონიალებში მისი წინაპრებიც იღებდნენ მონაწილეობას, სხვა ბაგარებსაც არაერთი გვამი გადაუმალავთ, თავისი თუ სხვისი მოკლულის.

რომანში ძალიან ბევრი პერსონაჟია. ამდენი გმირი კაი ხანია თანამედროვე ქართულ რომანში არ შემხვედრია და მწერლის ყველაზე დიდი ოსტატობა, ჩემი აზრით, სწორედ ამ პერსონაჟების სახეთა გამოკვეთაში ვლინდება. გარდა მთავარი ხაზის პერსონაჟებისა, აუარება წვრილფეხობაა რომანში, რომელთათვისაც ავტორი არც სიტყვას იშურებს და არც შთაგონებას. ამ თვალსაზრისით, ირაკლი საკმაოდ ხელგაშლილი, ბარაქიანი მწერალია. [...]

რომანში თხრობის ძალზე მრავალფეროვანი ხერხებია გამოყენებული. ავტორი ოსტატურად იყენებს ანაქრონიებს – პროლეფსისებს, ანალეფსისებს. თუმცა ყველაზე ძლიერი ირაკლი სამსონაძე მაინც რეტროსპექტივებშია, პანორამულ, მრავალშრიან თხრობაში, სადაც იგი დროსთანაც თამაშობს და მკითხველთანაც. მე ირაკლის ამ რომანმა ოთარ ჭილაძის პროზა გამახსენა და ერთი პირობა მისი ბაგარები ჭილაძის «გოდორის» კაშელებთანაც კი მივიყვანე.

რომანში რამდენიმე ძლიერი სცენა თუ მონაკვეთია, რომელიც, იმედია, გააკვირვებს ქართული ლიტერატურის მოყვარულებს და მცოდნეებს. რა თქმა უნდა, ცენტრალურია ბორდელის სცენა, რამდენიმესაათიანი მოქმედება, რომლის აღწერასაც 30 გვერდი მოანდომა ავტორმა. თხრობის ასეთი შენელება ნაწარმოების

ბოლოშიც გვხვდება, მაგრამ ეს ეპიზოდი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ქუთაისის ბორდელში შემდგარი უცნაური სექსუალური აქტი, რომელშიც ერთი ბაგარი და 12 მეძავი იღებს მონაწილეობას, შემდეგ მთელი რომანის სიუჟეტს განსაზღვრავს, ხოლო ამ სცენის ერთი შეხედვით უმნიშვნელო როლის შემსრულებელი, ვინმე მარგო, რომანის მეორე ნაწილში ამბის მთავარ წარმმართველად და ყველა ძაფის თავმომყრელად მოგვევლინება.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება რომანიდან. მესმის, რომ ასეთ ჩამოთვლას აზრი არა აქვს და ეს სახელები და მინიშნებები არაფრის მთქმელი იქნება, სანამ თავად არ წაიკითხავთ რომანს და თავად არ შეეცდებით გაერკვიოთ ამ მრავალსახოვან, არეულ, ფორიაქითა და გიჟური ვნებებით აღსავსე სამყაროში. იქ თქვენ ერთი-ორგან ავტორსაც გადაეყრებით, ხან ყოვლისმცოდნე, ხანაც დაბნეულ მთხრობელს, რომელიც თავად ცდილობს რაღაცებში გარკვევას.

მალხაზ ხარბედია
რადიო თავისუფლება, 19 თებერვალი, 2012 წელი

«ერთი ქართული ამბავი» – მიწერილი აქვს მოთხრობას «ქელეხი ქარში» ქვესათაურად. მეტ კონკრეტიზაციას თუ მოვინდომებთ, შეგვიძლია «ერთი ქუთაისური ამბავიც» ვუწოდოთ, ან «ერთი პერესტროიკისდროინდელი ამბავი», ან «ერთი ფროიდისტული ამბავი». ერთი სიტყვით, ბევრი შრეა აქ და თითოეული მათგანი, დამოუკიდებლად აღებული, საკმაოდ სახიფათოა მხატვრულ სწორხაზოვნებაში მწერლის მოსახვედრად.

ხიფათის ეს შეგრძნება მკითხველს მოთხრობის დასაწყისშივე უჩნდება: ქუთაისის ერთ რესტორანში «ცეხავიკი» დიმიტრი კა... ძე, მეტსახელად ტრულაილა,

თავის სამეგობროს კრებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი «საოხრისთვის» ქელეხის გადახდის მიზნით. მაშინ, როდესაც მდარე იუმორით შეკმაზული და ვულგარული ქართული მაჩოიზმით გაჟღენთილი ბევრი ისტორია წაგიკითხავს, გინახავს თუ მოგისმენია, რომელთა მთავარი მიზანიც მამაკაცური ღირსების აფიშირებაა, ბუნებრივია, ეჭვმა შეგიპყროს, რომ ეშმაკური საწინააღმდეგო ხერხი, მამაკაცური იმპოტენციის აფიშირება, საბოლოო ჯამში, მაინც იმავე მიზანს ემსახურება და მწერალი იმავე პრიმიტიულ «ფროიდისტულ» ველში დარჩება, რომელიც ანეგდოტურობას ვერ სცდება. ანეგდოტურობაში ჩარჩენის ხიფათს აძლიერებს ის ქუთაისური გარემოც, რომელიც ავტორმა აირჩია. მაგრამ ქუთაისი ხომ ერთი მხრივ ჭიჭიკია-ბიჭიკიას ანეგდოტებიცაა და, მეორე მხრივ, რეზო ჭეიშვილის თუ რეზო გაბრიაძის განუმეორებელი იუმორით, დაუვიწყარი ტიპაჟებით სავსე სამყარო. საითკენ წავა, სად მოხვდება ავტორი? აქ კიდევ ერთი კითხვა ჩნდება: ირაკლი სამსონაძე ხომ ქუთაისელი მწერალი არაა, ის თბილისელი მწერალია. ქუთაისური გარემო და იუმორი მისთვის არ უნდა იყოს ორგანული და, აქედან გამომდინარე, სარისკოა და განსაკუთრებულ დიდოსტატობას ითხოვს «სხვის მოედანზე» თამაში, მაგრამ მან მაინც გარისკა და ეს გარემო აირჩია, აირჩია, ალბათ, იმიტომ, რომ იგრძნო, ამ შემთხვევაში მის თემას, მის სათქმელს ეს ტოპოსი, უფრო სწორად, ქრონოტოპოსი სჭირდებოდა – საბჭოთა პერიოდის დასასრულის ქუთაისი. თორემ რა პრობლემა იყო, დაესხა თავისი პერსონაჟები იმავე პერიოდის თბილისში, «არაგვის» რესტორანში, და იქ გაეთამაშებინა ქელეხის ეს სცენა. [...]

რაც შეეხება ფაბულას: ირაკლი სამსონაძე გროტესკულ საქელეხო სუფრის განწყობას კარდინალურად ცვლის

ერთი პერსონაჟის შემოყვანით. ესაა ლამარიე, რომელიც სულ პატარა, უპატრონო, სულელი გოგო იყო, როდესაც სუფრის ყველა წევრი, გარდა ერთისა, მხატვრისა, რიგრიგობით «დაავაჟკაცა». ანუ «ჭირისუფალი» ტრულაილა გადაწყვეტს ქელეხის თამადად დასვას ის, ვინც პირველი იყო მისი «მიცვალებული» სასქესო ორგანოსთვის. სალაზღანდაროდ გამოძახებული ლამარიე ყველაფერს ცვლის და ცვლის იმიტომ, რომ თავადაა შეცვლილი. ჩერჩეტი, უმწეო გოგონა საძმაკაცოს სრულიად ტრანსფორმირებული სახით წარმოუდგება: მასში დიდი ძალაა საიდანღაც გაჩენილი, რომლის მეშვეობითაც ყოფილ გამბახებლებს საკუთარი დიქტატის ქვეშ აქცევს, ქარის სუსხი შემოაქვს სუფრაზე, ღაღადებს, წინასწარმეტყველებს, ტაკიმასხრობას რიტუალით ცვლის, დატირებას აწყობს. მკვდარ ფალოსს სუფრაზე მჯდომი პარტიული ფუნქციონერის ოქროს კალმით ანაცვლებს, სუდარად საკუთარ მარაოს იყენებს... პარტიული ფუნქციონრების კალმები მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ხომ ყველაზე საშიში იარაღი იყო, ისინი წყვეტდნენ ადამიანების ბედს, ისინი აწერდნენ დახვრეტის თუ გადასახლების ბრძანებებს ხელს. «პერესტროიკის» ჟამს კი მოდის ლამარიე და აცხადებს, რომ ამ კალამს მელანი გამოუშრა, რომ ის ახლა სიმბოლურად ლენინის გვამია, რომ ის უკვე იმპოტენტია. ესაა მთავარი გზავნილი, რომელიც ლამარიეს მომაკვდავ საბჭოურ სინამდვილეში ჩაძირულ მექელეხეებთან მიაქვს. [...]

საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, ირაკლი სამსონაძის ეს მოთხრობა საკმაოდ პროვოკაციულია. ის გააზრებულად, მარტივ ფროიდისტულ სქემაზე აწყობს ტექსტს და, გარკვეულწილად, დასცინის კიდეც სწორხაზოვან ასეთ

ტექსტებს. ხოლო ქართული სუფრის მარაზმულ ფალოცენტრულობას, რაც ყველაზე მძაფრად შეიძლება აქამდე თბილისურ რესტორანში ოფიციანტის ნეკა თითის შეწვის სცენით იყო აქამდე წარმოდგენილი გურამ ფანჯიკიძის «თვალი პატიოსანში», ქუთაისურ რესტორანში ასრულებს ფალოსის ქელეხით. აქ ოფიციანტს თითის მოჭრას უკვე არ სთხოვენ, სთხოვენ მხოლოდ და მხოლოდ «სიმპატიური ჯოხის» მოტანას, ხოლო როცა «სიმპატიურ ჯოხად» მას სალამური მოაქვს, ამ სალამურზე აკვრევინებენ. საბჭოთა სისასტიკე სუფრაზეც კი კარიკატურულ სახეს იღებს. ერთი «ცეხავიკის» სასქესო ორგანოს ქელეხი სალამურის ჭიკჭიკში და მეძავი ლამარიეს რეჩიტატივების ქვეშ იმპერიის ქელეხად გარდაიქმნება.

შოთა იათაშვილი

რადიო თავისუფლება, 30 სექტემბერი, 2016 წ.

დითი რონენი

ბიოგრაფია

პოპულარული ებრაელი პოეტი, ესეისტი და ლიტერატურული რედაქტორი – დითი რონენი ისრაელში, თელ-ავივში დაიბადა.

დოქტორი დითი რონენი იურუსალიმის უნივერსიტეტში ხელოვნებასა და თეატრისა და კულტურის პოლიტიკას ასწავლის. წლების განმავლობაში მუშაობდა ისრაელის

კულტურის სამინისტროს კულტურის პოლიტიკის, თეატრისა და ლიტერატურის დეპარტამენტის უფროსად.

დითი რონენს გამოცემული აქვს ექვსი პოეტური კრებული, მისი ლექსები ითარგმნება სხვადასხვა ენებზე და შესულია სხვადასხვა პოეტურ ანთოლოგიებში. დითი რონენი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალებში, მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო პრიზი, პრემია, ჯილდო და სტიპენდია, მათ შორის Terra Poetica Award, Best Poetic Cycle Award, ნაციონალური პრემიები და ა.შ. 2016 წელს გამოცემულმა ბოლო კრებულმა Kugel Literary Award დაიმსახურა, ხოლო ამ წიგნის ფრანგული თარგმანი საფრანგეთში გამომცემლობა «Levant»-მა გამოსცა.

დითი რონენი საქართველოს კულტურის სამინისტროს პროექტის, «ცოცხალი წიგნების» ეგიდით დაგეგმილი პოეტური ვორქშოფის ფარგლებში ეწვევა, რომელიც 2017 წლის მაისის ბოლოს ქართველი და ებრაელი პოეტების მონაწილეობით ჩატარდება.

ის ასევე მონაწილეობას მიიღებს თბილისის მესამე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში (29 მაისი-2 ივნისი).

მე ლექსის ადვოკატი ვარ

(ესაუბრა დალილა გოგია)

რატომ პოეზია? რატომ წერთ პოეზიას? რას დაასახელებდით წერის მიზეზად?

ჩემთვის პოეზია არის დიდი მუხტით, მაგრამ შეკუმშული სახით გადმოცემული გრძნობა, სურათი, აზრი, რომელიც ისე მკვეთრად გადმოსცემს რეალობას, რომ ხილვამდე აჰყავს. სემუელ ტეილორმა (1772-1834) თქვა, რომ პოეზია არის «სწორად დალაგებული სიტყვები». როგორ, რომელ ბილიკზე უნდა დალაგდეს სიტყვები, რომ სახეები და გრძნობები დაიხატოს? ამას მე მისტიურ, დაფარულ გზას თუ წესრიგს ვუწოდებ. ძეეამი (1363-1443) იყენებს მეტაფორას «ყვავილის მშვენიერების მისტიკა», და მგონია, რომ ამ მშვენიერების შეცნობის მისტიკურ გზაზე სიარულია ლექსის წერის მიზეზი.

ასევე ვიტყოდი, რომ პოეზიის წერა ცხოვრების აზრის დოკუმენტური გადმოცემა, ცხოვრებასთან ინტეგრირება და ცხოვრების მიმართ რეაქცია, და ამასთან ერთად, ამ სამყაროში საკუთარი თავის არეკვლაა.

მიგაჩნიათ, რომ პოეზიას აქვს კონკრეტული როლი ან მოვალეობა?

პოეზიას საზოგადოებაში გარკვეული როლი აკისრია: ის ასრულებს დამცველისა და შემნახავის როლს, რადგან ასახავს იმ კულტურის რეალურ სახეს, რომლის წიაღშიც იქმნება. პოეზია, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა ნებისმიერი სფერო, ირეკლავს დროს, იმ დროის აზრებს და რწმენას. მას თავის თავზე ე.წ. «წინასწარმეტყველის» მისია აქვს აღებული, რომელიც გვეუბნება, თუ რა

საკითხებს ან მოვლენებს უკეთებს საზოგადოება იგნორირებას, რას იცავს, რას ინახავს ან მფარველობს.

რომელმა პოეტებმა მოახდინეს თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?

ვიტყოდი, რომ ეს პოეტები არიან რუმი (1207–1273) და ბაშო (1644–1694). რუმიმ ადამიანისა და ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობის სიყვარულის პოეტური გრამატიკა მასწავლა. ბაშომ კი მასწავლა ბუნებისა და ბუნებისა და სამყაროს ურთიერთობის სიყვარულის პოეტური ენა და პოეტური გრამატიკა. ამ ყველაფერმა ჩემი პოეზიის ანბანი შეადგინა.

წერის დროს თუ ფიქრობთ მკითხველზე? წერის დროს კონკრეტული მკითხველი ხომ არ გყავთ მხედველობაში?

არა, არასოდეს. ამ დროს მარტო ვრჩები წერის სურვილთან ერთად და ჩემს საკუთარ შინაგან სამყაროში ერთი ადგილიდან მეორეზე ვმოგზაურობ. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი ლექსების უმეტესობა მკითხველამდე არ მიდის, წერის დროს არ ვფიქრობ არც გამოქვეყნებაზე, არც მკითხველზე და არც კრიტიკაზე.

როგორ წერთ ლექსებს?

თავდაპირველად, სიტყვები, რომლებიც რეალობას აღწერენ, თხევადი სახით ჩნდებიან. ისინი ჩემ ირგვლივ დაცურავენ. შემდეგ გარკვეული იერარქიული წესრიგის მიხედვით ლაგდებიან. მათი მიზანი ჩემი გრძნობების და აზრების ზუსტად გადმოცემაა. ზოგიერთი სიტყვა მოძრაობას წყვეტს, ქრება, მათ ნაცვლად სხვა სიტყვები ჩნდება, ეს მანამდე გრძელდება, ვიდრე ახალი სიტყვები საკუთარ ადგილს უკვე შერჩეული სიტყვების გვერდით არ მიაგნებენ. ყველანი გულმოდგინედ ცდილობენ, საკუთარი

დანიშნულება, რაც შეიძლება, კარგად ახსნან. სწორედ ამიტომ, სიტყვები ბასრდებიან და მკაცრ წესრიგს იცავენ, რომ აზრები, რაც შეიძლება, მკვეთრად და მკაფიოდ გამოხატონ.

რაც შეეხება გარემოს და პირობებს: მე ვარ ქალი, რომელიც მუშაობს და ხუთ შვილს ზრდის, არის მასწავლებელი და პოეზიის რედაქტორი, ვუძღვები ოჯახს, და ასევე, არც ისე ცოტა ხნის წინ, ამავდროულად ვიყავი შვილიც და ვზრუნავდი მშობლებზეც. ლექსების საწერად მუდამ მაშინ ვჯდები, როდესაც ჩემს ყველა მოვალეობას შევასრულებ. ამის გამო, მხოლოდ ღამით ვწერ, როცა ყველას სძინავს. დროდადრო მივდივარ მონასტერში, განვერიდები სამყაროს და ვიწყებ დიალოგს ჩემს შინაგან სამყაროსთან. ჩემი აზრით, პოეზია პრივილეგიაა. ის ჩემი პრივილეგიაა, რითიც საშუალება მაქვს, გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ და ამით გადავრჩე.

გაქვთ მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი, საკუთარი სტილი? სპეციფიკური, მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი ენა?

ენა ყველა ლექსში სხვადასხვაა. და მგონი, კი, მაქვს მხოლოდ ჩემი ენა, თუმცა, არა ჩემი სტილი. ენა და მისი დინამიკა ყველა ლექსში სხვადასხვაა, რადგან დამოკიდებულია თავად ლექსზე, მის ტემპზე, რიტმსა თუ ენერგიაზე. ლექსის ენა და სტილი უნდა ემორჩილებოდეს და მიჰყვებოდეს ლექსის მოთხოვნებს. თუმცა, მაქვს პერიოდები, როცა ერთი სტილით ვწერ, და ვერასოდეს ვსაზღვრავ მომდევნო ლექსის სტილს. ვფიქრობ, ჩემი ყველა ლექსი განსხვავებული და მოულოდნელი სტილისაა და წერის დროს თავად მაოცებს ახალი სტილი, რომელიც

მხოლოდ ლექსის წერის დროს ჩნდება, და წინასწარ მის შესახებ წარმოდგენაც არ მაქვს ხოლმე.

როგორც ვიცი, თქვენ პოეტებთან ერთად მათ ტექსტებზე მუშაობთ, როგორც რედაქტორი, რას გვეტყვით სამუშაო პროცესის შესახებ?

როდესაც პოეტთან ერთად ვმუშაობ, ყოველთვის ვეუბნები, რომ მე ლექსების ინტერესებს ვიცავ. და მართლაც, ჩემი მოვალეობა ლექსების დაცვაა. შეიძლება ითქვას, რომ მე ლექსის ადვოკატი ვარ. უფრო მარტივად რომ აგიხსნათ, მე არად ვაგდებ პოეტის პირად ინტერესს. ანუ, მიზეზს, თუ რატომ დაიწერა ესა თუ ის ლექსი, ამას ლექსისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უფრო მეტიც, ამას ლექსთან არანაირი კავშირი არა აქვს. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას ნიშნავს ეს ლექსი ავტორისთვის. ისტორია ისტორიკოსების საქმეა, გეოგრაფია გეოგრაფების, ჭეშმარიტება ფილოსოფოსების, ბიოგრაფია ბიოგრაფების, და ასე შემდეგ. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, თავად ლექსია.

პოეტთან მუდამ პირისპირ ვმუშაობ, და არა მიმოწერით. შეხვედრებზე პოეტს ვეხმარები, აღმოაჩინოს ის, რასაც ჰქვია ლექსის «ოქრო», თუ «გული» და ვეხმარები პოეტს, განავრცოს ის, გამოიყენოს ყველა რესურსი, რომ ლექსის «ოქროს» ნაწილის მშვენიერება და ძალა გაიზარდოს, გაძლიერდეს, ვიდრე ხილვად არ გადაიქცევა.

ეს არის რთული, და ხანგრძლივი ერთობლივი სამუშაო პროცესი, რომელიც მუდამ წარმატებით მთავრდება და პოეტსაც და ლექსსაც ძალას ჰმატებს. მე ეს პროცესი ძალიან მიყვარს და იმედი მაქვს, მთელი ცხოვრება ვიქნები მასში ჩართული.

რა არის თქვენი პოეზიის ძირითადი თემები?

ჩემს შემთხვევაში, ყველა თემა ჩემი ავტობიოგრაფიიდანაა და ისეთ ფაქტებზეა აგებული, როგორიცაა ჩემი წარმომავლობა, როგორია, როცა იმ ერის წარმომადგენელი ხარ, რომელსაც მთელი კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში სდევნიან და ამცირებენ; ასევე იმ ფაქტზე, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თელ-ავივში, ისრაელის ახალ სახელმწიფოში დავიბადე და დედაჩემი ჰოლოკოსტს გადარჩენილი ადამიანი იყო; როცა სამი წლის ვიყავი, ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, ამ ფაქტსაც დიდი ადგილი უკავია ჩემს პოეზიაში, იმ ფაქტსაც, რომ დედა ჩემი თანდასწრებით თავის მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობდა და ა.შ.

სხვა თემებიც ჩემს ბიოგრაფიას უკავშირდება. ჩემი წიგნი «შიდა მთვარე, რვეული». 2002 წელს გამოვიდა და წარმოადგენს ქალის გასაუბრებას მთვარესთან. ჩემი შემდეგი წიგნი, რომელსაც ახლა ვამზადებ, არის პოეტური მოგზაურობა ჩემს რამდენიმე ალტერნატიულ არსებობაში, ანუ «მე»-ში, ჩემს წინა და პარალელურ ცხოვრებაში; და თავადაც ვერასოდეს გამოვიცნობ, რა იქნება ჩემი შემდეგი წიგნების მთავარი თემები.

ადამიანი წერის მისტიკურ, ფარულ გზას უნდა გაჰყვეს, და როდესაც მთლიანად შთაინთქმება ამ პროცესში, მხოლოდ ამ დროს თუა შესაძლებელი, დაინახოს, თუ რის შესახებ წერს.

მე გავეცანი თქვენს პოეზიას, ვთარგმნე ლექსები და ვიტყოდი, რომ თქვენს ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს ჰოლოკოსტს. ამას ალბათ თავისი მიზეზი აქვს.

მე პირდაპირი კავშირი მაქვს ჰოლოკოსტთან. ოცი წლის დედაჩემი მთელ თავის ოჯახთან ერთად გერმანელებმა ტრანსილვანიიდან (უნგრეთი) მატარებლით ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს. ბანაკის შესასვლელთან ახალგაზრდა ოფიცერი ახალმოსულებს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ანაწილებდა, ეს იყო ავადსახსენებელი «გადარჩევა». მან დედას მშობლები ოჯახის მცირეწლოვან წევრებთან ერთად მარცხნივ დააყენა, რაც პირდაპირ გაზის კამერასა და შემდეგ კრემატორიუმს ნიშნავდა, ხოლო დედა მარჯვნივ მდგომ ხალხს შეუერთდა, რაც, თუნდაც მცირე ხნით, სიცოცხლის შენარჩუნებას ნიშნავდა და ამავდროულად, არაადამიანურ პირობებსა და შრომას (შრომისთვის გამოსადეგი მამაკაცები იმ მატარებლით არ გაუმგზავრებიათ, ისინი მანამდე გადაიყვანეს მონათა შრომით ბანაკებში).

ჰოლოკოსტი ის ტრავმაა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასავლურ ცივილიზაციაზე ყველაზე ღრმა და საზარელი იარა დატოვა, თუმცა, ეს არამხოლოდ მეოცე საუკუნეს ეხება, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იარა დღემდე მოუშუშებელია. ის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ეგზისტენციალიზმის თვალსაზრისით, – თავად ადამიანის არსება დადგა ეჭვქვეშ, – ისე ეთნიკური კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე უამრავი კვლევა ტარდება ჰოლოკოსტის ტრავმის შესახებ, და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ის ფართოდ აისახა ისტორიულ, ჰუმანისტურ, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, მე მაინც მიმაჩნია, რომ საკითხი ბოლომდე ამოწურული არ არის. აუცილებლად მიმაჩნია ამ ფაქტის ისტორიული გააზრება, რომ მთელმა კაცობრიობამ ის ბოლომდე აღიქვას და გაითავისოს, რაც, ალბათ, შეუძლებელია.

ჩემში, როგორც ებრაელში, ჰოლოკოსტის ფენომენი ორ შეკითხვას წარმოშობს: პირველი ეხება ჩვენს ბედისწერას და მდგომარეობას, როცა ხალხი საკუთარი ქვეყნიდან გამოყარეს და ათასწლეულების განმავლობაში, იძულებული იყვნენ, ადგილიდან ადგილზე გადასულიყვნენ და დროებითი თავშესაფარი არცთუ კეთილმოსურნე ხალხთან ეძებნათ. მეორე შეკითხვა კი ეხება ასევე ჩვენს ბედისწერასა და მდგომარეობას, როცა სამშობლოში დავბრუნდით და აქ დაუსრულებელ ომში აღმოვჩნდით. და ისევ, ამ შემთხვევაშიც, საკითხი თავისი ბუნებით, ეგზისტენციურიცაა და ეთიკურიც.

რაც შეეხება პიროვნულ აღქმას, მე, როგორც ჰოლოკოსტს გადარჩენილი ადამიანის შვილს, მთელი ცხოვრება დიდი დაღი მადევს. მტკიცე კავშირი დედაჩემისა და ჩემს ბედისწერას შორის მაშინ გაჩნდა, როცა დედამ ოსვენციმში დაღუპული ბებიის სახელის დარქმევა გადაწყვიტა ჩემთვის. აშკარაა, რომ მე ჯერ კიდევ დაბადებამდე, ორმაგი როლი მერგო – მისთვის დედაც უნდა ვყოფილიყავი და შვილიც. ეს ორი როლი ორი ძირითადი საკითხის ირგვლივ ბრუნავს, და ეს აშკარად ჩანს ჩემს პოეზიაში.

ამ ორმაგ როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის, აწმყოსა და მომავლის აღქმაში: წარსული, «მაშინ», რომელშიც შედის «იქ», ევროპა – სადაც დედას ოჯახი მეორე მსოფლიო ომამდე ცხოვრობდა; აწმყო – «ახლა», – რომელშიც შედის «აქ» (ისრაელი, სადაც მე დავიბადე და ვცხოვრობ); და მომავალი – ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დედა გადარჩა, მისი იმედის, ცხოვრების და შვილის ყოლის მიზეზი.

რეალურად, მე მქონდა დიდი მისია – დედაჩემის ცხოვრებისთვის მნიშვნელობა მიმენიჭებინა და მისი არსებობა გამემართლებინა.

ისევე, როგორც სხვა ოსვენციმგამოვლილებს, დედასაც უამრავი ფიზიკური და მორალური ტრავმა დარჩა. ყველაზე დიდი იარა იყო ცოცხლად გადარჩენილის დანაშაულის გრძნობა, მაშინ, როცა მის ირგვლივ უამრავი ადამიანი დაიღუპა. ეს ხშირად ღამის საშინელ კოშმარებში გამოიხატებოდა. დედას სჭირდებოდა მუდმივი ბრძოლა, რომ როგორმე ჰოლოკოსტს გადარჩენილის სტიგმა მოეშორებინა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ისრაელის საზოგადოება საკმაოდ ცივად შეხვდა «იქიდან» დაბრუნებულებს, და შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ისინი გარიყეს კიდეც.

დედას, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა შეერყა. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო, რის გამოც მის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. როგორც დედა ამბობდა, მისი «გადარჩენისა და არსებობის ერთადერთი მიზეზი» ვიყავი, და ბავშვობიდან ესეც დამატებითი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის.

მისი არსებობის გამართლება ჩემი ცხოვრების ძირითად მოტივად იქცა. კიდევ ერთი დეტალი, რომლის გამოც დედასთან ახლო და სათუთი ურთიერთობა მქონდა, იყო ის, რომ მე საკუთარ თავს დედაჩემის ოჯახის ქალის ხაზის გამგრძელებლად ვხედავ, მე მათი აბსოლუტური ასლი ვარ როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად და სულიერად. ასე რომ, ჩემი ოჯახის სრულ ისტორიას ვატარებ,

გამოდის, რომ დედასა და ჩემ შორის ურთიერთობა, ასევე ჩემი კავშირი წინა თაობასთან, ჰოლოკოსტზე გადის. ამ კუთხით, ჰოლოკოსტთან ჩემი კავშირი უშუალო და

ფუნდამენტალურია. ჰოლოკოსტმა ნიშანი დაბადებამდე დამადო, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, გაძლიერდა და ჩემი იდენტობის მნიშვნელოვანი შტრიხი გახდა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰოლოკოსტგამოვლილთა შვილებს საერთო ნიშნები აქვთ?

თითოეული ადამიანი, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, თავის პიროვნულ ტვირთს ატარებს, ამიტომ რთულია განზოგადება და საერთო ნიშნების მოძებნა. გარდა იმ ფაქტისა, რომ ტყვეებმა თითქოს ერთნაირი მოუშუშებული ტრავმა მიიღეს, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათი საპასუხო რეაქციებიც მოვლენათა განვითარების მიხედვით იცვლება და განსხვავდება, და, რა თქმა უნდა, ამ შემზარავი ფაქტის შემდეგაც მათ ყველას ჰოლოკოსტის მიმართ სხვადასხვა, საკუთარი დამოკიდებულება აქვთ.

ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურაში შევხვდებით ძალიან დიდ სხვადასხვაობას. ადამიანის სულიერების მიმართ დიდი რწმენით დაწყებული, ადამიანის ბუნების გამო დიდი იმედგაცრუებით დამთავრებული. ზოგი ღრმად ეფლობა რელიგიაში, ზოგი კი პირიქით, ათეისტი ხდება, ან, უფრო მეტიც, ზოგადად, რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებს.

როგორც აღვნიშნე, ყველაფერი ინდივიდუალურია, და მე მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია საუბარი. ჩემთვის ყველაზე მეტად დედასთან დიდი სულიერი სიახლოვეა დამახასიათებელი, თითქმის საკუთარი თავის მასთან გაიგივება, ისევე, როგორც ბებიასთან და დიდ ბებიასთან, რომლებსაც, რა თქმა უნდა, არასოდეს შევხვედრივარ.

სწორედ ამის გამო, სულ მქონდა გრძნობა, რომ მე თავად გამოვიარე ყველაფერი, წამიყვანეს სახლიდან, ვიმგზავრე იმ მატარებლით, გავიარე ის ავადსახსენებელი «გადარჩევა», ოსვენციმში 33-ე ბარაკში ფიცარნაგზე მეძინა, თითქოს მე გადამხდა თავს ყველაფერი – დამცირება, ძალადობა, შიმშილი, მკბენარები, მუდმივი ქავილი, ტკივილი, სიცივე, შიში და სასოწარკვეთა – თითქოს მეგობარს ზურგით მივათრევდი მე, თავად ფეხზე ძლივს რომ ვიდექი.

მართალია, ეს მოგონებები მე არ მეკუთვნის, მაგრამ მაინც, მთლიანად გავითავისე. ამიტომაა, რომ ჩემს ლექსებში «მისი» წარსული, «მაშინ», და «იქ» იქცევა «ჩემად», «აქ» და «ახლა», მერე მათ შორის საზღვარი ნელ-ნელა იშლება და ბოლოს ქრება.

ერთი მხრივ, მე ჰოლოკოსტს გადარჩენილი ებრაელის შვილი ვარ, ხოლო მეორე მხრივ კი პირველი თაობის «საბრა»[1]. ყოველდღიურად ვაცნობიერებ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობ და ვხედავ, რომ ის სავსეა ომებით, ტერორისტული აქტებითა და მძიმე დანაკარგებით. ამის გამო ადამიანს უჩნდება ეგზისტენციალური შიშისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი მუდმივად შფოთავს, თითქოს რაღაც საშინელი, კატასტროფული, გაუთვალისწინებელი და ძნელად აღსაქმელი იმალება ყველა რბილი იატაკის ქვეშ თუ

კულტურული წესრიგისა და ლამაზ ჩარჩოში ჩასმული კარის უკან. თითქოს არსადაა დაცული ადგილი, მაშინ, როდესაც თითქოს ჩვენ ირგვლივ ყველა ადამიანი კულტურული, განათლებული, ლამაზი, სასიამოვნო და კეთილგანწყობილია. თითქოს საშინელი რეალობა სადღაც სიღრმეში ჩაბუდებულა და დროს ელოდება, რომ ზედაპირზე ამოვიდეს და აფეთქდეს.

ეგზისტენციალური პასუხისმგებლობა კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს ზემოხსენებული კატასტროფებისთვის, და რომ ყველა ძალა უნდა იხმაროს, რომ ჰოლოკოსტის გამეორება არ დაუშვას.

ღრმად ფესვებგადგმული ამ ორი გრძნობის, შიშისა და პასუხისმგებლობის თანაარსებობა გარკვეული კუთხით შეიძლება ებრაელი ისრაელელების, როგორც გადარჩენილთა საზოგადოების დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ.

მე ვთარგმნე სწორედ ამ თემაზე დაწერილი ეპიკური პოემა, «პატარაჩიტი». როგორც ვიცი, ეს პოემა ძალიან პოპულარულია. თუ შეიძლება, გვიამბეთ «პატარა ჩიტის» ისტორია.

ამ ლექსს აქვს მრავალშრიანი ფონი – ნარატიული, ემოციური და მითიური. რაც შეეხება ნარატივს, ესაა ამბავი, რომელიც დედამ ბავშვობაში მიამბო – ამბავი პატარა ჩიტზე, რომელიც დედამ და მისმა მეგობრებმა ბანაკში შეჭამეს, სადაც ფაქტობრივად, შიმშილობდნენ. შიმშილი, რომლის შესახებაც დედა მიყვებოდა – იყო მიზეზი, რის გამოც დედამ და მისმა მეგობრებმა მოიფიქრეს, ერთი ბეწო ჩიტისგან სადილი მოემზადებინათ. ამ ამბავმა ჩემს მახსოვრობაში წარუშლელი კვალი დატოვა.

მახსოვს, როგორ აღწერდა დედა იმ ჩიტის გემოს. იმ გემომ მათ ქათმის წვნიანი მოაგონათ, უნგრული ნაციონალური კერძი Bechinalt[2], რომელსაც სახლში ამზადებდნენ ხოლმე. მახსოვს, დედა მიყვებოდა, რომ იმ წვნიანის გემო სამუდამოდ დაამახსოვრდა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულს ალბათ თითო ლუკმა თუ შეხვდა.

მე ეს ამბავი მახსოვს, როგორც მშვენიერებით, იმედითა და სისასტიკით სავსე ისტორია.

მშვენიერება და იმედი ისეთი შეკითხვიდან ჩნდება, როგორიცაა: რატომ ხდება, რომ მეგობრების მცდელობას, ფაქტობრივად არაფრისგან შექმნან საარსებო საშუალება, აქვს სიცოცხლის გადარჩენის ძალა?

და იმ ერთ ლუკმას საიდან ჰქონდა შთაგონების, სიმტკიცის გაძლიერებისა და გამხნევების, იმედის მიმნიჭებელი ძალა? იმ ერთმა ლუკმამ დედას და მის მეგობრებს რაღაც ისეთი მისცა, რამაც მათ დიდი ხნით შიმშილის გრძნობა გაუქრო და სულიერი და მენტალური სიმტკიცე მიანიჭა.

ამ ამბავს აღვიქვამ, როგორც ნამდვილი მეგობრობისა და სიცოცხლის გადარჩენის სამაგალითო გაკვეთილს. ამ ამბიდან ასევე ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება ოცნებამ და მოგონებამ ადამიანს ყველაზე დიდი პრობლემა გადაალახვინოს.

არ ვიცოდი, თუ როგორ დაიჭირეს ჩიტი, მოკლეს და მოამზადეს. ეს საიდუმლოდ დარჩა, ჩემთვის ეს იყო რაღაც საშიში და იდუმალი, რაზეც ბავშვობაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, წლების შემდეგაც კი, ყოველთვის ვფიქრობდი. არასოდეს მყოფნიდა გამბედაობა, დედასთვის რამე მეკითხა. როცა მესაუბრებოდა, მე ვუსმენდი, როცა ჩუმად იყო, მეც მასთან ერთად ვდუმდი.

დიდი ხნის შემდეგ, როცა დედა გარდაიცვალა, მე მისი ბავშვობის მეგობრის, თბილი და მოსიყვარულე ქალის, ერჯოკის (ელიზაბეტ ზოლთანი) სანახავად წავედი. ის უკვე 90-ს იყო გადაშორებული, და მას მერე ხშირად დავდიოდი მასთან. ის ჩემს ბებია-ბაბუასაც იცნობდა და დღეს ერთადერთია ცოცხალი იმ მატარებლიდან, რომლითაც დედაჩემის ოჯახი ოსვენციმში წაიყვანეს.

ერთხელ მას ჩიტის ამბავი ვკითხე. თავიდან ვერ მიხვდა, რას ვგულისხმობდი, მერე ნელ-ნელა გაახსენდა და მომწერა. აქვე დავურთავ წერილს, რომელიც დამტვრეული ჰიბროუს, უნგრულისა და ინგლისურის ნაზავს წარმოადგენს.

«ერთი ს.ს. ჩვენ გვერდით იდგა, ბარაკის გვერდით, და დედაშენი იყო წასვლა საპირფარეშოში და მოსვლა. როცა მოსვლა, ს.ს. თამაში თავის იარაღთან. და ჩიტი ჩამოიღო. და ის ჩიტი დაცემა ზუსტად, როცა დედაშენი მოვიდა იქ, და იმან მიცემა ჩიტი. და მე ვთქვი, მე გაკეთება წვნიანი, იცი რა არის bechinalt, ქათმის წვნიანი? რა თქმა უნდა, იცი.

და იქ იყო ერთი ზედამხედველი. ზუსტად იყო როგორც წიწილა, პატარა. და იმან მოცემა ცოტა მარგარინი, მარილი, და ერთი ქვაბი. და იმას ჰქონდა პატარა ქურა. და მე ვამბობ – მე ვაკეთებ კარგი საჭმელი. Bechinalt. მომეცი მე. ცოტა ფქვილი, რომ არა მარტო წყალი. დითილი, მე გაკეთება...

ერთი ლუკმა ყველას. და ყველას ახსოვს. ჩვენ ხუთი, და ისიც ექვსი – არაფრიდან საჭმელი».

და მართლა, გემო, კარგი, სახლივით. დედაშენი მიღება ჩიტი ს.ს. – განი. მე – გაკეთება. არც ვიცი თქმა როგორ. გაკეთება სუპი, და ყველა ამბობს: გემო, როგორც წიწილა.

ყველაზე გემრიელი. და ასე, ყველაფერი შიგნით – მარილი, პილპილი, მარგარინი, ფქვილი, მე გაკეთება წვენი. მართლა გემრიელი. ერთი ქვაბი. ყველას ერთი ლუკმა, და წვენი.

ლექსის დასაწყისში ის ამბავი ვითარდება, რომელიც ზემოთ გიამბეთ. ამას გარდა, ესაა მითიური ამბავი, რომელიც უკავშირდება მოგონებას. ესაა პირადი მოგონება რეკონსტრუირებული მოვლენისა, რომელიც დროისა და სივრცის სამ-ოთხ ციკლად მეორდება და გულისხმობს მომავალში პოტენციურ გამეორებასაც. როცა ბანაკში პატარა ჩიტს ჭამენ, დედას და მისი მეგობრების მახსოვრობაში ჩნდება გემო და სუნი წვნიანისა, რომელიც თავისი ოჯახებიდან ახსოვთ.

ჩემს ბავშვობაში, სახლში, ქათმის წვნიანის ხარშვა უდრიდა რიტუალს – ეს იყო კერძის მომზადებისა და სადილობის მრავალმნიშვნელოვანი აქტი, რომელიც ერთდროულად ევროპაში გატარებულ მის ბავშვობასა და ბანაკს უკავშირდებოდა. დღეს, როცა მე ჩემი შვილებისთვის იგივე წვნიანს ვამზადებ, ეს პროცესი ჩემში აცოცხლებს მოგონებას დედაჩემის ბავშვობის სახლის, საკონცენტრაციო ბანაკისა და ჩემი საკუთარი ბავშვობის შესახებ.

მეორე მხრივ, კომპლექსურად რომ შევხედოთ, ამ ლექსში ასევე წამოჭრილია კითხვები ღმერთის შესახებ. სად იყო ღმერთი მთელი ამ უბედურების დროს? ის ლექსში ჩიტისა და სხვა პერსონაჟების მდგომარეობისა და ბედისწერის სახით ჩნდება.

ბოლოს, მინდა დავამატო ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ლექსის სწორად აღქმისთვის.

დედა ტრანსილვანიაში, ებრაელების უბანში დაიბადა. გერმანელებმა ის უბანი გეტოდ გამოაცხადეს და ნათესავები, რომლებიც ქალაქის სხვა ნაწილებში ცხოვრობდნენ, მათთან გადმოვიდნენ. ამის გამო იყო, რომ ახლო ნათესავები ერთი მატარებლით გაემგზავრნენ ოსვენციმში.

ზემოთ ნახსენები «გადარჩევის» შემდეგ, ხუთი ქალი, რომელიც დედაჩემის სახლიდან წაიყვანეს, ბანაკში ერთად მოხვდა: ერჯოკი (ყველაზე უფროსი), სუზი (ერჯოკის უმცროსი და), ფიცი (დედაჩემი), ბესი (დედაჩემის საყვარელი ახალგაზრდა დეიდა) და ეგი (ოჯახის მეგობარი).

მართალია, ქალებმა ჯოჯოხეთი გამოიარეს, მაგრამ ერთად იყვნენ და ერთმანეთს მხარში ედგნენ. ისინი ოსვენციმიდან სტატჰოფის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, საიდანაც დენზიგის შრომით ბანაკში მოხვდნენ.

ყველასთვის თვალშისაცემი იყო მათი არისტოკრატული გარეგნობა და მანერები, რის გამოც მათ «ხუთი პრინცესა» შეარქვეს.

ხუთიდან ოთხნი გადარჩნენ. ბესი, დედას დეიდა, ჭკუიდან გადაცდა, როცა ორი შვილი ხელიდან გამოგლიჯეს და გაზის კამერაში შეყარეს. მას არც კი უცდია, თავის უბედურებას გამკლავებოდა და არც თანადგომასა და თანაგრძნობას იღებდა სხვებისგან.

ჩემი ლექსი მათ ეძღვნება, ვინც ბანაკებში დაიღუპა, მათ შვილებსა და მშობლებს, რომლებიც დახოცეს, და მათ, ვინც მეგობრობისა და სიკეთის წყალობით ცოცხალი გადარჩა. აგრეთვე მათ, ვინც დღეს ჩვენთან აღარ არის.

ლექსები

(ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ)

პატარაჩიტი

ზემოდან დაიწყე,
ნელა,
მკრთალ ცისფერში, მკრთალში
და ვრცელში და დიდში და თეთრში.
დაიწყე მარადისობით.
დაიწყე ცაში. ცით დაიწყე.
დაიწყე ჩიტით.
ნახე, აფრინდა.
ერთი ჩიტი, პატარა. ნახე.
დაფრინავს. –
და მის წინ მთელი ცაა,
ღია, გაშლილი.

დაიწყე სიდიდით, ჰო, დაიწყე დიდი,
ზემოდან – დიადი,
დაიწყე ყველასათვის ნათელი თვალთახედვით,
ყოვლისმომცველი,
უმანკო თვალთახედვით,
ღმერთის თვალთახედვით,
წვრილმანებს რომ ვერ ამჩნევს.
სხვა ჩიტებიც იყვნენ?
ჟივჟივებდნენ?
რა თქმა უნდა, იჟივჟივებდნენ.
აი, კიდევ ერთი ჩიტი აფრინდა.

დაიწყე ჰორიზონტით.
ისევ ეტყობა დენთის კვალი?
არა, ბინდი ჯერ შორსაა,
შენ საერთოდ ვერაფერს ხედავ.
ჰორიზონტი შორსაა, ზღვა ახლოს

და მზე ზუსტად ცის შუაგულში.
ხეებმა წვერი ამოყვეს,
ნახე, თანდათან ჩნდებიან.
დაიწყე ხის კენწეროებით.
იფურჩქნებიან, იშლებიან, მარადმწვანე
მათი თითები ესწრაფვიან მაღალს
და ღვთიურს,
ღმერთს, რომელიც მათ დაჰყურებს,
და ისიც უნდათ, რომ ჩიტს მისწვდნენ.
ნეტავ, მაშინ მზე კაშკაშებდა?
ან რა ფორმა ჰქონდა ღრუბელს?
ღმერთმა ზემოდან ნეტავ ჩიტი თუ შეამჩნია?

დაიწყე ხით. დაიწყე ტოტით,
ნახე, როგორ ეხუტება ხის ტანს,
როგორ ეყრდნობა, როგორი ნდობით.
ისიც დუმს. მხოლოდ ოდნავ არხევს ნიავი.
გულში იკრავს
და წინაპრების ხმებს იმეორებს.
ბუდეს ხედავ?
ბარტყები ნახე?
ხიდან დაიწყე.
აი, იმ ხიდან, მის გვერდით რომ დგას.
გახსოვს ეს ჩიტი?
ქვემოთ ეშვება და ტოტზე ჯდება.
მისგან დაიწყე.
არა. იმ ხიდან.
სხვა ხეებიდან.
ბევრი ხიდან.
მთელი ტყეა.
დახედე. ზემოდან.
როგორ კაფავენ, ხედავ?

შეხედე. ხედავ?
ახლა მის ნაცვლად ბანაკია.

ბარაკებიდან დაიწყე.
აირჩიე ნებისმიერი.
ყველა ერთია.
მეათედან დაიწყე.
ნახე, ლამაზი ქალი გამოდის.
თავაწეული.
დახატე?
გთხოვ, დახატე,
ლამაზი, ამაყი და გაბედული.
ხედავ?
სახე აქვს მრგვალი, მშვენიერი,
შთამბეჭდავი, დიდი თვალები.
ამოიხედა.
აი, ხედავს ხეებს შორის ცის ნაგლეჯებს,
შენ რომ დახატე, და ღრუბლის ფთილას,
სურვილის ფორმის.
დეტალებს ამჩნევს.
არომატი და სურნელი ახსოვს.
ფერი და ხმებიც მოსდის წარსულის.
გაზაფხულია.
და აი ჩიტიც,
მის წინ დაფრინავს,
დალივლივებს, გაუშლია პაწია ფრთები.

ოფიცრით დაიწყე.
მაღალი დახატე.
გამოკვეთილი სახის ნაკვთებით,
თუ შეიძლება. ოთხკუთხედი,
ძლიერი ყბებით, წინ წამოსული
დიდი ნიკაპით.

ახლა კი თმები: გადავარცხნილი
და ქუდიც თავზე ახურია ელეგანტურად.
ზევიდან ჩანს სამხედრო ფორმა?
ხედავ ზევიდან მის ემბლემებს სახელოებზე?

დაიწყე იარაღით.
ოფიცერს ხელში იარაღი უჭირავს
და ბარაკთან დგება. იარაღი ხელში უჭირავს.
შემართა თოფი,
ცას უმიზნებს.
თოფს ადებს ლოყას.
ცალ თვალს ხუჭავს,
ხუჭავს და ეძებს.
მაღალი დახატე. და გამართული.
სამიზნეში იყურება მაღლა
და ეძებს.
რას ესროლოს?
ჩიტი ახლა იმ ტოტზე ჯდება.

დახატე, როცა ქალს უყურებს. დახატე მზერა.
ნახე, მოძრაობს, ქალისკენ მიდის.
უყურე. როგორ დაავიწყდა
ახლა ვინ არის. კუნთებიც თითქოს მოუდუნდა.
დახატე, როგორ უშვებს იარაღს.
მკლავებიდან როგორ უცურავს.
მხოლოდ ქალს უმზერს –
ტანზე ტომარა ჩამოუცვამს, წელზე – ქამარი.
ოფიცერი ქალს შესცქერის,
მტკიცე ნაბიჯებს,
ქალი ვერ ხედავს,
ფეხსალაგისკენ თავისთვის მიდის,
მისი მზერა ჩიტს აწყდება.

დახატე, ამ ქალს როგორ უცქერს,
მის სიარულს აკვირდება,
და კაბის ტალღებს,
დახატე. აი, ფეხსალაგში შევიდა ქალი,
ოფიცერმა შემართა თოფი
და გადაწყვიტა. აღარ მიაქცევს ყურადღებას
ქალს და მის ტალღებს.
დედამიწაზე ახლა ყველგან გაზაფხულია.
დახატე? ლოყა ისევ მიიჭყლიტა
და ალბათ ცივი თოფის ბრალია
ცალ თვალს რომ ხუჭავს.

უყურე, როგორ
დაუმიზნა. სუნთქვა შეიკრა. მიზანში იღებს.
პატარა ჩიტს, უჰ, სწორედ იმ ჩიტს,
ესვრის.
დახატე?
დახატე, როგორ ჩამოვარდა?
იქ. არა აი, აქ, ახლოს,
ზუსტად მის გვერდით,
როგორც ღმერთი ეშვება ხოლმე
რბილად, უჩუმრად.

დაიწყე ქალით.
ესმის გასროლა.
ერთი გასროლის ექო ესმის,
ტყის ბოლომდე რომ მიაღწია და
უკან დაბრუნდა. ქალს საფეთქლებზე ეჯახება.
ვინმე დაშავდა?
დახატე ხმები, კარის ჯახუნი.
დახატე, ფეხსალაგიდან როცა გამოდის.
დახატე მისი მღელვარება.
ხედავ, გამოდის, ჩერდება და

თავის ტომარა-კაბას ისწორებს,
იმართება, ჩიტი არსად ჩანს.
ნეტავ, მისი მეგობრები როგორ არიან?
ბარაკებისკენ სწრაფად მიდის,
მალე ნახოს, ჩქარა დაბრუნდეს.

დაიწყე ქალით.
არა, ოფიცრით.
ისევ ქალს უმზერს.
ის ფეხს უჩქარებს.
ბარაკებს შიშით ათვალიერებს,
ძალიან ღელავს, თითქმის მირბის.
ოფიცერი თვალს არ აშორებს,
გაოცებული. დაბლა იხრება,
მიწიდან ჩიტს ხელში იღებს,
ჯერ კიდევ ფეთქავს, ისევ თბილია,
პაწაწინაა, წონა, შეიძლება ითქვას, არც აქვს.
რა ლამაზია.
ხედავ, მკვდარი ჩიტი ქალს გაუწოდა.

გეხვეწები, დახატე ქალი.
ჩქარა, ყველაფერი სწრაფად იცვლება.
ქალი ჩიტს ართმევს,
თითქოს დიდი ხნის წინ შეთანხმდნენ, ისე,
თითქოს დღესავით ნათელია,
თითქოს ჩიტი მისთვის მოეკლას.
ქალი ჩიტს ართმევს,
ზედმეტად არც კი შეუხედავს,
წამში ბარაკის კარს აღებს და
შიგნით შერბის,
თან სუნთქვა ეკვრის.
უკვე დარწმუნდა, რომ არავინ დაშავებულა
თოფის გასროლით.

თავის მეგობრებს ჩიტს უჩვენებს.
რატომ ისროლეს? ყველამ ცუდი იფიქრა რაღაც.
ანერვიულდნენ.
ახლა ისევ ერთად არიან,
და ქალს ხელში მკვდარი ჩიტი ჰყავს.

დაიწყე ქალის მეგობრებით. არა.
დაიწყე ზედამხედველით. ის ჩეხია.
მორწმუნეა, არის დაბალი. თავის გოგონას
ოთახში მალავს. კარგი ქალია. დაიწყე ქურით.
არა. დაიწყე ჩიტით. დაიწყე ქვაბით.
არა. დაიწყე ჩიტით.
ვინ დააცლის პაწია ბუმბულს?
რატომ უნდა დააცალონ?
რა ხელი აქვს ხედამხედველს პატარა ჩიტთან?
დაიწყე სულ თავიდან.
დაიწყე ჩიტით.
გეხვეწები, დამიხატე პატარა ჩიტი.
არა. გეხვეწები, დამიხატე პატარა ქვაბი.
არა. გეხვეწები, დამიხატე პატარა ქურა.
ნახე, ქურას მუცელში ქვაბი უზის.
ამის დახატვა აღარ გინდა.
დაიწყე, დაიწყე ქალის მეგობრით.
არა, დაიწყე ქალით.
ხედავ, ისევ შოკშია ქალი. ბარაკის კარი მიხურულია.
მისი თვალები რა ხანია მიეჩვია უსინათლობას.
თავის მეგობრებს შესცქერის და ხელში ისევ ჩიტი უჭირავს.
არა, დაიწყე ქალის მეგობრით.
მასზე უფროსით. ძალიან არა.
ახალგაზრდაა ისევ, მაგრამ მასზე უფროსია
და გამოცდილიც.
გოგოს ჩიტს ართმევს, ჩეხ ქალთან მიდის.

ნახე, ჩიტი როგორ ჩაბღუჯა.
ნელა მაღლა წევს და ზედამხედველს
იქვე პატარა გაზქურაზე მიანიშნებს.
ჩუმად. პასუხს ელოდება.
ნელა მაღლა წევს, პატარა ქვაბზე მიანიშნებს.
იცდის.
ნელა მაღლა წევს და ცოტა მარგარინზე მიანიშნებს.
თავს ოდნავ მარჯვნივ ატრიალებს,
ნელა მაღლა წევს. ფიქრობს და ფქვილზე მიანიშნებს.
იცდის. პილპილი და მარილიც უნდა.
უყურე. საიდუმლო ენა მონახეს.
დახატე მზერა.
დახატე შიმშილი.
დახატე საიდუმლო.
დახატე შეთანხმება.
იმედი დახატე. შიმშილი.
შიმშილით დაიწყე.
არა. ჩიტით.
არა. ქალით დაიწყე.
ოფიცრით. იარაღით.
ბარაკით. ქურით. ქვაბით. ჩიტით. დასაწყისით.
მოდი, დაიწყე.
მოდი, დაიწყე მოგონებით.
დაიწყე, დაიწყე, დაიწყე, სიმშვიდით.
ჩუმად.
დაიწყე სიმუნჯით.
დაიწყე დუმილით. ბევრჯერ დუმილით.
არა, საერთოდ ნუ დაიწყებ.
გაჩუმდი და ნუ დაიწყებ.
სიტყვა არ დაგცდეს.
ნურც დაწერ და ნურც დახატავ.
დაივიწყე ყველაფერი, რაც კი გითქვამს, დადუმდი.

წაშალე და დაივიწყე. დაივიწყე და წაშალე.
და ჩუმად.
გაქრეს.
შეეშვი ბარაკს. შეეშვი ოფიცერს, შეეშვი ქალს.
შეეშვი შიმშილს, შეეშვი მზერას, შეეშვი იმედს.
თავი დაანებე დუმილს, თავი დაანებე ხმებს,
ნუ ფიქრობ ქურაზე, ნურც ქვაბზე.
თითი არ დააკარო ამბავს, არც სიმღერას.
გამორიცხე ჩიტი. ღმერთო.
ჩაყლაპე სიტყვები.
და გაჩუმდი.
დაივიწყე. წაშალე და ნურაფერს იტყვი.
და თუ დაწყება მაინც გიწევს,
უხმაუროდ დაიწყე მაშინ.
საკუთარ თავში, იჩურჩულე, იჩურჩულე.
დაიწყე მონატრებით. ოცნებით. სურვილით.
იცი, რა არის ბეჩინალთი, ქათმის წვნიანი?
რა თქმა უნდა, ნამდვილად იცი.

ბეჩინალთით დაიწყე,
დახატე, როგორ ასდის სურნელი
და მთელ სახლს ავსებს.
დახატე, როგორ ამოდის ქვაბიდან,
სამზარეულოდან როგორ გადის და
ოთახში აღწევს,
წვდება ხალიჩას,
რადიოს,
გადაცემას «ვეძებთ ნათესავებს»
და გრძნობებს თავს აკარგვინებს.
ნაშუადღევით დაიწყე.
გივათაიმში პატარა ბინით დაიწყე.
მზე დიაგონალურად მოძრაობს

და გრილი სიო ზღვიდან უბერავს.
დაიწყე დედით.
დაიწყე დედით ნაშუადღევს.
დახატე, როგორ ამზადებს სადილს, ხის კოვზით ხელში.
თან როგორ მიხსნის, ფქვილი უნდა მოვუკიდო,
წვენი უფრო გემრიელი რომ გამოვიდეს,
დაიწყე დედით, ნაშუადღევს.
მაღალი დახატე, გაზქურის გვერდით.
კარგად დახატე,
დახატე, როგორ მეხება.
დაიწყე ჩემით.
დაიწყე დედაჩემით, ნაშუადღევს.
ლამაზი დახატე, მაღალ ქუსლებზე.
როცა ზოგჯერ
მაღაზიაში შეივლის და ქათამს იყიდის,
და მერე სადილს მოამზადებს
პატარა ჩიტით,
ოფიცერმა მაშინ რომ მისცა,
და რომლის გემოც ძალიან ასე ძალიან,
ასე ძალიან, ძალიან ჰგავს დროს.

ცალი ძუძუ

1.

სარკის წინ
ლურჯი მელნით
დედაჩემის ჩამოთლილი
მკერდის
კონტურებს ვავლებ.

ხაზი ზემოთ ადის, უხვევს,
და იღლიის
ღრმულში უიმედოდ ვარდება.

ხაზი დიაგონლად იქცა,
ხელის გარხევა
შეუძლებელია.

2.

მკერდის ნაცვლად დარჩენილ ჭრილობაზე
რბილ, მაგრად დაკოცნილ სახვევებს
ფრთხილად გადებ.
შენ ტკივილს დაგიამებს, მე კი
ყასაბს დავემალები.

3.

დედა მოდი
ყოველი შემთხვევისთვის
ამაღამ გავიპაროთ და შენი ჩამოთლილი
მკერდი მიწაში ღრმად ჩავფლათ
და ზედ ვიაროთ და
ვტკეპნოთ და ფეხები ვურტყათ
და ვაბაკუნოთ

ყველა ქარს სამ-სამჯერ შევაფურთხოთ
დანები ჰაერში დავატრიალოთ და ზედ დავარჭოთ
ხელისგულები ცას მივუშვიროთ
ლოცვა ვიბუტბუტოთ და ვიმღეროთ
მერე წამოვდგეთ
ხელები დავიბანოთ
ყველა ქარს ისევ სამ-სამჯერ შევაფურთხოთ
და სახლში თვალები მაგრად დავხუჭოთ
თითები გადავაჯვარედინოთ
ათი წელი დავითვალოთ
სუნთქვა შევიკრათ
და დაველოდოთ.

სახლში, ანუ დამალობანა

1.

ვიდრე მე დავსახლდებოდი,
ჩემი მიწა სხვებს ეკუთვნოდათ
და სიყვარულით ამუშავებდნენ.
ვიდრე ისინი დასახლდებოდნენ,
მათი მიწაც სხვებს ეკუთვნოდათ
და სიყვარულით ამუშავებდნენ.
ვიდრე ჩემი მშობლები სამშობლოს დატოვებდნენ,
ცხოვრობდნენ სახლში,
რომელიც სიყვარულით ააშენეს.
ვიდრე შენ დატოვებდი სამშობლოს,
ცხოვრობდი სახლში, რომელიც
სიყვარულით ააშენე.
ნუ ვახსენებთ ისტორიას. წარმოიდგინე,
რომ ჩვენ აქ შენამდე არ ვყოფილვართ
და არც შენ ყოფილხარ აქ ჩვენამდე.
დაჭერობანას თამაშის ნაცვლად
სიტყვობანა ვითამაშოთ.
მე ვცხოვრობ სახლში რომელიც სხვებისთვის ააშენეს.
და ისინიც ვინც აქ ჩემამდე ცხოვრობდნენ
ცხოვრობენ სახლში რომელიც სხვებისთვის აშენდა.
შენ ცხოვრობ სახლში რომელიც სხვებისთვის ააშენეს
და ისინი ვინც შენს სახლში ცხოვრობდნენ
წავიდნენ და ცხოვრობენ სახლში
რომელიც სხვებისთვის აშენდა.

2.

ერთადერთ სახლში რომელიც ჩემთვის აშენდა
ახლა ცხოვრობს ხალხი
რომელიც ჩემი მშობლების ენაზე ლაპარაკობს
ჩემს მშობლიურ ენაზე
რომელიც არ მესმის.
პარიზის მადრიდისა და რომის
ცენტრალურ ქუჩებში
ჩემს ხალხს ვცნობ
და ვყუჩდები.

3.

ცას ვიღებ
და თავზე ვიხურავ
რომ თავი სახლში ვიგრძნო
მაგრამ ფეხებს სადღაც მივყავარ.

*** * * (ბოლო დროს სიზმარში...)**

ბოლო დროს სიზმარში
მთელ სამყაროში სახლს ვეძებ,
ნაკვალევს ხელით ვსინჯავ
უნგრულად ვუმღერი
და ებრაულად ვუხმობ,
მოდი, მოდი, მოდი.

*** * * (იქ სადაც დავიბადე...)**

იქ სადაც დავიბადე
სიტყვები ღვთის შვილები არიან
შიშვლები ჩნდებიან
სამყაროებს ქმნიან
და მათი ყოველი ამოსუნთქვა
კაცობრიობის მომავალს შობს.
ამ გაზაფხულს
ენას ჩავიგდებთ.
ღრუბლებს ვუცქერთ.
არ მოვუსმენთ *ახალ ამბებს*
არ ვიტყვით *წმინდაა წმინდაა*
არ წავიკითხავთ გაზეთებს
არავის განვსჯით
ბრალს არ დავდებთ
არ უარვყოფთ.
მერე
თვალის გუგებს
ჩავაშტერდებით.

*** * * (და საერთოდ რა არის სახლი...)**

და საერთოდ რა არის სახლი?
სიტყვათა შეთანხმებისა
და სტრუქტურის საფუძველზე
აღმართული ნაგებობა.
თუ ერთი ადამიანი
მეორეს ისეთ სიტყვებს ეტყვის, როგორიცაა
თავი დამანებე
ბზარი პირს ფართოდ დააღებს
კედლებს ჩამოშლის
და სახლი თავის
ბინადრებზე ჩამოიქცევა.

* * * (ერთხელ სიყვარული თავს ზემოთ გავშალე...)

ერთხელ სიყვარული თავს ზემოთ გავშალე
და მასში შევსახლდი.
ბალიში და საბანი მოვქსოვე
ბავშვებს
მაქმანის ოთახი შევუკერე.
სინათლე სახლის ბინადართა თვალიდან თვალზე
გადადიოდა.

ფარდებში ქარი მღეროდა,
ფანჯრებიდან ჩანდა
გაფენილი სარეცხი.

და სიყვარული მოვკეცე
კუთხე კუთხეს დავადე
და პერანგის ნაოჭებში
ფრთხილად შევაცურე.
მთელი იმედი იქ შევინახე.
მე ჭუჭრუტანასთან დავდექი და ველოდი.

შემდეგ იყო ომი
და მოდიოდა წერილები
ან არ მოდიოდა.
მე ჭუჭრუტანასთან ვიდექი და ველოდი.
ყველაზე გრძელი ზამთარი იდგა.
ყველაზე ცივი ზამთარი იდგა.
მერე წერილები არ მოდიოდა.
მე ჭუჭრუტანასთან ვიდექი და ველოდი.
და შენ არ დაბრუნდი.
მე ჭუჭრუტანასთან ვიდექი და ველოდი.

* * * (ზოგჯერ სახლი მოდის ჩემთან...)

ზოგჯერ სახლი მოდის ჩემთან
მიყურებს
და მერე თვალებს ხრის.
ვეუბნები
რაც იყო იყო
მოდი გვჯეროდეს
მოდი ვთქვათ რომ მორიგება შესაძლებელია,
და დავიმახსოვროთ ეკლიანი ბუჩქი
და ლეღვი
და უკან დარჩენილი ხეები
და ზეპირად ნასწავლი იოთამის იგავი
და თვალებს ვხრი
და ვხედავ.

დაცემა. ვარიაცია No. 6

როგორ იწყება ცეკვა.
კონცენტრირებით. არსში გარკვევით.
გადაკვეთის წერტილში სინათლის უცაბედი ლიცლიცით.
ხმის გაელვებით. ავარიული სიგნალით.
სასტვენით.
შემოდის? გადის?
ჩემი ადგილია?
მისი?
ქარიშხლით.
მუხლში იწყება. კივილით.
მენჯში მზარდი და
აღმავალი
უხმო სპირალით.
თავში იწყება. დარტყმით.
ცოცვით.
მუხლებზე. ცოცვით.
იდაყვში იწყება. ჩქმეტით.
ღრეჯვით. ყოყმანით. უკან დახევით.
უჩუმრად. ახლა საით.
სივრცეში გაფანტული ბგერებით ბგერებზე.
ა ზონა, ბ ზონა,
წერტილი.
სახსრების განცალკევებით.
ფორხილით.
წამოწევით. ფორთხვით.
წამოდგომით. მარცხნივ მოკეცვით.
მარჯვნივ გადავარდნით.
მოკაკვით. ძებნით.
საფარის ან სამალავის.

მყისიერი ევაკუაციით.
დახეთქებით.
მთელი ძალით.
უძრაობით.

2. პოეზია

გურამ ჯახუტაშვილი

* * * (არ მოყვა ჩემს გულს ინსტრუქცია...)

არ მოყვა ჩემს გულს ინსტრუქცია
დავუშვი სიყვარული და მოვკვდი.

სამოთხე, როგორც ასეთი,
არავის მიუთითებია ჩემთვის,
ჯოჯოხეთს კი ვერ გავუძელი და უკითხავად წამოვედი.

მეგონა, ქვაბი დამხვდებოდა, სადაც ჩავიწვებოდი,
კბილებს დამაცლიდნენ, მუხლებს გამიტეხავდნენ,
თვალებს დამთხრიდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი.
დამსაჯეს უყურადღებობით... არავის მოუფურთხებია.
სხვები კიოდნენ და იხარშებოდნენ, იმსხვრეოდნენ
და წყდებოდა კიდეც მათი ხმაური. ბედნიერები.

მე კი დამსაჯეს სიცოცხლით.
დამსაჯეს, რადგან იმ დროს მიყვარდი, როცა გიყვარდი,
და არ შემეძლო მოახლოება.
ჩვენ შორის იდგა დიდი ჰაერი,
გამჭვირვალე, მაგრამ ჭაობის სიჯიუტის,
რაც არ მაძლევდა ამოსუნთქვის შესაძლებლობას.

ასე დავიდე ბინა სიცარიელეში.
და დღემდე ვიცი, რომ თოკს,
რომელიც სამახსოვროდ გამომატანეს,
სიცარიელეში ვერსად დავკიდებ.
ან რა აზრი აქვს ფუჭი სიკვდილის ტავტოლოგიას,
ისევ უსაქმურ ჯოჯოხეთში რომ მომახვედრებს,
სადაც ვერავინ მომიძებნის დანიშნულებას,
ვერავინ მომიძებნის მუხლს,
რომელიც ჩემს დანაშაულს მიესადაგება.

აიჩეჩავენ მხრებს მოსამართლეები და ჯალათები,
ჩემი მრავალჯერადი სიკვდილით დაღლილები.

ასე იცის სიყვარულმა –
რომელიც სადღაც მაინც მოკვდება,
უხმოდ და უსახელოდ.
შენ კი ცოცხალს დაგტოვებს,
რომ გაყურებინოს მთელი სიკვდილი.
რადგან ერთხელაც,
როდესაც, სიცოცხლით გადაღლილს,
სიცარიელის ჯალათები კედელთან მიგაყენებენ,
ჩახმახებს შემართავენ და ერთდროულად მილიონი
თოფი გაისვრის,
ყველაზე მეტად ის ტყვია გეტკინოს, რომელიც
არ გავარდება.

არ მოჰყვა ჩემ გულს ინსტრუქცია,
დავუშვი სიყვარული და მოვკვდი

განწყობის ნაფლეთები

*

გაგიკვირდება, დღეს სხვა დროა, მაგრამ მეწვია –
სურვილის მსგავსი, არ ვიფიქრო არავინ სხვაზე,
ვუსმენდე მხოლოდ შენი გულის ტურბულენციას,
ვიჭერდე ღმერთის სიხშირეზე – ხმებსა და ხაზებს.
მოვყვები კიდეც, ნოემბერზე ყვითელ დერეფანს,
გზადაგზა ვაფრთხობ მიგდებული სახლის ბინადრებს,
და სახლიც შიშით იმუხტება და იბერება,
როგორც შემთხვევით დაგეგმილი ომის წინადღე.

*

მე ვერ ჩავდექი შენს დანაღმულ რკალში – ერთხელაც,
ერთი მიზეზიც ვერ მოვძებნე – აღარ მყოლოდი,
და რა აზრი აქვს, სურვილები თუ არ ემთხვევა,
ასეთ სიყვარულს, ასეთ ყოფნას, ასეთ მოლოდინს...
რაღა აზრი აქვს, უტოვებდე ვინმეს არჩევანს,
გახსნილი გქონდეს წასასვლელი შენგან – კარებიც...
რომ შემძლებოდა საკუთარი თავის გარჩევა,
შენს შეყვარებას დავიწყებდი გადაყვარებით.

*

ეს მოხდა ადრე, შენი ხელი კედელს მივადე,
ცისფერი ცარცით შემოვხაზე თხელი თითები...
მერე კი უცებ გავიზარდეთ და მოიმატა
გრძნობებზე თავის არიდების მაგალითებმა.
აფრთხობდა ქალაქს საუბრები ორი ტუსაღის,
შენი ბემოლის კილოკავი, ჩემი – ჟარგონი,
ზამთარს თუ ბოლო გათოვება ვერ გავუსაღეთ,
არც ქრონიკული ყინვებისთვის აღარ ვვარგოდით.

*

აქ ჩვენ გვიანი ფოთოლცვენის რიტმიც გვიყვარდა,
ყვითელ ფოთლებსაც ერთმანეთზე აქ ვალაგებდით,
მერე წავედით და არყოფნის მძიმე ტიხართან
დავტოვეთ ჰაერგამოცლილი აკვალანგები.
მახსოვს, შეგპირდი, მიგიყვანდი თითის რგოლების
კედლის ნახატზე მისადებად – ასე მშიშარას,
მაგრამ დრო ხელში შემომადნა და მიყოლებით,
ანაბეჭდები წვიმის წყლებით გადაიშალა.

*

აი, მოვყვები ნოემბერზე ყვითელ დერეფანს,
გზადაგზა ვაფრთხობ მიგდებული სახლის ბინადრებს,
და ვიცი, ქვეყნად არ არსებობს ბედნიერება,
მაშინვე ჩემთან რომ გაჩნდება, როცა ვინატრებ.
შენი არ ვიცი, შენ შენი თქვი, მე კი დღითიდღე,
ვიდრე ნაკვთებით დავემსგავსე ვინმე მიზანთროპს,
ვცდილობ, როგორმე დაგავიწყო რაც შეგვითითხნეს,
და შენს პეშვებში კიდევ ერთხელ გამოვიზამთრო.

*

მიყვარდე? სიტყვით ქვეცნობიერს ვერ ამოგივსებ,
ასე შორიდან – სხვა სივრციდან, სხვა სამყაროდან,
ისიც არ ვიცი, სად შეგხვდები, სადმე ლოგინზე
თუ გზასაცდენილ მოზარდივით გნახავ წყაროსთან.
მაგრამ მიყვარხარ, პირობებში თუნდაც – საველე,
მიყვარხარ ყველა საშუალებით – დროით – გრინვიჩის,
და მცივა, მაგრამ შეხვედრამდე ვითვლი მტკაველებს
და ვემზადები არსებულზე დიდი ყინვისთვის.

* * * (მითხრეს – მოხვედი!...)

მითხრეს – მოხვედი!
რომ გარეთ მიცდი, რომ დერეფანში,
ის თოვლი დნება, შენ რომ შემოგყვა.
მეც გავიხადე ხელთათმანები და გამოვედი პოეზიიდან,
გამოვდექი, როგორც ექიმი საოპერაციო ბლოკიდან,
პაციენტის ახლობლების დასამშვიდებლად.
გადარჩება? – არ მეკითხები, რადგან შენ იცი,
საოპერაციოში ექიმიც და პაციენტიც მე ვარ.
პოეზიის ღია ჭრილობით,
რომელი ჭრილობაც არ იკერება.

* * * (ჩერდები. ფიქრობ. გეღიმება. მიდიხარ...)

ჩერდები. ფიქრობ. გეღიმება. მიდიხარ.
უცებ გათოვს და თოვლში არც კი იცი,
ფიქრი ვის ანდო... ვისკენ მიმართო
არსებობის გრილი გლისანდო,
რა ჩასჩურჩულო აკაციის შებერილ მუცელს,
რომელსაც თოვლი გადანერგილ გულივით უცემს
და ცდილობს, ქვაზე ხელმეორედ ამოიზარდოს.

ყველა იყავი – ცა, მაგნიტი, ტალღა, სათითე,
მსურველებიდან ერთადერთი დარჩი ღმერთადღა,
და როცა სახლში მობეზრებულ თავთან ერთად ხარ,
ცოცხლდები, შიშის სამახსოვროდ სურათს ადიდებ.
თუ გაურბიხარ მტრებს – სიცოცხლეს იწყებ მათითვე
და ნალურსმევის დასაფარად იცვამ ხელთათმანს.

* * * (მიყვარდი, მაგრამ ჩემ გარშემო თოვლი მოვიდა...)

მიყვარდი, მაგრამ ჩემ გარშემო თოვლი მოვიდა,
ვერ შეამაგრა ნაადრევი ყინვა ჯავშანმა,
წელს რა განწყობაც დამიტოვა ღამემ – თოვიდან,
ისეთნაირად მომაბეზრა თოვლი შარშანაც.

ჩვენ ავხდით, მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდა,
დამთავრდა ის, რაც არასოდეს არ დაგვიწყია,
ვერ გამოვძებნეთ სასაუბრო ენა – ზამთართან,
ვეღარ შევძელი, მოგხვეოდი თოვლში სიცხიანს.

უცებ დავკარგე გადარჩენის ყველა რეცეპტი...
დღეს ნაფლეთებად გადაქცეულ რუკას მივტირი,
რომლითაც ქუჩებს აღვნიშნავდი და ტურისტივით,
შენი ოთახის აღმოსაჩენ გვირაბს ვეძებდი.

მიყვარდი, მაგრამ არასოდეს არ შეგსწრებივარ,
არც მიფიქრია, შეგხვედროდი სადმე – ფერმიხდილს,
მიყვარდი, მაგრამ ამ სიყვარულს თავად ვერ მივხვდი,
და უშენობის ანაბარა ვცხოვრობ წლებია.

არ მიკვირს, თუკი ვერ შევავსე გრძნობის ასლებით
შენი უწყვეტი არსებობის ვრცელი არქივი,
წავედი, ვითომც არ ვყოფილვარ და გასასვლელში
შეგროვებული სიყვარული დამრჩა ბარგივით.

და მაინც, შენი შეყვარება ისე მინდება,
როგორც ნახატში გაშეშებულ პეპლებს – აკრილი,
მინდა ვისმენდე – შენს სიჩუმეს და გარინდებას,
და არ ვმალავდე მარადიულ გრძნობას ნაკლივით.

მიყვარდე მინდა! თეთრი ფიფქის თითო ნამცეცით,
მინდოდე მინდა! გათოვების ყველა გრანულით,
სულს არ მიჭამდეს არც ტკივილი, არც სინანული,
ამხელა თოვლით შეფხიზლებულს და თმებგაწეწილს.

წადი! და სიტყვაც არ წამოგცდეს ჩემზე, ოღონდაც...
ოღონდაც არ თქვა, რომ გესმოდა ჩემი აქცენტი...
არ თქვა, რომ შენთვის უდაბნოში წყალი მომქონდა
და ვიდრე პირთან მოგიტანდი ჭიქას – ვაქცევდი.

წადი და რიცხვი ჩაინიშნე, რადგან რიცხვია –
ის, რაც ოდესმე მიგაბრუნებს სულის დავთართან,
მერე დამთავრდეს – რაც არასოდეს არ დაგვიწყია,
ანუ რაც ჩვენგან უკითხავად – უკვე დამთავრდა.

* * * (დავწერ, რაც სხვებმა უკვე დაწერეს...)

დავწერ, რაც სხვებმა უკვე დაწერეს,
არ დამჭირდება ვინმეს კარნახი,
რა გამოვსტყუე ღვთის მიმბაძველებს,
ან თავად ღმერთის გარეთ რა ვნახე.
სადაც მტრებს, მდევრებს,
იქაც მეგობრებს,
უამრავ მართალს,
სულგრძელს თუ სულდიდს,
ვუყვარდი, როცა მკვდარი ვეგონე,
და როცა ცოცხალს მხედავდნენ – ვძულდი.
არა იმიტომ, რომ ასე სურდათ,
არა იმიტომ, რომ ვერ მიტანდნენ
ჯერ სიცოხლისთვის იცხოვრო უნდა,
მერე კი მოკვდე, რომ განვითარდე.
და აი, ღამეც სრულდება. აწი,
მე ჩემს ნაფიქრალს გიტოვებ ღერძად,
დღეს რითიც კვდება უღმერთო კაცი,
იგივე სტანჯავს უკაცურ ღმერთსაც.
რამდენმა წელმა გადამიარა.
დასკვნა კი დღემდე გამომაქვს ერთი,
რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი
ადამიანს რომ შეექმნა ღმერთი.

* * * (სად არის კუბო, უკვე ჩაგძირა...)

სად არის კუბო, უკვე ჩაგძირა,
ბედმა ცოცხლების ყრუ ქვეყანაში,
ვინღა მოისმენს უწყვეტ სამძიმარს,
რა გადაიტანს ამდენ პანაშვიდს.

თავი სიზმრებსაც ვერ დაასწარი
და ახლა ცხადის ხმა და სიდიდე,
მარჯვნივ სიცოცხლის კარებს გასწავლის,
მაგრამ თვალებით სხვაგან გითითებს.

ჩიტებიც, ვიდრე გადმოგიფრენენ,
მათივე ფიქრით და განზრახვითვე,
გსურს, შეისრუტო ყველა სიბნელე,
ყველა გაწყვეტილ თოკზე გახვიდე.

შენ უკვე გახდი – შიშის თავსართი,
არყოფნის მკვიდრი და ბინადარი,
ვინც მჭიდში ბოლო ტყვიას ამზადებს
და სიცოცხლისთვის იჭერს თადარიგს.

* * * (ადამიანებზე, ქარზე საუბარი ოდესღაც...)

ადამიანებზე, ქარზე საუბარი ოდესღაც
იცვლება დუმილით. ქარები რჩებიან ფონადვე,
მწიფდება სიჩუმე. სიჩუმის ხმები და გროტესკი,
გახსენებს ყველაფერს – ნაჩხუბარს, ნაომარს,
მონათმენს...
ირგვლივ აზიაა, თითისწვერებია ციკლონის.
მთვარე იქით იყოს, რა გადააგორებს ნამთვარევს,
როცა ამიკრძალეს ვინმე რეალურად ვიგლოვო,
როცა მომთაბარე სინოპტიკოსებმა – გამთვალეს...
ზეცა მესიზმრება – მისი უნებლიე პიგმენტი.
რთული არაფერი, ვხედავ დახუჭული მზერითაც,
ვიდრე მაჯებზე და ვიდრე ხელისგულზე ვიკბენდე,
ტალღის ინერცია ბოთლსაც მომიტანს და წერილსაც.
სულ რომ სხვანაირად იგრძნო, განგიმარტონ, მოგესმას –
იმედს ცოდნა უნდა! უიმედობას კი – კადრება,
წერილს? – რა აზრი აქვს, ბოთლში ვინ ჩააგდებს – ოდესმე
კუთვნილ სიკვდილივით მაინც ჩაგბარდება – ადრესატს.

* * * (**რა უნდა გითხრა...**)

რა უნდა გითხრა,
რაც წარსულში არ თქმულა, ანდა,
ხვალ არ ითქმება – უნებლიეთ, ნებსით, კინაღამ...
ლექსებიანად ავბარგდები და წავალ. ფარდა!
გადავიწყების კულისებში გადამინახავს.

ცოტა სხვა თვალით რომ შეხედო, ემოციების
და სურვილების წინააღმდეგ წამსვლელმა კაცმა,
ვეჭვობ, ბოლომდე დაუღეჭოს შემომცილებლებს,
რას ნიშნავს ასეთ ულურსმებო ყოფაში – ჯვარცმა.

ეს ყველფერიც აბსურდია – დუმილი. ცენზი.
ალოგიკური შედარება – ბზიფი, სანტროპე.
რამდენი უნდა ვესაუბრო, მითხარი, შენზე,
ბედნიერებას გადაჩვეულ პითეკანტროფებს.

მორჩა! დასრულდა! პოეზია იქცა დანართად...
ჩემი სიტყვები აკრძალული ხიდან მოკრიფეს,
და სულ ამაოდ მაქეზებენ – თავი გავართვა,
გარესამყაროს ქარგაუმტარ იეროგლიფებს.

ერთი, რაც ვიცი, არ ჩამითვლი წასვლას ღალატად,
დაგრჩება ჩემგან – აკრძალული ლექსები ქოთნის,
და ვერ დაიტევს შემოდგომის ბოლოს – კალათა,
წამოცდენილი სიტყვებივით მშიშარა ფოთლებს.

მორჩა! შენ უნდა დაივიწყო ჩემი მსგავსება,
ან, თუნდაც, მცირე განსხვავება – ბედთან ისაკის,
და გაიაზრო, რას მიზამდნენ, რომ მეარსება...
როდესაც ასე გამაწამეს – არყოფნისათვის.

* * * (ის შენი წერაა... და შენი საუფლო...)

ის შენი წერაა... და შენი საუფლო,
შენი ნიკოტინი, მორფინი, ელესდე.
და მთელი საღამო საუბრობ, საუბრობ,
საუბრობ – სიცარიელესთან.

და ბაგეს ეხები სიცივით – ნაგანის.
შენ, აუწყობელი კაცის პროტოტიპი
და გულის სისხლძარღვი, უბრალო საგანი,
ხელებში გიჭირავს მოჭრილი ტოტივით.

და უმზერ ცარიელ, უცნობ და უმისო
ღამეს და შორდები, შორდები და უფრო
შორდები – გაბმული სიზმრების უნისონს
და დაუსახლებელ სივრცესთან საუბრობ...

დათო ქარდავა

აქილევსის წინდა

ვის არ უნახვს გახეული,
თითგამოჩრილი ნახმარი წინდა –
მარტოხელა კაცის დაუნდობელი სამხილი,
ყველაზე ჭკვიანს,
ყველაზე ძლიერს საცოდავს რომ ხდის.
უსაშველოა ეს გასაჭირი,
უკიდეგანო!
ატომსა ხლეჩენ, კოსმოსს იპყრობენ,
გენებს შიფრავენ,
მაგრამ ამ წინდას,
მებიუსის ზედაპირის გარღვეულ ნაწილს,
ვერ უხერხებენ კაცნი ვერაფერს!
გინდა დაკერე, გინდა დაკემსე,
მაინც იხევა,
საშველი არ ჩანს!
იქნებ, ცერია ცნობისმოყვარე,
დაუდგრომელი, ბასრი, თავხედი,
თავისუფლების ურჩი მებრძოლი,
რომ ვერ აკავებს ნაკერი მჭიდრო,
როგორც ვერ იჭერს სითხეს საცერი?!
იქნებ, ეს ცერი მეტია ცერზე?!
მაგრამ ამაზე არსად წერია!
იქნებ, ქალია ყველაფრის თავი,
მისი ნაქსოვი და მისი ძაფი?
არავინ იცის, როგორი იყო,
რამდენ ხანს ძლებდა,
სად ირღვეოდა
(თუ ირღვეოდა)
მეზღვაურების ნაქსოვი წინდა,

მაგრამ რას მოგვცემს ეს მკითხაობა,
სიტყვების ქსოვა, ფრაზების ლამბვა,
აღარსად დარჩნენ მეზღვაურები,
სკივრის გარშემო რომს რომ ყლურწავდნენ
(Yo, Ho, Ho, and a Bottle of Rum!),
საქსოვ ჩხირებში რომ ცვლიდნენ ნიჩბებს,
და ეს წინდებიც იხევა ჭვინტზე,
დიახაც ჭვინტზე და არა ქუსლზე!
ქუსლი ურღვევი მუდამ მთელია,
თითქოს თეტიდას მოექსოვოს აქილევსისთვის!
სულაც რომ დადნეს და გაიცრიცოს
ქუსლს ვერ ერევა მსახვრალი ხელი,
ვერავინ ნახავს მის სივარდისფრეს.
იმ ქუსლს, რომელსაც არ შეეხო სტიქსი მდუღარე,
იმ ქუსლს, რომელიც სიკვდილს ატარებს...
და ყველა ქალი, თეტიდას მსგავსად,
ქსოვს ასეთ წინდას თავის შვილისთვის,
და ის დაზგები, ძაფებს რომ გრეხენ,
და ის დაზგები, რომ ქსოვენ წინდებს –
ელეგანტურ, ზემტკიცე წინდებს,
ფეხმარდი გმირის ინდუსტრიული დედები და
მექანიკური თეტიდები არიან,
ზრუნავენ ქუსლზე,
არ ახსოვთ ჭვინტი და ცერა თითი,
დახეულ წინდიდან რომ იყურება ისე ცინიკურად,
როგორც ოდისევსი ტროას ცხენიდან,
და ნატრობს წინდის პატრონი,
ებღაუჭება ბამბის გაწყვეტილ ძაფს,
როგორც წყალწაღებული ხავსს:
«გამოენასკვა მჭიდროდ თეტიდას
ბედისწერის და სიცოცხლის კვანძი,
და თავის პირმშო

მზე-აქილევსი,
ვიდრე შთაფლავდა მდინარე სტიქსში,
შეეპყრო ტერფით და არა ქუსლით,
მერე ეზრუნა ქუსლზეც და ჭვინტზეც
და მოექსოვა უზადო წინდა,
მტკიცე ფარივით – ჭვინტიდან,
ტყავის ხამლივით – ქუსლიდან,
ეჰ, მოექსოვა!..»
ხომ დაიცავდა შვილს სიკვდილისგან,
სხვებს კი სირცხვილს ხომ აარიდებდა,
და მოღალატე ის ცერა თითი,
გრძელი და ბასრი იმ ისარივით,
პარისის მშვილდმა რომ გამოსტყორცნა,
ვერ დაარღვევდა წინდის სიმთელეს,
და ვერ ამხელდა მარტოხელა კაცს,
შერცხვენილსა და თავდახრილს ისე,
თითქოს იყოს ნამდვილი მკვლელი,
მკვლელი კაცისა და არა დროის,
თავისი დროის...



ზღმარტლი ვენახის ბოლოში

გავა წლები და მოგვენატრება ვენახის ბარვა,
დამზრალი მიწის გულში ფათური,
მზეს მიფიცხება, ძვლების გათბობა,
ბარზე დაყრდნობა,
ოფლის მოწმენდა დაღლილი მაჯით.
მოგვენატრება გადაძახილი,
ჩვენი შეჯიბრი მოხუც მამასთან.
და ვცდილობ, ახლა დავიმახსოვრო,
ვიდრე ერთად ვართ და ხათრს ვერ ვუტეხთ,
ერთი ჩარექი გადავაბრუნოთ.
მზე ნაზად გვათბობს,
მინავლულ ცეცხლს ჰგავს,
ზეთად გვეღვრება მისი სინათლე,
მამა წინ მიდის,
უკვე გაგვასწრო,
ერთი დაწოლით ბოლომდე ჩაჰყავს
ბარის მახვილი, პრიალა პირი.
გულდინჯად ბარავს,
ცოდნით, მოზომვით,
მე და ჩემი ძმა კი – გამალებით,
რომ არ ჩამოვრჩეთ, რომ დავეწიოთ,
მაგრამ გავხედავთ,
კვლავაც წინ არის, როგორც ყოველთვის,
ბარით ვერ ვწვდებით მის ჩრდილს დაწოლილს.
ჩვენ ორთქლი აგვდის ზურგზე, სახეზე
როგორც იმ მიწას, უკან რომ მოგვრჩა,
გადაბრუნებულს და ჩაშავებულს,
ჭიებით სავსეს,
ფერად-ფერადი ქათმების საზრდოს.

შრება ეს მიწა,
ნელ-ნელა შრება,
ჰკარგავს სიშავეს, თითქოს ხუნდება.
გვერდით კი წალმის კონებს გადაღმა,
ზვინში ამოზრდილ უგრძეს მარგილზე
გამოდებულა შემოდგომის მზე,
ცეცხლს რომ უკიდებს ჩამოშლილ თივას,
და მასში ჩაღვრილ ქარვისფერ სხივებს
დინჯად ცოხნიან ვირი და ძროხა...
მამა კი ბარავს შეუჩერებლად,
დაგვალულ მიწას მარჯვედ აბრუნებს,
მუხლზე ეყრდნობა მოხრილი მკლავით.
მერე კი თითქოს ჰორიზონტს გასცდა,
ვერ ვხედავთ მის ზურგს – მოხრილსა და სველს,
მიწააკრობილ მძიმე ბათინკებს,
არც სუნთქვა გვესმის,
არც ბარის ფხეკა,
ალბათ გავიდა პლანის ბოლოში,
ალბათ ისვენებს...
ადრე კი, როცა მეტი შეეძლო
(როცა თმა ჰქონდა ისეთი შავი,
უგავდა ახალდაბარულ მიწას),
თავის კვალს როცა ამოიტანდა,
გადმოვიდოდა უმალვე ჩვენთან,
ჩვენს კვალს ბარავდა,
პლანს გვიმოკლებდა.
ახლა კი არ ჩანს,
აღარ შემოგვხვდა,
ალბათ ისვენებს ბჟოლების ძირში,
მოხუცია და თუ დაიღალა.
ცოტაც და მოვრჩით,
ჩვენც გავიტანეთ კვალი უგრძესი.

ვხედავთ, გვიღიმის,
დგას თავის დარგულ ნორჩ ზღმარტლის ხესთან,
ხეს დასცვენია ყველა ფოთოლი,
წესით, ნაყოფიც არ უნდა ესხას,
მაგრამ რას ვხედავთ:
ჩვენ გასახარად
დახუნძლულია მწიფე ზღმარტლებით!
«აჰა, გასინჯეთ!» –
ამბობს ღიმილით,
მოუწყვეტია ორი თუ სამი და ჩვენკენ იშვერს.
ჩვენც, მწყურვალებმა,
კი არ ჩავკბიჩეთ,
ოდნავ მოვციცქნეთ და შევისრუტეთ,
პირი გავივსეთ ტკბილი ნაყოფით.
აქ გაგვახსენდა ზღმარტლზე თქმული
ერთი უხამსი გამოცანა ტრაკში კბენაზე,
იმერელი ბებია რომ გვიყვებოდა და,
ბევრი ვიცინეთ,
მამა კი წყვეტდა გატიკნულ ზღმარტლებს
და ჩვენ გვაჭმევდა,
საგანგებოდ შემოენახა თურმე ჩვენთვის,
არ დაეკრიფა.
ჩვენც ვერ ვძღებოდით,
ის კი ხარობდა,
თავის დარგულ პატარა ხესთან,
ისე ხარობდა, თითქოს თვითონ იყო ზღმარტლის ხე
და გვანაყრებდა თავის სხეულით,
თან იცინოდა, გვეხუმრებოდა:
«სულ არ შეჭამოთ, მეც დამიტოვეთ...»
გავა წლები და
მოგენატრება ეს დღე მზიანი,
ვენახის ბარვა,

მამა, რომელსაც ვერ დაეწიე,
და ის ზღმარტლის ხე...
გაგახსენდება,
კვალს კი გაიტან,
ბოლოშიც გახვალ იმის იმედად,
რომ იქ იქნება,
მაგრამ დაგვხვდება მხოლოდ ზღმარტლის ხე,
მამის დარგული, შაშვის ნაკენკი.
იქვე ჩაჯდები,
სიგარეტს მოწევ,
ოფლს შეიშრობ და დაელოდები:
შენც ხომ გყავს შვილი,
ახლოს რომ ბარავს,
ცდილობს დაწევას და ვერ გეწევა,
სხვა გზა არა გაქვს,
ვერაფერს შეცვლი,
მას უნდა დახვდე ვენახის ბოლოს
სავსე სევდით და მწიფე ზღმარტლებით...

ნათურა დღისით

ქალაქში, სადაც ვცხოვრობ,
მრავალკორპუსიანი შენობების ერთფეროვან სიმრავლეში,
სადაც მზიან დღეშიც კი ყველაფერი ნაცრისფერია,
როცა ვინმე ახალგაზრდა გარდაიცვლება,
ჩარჩოში ჩასმულ მის სურათს
სადარბაზოს კართან დაამაგრებენ,
გამოიყვანენ ელექტროსადენს და
შიშველი ნათურით გაანათებენ,
მერე კი, როცა მიცვალებულს სამუდამო სამყოფელს
მიუჩენენ,
სურათს აიღებენ,
დარჩება ანთებული ნათურა.
დღისით, ქალაქში
მრავალასართულიანი კორპუსის სადარბაზოსთან
ანთებული შიშველი ნათურა –
სიკვდილის ეს სახე
განსაკუთრებით შემზარავი და სევდიანია.
მწველი მზის ფონზე
ვოლფრამის წვრილ სპირალს
ვერავინ ამჩნევს,
როგორც შუქურას მზიან ამინდში –
აბსურდულსა და შინაარსისგან დაცლილს.
და ეს ნათურა –
არც სანთელი, არც დიოგენეს ფარანი,
უფრო ჩამქრალი ვარსკვლავის შუქია,
თვალს რომ ატყუებს.
აქ დრო გაჩერდა,
წუთებს და საათებს დაუკარგავთ მნიშვნელობა,
მხოლოდ კილოვატ/საათებს ითვლის დენის მრიცხველი,

თუმცა მალე ისიც გაჩერდება,
მალე მოხსნიან ნათურას,
ორმოც დღეს არ გადააცილებენ,
თუ მანამდე გაძლო 60 ვატიანი იაფი ნათურის
ვოლფრამის ძაფმა,
მისმა გამჭვირვალე, მრგვალმა სხეულმა
MADE IN CHINA რომ აწერია,
თუ მანამდე თავისით არ ჩაქრა,
არ გადაიწვა.

მავთულით შეკრული კუბო

ახალ სასაფლაოზე,
სადაც ისე შეუმჩნევლად იზრდებიან კვიპაროსები,
როგორც მიცვალებულის სახეზე წვერი და ხელზე ფრჩხილები,
დავკრძალეთ ლტოლვილი ნათესავი,
დავკრძალეთ ოცი წლის წინ გარდაცვლილი ლტოლვილი დედის გვერდით,
ნაომარი, სახლ-კარდამწვარი,
მტრის ტყვიით და მოყვრის სიტყვით ბევრჯერ დაჭრილი,
განაწამები ლოთობით და უმუშევრობით,
დამძიმებული ვალებით, მკერდმოკვეთილი ცოლის განმკითხავი მზერით,
თავი მოიკლა ნათესავთან შეკედლებულმა.
ადგა გამთენიისას, ძაღლი დააბა,
აჭამა და წყალი გამოუცვალა,
მერე ავიდა მეორე სართულზე,
ჩაწვა გაცივებულ ლოგინში და
მაჯასა და იდაყვს შორის,
სადაც ლურჯი, მსხვილი ასოებით ეწერა СУХУМИ,
მთელი ძალით დაისვა მონადირის დანა,
ძვლამდე ჩავიდა.
სისხლმა ამოხეთქა,
მერე დიდხანს იდინა,
საწოლს ქვემოთ გააჩინა მოზრდილი გუბე,
აწყალებულმა იპოვა გზა ფიცრებს შორის და
პირველ სართულზე, სამზარეულოში დაიწყო წვეთა,
ეწვეთებოდა პურით სავსე გობს,
ეწვეთებოდა პურს, როგორც წითელი ღვინო,
როგორც უფლის სისხლი დახაშმულ მიწას...

და ჭრილობის მსგავსად,
საფლავიც იყო შემზარავად პირდაფჩენილი,
ბოლო პატივი მიაგეს ნათესავებმა, სხვა ლტოლვილებმა,
მშობლის გვერდით გაუჭრეს მიწა,
ღრმად ამოთხარეს, როგორც მაშინ, ოცი წლის წინათ,
ორი თუ სამი მაშინაც თხრიდა,
ომი ახალი წაგებული იყო,
და თავსაც უფრო იოლად იტყუებდნენ,
კიდევ ვიომებთ,
ომით დაკარგულს ისევ ომით თუ დავიბრუნებთ,
არ დავრჩებითო.
და ნათესავმაც, სოხუმელმა, დღეს რომ ვკრძალავდით,
დედის ცხედართან დაიფიცა:
«აქ არ დაგტოვებ!»
და იაფ კუბოს, გათლილს ფიჭვისგან, დიდხანს რომ ვერ ძლებს,
მსხვილი მავთული შემოახვია.
ყველამ იცოდა ეს ამბავი, ყველას ახსოვდა,
ცრემლი დაღვარეს,
დაღვარეს ღვინოც და ლტოლვილების მანტრა უძალოც:
«ჩვენ დავბრუნდებით!» – ბევრჯერ თქვეს იმ დღეს,
მაგრამ სასახლეს ისე გაშორდნენ,
ისე გაავსეს სამარე მიწით,
რომ კუბოს შეკვრა
უჟანგავი, მტკიცე მავთულით
იმ დღეს არავის გახსენებია.

მარიამ წიკლაური

სოლიდარობა გაზაფხულს!

ადრე მიხდებოდა გაზაფხული,
ზუსტად მადგა.
არც ნაოჭები ზედმეტი, არც რუშები,
ყველა იოლად იხდენდა
და თვითონაც ბედნიერი იყო გაზაფხული.
კიდურებს შუამდე გააშიშვლებდა,
პალტოს სიმძიმეს შეათხელებდა,
ლაბადების ჯიბეებში ჩაგიყოფდა თბილ ხელს,
მოგიჭერდა და გულს,
რომელიც მკვდარი იყო მთელი ზამთარი,
ხელოვნური სუნთქვის წყალობით ააძგერებდა.
დღეებიც აკლდა მის თვეებს, როგორც
სარძევე კბილის მონაცვალის სიცარიელე.
გადიოდა და გამოდოდა სიხარულის ქარი
შტვენით ამ დღეების სინაკლულეში,
დიდად არავინ ეპუებოდა,
ან რა ჭკუას მოჰკითხავდი მას,
არც 9 მარტის და არც 9 აპრილის არაფერი გაეგო ჯერაც,
რის 26 მაისი, ანდა?!
25 თებერვლისას კი მას ვინ ჰკითხავდა –
ეს წინასწარ ჩადებული სიკვდილის მზითვი
არც ენახა თვალით გაზაფხულს.
მიამიტი იყო ძალიან,
მოიტანდა ცის ლურჯ შპალიერს,
მიხატავდა,მოხატავდა მზისფრად ყველაფერს,
ეგონა, მხოლოდ სიყვარულის დასაფეთებლად,
ყვავილების წამოსაყრელად,
და ხეების გასამწვანებლად გამოამგზავრეს,
ეგონა, რომ უიმისოდ

არ გალღვებოდა ნაკადულის გამჭვირვალე ბორკილები
საბავშვო ლექსში,
ეგონა, რომ მძლევარის ფრთას აძლევდა ძალას,
შოშიას, მერცხალს, გვრიტს, შაშვს, ნამგალებს
ბუდეების გასამართად დასჭირდებოდათ იმისი თავი,
ეგონა, რომ საბრალო გლეხს ძვლებს გაუთბობდა,
მარცვალს მიწიდან იმედით ამოიყვანდა.
მაინც როგორი მიამიტი იყო, კეკელა,
ვაზის ყველა ცრემლს სასიცოცხლე ძალას ურევდა,
დიდი-დიდი, გიჟმარტობას ერთი-ორჯერ
სადმე თოვლში ეტუცა ფეხი და იქაც იას გადაჰყროდა,
ან ფურისულას, შიშით შეშლილს, ნეშოში შემძვრალს.
სხვა რა?! აბა, რა?!
ახლა მოდის ზამთრის ქვრივივით,
ვეღარც იხდენ, ვეღარც უბედავ,
სიყვარულისთვის გულის პეშვი გაუწოდო
ან გადაიცვა და გახვიდეთ
ერთად ქუჩაში სახეტიალოდ.
ახლა მაგას სხვა აქვს ფიქრი,
ათასი საქმე აბარია:
ურბანიზმის კომერციას უნდა მიხედოს,
ბრენდებს, ჩვენებებს აურიოს ფერები და
გამოიყაროს ტანზე დიდი სისხლისფერი კვირტების
დარდი,
საპარლამენტო სესიები აქვს გასამართი,
სააქციო და კვარტლური ანგარიშები,
სეზონური დახლების ხორკლი,
დიეტები, მელირებები...
მოდის, მაგრამ რა?!
ვინღა ჰკითხავს ან სიყვარულზე,
ან «მამულის აყვავებაზე»,
ან მოჩითული კაბების კერვას,

ან ყანისას, ან ვაზისას, ან მძლევარისას...
ჩვევას რა ვუყოთ, თორემ გაზაფხულს,
როგორც ჩვენს ტყვეს,
სასეიროდ დავატარებთ ქალაქის ცენტრში,
გაფიცულები ვართ ყველანი,
შიმშილობის აქციების მონაწილეთა ულტიმატუმს
დამსგავსებია
«ყველაფერი ან არაფერი!»
სოლიდარობა გაზაფხულებს!
მათ არ უხდებათ ცრემლი, სიკვდილი.
ისინი ღმერთმა გულისათვის ჩაიფიქრა,
ჩვენ კი ლამის წელში გავწყვიტოთ –
ისევ მამულის ასაყვავებელ მითიურ დროდ გვესახება
ეს კაფანდარა და გიჟმაჟი გოგო, ვისთვისაც
ჯერაც არავის უკოცნია კვირტების გარდა.
გავატაროთ თავისუფლად გულის საბაჟო,
ნურც ზედმეტს მოვთხოვთ.
თავისუფლება გაზაფხულებს!
თავისუფლება!
თავისუფლება!
თავისუფლება!

2017

ქუჩის გადაჭრა

განიერი, ფართო ქუჩაა.
შეიძლება რომელიმე მეგაპოლისში
ჩიხი იყოს ამხელა მხოლოდ.
შეიძლება ხელისგულზე სწორედ ამ ქუჩამ
დაიტიოს გაშლილი დაბა ან სოფელი
თავისი სკოლით, ეკლესიით და ქვრივის ქოხით,
რომლის ბილიკსაც ადევს ვეტო მრავალძარღვების.
ასეთ ქუჩებზე სულ უბერავს ორპირი ქარი.
გააქვს, გამოაქვს სიზმრის სმოგი,
გამონაბოლქვი ცხადის ათასი საკვამურისა,
გამწმენდი რომ არ უმუშავებს.
ამ ქუჩაზე არც ზებრაა, არც ორფერა შუქნიშნები,
აშვერილები ცრუ იმედებად,
ხან ისე ვიწრო მოგეჩვენება ამ ქუჩის სივრცე,
გეგონება, ერთი სკუპი და, გადაჭერი მთელი სიცოცხლე.
არა. ეს მხოლოდ ნატვრა არის, რომ გადახვიდე,
თან უსაფრთხოდ, თან უსიკვდილოდ –
გადახვიდე, გადახვიდე, გადააღწიო,
ჩრდილოეთ მხრიდან სამხრეთის მხრისკენ,
სადაც ხეებიც სამი კვირით ლამის ადრე იკვირტებიან,
სადაც ფიქრობ, რომ
აუცილებლად უკეთესად იგრძნობ თავს თუნდ მზით,
სადაც ყინულიც ადრე დნება და
ნაწვიმარიც მალევე შრება,
სული ყელში გაქვს, გეჩქარება, სად, არც ეგ იცი, რადგან
უბრალოდ,
ვერ გადადიხარ...
იქ ხომ სულ სხვა, სულ სხვა იქნები!
თავსაც ვერ იცნობ,

მაგრამ აქეთ, სადაც ახლა ხარ,
უკვე ნაჩვევი ყინულს, ჩრდილებს, ცივ ქარს, სიჩუმეს,
თავდახრილმა შენივე ტერფით უნდა უთბო მიწას გული,
სუნთქვით უთბო ჰაერს სხეული,
მზერით კვირტი გამოასხა ხეს,
სმენა აივსო არარსებული ჩიტის გალობით,
მაინც იარო და იოცნებო, ქუჩის მეორე მხარეს როდის
შეძლებ გადასვლას...
რომ ისეთი გახდე, როგორიც გგონია, ხარ და
იქით წახვიდე, საითაც მიდის შენი მეორე,
საიდუმლო სული, მალულად.
იქითა მხარეს, ლამაზ ვიტრინებს
შეუძლიათ შენი ჩრდილების ასხმა მძივებად.
იქითა მხარეს, თბილ ფილაქნებზე
ნაბიჯები კალიებივით მსუბუქად ხტიან.
იქითა მხარეს ქარმა იცის სულ სხვანაირი მოლამუნება
წვივზეც, ყელზეც, შიშველ მკლავებზეც.
აი, ასე უმეტაფოროდ,
დგახარ და ელი, ახლა, აი, ახლა შეწყდება
რკინის მდინარისზვირთები და
გადაირბენ ისე იოლად,
შიში, კი როგორც გამჭვირვალე ჰაერის ბუშტი,
გიჭირავს ხელში,
რომ გადასვლისას, იქ მომლოდინე შენს თავს აჩუქო...

3. პროზა

ალეკო შუღლაძე

B2 ვაგონი (ეპიზოდი რომანიდან „შეპყრობილნი“)

შიშვლები ვიწექით და თავს ვიკავებდი, ვნების ახალ ტალღას რომ არ წამოევლო. აღგზნებას რაიმე მეტაფიზიკური საკითხის განხილვა თუ ჩამიწყნარებდა. ამიტომ ჩემს საქმიანობას შევეხე და ვერკას ვუთხარი, ირკუტსკში ექსპედიციას ველოდები, ჩრდილოეთისკენ უნდა წავიდეთ, ძველი ცივილიზაციის საძებნად-მეთქი. ინტერესის სხვა სფეროებზეც ვისაუბრეთ და განწყობა გამომიკეთდა. თუ ქალს ვერ ჟიმავ, მაშინ რელიგიას უნდა მიაწვე და შენს რწმენაზე მოაქციო – იმედგაცრუებას თითქმის სრულად გადაგიფარავს.

– აი, ქრისტიანებს იესო ჰყავთ, მუსულმანებს კიდევ – მუჰამედი. ინდოელებს ჰყავთ ეგეთი ვინმე? – მკითხა ვერონიკამ. ისე მეხუტებოდა, თითქოს მანამდე დაუვიწყარი სექსი გვქონდა და ახლა, როგორც თავის მამაკაცს, ბოლომდე მიშინაურდებოდა. მის სუნთქვას მკერდის ბუსუსებით შევიგრძნობდი. კარდიოლოგიურ კლინიკაში მრავალთვიანი წვალებისას, ტანზე სხვადასხვანაირ სამედიცინო ხელსაწყოებს მამაგრებდნენ და მკერდის გაპარსვას სწორედ მაშინ დავეჩვიე. თავს ცხვარივით ვიკრეჭდი და ეს პროცესი ძალიან მხიბლავდა. განსაკუთრებით მომწონდა ბოლოს საკუთარ სლიკინა კანზე ხელის გასმა-მიტყაპუნება.

– ინდოელებს ჩაიტანია ჰყავდათ.

– როდის?

– 500 წლის წინ.

– და რას აკეთებდა?

– ცეკვავდა და მღეროდა.

– მეხუმრები?

– არა, მართლა ეგრე იყო.

წამოიწია და შემომხედა. სანამ მისი ცისფერი მზერით ვტკბებოდი, ის ჩემს გონებაში დაფათურობდა.

– ინდოეთში უყვართ ცეკვა-თამაში, – ვუთხარი.

– საინტერესო ვინმე იქნებოდა.

– მაღალი იყო, გრძელი, მუხლებამდე ხელები ჰქონდა და ლამაზი, შავი თმა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბოლომდე გადაიპარსა. პარიკმახერს ხელი უკანკალებდა, ძლივს კრეჭდა... თან ტიროდა. შემდეგ ყვირილით გაიქცა და პარიკმახერობას თავი დაანება.

ჩაიტანიამ კი სიმღერა დაიწყო და ყველა აჰყვა. არავინ დარჩენილა, რომ არ ემღერა. ნელ-ნელა ექსტაზში შევიდნენ და გიჟურ ცეკვაში გადაეშვნენ. ყველაზე ძლიერ ტრანსში მყოფნი დიდ ხეებს ეჭიდებოდნენ და მიწიდან ძირფესვიანად თხრიდნენ – ერთ ჯერზე, სწრაფად, ერთი ამოწევით.

– გაგიჟდნენ, თუ რა დაემართათ?

– სხვებს ეგონათ, გაგიჟდნენო, მაგრამ ესენი კარგად იყვნენ.

– ხეები ცოდო არ იყო?

ვაჰ, ეს ქალის ბუნება.

– ხეები უკან ჩარგეს, – დავამშვიდე, – მორწყეს და უფრო გაიხარა.

– ამოგლეჯილი ხე როგორღა გაიხარებდა?

– რა უფრო გიკვირს, ხეებს რომ გლეჯდნენ, თუ თავიდან ჩარგულები რომ ხარობდნენ?

– რომ გლეჯდნენ.

– ჰოდა, რაც უფრო საკვირველია, ჯერ ის გაიოცე, რა.

– კიდევ ვინ იყო?

– კიდევ... – დავფიქრდი, – შანკარა ცხოვრობდა მანამდე. VIII საუკუნეში.

– შანკარა რას აკეთებდა, ისიც ცეკვავდა?

– შანკარამ თქვა, ყველანი ღმერთები ვართო.

– მართლა? დაუჯერეს მერე?

– კი, დაუჯერეს.

– თუ ყველა ღმერთია, ადამიანი ვინღაა?

– იცი, ერთმა ბუდისტმა ბერმა არ დაუჯერა და უთხრა, იცი, რას გეტყვი, შანკარჯი: მოდი, ნუ ატრაკებ რაო.

– უზრდელი ბერი ყოფილა.

– არა, ზრდილობიანი ბუდისტი იყო. მე გავამძაფრე. «ნუ ატრაკებო», ასე არ უთქვამს. კულტურულად ეახლა და შანკარა კამათში გამოიწვია.

– ბუდისტი რას აწვებოდა?

– ზუსტად არ ვიცი. მგონი, იმას ამბობდა, ისე უნდა მოვკვდეთ, საერთოდ გავქრეთო.

– აუ, ეგ ვერსია მომწონს.

– გინდა, არა, სულ რომ გაქრე?

– კი, ძალიან მინდა. აღარ ვიფიქრებდი. არც მთვრალ მამას ვნახავდი.

– ბუდისტი გახდი.

– არ ვიცი ჯერ. პაექრობა როგორ დამთავრდა?

– ამბობენ, ბუდისტმა აჯობა და შანკარამ თავი მოიკლა, ადუღებულ კუპრში ჩახტაო.

– რა სიმხეცეა!

– თავისით ჩახტა, კი არ ჩაუგდიათ.

– ხო, მაგრამ მაინც. მანამდე ვინ იყო?

– მანამდე კრიშნა.

– კრიშნა გამიგია.

– პატარა იყო, შავგვრემანი, სხარტი, კარაქს იპარავდა, ფლეიტაზე უკრავდა და ათასთავიანი გველის თავზე ცეკვავდა.

– მითია არა, ეგ?

– ინდოეთში მითხრეს, ნაღდიაო. იქ სჯერათ ეგეთი რაღაცების.

– კიდევ რისი სჯერათ?

– იმისი სჯერათ, რომ მდინარე განგი ზეციდან ეშვება და თანაც ისეთი ნაკადით, რომ შივამ თავი თუ არ დაუხვედრა, ყველაფერს წალეკავს. განგი შივას თმაში იხლართება, იტოტება, მშვიდდება და შემდეგ ასე დაწყნარებული მიედინება დედამიწაზე.

– ეგ ალბათ ზღაპარია, არა? ათასთავიანი გველი ვის უნახავს? ჩვენთანაც ხომ არის ეგეთი რამე, ზღვიდან და

მიწიდან შვიდთავიანი და რვათავიანი ურჩხულები რომ ამოდიან. არც ის ურჩხულები უნახავს ვინმეს. სასწაულის მომსწრენიც არ არსებობენ და აბა, როგორ უნდა დავიჯერო? ნამდვილი ჯადოქრობა ძველ ხანაში ხდებოდა, დღეს სამყარო გულგრილობამ შეიპყრო. წმინდანების არსებობის დრო და ადგილი მხოლოდ წარსულშია. თითქოს ზოგიერთი სულ რაღაც წლების წინ ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ვერ შევხვდით, ვერ შევეხეთ. ისღა დაგვრჩენია, ვიძახოთ, აი, მაშინ იყო თუ იყოო.

– ჰო, მეც მიფიქრია მაგაზე.

– ამბობენ, უკვე ღირსნიც აღარ ვართ, თავს რომ რაიმე საოცრება გადაგვხდესო. ისინიც კი, ვისაც დღევანდელობის წმინდანებად აღიარებენ, წარსულს მისტირიან და ძველი ეპოქის საგმირო საქმეებზე გვიყვებიან.

– ეტყობა, სასწაულს დრო სჭირდება, რომ დამკვიდრდეს. თანაც, ეგ ხომ ცოცხალ შინაურებზე ზეგავლენას ვერ ახდენს. მხოლოდ უცნობებზე და მომავალ თაობაზე მუშაობს და ისიც, კარგად ორგანიზებული პიარის შემთხვევაში.

– შარავანდედიანი ღვთისმოსავები აღარ არსებობენ. სამაგიეროდ, მათი ნივთები შემოგვრჩა და ამ საგნებით უნდა ვირწმუნოთ ისინი.

– რა ვიცით, რომ მათი ნივთებია? იქნებ სხვისია?

– ამბობენ, მთავარია, ირწმუნო და სხვისიც რომ იყოს, იგივე ძალა ექნებაო.

– მთავარი ნივთი კი არა, რწმენა ყოფილა.

– რაღაცნაირად, მაინც საწყენია, რომელიმე ნივთს, როგორც მორწმუნეთა მფარველის ნაქონს, ისე რომ შემოგასაღებენ. თან, მოწმის არარსებობის შემთხვევაში, ვერც შეეწინააღმდეგები.

– რა გამოდის, ეს ჩემი გაცრეცილი, ბრეტელებიანი ღამის პერანგი წმინდანისაში რომ აერიოთ, მაინც უძლიერესი რამ იქნება? – წამოვიყვირე, – ურწმუნონი უნდა გავხდეთ, გული უნდა ავიცრუოთ. ვაღიაროთ, რომ წარსულის წმინდანები რეალურად არ არსებობენ. თუ ზემოთ ვინმე კიდევ არის, ვისაც ვუყვარვართ და გული შესტკივა ჩვენ გამო, სხვა გამოსავალი აღარ ექნება, ადგება და დაგვეხმარება. სხვანაირად, დაგვკარგავს. როცა იმის რწმენა გაქვს, რაც არასდროს გინახავს, შენ გამო თავს აღარავინ იტკიებს. წადი, იცხოვრე მარტო რწმენით. და რადგან ჯადოსნური არაფერი გადაგხდომია, ისღა დაგრჩენია, რომ ათასწლეულები მხოლოდ საკუთარი მორჩილებით იამაყო. მეტი არაფერი გაბადია და უკვე გულგრილობით გამომშრალ არსებად ხარ ქცეული. მეამბოხე სული ყოველთვის მეტ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებდა, ვიდრე მორჩილი. მეამბოხე ადამიანი ყველას ახსოვს. მასზე ლეგენდებს ჰყვებიან, მისაბაძი ხდება. აჯანყებული სულის დასაწყნარებლად ზეციდან ანგელოზებს აგზავნიან. მაშინ, როცა დამჯერი კაცი საუკუნეობრივი დავიწყებისთვის არის განწირული. მისი შემგუებლობა უინტერესოა, მგონი, თვით ღმერთისთვისაც კი. შეუპოვარი დემონი უნდა იყო, ანგელოზს რომ გადაეყარო, ორთაბრძოლისას მაინც.

– ინდოეთში რა დაგკარგვია?

– არაფერს ჰგავს. თითქოს ქაოსია, მაგრამ გულში სიმშვიდეა.

– აქ, ჩვენთან, გარეთ სიმშვიდე და გულში ტკივილია. მაინტერესებს ინდოეთი, მაგათი კაბები მომწონს. მომიყევი რამე.

– რა მოგიყვე?

– რაც გადაგხდა, რამე უცნაური ამბავი.

მიყვარს, ისტორიებს რომ მაყოლებენ. აუდიტორიის წინაშე სასაცილო ამბების მოყოლა ამართლებს. ერთხელ პირველ არხზე დამპატიჟეს, დილაუთენია უნდა მეხუმრა. თავიდან პირდაპირ ეთერში კისკისი მიდიოდა და მერე სწორედ ის აზრი მომივიდა, უცაბედად რაღაც უზრდელობა რომ უნდა წამოიყვირო: «ტრაკში თითი! ჰა-მეთქი, თითი ტრაკში!» ამ დროს ოპერატორმა წამყვანის სახე უნდა გვიჩვენოს. არა, პირადად კი არაფერს ვერჩი, უბრალოდ, სპონტანურად წამოსროლილი, დაუგეგმავი ოხუნჯობა უფრო ამართლებს. მწყინს, რომ ვერ გავრისკე. თავი ხელში ავიყვანე და დავსერიოზულდი. შესაბამისად, ფილოსოფიური მსჯელობისკენ გადავიხარე და დიალაადრიანი პანაშვიდი მივიღეთ.

– რატომ გაჩუმდი, გეზარება?

– B2 ვაგონის ისტორიას მოგიყვები.

– აუ, ასწორებს. მიდი.

– ქალაქ მათჰურის რკინიგზის სადგურის პლატფორმაზე იმ ადგილს ვეძებდით, სადაც ნახევარი საათის მერე ჰარიდვარისკენ მიმავალი მატარებლის B2 ვაგონი უნდა გაჩერებულიყო. ადგილის წინასწარ პოვნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მატარებელი ბევრი ვაგონისგან შედგებოდა, ამ სადგურში ორ წუთზე მეტხანს არ ჩერდებოდა და ზუსტ ადგილზე თუ არ დავდგებოდით,

დიდი ალბათობით ვაგონამდე მირბენას ვერ მოვასწრებდით. მხოლოდ ერთადერთი ინფორმაცია მოგვეპოვებოდა: მატარებელს A ვაგონები არ ჰქონდა და ათვლა სწორედ B-დან იწყებოდა: B1, B2... და ა.შ.

ოთხნი ვიყავით: მე, პაველ რომანოვი და რუსი ქალი ბავშვით. არც მე და არც პაშამ არ ვიცოდით, ვინ იყო ქალი ბავშვით. Uბრალოდ, ჩვენთან ერთად აღმოჩნდა რაღაც ეპიზოდის მერე და...

– რა ზღაპარს ჰყვები, ნამდვილი ამბავი მომიყევი, – გამიპროტესტა ვერონიკამ, – რას ნიშნავს, «არ ვიცოდით, ვინ იყო ქალი ბავშვით»!

– საერთოდ არ მოგიყვები არაფერს.

– აი დარდი, ნუ მომიყვები.

– იმ ქალს მართლა არ ვიცნობდით, ვაგზლისკენ მიმავალნი გადავეყარეთ და გვთხოვა, მეც წამიყვანეთო.

– კარგი, დაგიჯერე. განაგრძე.

– ინდოეთში ბაქანზე რაიმეს კითხვა და ინფორმაციის მოძიება აბსოლუტური წყლის ნაყვაა. მაგრამ დამღლელი გამოთვლებით საკუთარი თავის შეცდომაში შეყვანას, სჯობს, თავი სხვას ნატიფად მოატყუებინო და მოგვიანებით შენი უბედურება მას გადააბრალო. სწორედ ამიტომ, სადგურის ბაქანზე ბოლთისმცემელი, მაღალი, წარმოსადეგი სადგურის მუშაკისადმი დადებითად განვეწყვეთ და რჩევისთვის მივმართეთ. ეჭვი არ შეგეპაროთ, აი, აქ გაჩერდებაო, – დაგვარწმუნა შედარებით ღია კანის მქონე ინდოელმა და სადაც იდგა, იმ ადგილზე მიგვითითა. კი გავიფიქრე, ასე ზუსტად სწორ ადგილზე როგორ მოვხვდით-მეთქი და ეგრევე გავშიფრე – ვაგზლის

კაცი ბაქანის ნებისმიერ სხვა ადგილზეც იგივეს გვეტყოდა. ასეთი პირდაპირი ტყუილიც არ გვაწყობდა.

– ერთი წამით, რა, – გამაწყვეტინა ვერონიკამ, – ასე მხატვრულად რატომ ჰყვები? არ შეგიძლია, ჩვეულებრივად ილაპარაკო?

– იმიტომ, რომ ამბავს უხდება, – სერიოზულობას სძენს.

– თუ ეგრეა, მაშინ განაგრძე.

– რადგან პასუხში ტყუილი ეგრევე ამოვიცანით, გადავწყვიტეთ, უფრო მეტად დამაჯერებელი მატყუარა გვეპოვა და ისეთი სიცრუე მოგვესმინა, რომელიც დროში გაგვეჭიმებოდა. ამის გავიფიქრება და ვაგზლის მეორე კაცის გამოჩენა ერთი იყო. როგორც თეატრში, ის სწორედ დროულად შემოვიდა სცენაზე და ისე შეგვათვალიერა, ვითომ ჩვენი დარდი არც ჰქონდა. არადა, ხომ ვიცოდით, ჩვენი გაცურების მოლოდინში უკვე გულ-მუცელი უდუღდა. აქ ტყუილად დაყუდებულხართო, თქვა მან. თავი სადღაც შორს გაიქნია და დასძინა, იქით უნდა დადგეთო. «ამან რომ გვითხრა, აქ იყავითო?» – ვკითხეთ გამომცდელად. მაშინ აქ იდექით და ელოდეთო. რადგან ინიციატივა მის მხარეზე იყო, როგორც გამოჩნდა, ეგრევე უცბად გაქრა – ანუ ელვისებურად დაგვიკიდა. ცხადია, ფეხი არ მოგვიცვლია, მაგრამ შფოთმა და ნერვულმა ნერწყვის ყლაპვამ იჩინა ჩვენში თავი.

«– უკაცრავად მატაჯი,» – მივმართეთ მობაჯბაჯე მსუქან ქალბატონს, – «აბა, საიდან უნდა იცოდეთ, სად ჩერდება B2, მაგრამ დავუშვათ და, იცით. ხომ ვერ გვეტყვით, სად ველოდოთ, თავ-პირი რომ არ ვიმტვრიოთ შემდეგ სირბილით.»

«– აქ ჩერდება B2, – გაგვიღიმა პუტკუნამ, – მე თვითონ B1 მაქვს, და თქვენც იქვე იქნებით, გვერდით.»

შენ გაგახაროს კრიშნამ, დავლოცეთ და იქვე დავბანაკდით.

ცხადია, ეს ქალბატონიც გვატყუებდა, მაგრამ მისი აფერა გაცილებით უფრო დამაჯერებელი და, რაც მთავარია, ნატიფი გვეჩვენა. არანაირი ბილეთი მას არ ჰქონდა – არც B1-ის, არც სხვა ვაგონის. და საერთოდ, რომელიმე ტრანსპორტის ბილეთი როდის ედო ბოლოს ჯიბეში, სანაძლეოზეც ვერ გაიხსენებდა. მარტივი გეგმა ექნებოდა: ნებისმიერ ვაგონს უნდა შეხტომოდა და იქ პატარა სივრცე ეპოვა. შემდეგ მიწოლ-მიწოლით და სხეულის სპეციალური პოზების მიღებით სივრცის გაფართოებაზე ეზრუნა.

იქნებ მართლა აქვს B1-ის ბილეთიო, იკითხა რუსმა ქალმა და ამან ჩვენში კიდევ უფრო გაამყარა სიმართლედ ტრანფორმირებული ილუზია. სრული ბედნიერებისთვის ჩანთიდან ბოსტნეულის ცხარე პარათები ამოვაცურეთ და დამშვიდებულებმა გემრიელად დავიწყეთ ლუკმვა.

მაგრამ ათი წუთის მერე აღმოვაჩინეთ, რომ პუტკუნა გამქრალიყო. ღეალურად, ჩვენ თვალწინ რომ აორთქლებულიყო, ეს მოვლენა ისე არ დაგვზაფრავდა – ხომ გესმის, ინდოეთია მაინც. ბავშვის ნათქვამმა შეგვაშფოთა, დავინახე, თავისი ფეხით, მოპირისპირე მხარეს როგორ გაცუნცულდაო. ღალატს ჰქონდა ადგილი. ველოდეთ, მაგრამ აღარ დაბრუნდა და აღარ დაბრუნდა. არადა, მატარებელი, სადაცაა, შემოვიდოდა.

«– რატომ წავიდა იქით? – იკითხა პაშამ, – არავინ იცით?»

«– იქნებ დაბრუნდეს, – თქვა ბავშვიანმა ქალმა, – საპირფარეშოში წავიდა ალბათ.»

«– ახლა ნამდვილად აღარ გვაწყობს B1-ის ბილეთი ჯიბეში რომ ედოს, რადგან ეს არჩეული ადგილის სისწორეში დაგვაეჭვებს, – ვთქვი მე, – მაგრამ, როგორც გახსოვთ, თავიდანვე დარწმუნებულები ვიყავით, რომ ქალბატონს ბილეთი საერთოდ არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მისი გაუჩინარება ნაკლებად სადარდებელია.»

ამ დროს კიდევ ერთ ფორმიანს მოვკარით თვალი. ძალიან გრძელი თოფი ეკიდა – პოლიციელს ჰგავდა.

ჩვენს კითხვაზე ჩაეცინა, ეგ ცოტა რთული ამბავიაო. რატომ-მეთქი. იმიტომ, რომ მატარებელს ორივე მხრიდან შეუძლია შემოსვლა. თუ მარცხნიდან შემოვა, მაშინ B2 აქ აღმოჩნდება, თუ – მარჯვნიდან, მაშინ აგეეეე, იქითო. ხოდა, გაიგეთ, საიდან შემოდის ეგ თქვენი მატარებელი, განა ასე რთულიაო, მიაწვა პაველი. სირთულე იმაშიცაა, რომ ხან თავით შემოდის, ანუ წინ ელმავალი მოუძღვის, ხან კიდევ უკანა სვლითო, თქვა პოლიციელმა. შესაბამისად, ოთხი ვარიანტია. ეგ ოთხი ვარიანტი ორამდე დადის-მეთქი და დიახო, სწრაფად დამეთანხმა. ინდოელები გამჭრიახნი არიან, პირი დაღებაც არ გჭირდება, ისედაც ხვდებიან, რის თქმას აპირებ.

მატარებლის შემოსვლის ბევრი ვარიანტი არც იყო საჭირო, ორი ვერსიაც გვარიანად გვაბნევდა. შემდეგ რომელი მიმართულებით მიდის, ეგ თუ იცის-მეთქი ვინმემ. მიმართულებით უეჭველი ჩრდილოეთით მიდისო. აი, იქით, გზაჯვარედინია, სადაც ელმავალი ჩრდილოეთის მიმართულებით დგება და შემდეგ წავა და დაუბერავსო. ბოლოში კი პოლიციელმა თავისი განწირულობის თეორია უმძიმესი დებულებით დაგვიგვირგვინა. მან თქვა, გარტყმაზეაო. ერთი ვარიანტი აარჩიეთ და იქნებ გაგიმართლოთო. თუ ვერ გამოიცანით, აქ დარჩებითო.

პულსაჩქარებული რელსებთან მივედი და გადავიხედე: ორგანზომილებიან სივრცეს გადავყურებდი. თითქოს სიმარტივეს ვგრძნობდი: ან აქეთ, ან იქით. მაგრამ სინამდვილეში საით?

მაშინ რომანოვმა პოლიციელს ჰკითხა: რატომ თქვი, «აქ დარჩებითო»?

«– ვითომ არ იცი, რა, რატომაც თქვა, – ვუპასუხე პაველს გაღიზიანებულმა, – ერთი ბოლოდან მეორეში გადარბენის შანსი არ გვაქვს და მაგიტომაც თქვა.» თან პოლიციელს გადავხედე და მიუხედავად იმისა, რომ მეგობარს რუსულად ვუპასუხე, ინდოელმა დასტურის ნიშნად თავი გვერდით გადააქნია. მაშინ ქალმა თქვა, მივხვდი, შუაში უნდა დავდგეთ, ორივე ბოლოსთან ერთნაირი მანძილი რომ გვაშორებდესო. ეგ კარგი იდეაოო, დაეთანხმა ფორმიანი კაცი.

«– გამოდის,რომ ნახევარი გზის გარბენა ყველა ვარიანტში მოგვიწევს. ან ერთი, ან მეორე მიმართულებით,» – ჩავილაპარაკე ნირწამხდარმა.

პოლიციელმა მხრები აიჩეჩა: რომელი სჯობს, ერთი კონკრეტული მხარე აირჩიო და გამგზავრების შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზე გქონდეს – ვაგონში ან ახვალ, ან ვერა, თუ – ირბინო და მატარებელს შეახტეო. ცხადია, სირბილი და შეხტომა გვირჩევნიაო, თქვა ბავშვიანმა ქალმა. ხოდა, გონიერი მგზავრი სწორედ მაგ დასკვნამდე მიდისო, გვითხრა თოფიანმა და წავიდა.

შუაში გადავედით და იქ დავდექით. დარწმუნებულები არ ვიყავით, ზუსტად შუაში რომ ვიმყოფებოდით. აბა, როგორ უნდა გამოგვეთვალა? მაგრამ არაუშავს, შანსები ხომ მაინც

მეტ-ნაკლებად გავათანაბრეთ. თუმცა ინდოეთი რისი ინდოეთია, ბოლომდე რომ არ გაგაოცოს.

– რა მოხდა? – სწრაფად მკითხა ვერკამ. ესე იგი, ყურადღებით მისმენდა.

– პლატფორმა ცარიელი რომ ყოფილიყო, მაშინ კი მოვასწრებდით შუიდან რომელიმე ბოლოში გადარბენას. მაგრამ პერონი ხალხით იყო სავსე. ამდენი მგზავრი არასოდეს მინახავს. ამ მასის გარღვევას დრო დასჭირდებოდა. ყველანი შუაში რომ ვმდგარიყავით, მაშინ ერთი ნახევარი მარცხნივ გაიქცეოდა, მეორე მარჯვნივ. მაგრამ ინდოელ ფილოსოფოს-პოლიციელის პრაგმატულ თეორიას ყველა არ იცნობდა და უმეტესობამ ორ სხვადასხვა ბოლოში დგომა ამჯობინა. ვიღაცამ დაიყვირა, მოდისო და თან დაფხრეწილი დინამიკიდანაც მგონი, იგივე გამოაცხადეს. ადამიანები ანერვიულდნენ და საშინელი მოცულობის დასკოტჩილი ფუთები თავზე შემოიდეს. წინ სანდომიანი სახის კაცმა ჩამირბინა და სახეში რაღაც ჩამყვირა. ასე მეგონა, გაიძახოდა, ამ მატარებელში B2 ვაგონი საერთოდ არ არისო...

შემდეგ ვაგზლური აპოკალიფსი დაიწყო. მატარებელი შემოგუგუნდა და B2-მა ისეთი ჩაგვიწუილა, რომ ამ მორწმუნე ხალხმა, ყველამ ერთხმად შევიგინეთ და დავედევნეთ. დავინახეთ ადამიანთა ნაკადი, ზვავი ინდოელებისა, რომელიც საკუთარი ვაგონის, B1-ის მოსაძებნად ჩვენკენ მორბოდა. მე დავიყვირე: პა...

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

– ვინ უნდა იყოს? – ჩავილაპარაკე შეშფოთებულმა. მე და ვერკას თითქოს ყველაფერი მოსწრებული გვქონდა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ვერც ვერაფერი მოვასწარით და

უფრო მეტიც, ქალი ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა და სანამ გული ისევ მოულბებოდა, მანამდე ექსპედიციებში უნდა მევლო და ტიბეტელი ქალებისთვის მეპაჭუნებინა თვალები. ახლა ეგ მაკლდა კიდევ, ისედაც დაჩაგრულ ქალთან არარსებულ სექსზე რომ წავესწარი ვინმეს.

მაგრამ კაკუნი მაინც არ მესიამოვნა. რაღაც ხო მაინც გვქონდა: ძუძუზე ვაკოცე და რამდენიმე წამი ზემოდანაც ვაწექი. კინაღამ ბიკინიც კი ჩავხადე.

– ალინაა ალბათ, – თქვა ვერონიკამ და წამოდგა. ზემოდან ჩემი პერანგი ჩაიცვა. მოქმედება ისე ვითარდებოდა, როგორც ცენზურით დაკომპლექსებულ საბჭოთა კინოში, სადაც ჟიმაობის სცენა ყოველთვის ამოჭრილი იყო. მაშინდელ ფილმებში პერსონაჟები პალტოებში კოცნაობდნენ და თუ ლოგინის სცენებში ზოგიერთები წელსზემოთ შიშვლდებოდნენ კიდეც, ის განცდა, რომ ქვემოდან სქელი ფოხანები ეცვათ, არ გვტოვებდა. ახალგაზრდებს და გამოუცდელ დიდებს გვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მომავალში ჩვენც შეგვეძლო გვეტყნაურა ისე, რომ ტანსაცმელი საერთოდ არ გაგვეხადა. როგორც ჩანს, ეს ილუზია და სექსისადმი შიში კაცობრიობის კავკასიურ ნაწილს კიდევ დიდხანს გაგვყვება.

საწოლიდან კარი არ ჩანდა, მაგრამ ლაპარაკზე მივხვდი, რომ ქალს ესაუბრებოდა. მალევე დაბრუნდა და ისევ ლოგინში შემომიწვა.

– ალინა იყო? – ვკითხე.

– ჰო, გასაღები უნდოდა.

– არ გაუკვირდა, აქ რომ გნახა?

– მე თვითონ ვუთხარი, აქ რომ ვიყავი და რატო გაუკვირდებოდა?

გამოდის, ალინას ეგონა, რომ აქ ვჟიმაობდით. ანუ ჩემი ქალი სასტუმროს მთელ პერსონალში, თავის სტუმრებიანად და, შესაძლოა, ირკუტსკის მოსახლეობის რომელიღაც ნაწილშიც, მამისტოლა კაცთან სექსის მისტიფიკაციას ქმნიდა. თუმცა მეტს რას უნდა გამოვრჩენოდი? როგორც ჩანს, 50 დოლარი მხოლოდ მასტურბაციას ჰყოფნიდა, ისიც თვითმომსახურების ფორმით.

– მატარებელში არასოდეს ვმჯდარვარ, – თქვა ვერონიკამ, – ჩემი ბებია იჯდა ერთხელ. მოხუცი ბებო მყავდა და სიარული უჭირდა. სოფლიდან მატარებლით უნდა გაგვემგზავრებინა. ბილეთი ბოლო ვაგონში ჰქონდა და სადაც ის ჩერდებოდა, ბაქანი კარგა ხნის დამთავრებული იყო. ძალიან დაბლა ვიდექით, რელსებისა და შპალების დონეზე. ბებო კი ვაგონის კიბეზე ისე ვერ ავიდოდა, რამეზე თუ არ შედგებოდა. სოფელში ერთი ნაცნობი გამცილებელი გვყავდა და იმან გვითხრა, მე ვიცი ზუსტად, სად გაჩერდება თქვენი ვაგონიო. ტაბურეტკა მივიტანეთ და სწორედ იმ ადგილას დავდგით, სადაც ვაგონის კიბე მოუწევდა. ბებია ზემოდან დავაყენეთ და მატარებელს დაველოდეთ. იცი, რაზე გამახსენდა? შენ რომ თქვი, ცოტა ხანი ჩერდებოდაო. აქაც ორი წუთი იდგა მხოლოდ. ვაგონი ცოტა გვერდით რომ გაჩერებულიყო, თუნდაც ორი მეტრის დაშორებით, ტაბურეტკის გადადგმას და თავიდან აცოცებას ბებო ვეღარ მოასწრებდა. ანუ ელმავალი სადგურში წივილით რომ შემოვარდა, მოხუცი ქალი ტაბურეტკაზე იდგა. მემანქანის გაკვირვებულ სახეს რა დამავიწყებს. ფეხზეც კი იყო წამოწეული, ფანჯრიდან თავი გადმოეყო და ბებოზე მზერაშეყინულს კისერი უფრო და უფრო ეღრიცებოდა.

გაგვიმართლა და ვაგონის კარი ზუსტად ჩვენ წინ გაჩერდა. მარფა ვასილიევნას ქვემოდან მივაწექით, გამცილებელი კი ზემოდან სწევდა და ავასკუპეთ.

რა უცნაურია, ვერონიკა მატარებელშიც კი არ მჯდარა. ალბათ ბევრი სხვა რამეც არ უნახავს ცხოვრებაში. არადა, მასში ღრმა გრძნობები აღმოვაჩინე, ფიქრისა და აზროვნების ნიჭი. რუტინადან გაქცევის მცდელობა. საიდან ეს ყველაფერი? ინტერნეტიდან?

– გიყვარს წიგნების კითხვა? – ვკითხე.

– ძალიან მიყვარს.

მისი ტუჩები ძუძუსთავზე მომედო. შემეღიტინა და შევიშმუშნე. კიდევ წუთები და ვნების მეორე ტალღა წამომივლიდა. მისკენ გადავიწიე, თავი ოდნავ დავხარე და მკვრივ ძუძუზე კოცნითვე ვუპასუხე. რა იცი, რა ხდება, იქნებ უკვე შემეჩვია. ეგრევე ამისხლიტა და თემა შეცვალა:

– ფსიქიატრის მადლიერი ვარ, გადავეჩვიე როგორც იქნა კიკინს.

– რა კიკინს?

– ვკიკინებდი, როგორც თხა.

– ეგ წინასწარ უნდა გეთქვა.

– რა უნდა მეთქვა?

– გიჟი რომ იყავი.

– გიჟი არ ვარ.

– ჰო, რა ვიცი, აბა... თხა თუ არ ხარ, რატომ კიკინებდი?

– ვგავარ თხას?

– ცოტათი კი.

– გეშინია გიჟების?

– ძალიან მიყვარს, ერთი სული მაქვს, გულში ჩავიხუტო.

– შენთანაც არიან გიჟები?

– იქ არიან, თუ არიან.

– რას აკეთებენ?

– ნაგავს ყრიან ზემო სართულებიდან, კატებს აწვალებენ, თავის სახლებში სვამენ, მაგრამ ფსამენ შენს კართან, არჩევნების წინ ერთმანეთს დაერევიან ხოლმე და თავ-პირს ულეწავენ – გინდა თუ არა, სამშობლო ჩვენი გადასარჩენიაო. ერთხელ პარკში დავსეირნობდი, დილა იყო, ცოტა ხალხი. უკნიდან შარიშურის ხმა გავიგე. სწრაფად მივტრიალდი. უცნობი მამაკაცი იდგა. იცი, რა მითხრა? წელამდე შედი ზღვაშიო. სად ზღვაში-მეთქი. გააკეთე, რასაც გეუბნები, ეცადე, მარჯვენა ხელი არ დაისველოო.

ვერონიკამ სიცილი დაიწყო.

– ფერებმა მიშველა, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ, – ვარდისფერის ჩაცმა დავიწყე. ვარდისფერი ბავშვობაშიც არ მცმია და დიდობაში მოვირგე. გავხალისდი. იასამნისფერიც მომიხდა. ცოტა ლურჯი, ცოტა მწვანე. ერთი პერიოდი ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელიც მახალისებდა.

აი, მუსიკას კი ვერ დავუბრუნდი. ლიოხას მერე ვერანაირ მუსიკას ვეღარ ვუსმენ. ცუდად ვხდები, კანკალი ამიტანს ხოლმე და ერთი სული მაქვს, გამოვრთო. კავშირს ვერ ვპოულობ. მუსიკის ფონზე რომ ვეცემე, ანდა ვეწამებინე, კიდევ ავხსნიდი. მაგრამ ვერაფრით მივაბი, არ ვიცი, რატომ მთრგუნავს მუსიკა.

– ლიოხა ვინღაა?

–ყოფილი შეყვარებული.

გამეღიმა.

– რა გაგიხარდა?

– წარმოვიდგინე, მუსიკის ქვეშ როგორ გაწამებდა.

კარზე დააკაკუნეს.

– ალინაა, გასაღები უნდა დამიბრუნოს.

ნახევრად შიშველი ისევ კართან მივიდა და გააღო.

ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ მომელანდა, თითქოს ლიოხა მოვიდა და ქალს ულაპარაკოდ ყელში სწვდა.

– ვინ არის? – წამოვიყვირე.

– შენთან არიან.

ლიოხას ჩემთან რა უნდოდა, ვერ მივხვდი. ეტყობა, საქმის გასარჩევად მოვიდა.

ვერკამ თავისი ტანსაცმელი მოხვეტა და სააბაზანოში შეხტა. სწრაფად უნდა ავმდგარიყავი და რამე ჩამეცვა. ასე ტიტველი საქმეს ნაღდად ვერ გავარჩევდი, ჩემს ნათქვამს წონა არ ექნებოდა. წარმოიდგინე, მუშტებს იქნევ და თან ყვერები გიცანცარებს.

ნაბიჯების ხმა გავიგე და ოთახში პაველი შემოვიდა.

პირდაპირ ლოგინში მწოლიარეს დამადგა. სკამზე ჩამოჯდა და გამიღიმა. უცნაურად მიყურებდა, სადღაც გვერდით. გარედან შემოყოლილ თავისსავე ფიქრს ხათრს ვერ უტეხდა და უფრო იმას უღიმოდა, ვიდრე მე – ასეთი რამ ადრეც სჩვეოდა.

შემდეგ თვალებში შემომხედა და ხელი გამომიწოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მარჯვენა ხელი დასვრილი მქონდა. საბნიდან მარცხენა ამოვყავი და ჩამოვართვი. კი მეფარა, მაგრამ საბნის ქვეშ დედიშობილა ვიყავი და ძალიან არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს.

– როგორ ხარ, საშ?

ასეთ შეხვედრას ნამდვილად არ ველოდი, უცხო იყო პაველი იმ წუთას ჩემთვის და გავიფიქრე, ნეტავ, არ მოსულიყო-მეთქი.

– ისე მგონია, რომ დანაშაულზე წამასწარი, – ვუპასუხე მეგობარს, რომელიც წლები იყო, რაც ნანახი არ მყავდა.

ლოგინში წამოვჯექი, მისკენ არ ვიყურებოდი, ტანსაცმელს ვეძებდი.

– ბოდიშს გიხდი, ადრე ვერ მოვედი.

უნდა ავდგე და ჩავიცვა-მეთქი. საბანმოხურული მეც სააბაზანოსთან მივედი და მივაკაკუნე:

– ვერკა!

არ მიპასუხა. უკან მივიხედე პაშასკენ, ხომ არ მიყურებს-მეთქი და მიყურებდა. საბანი ტრაკზე უკეთესად მივიფარე და ისევ დავიძახე:

– ვერკა!

– რა იყო?

– შემომიშვი, რა.

– რატომ?

ისევ მეგობრისკენ გავიხედე და გავუღიმე. შემდეგ სახე ღრიჭოსთან ახლოს მივიტანე და დავიჩურჩულე:

– კარი გამიღე, ნერვებს ნუ მიშლი...

ჩემკენ იღებოდა და უკან დროულად გავხტი, შუბლში რომ არ მომხვედროდა.

– ოი, ბოდიში, ხომ არ მოგარტყი?

მაგას ვინ ჩიოდა. შევედი და ერთად განვაგრძეთ ჩაცმა. ამოდენა საბანი სად უნდა წამეღო, არ ვიცოდი და ყოყმანის მერე ავხტი და ფარდის მილზე ზემოდან გადავკიდე, მაგრამ ეგრევე იქითა მხარეს გადაცურდა და აბაზანაში ჩავარდა.

– რას წვალობდი, პირდაპირ ჩაგეგდო, – თქვა ვერკამ.

– დილით ველოდი და ახლა მოვიდა, – ჩავილაპარაკე ნაწყენმა. ის წუთები იყო, სიბრაზეს როცა ვერ ვთოკავდი.

– კარგი, რა, ისეთი არაფერი მომხდარა.

სანამ იმ სივიწროვეში ფიგურისტის რამდენიმე მოძრაობა არ მოვხაზე, მანამდე შარვალში ფეხი ვერ გავუყარე. ასეთი სრიალა მეტლახი ვინ დეგენერატმა დააგო ნეტავ?! რუსებს ხომ ბადალი არ ჰყავდათ ყინულზე შეხტომა-ბზრიალ-სამნახევარ-ბრუნის კეთებაში. გამოგიტყდებით და ფიგურულ სრიალში ყველაზე მეტად ის მომენტი მომწონდა, კაცი ქალს რომ მოისროდა ხოლმე და ისიც გამწარებული ყინულზე ენარცხებოდა.

მთავარი იყო, არ ავჭრილიყავი და თავი ხელში ამეყვანა, თორემ ჩემს ფხუკიანობას მალევე ვინანებდი და სირცხვილის გრძნობა გამაწამებდა.

სააბაზანოდან ერთად გამოვედით და დერეფნამდე მივაცილე.

– დღეს პაშას გავყვები. ხვალ დავბრუნდები და გნახავ.

მის მრავლისმეტყველ ღიმილს ვერ ჩავწვდი – ალბათ დამცინოდა. აქ დამელოდე-მეთქი და შესასვლელში ჩამოკიდებული ქურთუკიდან საფულე ამოვიღე. საფულედან – 50 დოლარი. გავედი და მივეცი.

– ვერ გამოგართმევ, – იუარა ვერკამ.

– ნუ დაიწყებ ახლა. მიდი, გამომართვი.

– ვერ ავიღებ.

– მეგობრულ ამბავში გაძლევ, გამოიყენებ რამეში.

– მეგონა, ხუმრობდი, როცა ფულზე ლაპარაკობდი.

– არ ვხუმრობდი, ქალებს სხვანაირად ვერ ვაბამ.

– არაფერი გვქონია.

– ჰოდა, გამომართვი.

– დამავალდებულებს ეგ ფული...

– წამლები იყიდე. ხომ მითხარი, ძვირ წამალს ვსვამო. ჰოდა, იყიდე.

– ეგ ხო, მაგრამ...

– მინდა, რომ ხანდახან გაგახსენდე, როგორც მევალე მაინც.

ფული ხელში ჩავუკუჭე. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ქალს ფულს არარსებულ სექსში ვაძლევდი. ფულის უპრაგონოდ გაცემა არასოდეს მყვარებია – ალბათ ძუნწი უფრო ვარ, ვიდრე ხელგაშლილი. მაგრამ ახლა მესიამოვნა ამის გაკეთება. ლოყაზე მაკოცა.

ნელი ნაბიჯით წავიდა. ვერ დაველოდებოდი, სანამ დერეფნის ბოლომდე მივიდოდა. პაველს ვერ

ვაცდევინებდი. სიდინჯე მაკლდა. თითქოს სამყარო დაინგრეოდა, ვინმე თუ მოიწყენდა. რამდენჯერმე ვცადე, არ ავყოლოდი ამ კომპლექსს და აღარ მეზრუნა მოსაუბრის გართობაზე. ათიდან ცხრა შეწუხებულმა ერთი და იგივე კითხვები მომაყარა: რა იყო, ცუდად ხარ? რამე შეგემთხვა? ასე უცნაურად რატომ იქცევი? მინდოდა, დამეყვირა: მიდი, ახლა შენ იმაიმუნე და მე ვიხალისებ.

და რადგან ვერ შევძელი თვალის მიდევნება და ფიქრის მიყოლება, ქალი გაქრა მყისიერად, თითქოს არც ყოფილა. ჩანაცვლება მოხდა ჩემში შიგნით. ვერონიკა ინტელექტუალმა რომანოვმა შეცვალა. ქალის ტკივილს სულ მალე პაველის თვითკმარობის განწყობილება გადაფარავდა. ვიცოდი, რთულ ტექსტში ჩაბმა დამამძიმებდა. ხოლო მეგობრის სახლში გადაბარგების შემდეგ ხომ საერთოდ, ჩამოუყალიბებელი სასიყვარულო ურთიერთობა მტკივნეულ იარას დამიტოვებდა გულში, აბსურდული ზმანების სახით, ვერმოსწრებულ მასტურბაციაზე.

თუმცა ნომერში სხვა რამ დამხვდა. სკამზე მჯდომ პაველს ამ მოკლე ხანში სევდა შემოსწოლოდა და ემბრიონის პოზა მიეღო. მოხრილს, ხელები მუხლებზე ჰქონდა შემოჭდობილი. იატაკს დასცქეროდა და წინ და უკან ქანქარებდა.

სწრაფადვე გასწორდა და ყოველგვარი ფორმალური შესავლის გარეშე საქმეზე გადავიდა, თითქოს გუშინდელ საუბარს ვაგრძელებდით:

– როდის დაბრუნდება ძირითადი ჯგუფი?

– არ ვიცი ზუსტად. ორ-სამ კვირაში.

– აქ რამდენ ხანს გაჩერდებიან?

– ალბათ რამდენიმე დღე.

– მერე საითკენ აპირებთ?

არ მომეწონა ეს «საითკენ აპირებთ». ნამდვილად უნდა ხსომებოდა, ჩვენთან ერთად რომ მოდიოდა. როგორც ჩანს, მარშრუტიც დავიწყებოდა.

– ალდანს უნდა ავუყვეთ ზემოთკენ, სტანავოი ხრებეტი გავიაროთ, იქიდან ალდანის ნაგორიემდე და უსტ-მაიამდე მივიდეთ. როგორც გვქონდა ჩაფიქრებული. იმედია, გადაწყვეტილება არ შეგიცვლია და შემოგვიერთდები.

თითქოს შეკრთა, თავი ისე გააქნია, ვერ მივხვდი: თანხმობა იყო თუ უარი.

– კოროგოდინი თქვენთან არის?

– კოროგოდინი არ წამოვიდა, ერთი პოლონელი პალეონტოლოგი ჩასვეს მის მაგივრად.

წელში გასწორდა. თავი უკან გადასწია და ჭერს ახედა. ცხვირით ღრმად შეისუნთქა. ზედმეტად აღგზნებული მეჩვენა.

– რატომ არ წამოვიდა კოროგოდინი?

არ ვიცოდი, რატომ არ წამოვიდა. ვერაფერი ვუპასუხე, მხრები ავიჩეჩე.

– იმიტომ, რომ ექსპედიცია მისთვის მნიშვნელოვანი არ არის, – თქვა პაველმა, – ეტყობა, უფრო სერიოზული რამ გამოუჩნდა.

– ჩვენ კარგი ჯგუფი გვყავს, პაველ.

– არც მულდაშევია?

– დაზვერვით სამუშაოებს ვატარებთ. მათ არ მოეთხოვებათ ახლა ჩვენ გვერდით ყოფნა, როცა საჭირო იქნება, შემოგვიერთდებიან.

წამოდგა და ფანჯრიდან გაიხედა. დილით მეც მონდომებით ვიცქირებოდი იმავე ფანჯრიდან და შიდა ეზოსა და სასტუმროს გარაჟების გარდა, ვერაფერი დავინახე.

– უაზრობაა ეგ თქვენი ექსპედიცია, – ჩაილაპარაკა.

– ეგრე ნუ იტყვი, რა. ეგრე ყველაფერი უაზრობაა. ადრე სხვანაირად ფიქრობდი.

– ახლა ეგრე აღარ ვფიქრობ.

გაღიზიანებული იყო, მიმიკაც სხვანაირი ჰქონდა. რომანოვი ასეთი არასოდეს მინახავს. ენერგიულად ალაპარაკდა. ცდილობდა, დაპირისპირებულობის განწყობა შეექმნა. საუბრისას სწორი კონცეტრაცია ჰქონდა, მაგრამ სიუჟეტის ხელოვნურობა ვიგრძენი. უნდოდა მსმენელი ვყოფილიყავი, მაგრამ ვერაფერს მივმხვდარიყავი:

– რა დროს ექსპედიციაა? მალე ყინვები დაიწყება, მინუს ორმოც გრადუსზე გაჭირდება მაღალმთიან რაიონებში ასვლა. უნდა ეფიქრათ ამაზე. თითქოს სამყაროს აბსურდულობა გვაკლდეს, ახლა ჩვენც რომ ვუწყობთ ხელს ჩვენივე ბრიყვული გეგმებით. ზამთარში ყველანი ერთ ოთახში ჩავიკეტებით და ერთმანეთის ატანა მოგვიწევს. ძნელია, მთელი რვა თვე ერთ სივრცეში ყოფნა. ხშირად საყვარელი ადამიანის საქციელიც კი საშინლად გაღიზიანებს. იძულებულნი გავხდებით, ისევ ნიცშეს მივაწვეთ.

– რა დროს ნიცშე და დეპრესიაა!

– მე თვალი გადავავლე აბსურდის მამების უეცარ სიკვდილებს, სიგიჟეებს, თვითმკვლელობებს, ფინალურ მონანიებებს და ვკითხე ჩემს თავს: რა ხეირია ბოლოსდაბოლოს მათგან, საკუთარი თავები ვისაც ვერ უმართიათ? ცარიელი პროტესტი ყელში ამოვიდა. რაციონალური აზროვნება ყოველთვის ჩიხში შედის და ცუდ ნიმუშებს ტოვებს. არსებობდა მუდმივი დაპირისპირება და არ იყო სიმშვიდე. ვკარგავდი ღმერთს და სანაცვლოდ ვპოულობდი დიდულვაშიან ბიძას. რატომ თქვა, ღმერთი მოკვდაო, რატომ? მკვდრისგან რა ხეირია? ეტყობა სურვილებს არ უსრულებდა და ამანაც – მოკვდაო.

თვალდახუჭულმა ზემოთკენ აიხედა და ისევ ღრმად ჩაისუნთქა:

– ხომ გესმის, არავის სჭირდება ეგ შენი ექსპედიცია, არავის.

– ჩვენ გვჭირდება, პაშა, ძმაო. რა უცნაურად საუბრობ! საკმარისი არ არის, ჩვენ რომ გვჭირდება?

სუსტი არგუმენტი იყო. მისნაირ პიროვნებას მხოლოდ პირადი კეთილდღეობის იდეით ვერ მოხიბლავდი.

თითქოს ოდნავ დამშვიდდაო, მაგრამ როგორც კი განაგრძო, თვალები ისევ აენთო და ხმაც შეეცვალა:

– იმ დღეს ერთი გერმანელი პასტორი ლექციას ატარებდა. ვუსმენდი და ვრწმუნდებოდი, ქრისტიანობის არაფერი ეცხო. ილუზიის თეორიის აგორებას ცდილობდა: ყველაფერი ტყუილია, ეს სამყაროც სიზმარია და ჩვენი ქმედებაც საფუძველს მოკლებულიაო. ეტყობა, გადაცმული პასტორი იყო, თორემ სად ქრისტიანობა და სად

მაიავადური ფილოსოფია. დიდხანს გაიძახოდა, სიცრუესა და ილუზიაში ვცხოვრობთო. ვეღარ მოვითმინე და წამოვხტი: ეი, შენ, აქეთ მომისმინე და თან კარგად ჩაუკვირდი შენს ნაბოდვარს-მეთქი!

დარბაზი გაიტრუნა. თუ ყველაფერი ტყუილია, მაშინ რასაც ახლა გვიმტკიცებ, ეგაც ილუზია გამოდის და რატომ უნდა დაგიჯეროთ-მეთქი. გალაქტიკების დონეზე არსებული ტყუილი ნებისმიერ ჩვენს თეორიას და სწავლებას საფუძველს აცლის და დიდ გაუგებრობაში გვხვევს. დალაგების მაგივრად, სამყარო ირევა, რადგან თითოეული აზრი, ნათქვამი, გრძნობა, ღიმილი და კიდევ სხვა უთვალავი რამ, თურმე ამაოებას ემსახურება. თუ ამ საყოველთაო ტყუილში მხოლოდ შენი ნათქვამია სიმართლე, გამოდის, ყოველივე არ ყოფილა სიცრუე და სიმართლემაც შეიძლება იარსებოს-მეთქი.

რაღაცის ბოდიალი დაიწყო. ასეთი მარტივი კონცეფცია დავუპირისპირე და ეგრევე აიჭრა. როგორც ამგვარ ფილოსოფოსებს სჩვევიათ, საღი პასუხი კი არ გამცა, არამედ სპეკულაციები შეუბერა. რა თავბრუს გვახვევ, შე გადაცმულო პროვოკატორო, გავცხარდი. ვიფიქრე, დარბაზი მხარს ამიბამდა. ხელს ნუ გვიშლი, მოგვასმენინე, გარეთ გადი, შენ თვითონ ხარ პროვოკატორიო – აუდიტორიამ აქეთ შემომიტია. არსადაც არ გავალ, მარტივი კითხვაა და პასუხი გამცეს, სიმართლეს ამბობს, თუ ტყუის-მეთქი.

– პაველ...

– როცა ამტკიცებ, რომ ცხოვრებას საფუძვლად სიცრუე უდევს, იმ ტოტს ჭრი, რომელზეც ზიხარ. ანუ შენი ნათქვამი ეგრევე აზრს კარგავს, თქმის მომენტშივე ქრება, ვერც კი იბადება.

– ჩვენ ვიცით, რომ სამყარო რეალურია, რატომ უბრუნდები ამ თემას? არაერთხელ გვილაპარაკია ამაზე.

– იცი, რატომ? იმიტომ, რომ მაშინ მსურდა, ჩემი არსებობა ილუზია ყოფილიყო. რაღაცნაირად ვგრძნობდი, რომ მალე საშინელი გამოცდა მელოდა – სულისშემხუთველ განცდებს უნდა დავპირისპირებოდი. პასტორის მტკიცებულება კი იმდენად წყალწყალა აღმოჩნდა, ძალიანაც რომ მდომებოდა, თავს ვერ მოვიტყუებდი. ხალხს ეგონა, მღვდელმსახურის გამოჭერას ვცდილობდი; არადა მის მხარეზე ვიყავი. მან კი ჩაისვარა.

ვიღაც ძუძუებგადმოყრილი ქერა ქალი გამოესარჩლა. იტყლარჭებოდა, საკუთარი თავის წარმოჩენას ცდილობდა. «დეკოლტიანი ფილოსოფია» უახლესი სამყაროს სახეა და ამ უცნაური შეჯვარებით მიღებულ რომელიმე მოაზროვნეს კიდევ აიტანს კაცი. მაგრამ იმ დარბაზში ცუდ ჰიბრიდთან გვქონდა საქმე. ახლა ამ ქალს მივაწექი, უნდა დამიმტკიცო, რომ, ის, რაშიც კაცობრიობაა გახვეული ოდითგანვე, ტყულია. თუ დამაჯერებ, ხვალიდან ყველა წიგნს მოვისვრი, რადგან ადამიანის სიცოცხლე აზრს დაკარგავს და ეს ძალიან მაწყობს-მეთქი.

– პაველ! რა გჭირს? რაღაც მოხდა, არა?

გაჩუმდა, თუმცა თვალები ისევ დაურბოდა.

– მითხარი, რა მოხდა.

– არაფერი.

ისევ ფანჯარასთან მივიდა და თქვა:

– სახლში ვერ მიგიპატიჟებ, ბოდიშს გიხდი.

– ეგ რა პრობლემაა, სასტუმროში დავრჩები, აქ მომწონს. თვითონაც ხომ ნახე, რომ აქ კარგად ვარ.

– ქვევით ჩამყევი, ოთახის ფულს მე გადაგიხდი. რამდენი ხანი გაჩერდები, მითხარი?

– სისულელეს ნუ ამბობ. ფული მეც მაქვს, შენ რატომ უნდა გადამიხადო.

– სახლში ვერ გეპატიჟები, ხომ გესმის. მე გადავიხდი სასტუმროს ფულს. ადექი, ჩამყევი დაბლა.

– მიმღები ახლა დაკეტილია, ხვალამდე ვერ გადავიხდით.

– კარგი, ხვალ დილით მოვალ. – წამოდგა და კარისკენ წავიდა.

ასე ვერ გავუშვებდი. ვერაფრით დავიჯერებდი, რომ ეს სცენა თავის დაძვრენისთვის გაითამაშა. არც იმის მჯეროდა, რომ ირკუტსკის სიცივეებმა გული გაუყინა.

– არ წახვიდე! – ხმას ავუწიე, – მოდი, დაბრუნდი. მითხარი, რა მოხდა!

ახლოს მოვიდა, თვალებში ჩავაცქერდი. ხმადაბლა ვუთხარი:

– თქვი, ნუ წელავ.

– ქსენია დაიკარგა, ჩემი ქალიშვილი.

– რას ამბობ! როგორ, დაიკარგა?

– ვეძებთ და ვერაფრით ვპოულობთ...

– რამდენი ხანია?

– უკვე მეექვსე დღეა.

– პოლიცია არ ეძებს?

– ეჭვმიტანილი ჰყავთ. ვარაუდობენ, რომ ქსიუშა ცოცხალი აღარ არის.

გაშეშებული ვიდექი, არ ვიცოდი, ასეთ განცდას რანაირი მოძრაობა შეესაბამება.

– ჩემი ცოლისძმა მეხმარება, ირკუტსკის «ომონში» მუშაობს.

– მარია სად არის?

– მარია წასულია. სახლიდან წავიდა. აქ ვეღარ გაძლო და გაიქცა. კოლიაც წაიყვანა. არა უშავს, გადაუვლის და დაბრუნდება.

ძნელია, რამე თქვა. არ გეგონოთ, რომ განცდებმა დამამუნჯა. უბრალოდ, არ მინდოდა, ყალბი ვყოფილიყავი. უნდა იგრძნო და მხოლოდ მაშინ წამოიყვირებ ნაღდ სიტყვას, რაიმე უაზრობას, შესაძლოა, სრულიად შეუსაბამოს ასეთი ვითარებისთვის. გულთან ახლოს თუ ვერ მიგაქვს, მაშინ ეძებ სიტყვებს, რომელსაც ვერ პოულობ და დგახარ გაშეშებული.

– ექსპედიცია ჩემთვის გადაიდო. ბევრი სხვა რამეც გადაიდო, – თქვა დადარდიანებულმა.

გოგონას გაუჩინარების ამბავს პოლიცია კი იძიებდა, მაგრამ მეგობარს გვერდით მაინც უნდა დავდგომოდი. დამასწრო და მითხრა, მარიას წასვლის მერე მარტო ყოფნა მსურსო. ასეთ განცდებში მყოფს, მარტოკას როგორ უნდა გაეძლო? თუმცა აღარ ჩავაცივდი.

დაბლა ჩავედით და გაჩერებამდე მივაცილე. რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი ავტობუსი იქვე ჩერდებოდა. წესიერად ვერც დავილაპარაკეთ. შევატყვე, ეჩქარებოდა. ვუთხარი, რომ მარტოობა კი უყვარდა, მაგრამ ასე გულხელდაკრეფილი მაინც ვერ ვიჯდებოდი და მის

სანახავად ჩავიდოდი. სახლის მისამართი ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ მომცა.

უკან გულდამძიმებული დავბრუნდი. დაკარგული გოგოს ამბავს სანახევროდაც ვერ ვაცნობიერებდი და ვერც პაველის განცდებს ვიზიარებდი სრულფასოვნად. ასეთმა მოკლე საუბარმა არ დამაკმაყოფილმა. პასიურ მდგომარეობაში ყოფნა გულს მიღრღნიდა. ფიქრმაც კი გამიელვა, ნეტავ ექსპედიცია მალე ჩამოვიდეს და გავყვე-მეთქი. მაშინ ვერონიკასთან მომიწევდა განშორება და ეს ძალიან არ მსურდა. მისი შეყვარების მოკრძალებული მცდელობაც კი კეთილშობილს მხდიდა. გულწრფელი რუსი გოგონას მესაიდუმლე გავხდი და ისევ დამიბრუნდა სულიერი პრაქტიკით შესუსტებული მამაკაცურობა. თავს ვერ ვუტყდებოდი, მაგრამ გულის სიღრმეში მიხაროდა, პაველმა სახლში რომ არ წამიყვანა.

ზაზა კოშკაძე

სიამო-ვნება

ხო აზრზე ხართ, ყველაფერი პირამიდის პრინციპით მუშაობს ამ დედამოტყნულ ცხოვრებაში, ერთი ნაშა გაგემაზება და ყველაფერი ტრაკში მიდის, შენხელა ტიპები გეღადავებიან, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან ქალთან, მერე ეს ბაზარი გოგოების ყურამდე აღწევს და საერთოდ გიქრება ვინმეს მოტყვნის შანსი. ხო, მაგრად გავიშარე. უკანასკნელი თოთხმეტი წლის ტიპი ვარ მთელ უბანში, თუ მთელ ქალაქში არა, ვისაც ქალი ჯერ არ მოუტყნია. ბიჭები მეუბნებიან, დინოზავრი ხარო, მუტლის გარეშე დაბერდებიო. ვცადე ერთი-ორთან მას მერე და არაფერი გამოვიდა. ორი ვარიანტია, ან ვინმე ძაან თესლი გოგო უნდა ვითრიო, ან აქ ვინმეს დედა უნდა მოვუტყნა, რო ეს ყველაფერი მორჩეს. უკვე გარეთ გასვლა მეზიზღება.

ვგდივარ სახლში და ტელევიზორს ვუყურებ. თან ვფიქრობ, რა მეშველება. ხო არ გავისროკები იმის გამო, რო ეს უქალობა გავიპრავო. პიზდეცი მჭირს, მოკლედ. რა ყლე უნდა ვქნა?

ვყლეპროჭაობ. სკოლას ვმაზავ და ქალაქში ვბოდიალობ. რაღაცას ვეძებ და მე თვითონაც არ ვიცი, რას. როცა იმ ყლეებისგან შორს ვარ, თავს უკეთესად ვგრძნობ, ეგ ფაიზაღია. ხოდა დავდივარ მეც, სკოლაში რა უნდა ვაკეთო, ყველა საგანი ყლეზე მკიდია. ჩემგან მაინც არ გამოვა პროფესორი. მაგის მამაჩემსაც არ სჯერა, მაგიტომაც დამათრევს ხან მატორისტთან, ხან პარიკმახერთან, რაღაც კურსებზე.

მორცხვი არ ვარ, ნებისმიერ გამვლელს თავისუფლად ვეკონტაქტები, პრობლემა არ მაქვს მაგის. პროსტა, ქალებთან მენძრევა. გოგო როგორც კი შემომხედავს,

თითქოს ვიღაც ენაზე შიგნიდან ლოდს მკიდებს, რომელსაც ვერ ვძრავ, რაც არ უნდა მოვინდომო. თითქოს ვიღაც ყვერებში წიხლს მირტყამს და ტკივილი უნდა შევიკავო. ხმას ვერ ვიღებ.

დავდივარ. დავდივარ. დავდივარ. არ მთავრდება ეს სიარული. დრო იქამდე მაქვს, სანამ ჩემები გაიგებენ, რო სკოლაში არ დავდივარ. მერე სახლში გამომამწყვდევენ და ჩემ ყლეს ვივლი სადმე.

ერთხელაც, ბევრი ბოდიალის შემდეგ, ავტობუსით სახლში ვბრუნდებოდი. ვიჯექი ჩემთვის, ფიქრებში გართული. ბებო წამომადგა თავზე. უეჭველი დაჯდომა უნდოდა. ავდექი და დავუთმე. მადლობაო და ჩამოჯდა. ლოცვა დამიწყო, ჯანმრთელობა გამრავლება და ათასი რამე. გულში ვფიქრობ, ბებო–ჯან, ისეთი ჯანმრთელი ვარ, მამაჩემის თქმისა არ იყოს, ხარს რო შევცე, დავაბღავლებ, რამე სექსუალური მისურვე-მეთქი. მარა მაგ ასაკში ალბათ ეგეთები არც კი მოსდით აზრად. აბა, მე მკითხეთ, მუტლის გარდა ვერაფერზე ვეღარ ვფიქრობ.

ერთ წერტილში მიშტერებული ვიდექი. არაფერს კონკრეტულს არ ვუყურებდი, უბრალოდ, ქვემოთ ვიხედებოდი. მთელი სამყარო ვნე ფოკუსა იყო. რაღაც ნახევრად გამჭვირვალე ყლეობა რო ეფარება ყველაფერს, გეცოდინებათ. ამ დროს ავტობუსმა წაატორმუზა და მეც აზრზე მოსვლა დავიწყე, ფოკუსი მისწორდებოდა. შევამჩნიე, რო წეღან რომელ სკამზეც ვიჯექი, უკან რაღაც ტექსტი ეწერა. ქართული არ იყო. გერმანული ან ბელგიური ან რამე ეგეთი იქნებოდა. ტექსტს ციფრები მოსდევდა. უეჭველი მობილურის ნომერი იყო. ტელეფონი ამოვიღე და ფოტო გადავუღე.

რამდენიმე წუთში უკვე სახლში ვიყავი და «გუგლ თრანსლეითით» ტექსტის გადათარგმნაზე ვჩალიჩობდი. როგორც იქნა, ვთარგმნე. თარგმნილმა ტექსტმა გამომაყლევა, ცვეტში. ვიღაც, ორ ქალთან ერთდროულად სექსის მსურველებს ეპატიჟებოდა. ავკანკალდი. სანამ ტელეფონს ავიღებდი და ნომერზე დავრეკავდი, სამჯერ მაინც დავანძრიე. რა აღარ წარმოვიდგინე. ჩემს ფანტაზიებში რო ჩაგახედათ, პორნოს ზედაც არ მიაფურთხებდით. სასწაულები ტრიალებს ამ პატარა და ერთი შეხედვით ცარიელ თავში. თან, დიდი შანსი იყო, რო ეს ამბავი ტრუხა ბაზარი აღმოჩენილიყო და დარეკვის მერე მაგრად დამვარდნოდა. ვიცი მე ეგ ისტორიები. ეგეთ განცხადებებს ბიჭები აკრავენ და ვინმე ისეთი ტიპის ნომერს უთითებენ, ვინც არ ევასებათ.

მაინც უნდა მეცადა.

ნძრევას რო მოვრჩი, დავრეკე. გოგომ მიპასუხა. ძალიან გამიხარდა. საკაიფო დასაწყისი იყო.

– გისმენთ?

– გამარჯობა...

– გამარჯობა, გისმენთ.

გათიშვა დავაპირე, თუმცა რაღაც ძალამ არ მოცმა უფლება.

– თქვენი ნომერი ვნახე.

– ჩემი ნომერი?

– ხო..

– სად ნახე ჩემი ნომერი?

– ყურმილიდან სხვა ადამიანის ხმა მომესმა.

– ვინ არის? – კითხულობდა ხმა.

– არავინ. მგონი ვიღაცას შეეშალა.

– არავის არ შეეშალა, ჩემთან არიან, მომეცი ყურმილი.

გოგოს ვიღაც მეორე გოგომ გამოართვა ყურმილი.

– გამარჯობა.

– გამარჯობა..

– სად ნახე ნომერი?

– ავტობუსში.

– ჰო, მე დავტოვე. კარგია, რო დარეკე. რა გქვია?

– რომა.

– რომა?

– ხო.

– ანუ, რომეო ხარ? – თქვა მან და გაიცინა.

– შეიძლება ითქვას. შენ რა გქვია?

– მე ჯულიეტა... – თქვა მან და უფრო ხმამაღლა გაიცინა. ჯერ გაცნობილი არ მყავდა და უკვე მეღადავებოდა ეს ჩემისა. მოკლედ ვიღაც უნდა დავჭრა, თორე ასე ცხოვრება არ გამოვა.

– მოხვალ ჩვენთან? – მკითხა მან.

მისამართი ჩავიწერე და გავქანდი. გზაში ლუდიც მივეცი, მეტი სითამამისთვის. მალე ვთვრები იდეაში, ერთი ბოთლიც მეყო ცოტა გასათამამებლად. შამპანურიც გავიყოლე ყოველი შემთხვევისთვის, ქალები ნასვამზე უფრო ადვილად იძლევიანო, გაგონილი მქონდა.

ხრუშოვკაში გავეძრე. შუა კარი იყო, ანუ ერთოთახიანში ცხოვრობდა. ზარი დავრეკე. კარი ოდნავ გაიღო და გოგოს თავი გამოჩნდა. ლამაზი არ იყო, მარა ლამაზს ვინ ჩიოდა, უქალოდ სიკვდილს ყველაფერი მერჩივნა.

– შენ ხარ? – მკითხა მან.

– ხო.

– კაი ტიპი ხარ, შემო.

კარს ისე აღებს, რომ კარს უკან ექცევა. თავს ვხრი და ოთახში მორცხვად შევდივარ. ჩემ უკან კარი იკეტება. მე ვტრიალდები და ვამბობ, უფრო სწორად, ვაპირებ თქმას.

– შამპანური მოვ... ვახ, შენი დედას შევეცი...

ხო აზრზე ხართ, რაღაც ვიდეო პრიკოლის მაგვარში გავიჩითე. «ტიპი ქალის მოსატყნავად მივიდა და რაც შემდეგ მოხდა, ყველას შოკში ჩაგაგდებთ!!!» – ეს სათაური მომიხდებოდა. ან, სულაც, ის, მეორე: «სასწაულია, გააზიარეთ!»

ჩემ წინ სიამის ტყუპები იდგა. თუ იდგნენ? ეგეც არ ვიცი, რომელი უფრო სწორია. ჩემი წამოძახილი არ გაკვირვებიათ გოგოებს. არცერთს. ცოტა აზრზე მოსვლა მაცადეს. ეს აშკარად იმას ნიშნავდა, რომ თუ წასვლა მინდოდა, შემეძლო, წავსულიყავი.

არ წავედი. მე თვითონაც არ ვიცი, რატო. ისიც არ ვიცი, რატო უნდა წავსულიყავი. ან რატო არ უნდა წავსულიყავი. როცა არავინ მოგიტყნავს, შენ მაგივრად შენი ყლე ფიქრობს. ან ასაკი. ან ვიღაც სექსის დემონი, რომელიც შენში შემოსახლებულა.

სავარძელი დავინახე, რომელიც აშკარად ჩემთვის იყო განკუთვნილი. მივედი და დავჯექი.

– ყავა გინდა? – მკითხა ერთ-ერთმა.

– წყალი მირჩევნია – ვთქვი მე. მას გაეცინა და წყლის მოსატანად წავიდა.

წყალი დავლიე და ცოტა აზრზე მოვედი. ორივე ჩემ წინ იჯდა და მიყურებდნენ. უფრო სწორად, ერთი იჯდა და ორნი მიყურებდნენ, ტანი ერთი ჰქონდათ. წელს ზემოთ ორდებოდნენ. ინგლისურ ასოს გავდნენ, მათემატიკის გაკვეთილებზეც რო ეძრობა ხოლმე, იმას. ოღონდ იქსს კი არა, მეორეს. Y-ს. ეგეთი არაფერი მენახა ცხოვრებაში.

ცოტა ხანში ძალა მოვიკრიბე და ვიკითხე, – მე ვის ველაპარაკე?

– მე. – მითხრა მარჯვენა მათგანმა. მარცხენა მათგანი ცოტა უხასიათოდ ჩანდა. აშკარად არ დავევასე. მამენტ, მეც არ მომწონდა დიდად, არც ეგ და არც ეს მარჯვენა. არცერთი. უბრალოდ შოკში ვიყავი.

– ორ ქალთან სექსში ამას გულისხმობდით?

– ეგ ამ იდიოტმა მოიტყუა. – თქვა მარცხენამ. – ასე რომ, ორი ქალი გამორიცხე. ვაგინალური სექსიც გამორიცხე. პირში რაც უნდა ის ჩაუდია, ეგ მკიდია.

– რა თქვი? – მიუბრუნდა მარჯვენა.

– რაც გაიგე.

– შენ თქვი, ვაგინალური სექსი გამორიცხეო?

– დიახაც.

– მე აქ არაფრად მაგდებ? ეგ ვაგინა ჩემიცაა და უფლება მაქვს, გამოვიყენო ისე, როგორც მე მინდა.

ღმერთო, ჩემ წინ ორი ერთმანეთზე მიკერებული ადამიანი ჩხუბობდა. ერთს ჩემთან სექსი უნდოდა, მეორე ნებას არ რთავდა. გადავწყვიტე, ერთ-ერთის უფლებები დამეცვა, ხვდებით ალბათ, რომლისაც.

– მე მგონი, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ის გააკეთოს, რაც უნდა. – ვთქვი მე.

– მოკეტე, ყლეო... – მითხრა მარცხენამ. მაშინვე გავჩუმდი. სტუმრად ვიყავი მაინც. გადავწყვიტე, ბევრი არ გამეტრაკებინა. ერთმანეთში ჩხუბი გააგრძელეს.

– მე შენ გაგაფრთხილე, შეგიძლია პირს რაც გინდა, ის უქნა, მაგრამ ვაგინას ჩემი თანხმობის გარეშე თითი არ დაედოს, გასაგებია? – თქვა მარცხენამ.

– მე ვიცი, შენ რაც გაწუხებს. ბოღმა ხარ და მეტი არაფერი.

– არაფერიც არ იცი.

– ვიცი.

ყურადღებად ვიქეცი, ძალიან საინტერესო იყო, რა აწუხებდა მარცხენას და რატო არ აძლევდა მუტლის თავის ნებაზე გამოყენების საშუალებას... კი არა და, შოკში ვიყავი, მართლა. ვუსმენდი.

– შენ ის გაწუხებს, რომ ვერ ათავებ. ანორგაზმია გჭირს და მაგის გამო ჩემი გშურს. ვერ იტან, რო მე მაგრად ვათავებ. – განაგრძო მარჯვენამ.

– ვერ ვათავებ იმის გამო, რომ შენ ძირითადად ესეთ ყლეებს ირჩევ მისაცემად. ამასთან როგორ უნდა გაათავო, არ მესმის. ნებისმიერ ყლესთან შეგიძლია ტყნაური, სუფთა ბოზი ხარ.

ახლაღა შევამჩნიე, რომ მარჯვენას ამოღებული ეცვა. ძუძუები ვაბშე არ ჰქონდა. მარტო კერტები.

ამ შუა ჩხუბში მარჯვენა მომიბრუნდა და თვალით მანიშნა, შამპანური გახსენიო. დავემორჩილე. გახსნილი ბოთლი გამომართვა და იქვე მდგარ ჭიქებში ჩამოასხა. თავისთვის და ჩემთვის. ორივემ დავლიეთ. მათ ჩხუბი გააგრძელეს.

– ჯერ ერთი, ბოზი თავი გაბია და მეორეც, რაც შეეხება ვაგინას, შენ გგონია, არ ვიცი რეებსაც ჩალიჩობ, როცა მე მძინავს?

– მე?

– ხო, შენ. ხან რას ითხრი და ხან რას.

– ეგ ყველაფერი შენი სიზმრებია, მე არაფერს არ ვითხრი.

– ითხრი, თანაც ჩემთან შეთანხმების გარეშე, ამიტომ დღეს ნება იბოძე და ერთი სექსი აიტანე!

– არა! შეგიძლია, ანალური გასასვლელი გამოიყენო, ვაგინას პრინციპულად არ მივცემ ამ ყლე ბავშვს.

– ანუ სხვა ვინმეს მისცემ?

– არა, არავის არ მივცემ, არ მაქვს ამ ეტაპზე მაგის სურვილი.

– და მე რა დავაშავე? – იყვირა მარჯვენამ და თმებში სწვდა თითქმის თავის თავს. ორივე ლოგინზე გაგორდნენ და ერთმანეთის თმების ჩეჩვას შეჰყვნენ. პიზდეცი სანახავი იყო. აქეთ-იქით ვიყურებოდი, კამერას ვეძებდი, რამე

შოუში ხო არ მოვხვდი-მეთქი, ვფიქრობდი. არა, ეს ცვეტში ხდებოდა.

მივუახლოვდი და გაშველება დავუწყე. ორივე წამოვაყენე და მათ შორის ჩადგომა ვცადე, მარა არ გამომდიოდა. მათ შუაში ვერ გაივლიდი, მენჯებთან ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულები. ნელ-ნელა დაშოშმინდნენ კიდეც. გაწევ-გამოწევაში მეც მომხვდა ერთი ორი. ფრჩხილები გამკრეს. ხელები დაკაწრული მქონდა. ეგ ამბავი გამისწორდა კიდეც. ეგრევე ის წარმოვიდგინე, როგორი სიამაყით ვაბირჟავებ ჩემი უბნის ყლეთა ჯოგთან, როგორ მეკითხებიან, ხელზე რა გჭირსო, და როგორ ვეუბნები, რო ნაშამ დამკაწრა. წარმოვიდგინე, მერე როგორ ბაზრდება რო მე, ამ თოთხმეტი წლის ნაბიჭვარს უკვე ნაშები მკაწრავენ. ბოლოს ამ ყველაფერს გოგოებიც იგებენ და ჩემი ცხოვრება ცხოვრებას ემსგავსება. აი, რა ცოტა მინდა. სულ რაღაც ერთი ტილიანი ნაკაწრი და სტარი ვარ.

სამივე ჩუმად ვსხედვართ. ხმას არცერთი არ ვიღებთ. მე სასმელს ვუსხამ მარჯვენას. ვცდილობ, მარცხენას არ ვუყურო. მისი სიძულვილის მზერას ვგრძნობ. უნდა, რო წავიდე. ძალიან ცდება თუ ჰგონია, რომ აქედან ასე მარტივად წავალ. ბოლო თოთხმეტი წლის მანძილზე, ქალის მოტყვნის ასეთი რეალური შანსი პირველად გამეძრო. ასე რომ, ბოდიში, დაიკო.

– გაიხადე. – მეუბნება მარჯვენა. მარცხენა ამაზე თვალებს ჭყიტავს. ეგონა, ეს თმების ჩეჩვის თემა მაგან მოიგო, მარა შემცდარა.

– გაიხადე და მოდი, ამას ნუ აქცევ ყურადღებას. – ამბობს მარჯვენა.

– შანსი არ გაქვთ, არ მოგცემთ მაგის საშუალებას. – ამბობს მარცხენა.

– მაგასაც ვნახავთ. – ამბობს მარჯვენა და თვალებით მანიშნებს, გავიხადო.

მე შარვალს ვიხდი და ტრუსიკით ვჯდები საწოლზე, მის გვერდით. ჩემს ხელს იღებს და თავის ძუძუზე იდებს. ძუძუზე ნაკლებად, უფრო – გულ–მკერდზე. მე ვეფერები. ვცდილობ დავუზილო. მინახავს, ეს როგორ კეთდება.

– თუ კოცნა გინდა, შენ თვითონ უნდა მოიწიო, ის არ გამომიშვებს, რომ მე მოვიწიო შენ საკოცნელად. – მეუბნება მარჯვენა.

კარგი. მე მისკენ ვიწევი და ტუჩებში კოცნას ვცდილობ. თუმცა მისი სახე მშორდება და მარცხენა მათგანის სიცილი მესმის. გამოდის რომ მარცხენამ ტანი გაწია და მარჯვენას ტანიც გაიყოლა, რო ერთმანეთისთვის არ გვეკოცნა.

– მაგარი ნაბიჭვარი ხარ, დაო. დაგიმახსოვრებ ამ დღეს. – ეუბნება მარჯვენა.

ამჯერად ვახერხებ მის კოცნას. ჯერ ტუჩებში, მერე მკერდზე. უკვე კაი ხნის ამდგარი მაქვს. ვხურდებით. ასწორებს. ხელით ყლეზე მეფერება, ვცდილობ, მოვიშორო, მასე ხო ორ წამში გავათავებ, ხო არ ღადაობს ეს ჩემისა?! ის თითქოს ხვდება, რატომაც გავწიე მისი ხელი. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადადის. ხელებს შარვლის ღილზე იკიდებს და მის გახსნას ცდილობს. ამ დროს, ხელებში მარცხენა მათგანი ეტაკება.

– ოპ, ოპ, აი, ეგ უკვე აღარ შეიძლება, ხო გითხარით, არა-თქო?!

– ხელები გაწიე, ახლავე. – მკაცრად ეუბნება მარჯვენა. ერთმანეთს ეჯაჯგურებიან. მარჯვენა შარვლის ჩახდას ცდილობს, მარცხენა შარვალს იჭერს, რომ მარჯვენამ არ ჩაიხადოს. ერთი დაბლა ექაჩება, მეორე მაღლა. მე ტრუსიკჩახდილი ვდგავარ, ამდგარი მაქვს და არ ვიცი, რა გავაკეთო. ისეთი ერექცია მაქვს, ეს შოკიც კი ვერაფერს აკლებს. მოულოდნელად მარჯვენა ტრიალდება და მიყვირის.

– მომეხმარე, რას დაყუდებულხარ.

მე შარვალს ხელებს ვტაცებ და ქვემოთ ვექაჩები, თუმცა მარცხენას მაინც ვერ ვერევით. ნუ, შარვალი ოდნავ კი ჩამოდის, ტრაკის ღარიც კი გამოუჩნდა, მაგრამ ტრაკის ღარი ვის რა ფეხებად უნდა, ტრაკის ღარში ხო არ შევუდებ. უნდა გავხადოთ მარცხენას, სხვა გზა არაა.

ამ ჭიდაობაში რაღაც ბრახუნის ხმა მესმის. მარცხენა მოცელილივით ეცემა და შუბლიდან სისხლი სდის. მარჯვენას ვუყურებ, ხელში სასანთლე უჭირავს. სასანთლეს ხელიდან აგდებს და მეუბნება, – მოდი, სწრაფად, სანამ გამოფხიზლდება.

– მოიცა, ამაზე რო გიჩივლოს...

– ღადაობ? თვითონაც ხო წამომყვება ციხეში, რამე რო მომისაჯონ, დაიკიდე ეგ და მოდი ჩემთან, სწრაფად.

მივდივარ. ის წვება. მე შარვალს ვხდი და ზედ ვაწვები. ის ჩემ ყლეს იღებს და შიგნით იდებს.

– ნელა იმოძრავე, კარგი? მე ნელა მიყვარს.

ნელა კი ვმოძრაობ, მარა სპერმა უკვე გასხმის სტადიაშია. ვჟიმაობ. ვიცი, მალე გავათავებ და ამიტომ მინდა, ყველაფერი კარგად დავიმახსოვრო, ყოველი მოძრაობა,

სუნი, ხმა, რაც გარშემო ისმის, მთელი ატმოსფერო. ორგაზმს ძალიან ვუახლოვდები.

– ვათავებ... – ვეუბნები მე.

– კარგი, შიგნით არ ქნა ოღონდ. – მეუბნება ის. პირს ვაღებ, არა-მეთქი, რომ ვუთხრა და მოულოდნელად ვიღაც მარცხნიდან თმებში მწვდება. ვახ, საშინლად მტკივნეულია თმების წიწკვნა სექსის დროს. მარცხენა აშკარად გონზე მოვიდა და ორივეს დაგვერია.

აუფ, თითო ყლეობა არ მელევა. ამ გაწამაწიაში ისე მოხდა, რომ შიგნით გავუთავე. როცა ამას მიხვდნენ, ორივე ცოტა ხნით დადუმდა. მეც ვდუმდი. თან ტანსაცმელს ვიცვამდი. სიჩუმე მარცხენამ დაარღვია.

– მე ამ ბავშვს შევინარჩუნებ.

– გაგიჟდი? ამ ყლისგან გინდა ბავშვი იყოლიო?

– კი, მინდა ბავშვი მყავდეს. თუნდაც ამ ყლისგან.

ცოტა ხნით ისევ სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ მარჯვენამ თქვა.

– მე არ მინდა ბავშვი, მაგრამ შეგვიძლია, ასე მოვიქცეთ. თუ შენ გაგეზარდა მუცელი, გააჩენ, თუ მე გამეზარდა, მოვიშორებ. გაწყობს?

მარცხენამ არაფერი უპასუხა.

– თუ ბიჭები იქნებიან, მე შევურჩევ სახელს, თუ გოგოები, შენ. თუ ბიჭი და გოგო – ბიჭს მე შევურჩევ, გოგოს შენ. გაწყობს?

მარცხენამ ისევ არაფერი თქვა. სამაგიეროდ მე ვთქვი.

– ეგ როგორ გავიგო? ორივე თითო ბავშვს გააჩენთ? თუ ტყუპებს გააჩენს რომელიმე, თუ... რა ბაზარია ვაბშე?

ორივემ მე გამომხედა. მარჯვენას ვეცოდებოდი, მარცხენას ეცინებოდა.

– ჩვენ ეგეთი გენეტიკა გვაქვს, მხოლოდ სიამის ტყუპებს ვაჩენთ. – თქვა მარჯვენამ და თვალით კედლისკენ მიმანიშნა. მე კედელს გავხედე და ახლაღა შევნიშნე, ზუსტად ამათი მსგავსი სიამის ტყუპი დედაბრების გადიდებული ფოტო, რომელიც სავარაუდოდ ამათი ბებია უნდა ყოფილიყო.

მოკლედ, ეგ თემა იყო. მე მქონდა სექსი, მაგრამ ამაზე ვერ ვიბაზრებ უბანში. ვერც სკოლაში. ხო აზრზე ხარ, ყველაფერი პირამიდის პრინციპით მუშაობს ამ დედამოტყნულ ცხოვრებაში...

4. კრიტიკა

ანდრო ბუაჩიძე

ფიქრი მინდიას გამო (ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი“)

ვაჟა-ფშაველას «გველის-მჭამელში» მინდია მისნურ ნიჭს შეიძენს. ეს ნიჭი მას ქაჯებთან ტყვეობისას გველის ხორცის ჭამის შემდეგ მიეცემა. ეს არის ნიჭი, რომელიც, მითოსური წარმოდგენის მიხედვით, შეიძლება უეცრად მიეცეს ადამიანს და მერე უეცრადვე წაერთვას. მართლაც, მინდიას ახალი სმენა და ხედვა გაეხსნება, ის სხვა ადამიანად იქცევა. შეიძლება პირდაპირი გაგებით ეს შეძენილი უნარი არ არის ცოდნა, მაგრამ იბადება ახალი იდეა, რომელსაც ახალი მსოფლმხედველობა წარმოშობს. ამ ახალი მსოფლმხედველობის საფუძველზე მინდია სამყაროსადმი მიმართების ახალ წესს წარმოაჩენს. მინდიას ფერისცვალების მთავარი მომენტი ისაა, რომ იბადება ახალი, ძველისგან განსხვავებული მსოფლმხედველობა.

რას გამოხატავს ახალი მსოფლმხედველობა?

იმისათვის, რომ ეს გავარკვიოთ, საჭიროა მინდიას ძველი მსოფლმხედველობის წარმოჩენა. ადრინდელი მინდია ისევე ცხოვრობდა, როგორც სხვები. ის საერთო თემის ერთ-ერთი წევრი იყო. ის არ იყო, როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, თავისუფალი რაიმესაგან რაიმესთვის, არ იყო განკერძოებული ინდივიდი, არამედ იყო თემის ერთ-ერთი წევრი. ამიტომ მისი მსოფლმხედველობა ინდივიდუალური პიროვნების მსოფლმხედველობა კი არა, თემის მსოფლმხედველობა იყო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის იზიარებდა ტრადიციით გადმოცემულ იმ წეს-კანონებს და ზნე-ჩვეულებებს, რომელთა მიღებაც აუცილებლობას წარმოადგენდა.

ცხადია, ბუნების წიაღში მცხოვრებ მთიელ კაცს უშუალოდ ბუნების მიმართ გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა, მხოლოდ ეს დამოკიდებულება არ განსხვავდებოდა თემის წევრების დამოკიდებულებისგან. მინდია ჭრიდა ხეს, იყენებდა საშენ მასალად, გასათბობად ანუ შეშად და სხვა, კლავდა ნადირს, ატყავებდა მას, ტყავს და ხორცს თავ-თავის ადგილს მიუჩენდა და ა.შ. მინდია ისე იქცეოდა, როგორც იქცეოდნენ თემის სხვა წევრები, ისინი კი მისდევდნენ ზოგადად ადამიანის ცხოვრების წესს.

როგორია ზოგადად ადამიანის ცხოვრების წესი?

ადამიანი განსხვავდება ცხოველისაგან. ცხოველი მრავალრიცხოვანი ინსტინქტის კარნახით იქმნის საარსებო გარემოს. ეს გარემო ბუნებაა. ცხოველი ბუნების პირმშოა. მის წესრიგს და თანხმობას ბუნებასთან ქმნის მისივე ინსტინქტების მრავალრიცხოვნება. ადამიანი ინსტინქტით ღარიბი არსებაა. არარსებული ინსტინქტის ადგილს მასში ცნობიერება იკავებს. ადამიანი საარსებო და სასიცოცხლო გარემოს ცნობიერების კარნახით იქმნის. ცხადია, აქაც პირველწყარო ბუნებაა. ადამიანი გარდაქმნის ბუნებას, ბუნების ნედლეულს, ვთქვათ, ხის მასალისგან იშენებს სახლს და ამ სახლში ცხოვრობს. ეს უკვე, ფართო აზრით, კულტურაა. ადამიანი ბუნებისა და, ამავე დროს, თავისივე ხელით შექმნილი კულტურის სივრცეში ცხოვრობს ცხოველისაგან განსხვავებით, რომელიც მთლიანად ბუნებისეულია.

ადამიანს, როგორც სხეულის ანუ სიცოცხლის მქონე არსებას, მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს ბუნებისადმი. ის, როგორც უკვე ვთქვით, მოიხმარს ბუნებას, გარდაქმნის მის ნედლეულს და ამ გზით იმზადებს

თავშესაფარს და საკვებს. ეს რომ არ გააკეთოს, დაკარგავს ვიტალობას, დაკარგავს სიცოცხლეს, დაიღუპება.

ასე ცხოვრობდა მინდიაც, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მას (გველის-მჭამელს) ახალი ხედვა გაეხსნა, ახალი თვალი აეხილა. ამგვარ სიახლეს შესაბამისი მსოფლმხედველობრივი სიახლეც მოჰყვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინდიამ გაიაზრა თავისი ახალი მიმართება ბუნებისადმი. ამ ახალი მსოფლმხედველობის მიხედვით, მინდია წარმოჩნდა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისგან სრულიად განსხვავებული თავისუფალი პიროვნება, თავისუფალი საკუთარ ვიტალობაზე მიჯაჭვულობისგან, საკუთარ კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნვისაგან, თავისუფალი იმისთვის, რომ ნამდვილ ეთიკურ ღირებულებას მომსახურებოდა. მინდიას მომხმარებლური დამოკიდებულება ბუნებისადმი უანგარობამ შეცვალა. ის აღარ ჭრის ხეს და აღარ კლავს ნადირს, ბუნებას ესაუბრება და მის თხოვნა-მუდარას შეისმენს («ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო»). მინდია უანგაროა ბუნებისადმი, ასეთია მისი ეთიკური მრწამსი. მისი ბუნებასთან მიმართების ესთეტიკური მომენტიც უანგარობით არის აღბეჭდილი: («კლდის თავზე მოსულ პირიმზეს გულ-მკერდში ვენაცვალები»). ესთეტიკური და ეთიკური უანგარობა ყველასგან გამოარჩევს მინდიას. მინდია თავდავიწყებით ეძლევა ბუნების მსახურებას. ის სრული ტრანსცენდენციის უნარს ამჟღავნებს, ივიწყებს თავის ვიტალობას და ბუნების მრავალფეროვან სამყაროში იძირება. მისი დამოკიდებულება უფრო ეთიკურია, ვიდრე ესთეტიკური. ეთიკური ხასიათისაა უკვე გარდაქმნილი მინდიას ღვაწლიც, ის სიკეთის მთესველია, ქაჯებისგან მას ბოროტება არ გადასდებია:

მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა დანარჩენი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია.

შეძენილი ნიჭის კეთილმყოფელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მინდია მკურნალად იქცა. მას ყვავილები წამალს სთავაზობენ და ის კურნავს ომში დაჭრილ მეომრებს; მინდიას ძალ-ღონეც მოემატა, მოხერხებულობაც და სიჩაუქეც. მომხდურ მტერთან გამკლავება იგივე ბოროტებასთან შებრძოლებაა. მას ესეც ხელეწიფება... მაგრამ მინდიას სულიერი აღზევება არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ვინაიდან უეცრად დაუფლებული მისნური ნიჭი მას სრულ უანგარობას ანუ ნედლეულის მიუღებლობას ჰკარნახობს, ბუნების ნედლეულის გარეშე კი ადამიანი ვერ იარსებებს. ახლადშეძენილმა ნიჭმა იმთავითვე განსაზღვრა მინდიას საბოლოო ხვედრი.

მაშასადამე, ადამიანი დამოკიდებულია თავის ვიტალობაზე იმ თვალსაზრისით, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად მუდმივად ზრუნავს ბუნების ნედლეულის გარდაქმნაზე, საკვების მოპოვება-მიღებაზე, თავშესაფრის მოწყობაზე. ეს გარდაქმნა კულტურაა, კულტურის დამამკვიდრებელი აქტია, ამიტომაც ვამბობთ, რომ ადამიანი «თავისი ხელით» შექმნილ კულტურის გარემოში ცხოვრობს, მაგრამ ის ბუნების შვილიცაა. ბუნების შვილია მინდიაც და სასიცოცხლო ძარღვით არის გადაბმული ბუნებასთან. ამ ძარღვის გადაჭრა დამღუპველი იქნება მისთვის და სხვებისთვისაც. არ შეიძლება, ამას თუნდაც ქვეშეცნეულად ვერ გრძნობდეს ბუნებისადმი სრული უანგარობის იდეით შეპყრობილი მინდია. მხოლოდ ეს თანდათანობით ხდება. თანდათანობით ხდება ის, რომ მინდია ცდილობს ეს

უკიდურესობის შემცველი, «გაუწონასწორებელი» იდეა რამდენადმე მაინც მოარგოს ყოფით რეალობას. ის ამ იდეის პოზიტიურ მომენტს (ვიტალობაზე ამაღლება) წამოწევს წინ და ცოლთან კამათისას ზნეობრივი პათოსის ფონზე ამხელს მასთან დაპირისპირებულთა ცხოვრების ნეგატიურ მომენტს (ვიტალობაზე მიჯაჭვულობა).

1960-იანი წლები,
მხატვარი თეიმურაზ ყუბანეიშვილი

მინდია გვეუბნება, რომ ადამიანმა ბუნებას მხოლოდ მომხმარებლის თვალით არ უნდა უყუროს. რაკი ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია, ის არა მხოლოდ უნდა იღებდეს (თუნდაც მცირედს) მისგან, არამედ უნდა გასცემდეს საიმისოდ რაიმეს. მინდია უკვე მხოლოდ მიმღები კი არ არის, არამედ გულუხვად გამცემიცაა, ან სწორი იქნება, რომ ვთქვათ, მცირედის მიმღები (ის მიიჩნევს, რომ მცირედითაც შეიძლება ვიტალობის შენარჩუნება, რაც საბოლოოდ არ ხერხდება) და მრავლის გამცემია. ის, ფაქტობრივად, ბუნების მესაიდუმლეა, მისი სიყვარულით ანთებული ადამიანია, მასზე მზრუნველი, ცხოველების, ფრინველებისა და ხეების აპოლოგეტია. მინდიას აზრით, ადამიანი მუდმივად საზრდოობს ბუნების ნაყოფით და მორალური თვალსაზრისით მისი მოვალეა, რისი დავიწყებაც უმადურობა იქნება:

ამ მიწის ამონაცენი
ჩემი სესხი და ვალია;

როგორღა ან პური ვჭამო,
როგორ დავლიო წყალია.

ეს პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ იმავე ზნეობრივმა იმპერატივმა წარმოშვა, რომელმაც ანგარებიანი ურთიერთობის უანგარობით შეცვლა გამოიწვია. ყოველივე ეს არ მომხდარა ხანგრძლივი განსჯისა და დინჯი გააზრების შედეგად. მინდიას არსებაში ახალმა ხედვამ და სმენამ, ახლადშეძენილმა ნიჭმა თვითონ ბუნების წიაღში დაძრულ სტიქიასავით გაიღვიძა. მინდია უფრო პოეტია, უფრო შთაგონებით შეპყრობილი ხელოვანია, ვიდრე ფხიზელი ანალიტიკოსი. მისი მოულოდნელი ინსპირაციით აღძრული ნატურფილოსოფია უფრო მოქმედებაშია გამოხატული, ვიდრე თეორიულ განსჯაში. განსჯამ მოგვიანებით იჩინა თავი ცოლთან დიალოგში, როცა უკვე შეძენილი ნიჭის დაკარგვით გამოწვეულმა მწარე სინანულმა შეიპყრო ეს კაცი. ამ განსჯაში თვალნათლივ გამოჩნდა მინდიას მრწამსი, რომ, მისი აზრით, მისივე პიროვნებისეული მეტამორფოზა ზნეობრივი ხასიათის იყო. ვიტალობაზე აღმატებამ და სრული უანგარობისაკენ სწრაფვამ მის არსებაში დაფარული შესაძლებლობები წარმოაჩინა. ეს იყო ღირსეული ადამიანის ცხოვრების წესი, აზროვნების და მოქმედების თავისუფლების გამოხატულება. ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, ღიად უპირისპირდებოდა უტილიტარისტებს და მერკანტილისტებს, ანუ იმათ, ვინც ბუნების ნაყოფს ბოროტად, თავის სასიამოვნოდ ირგებდა და იყენებდა. ის გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილ მეუღლესაც მათ მიათვლის და მის მიმართ დაუფარავ სიმკაცრეს ამჟღავნებს:

არ იცი, არა, ჭკვათხელო,
ყბედო, ზეზერე მგრძნობარევ,

თავისა სასიამოვნოდ
წუთისოფლისა მცნობარევ!

მინდიას მრწამსი, როგორც უკვე ვთქვით, იმ ადამიანების საპირისპიროა, ვინც გამუდმებით ზრუნავს ვიტალობაზე. მინდიასათვის ისე, როგორც ყველა ღირსეული ადამიანისთვის, საკუთარი ვიტალობა, «ხორცის კეთილდღეობა» საშუალებაა და არა თვითმიზანი. თვითმიზანი რომ იყოს (ესეც კარგად იცის მან) და ამ დონეს დასჯერდეს, მისი არსებობა ცხოველისას დაემსგავსება. ცხოველს არ ძალუძს ვიტალობაზე მაღლა დადგომა. ის მუდმივად მუცლის ამოყორვასა და «სხეულებრივი კეთილდღეობის» მიმნიჭებელ სხვა პირობებზე ზრუნავს, ადამიანი კი, როგორც ერთმა მოაზროვნემ თქვა, მუდმივად გზაში უნდა იყოს, ანუ მუდმივად უნდა ფიქრობდეს თავის ეთიკურ და ესთეტიკურ ზესწრაფვასა და სრულქმნაზე. ეს იცის მინდიამ და ამიტომაც უწოდებს თავის ცოლს «ჭკვათხელს», «ყბედს», «ზეზერე მგრძნობარეს», «თავისა სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარეს». შეიძლება მზიას ყველაზე ნაკლებად ეკუთვნოდეს ეს საყვედური, ვინაიდან ის შვილებზე ზრუნავს, მაგრამ იმავე ცოლისთვის «სამაგალითო ადამიანი» ბერდიაა, რომელზეც მიუთითებს ქმარს და ეუბნება: «ბერდიას რამდენ შეშა აქვს, როგორ ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი», და ეს ნათქვამი წონასწორობას აკარგვინებს მინდიას, რადგან მას სხვაგვარი წარმოდგენა აქვს სამაგალითო ადამიანზე. მისთვის სამაგალითო თვისება ვიწრო მომხმარებლობა კი არა, უანგარობაა. ცოლისადმი მისი პასუხი მოარულ ფრაზადაც კი არის ქცეული:

«ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი».

ბრიყვის ცხოვრება ცხოველის არსებობას ემსგავსება.

მინდია უშუალოდ, პერსონალურად ცოლს და ბერდიას კი არ გმობს, არამედ გმობს ცხოვრების იმ წესს, რომელიც მრავალთათვის მისაღებია, ხოლო მისთვის მიუღებელი. მინდიას სჯერა ადამიანის მაღალი მოწოდებისა. მან ისიც იცის, რომ უანგარობის გზას ყველა ვერ დაადგება, მაგრამ თემის მოყმეთაგან სრული ვერგაგება აღიზიანებს.

ვაჟა-ფშაველა ცოცხალ, პლასტიკურ ხასიათებს ქმნის და არა მსოფლმხედველობრივ სქემებს. ანტიკურ დრამაში ესქილესთან და სოფოკლესთან პერსონაჟების შინაგანი სამყარო სიუჟეტური განვითარების წიაღ უცვლელი და ერთგვაროვანი იყო. ევრიპიდესთან გმირის ხასიათის ძერწვა განსხვავებულია: ხასიათი პლასტიკურობას იძენს, ცვალებადია და არაერთგვაროვანი. აღორძინების ხანის შექსპირისეულ დრამაში ხასიათების ცვალებადობას ღრმა ფსიქოლოგიზმი ერწყმის. ეს გამოცდილება გრძელდება მომდევნო ხანაში და რომანტიკული პერიოდის პოემაში. სწორედ ამ გამოცდილებას იზიარებს ვაჟა. მინდია რომ გველის ხორცს გასინჯავს, პირველი მკვეთრი მეტამორფოზის კვალად ის მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ეს ცვალებადობა ფაქიზი ფსიქოლოგიზმით არის აღბეჭდილი.

ბუნების მესაიდუმლედ ქცევის შემდეგ, ანუ მას აქეთ, რაც აღმაფრენის ტალღა დაეუფლება, მინდიას ტვინისგამბურღავი ყოფითი საფიქრალიც უჩნდება. თითქოს რაღაც უკვეცავს ფრთებს მის აღმაფრენას და მიწისკენ ეზიდება. ეს ცოლის მუდმივი ჩივილია. ამ ჩივილის კვალდაკვალ მინდიას უკომპრომისო ხასიათი თანდათან ირღვევა, ვინაიდან ის ვერ ახერხებს «ოქროს

შუალედის» გამონახვას უანგარობის იდეით ნაკარნახევ სწრაფვასა და ყოფით რეალობას შორის.

მინდიამ იცის, რომ ბუნებასთან კავშირისას სრული უანგარობა ანუ ბუნებისგან ნედლეულის არმიღება სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ ის ანაქორეტივით ცხოვრობს – მხოლოდ მცირედს იღებს, თუმცა ბუნებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებაზე ეს ნაწილობრივი უარისთქმა მაინც იწვევს ოჯახის მკვეთრ პროტესტს. მეუღლე შესჩივის მინდიას, «სიცივე ბალღებს მილევსო» და მეზობლის აბრიალებულ ცეცხლზე მიუთითებს; იმასაც ეუბნება, უხორცოდ დაზრდილი ყმაწვილები ვაჟკაცებად ვერ გამოდგებიანო. ცხადია, ეს მინდიამ თვითონაც იცის, ამიტომაც ცოლის წარმოთქმულ საყვედურს იმით პასუხობს, რომ კიდევ და კიდევ უშვებს კომპრომისს:

და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა.
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია,
«– რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!»

ეს არაერთი კომპრომისი სავალალო შედეგს იწვევს. მინდია კარგავს თავის შეძენილ ბუნების მესაიდუმლის ნიჭს და სასოწარკვეთილებაში ვარდება.

აქ საგულისხმოა ერთი რამ: მინდია კარგავს არამხოლოდ იმ ნიჭს, რომელიც მან შეიძინა და რომელმაც შეცვალა მთელი მისი არსება, არამედ ამ ნიჭთან ერთად კარგავს ყველაფერს – კარგავს ღირსების გრძნობას, ვაჟკაცობას, ცხოვრების საზრისს და ეს ხდება მანამდე, ვიდრე

გადაიწურავდეს იმედს. მინდია იბრძვის საიმისოდ, რომ შეძენილი ნიჭი როგორმე დაიბრუნოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და თავს იკლავს.

მაშასადამე, მინდიას აღმაფრენას ფრთები ნაადრევად შეეკვეცა, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ის ადამიანის არსებობის წინასწარგანსაზღვრული, მუდმივი სპეციფიკის ყალიბში ვერ ჩაეტია. ეს მისი ღირსებაც არის და ტრაგედიაც. მინდიამ უანგარო ურთიერთობა დაამყარა ბუნებასთან, რითაც ადამიანის ფიზიკური არსებობის სასიცოცხლო წესს დაუპირისპირდა. მართალია, მან სცადა ნაწილობრივ მაინც დაეშვა მომხმარებლური მიმართება ბუნებისადმი, მაგრამ ახლადშეძენილმა მისნურმა ნიჭმა ვერ იგუა ამგვარი მიმართება და ეს მცდელობა ფუჭი გამოდგა. თვითონ ეს ნიჭი იყო იმგვარი წყობის, რომ მცირე კომპრომისს ვერ ურიგდებოდა და უკიდურეს უანგარობას მოითხოვდა. კომპრომისზე წასულმა მინდიამ ეს ნიჭი დაკარგა. ბუნებისადმი უანგარო დამოკიდებულებამ ვერ შეითავსა ზომიერი მომხმარებლობა. ამ ზომიერი მომხმარებლობის გარეშე ადამიანი დაიღუპება. არაერთხელ გავიმეორეთ და კვლავაც ვიტყვით: ადამიანის ვიტალობას ბუნება კვებავს, რა თქმა უნდა, ადამიანი ვიტალობაზე მაღლა უნდა დადგეს და მინდია დგება კიდეც, რათა ზნეობრივი ცხოვრებით იცხოვროს, მაგრამ ბუნებასთან დამაკავშირებელი სასიცოცხლო ძარღვის გაწყვეტა საბოლოოდ ღუპავს მას.

არადა, მინდიამ მართლაც ზნეობრივ სიმაღლეს მიაღწია. მისთვის საძრახისია და სამარცხვინო მხოლოდ მომხმარებლური თვალით გარესამყაროს ცქერა, სამარცხვინოა, რადგან მან იცის ადამიანის შესაძლებლობების განუსაზღვრელობა. მინდიას აზრით, ბრიყვია ის, ვისაც არ ძალუძს თავის ვიტალობაზე

აღმატება და თავისუფლების მოპოვება. მინდიამ ისიც იცის, რომ მის ირგვლივ თემში გაერთიანებულ ადამიანებს არამხოლოდ არ ძალუძთ, არც სურთ და იქნებ ვერცკი წარმოუდგენიათ თავიანთ არსებაში დაფარული ზნეობრივი შესაძლებლობების რეალიზება. მათი თვალსაწიერი ვიწროა. ისინი საგნებისადმი სამომხმარებლო და სარგებლიანობა-სიამოვნების მომტანი თვალთახედვისგან ვერ თავისუფლდებიან, თავიანთ სხეულს არიან მიჯაჭვულნი.

* * *

ცოლთან კამათში მინდია წარმოაჩენს თავის მსოფლმხედველობას. ის წამოთქვამს ასეთ სიტყვებს: «თავისა სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარევ!» აქ მხოლოდ ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება არ არის ხაზგასმული, ზოგადად ცხოვრებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებაზეა საუბარი. მე ვფიქრობ, ვაჟა აქ გულისხმობს შემდეგს: ის, ვისაც მხოლოდ მომხმარებლური მიმართება აქვს წუთისოფლისადმი, ცხოვრებისადმი, სხვა ღირებულებითი ორიენტაციის, ზოგადად, მომხმარებლური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანია. ასეთი ადამიანი კი არა მხოლოდ ბუნებას, არამედ სხვა ადამიანსაც გამომყენებლობითი თვალით უყურებს. ცხადია, მისთვის მიუღებელია ერთი ბრძენკაცის აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი მიზანია და არა საშუალება.

* * *

მინდიას უცებ შეძენილმა რწმენამ, რომელსაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა, დაკარგვისთანავე მსოფლმხედველობის სახე შეიძინა. მინდია მიხვდა, რა დაკარგა. მართალია, მან ვერ შექმნა მწყობრი მსოფლმხედველობა

(პერსონაჟისთვის ეს არც იყო საჭირო), მაგრამ გარკვეული ზნეობრივი იდეის და პოზიციის შემუშავება შეძლო.

თავისთავად იდეადქცეული ეს რწმენა (ამის თაობაზე უკვე ვთქვით) ბუნების, როგორც სიცოცხლის გამოხატულების, სიყვარულია. ამ სიყვარულს აქტიური, პრაქტიკული ფორმაც გააჩნია და ეს არის ბუნების გაფრთხილება. ესეც უკვე ითქვა, მაგრამ ხაზგასმულად არ თქმულა ერთი რამ: ეს იდეა თუ პოზიცია (პოემაში და არა რეალობაში) წინააღმდეგობრივია და პარადოქსულ ალოგიკურობას შეიცავს. ამ ალოგიკურობის შინაარსი ასეთია: ადამიანი გონების, ცნობიერების მქონე არსებაა და ამით ის ემიჯნება (კულტურას ქმნის) ბუნებას, მაგრამ, ამავე დროს, სხეულის მქონეა და ამით ბუნების გამგრძელებელია, მის სხეულში ბუნება «ლაპარაკობს», ის ბუნების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ადამიანის ბუნებისაგან მოწყვეტა, მისი ცალკე განხილვა და, მითუმეტეს, ბუნებასთან დაპირისპირება შეცდომაა. არადა, ეს ახალი რწმენა მინდიას ჰკარნახობს, რომ ბუნების სიყვარული და მასზე მზრუნველობა მისგან მოწვდილი სასიცოცხლოდ აუცილებელი, «კუთვნილი» ნაყოფის მიუღებლობით გამოხატოს. კი, მაგრამ ეს ხომ დაღუპავს მას? ისმის სხვა კითხვაც: თუ ბუნება სიცოცხლის შემცველია და ამიტომ არის ღირებული და შესაბამისად გასაფრთხილებელი, ადამიანის სიცოცხლე არ არის ღირებული და გასაფრთხილებელი? საქმე ასე ეწყობა: ბუნების გაფრთხილება იწვევს ადამიანის დაღუპვას, ანუ მინდია უფრთხილდება ბუნებას და ამით საკუთარ თავს იღუპავს.

რას ნიშნავს ეს?

ამ შეკითხვაზე პოემაში პასუხი არ ჩანს. ამ პარადოქსს სწორედ მისნური ნიჭის თავისებურება ამჟღავნებს. ისღა

დაგვრჩენია, ვიაზროთ, რომ ვაჟას ჩანაფიქრის მიხედვით, მინდია არა მარტო მაღლდება თავის ვიტალობაზე, არამედ ბუნების სასიკეთოდ სწირავს თავის სიცოცხლეს, ანუ პოემის გმირი მსხვერპლად ეწირება ბუნების გადარჩენის იდეას. ეს მინდიას ინდივიდუალური არჩევანია.

მინდიას ხანმოკლე ცხოვრება ტრაგიკულია, მაგრამ «მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა». მისი ყოფნა ცოდვილ მიწაზე მეტეორივით გაიბრწყინებს და გაქრება, მაგრამ ვიდრე გაქრება, ზნეობრივი იმპერატივის განუმეორებელი შუქით გაანათებს ადამიანების გაკვირვებულ სახეებს. მინდიას ირგვლივ შეყრილ ადამიანებს ერთდროულად აშფოთებთ და უკვირთ კიდეც მისი არსებობა, უკვირთ, რადგან ის მათგან განსხვავებულ ცხოვრებისეულ არჩევანს აკეთებს.

ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე წერს: «ადამიანს შეუძლია ამქვეყნად ცოცხალი ბიოლოგიური ორგანიზმის სახით სასრული და დროებითი ყოფნა აირჩიოს, მასზე ზრუნვით განისაზღვროს და არაფერი ეძიოს ამის იქით, ხოლო, მეორეს მხრივ, მას შეუძლია არ დასჯერდეს ამგვარ ყოფნას, არამედ მის იქით გაგრძელება, საბოლოო ანგარიშით, მარად ყოფნა, მარადისობა აირჩიოს და ამქვეყნად მასში გასასვლელი გზა ეძიოს...»

მინდიამ ეს უკანასკნელი გზა აირჩია და, მართალია, ადამიანის ფიზიკურ არსებობასთან შეუთავსებლობის გამო ბოლომდე ვერ განვლო ეს გზა, არჩევანი ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი წამიერი გაელვება მკაფიო აზრად იქცა და ცხოვრების ორიენტირად მოევლინა ადამიანებს. ეს აზრი ასე გამოითქმის: ნუ იქნები მხოლოდ ბიოლოგიური ორგანიზმი, იყავი ადამიანი, იყავი თავისუფალი, იცხოვრე ადამიანის საკადრისი ცხოვრებით,

იყავი ბუნებისადმი უანგარო და, ვინაიდან ბუნებისაგან სასიცოცხლოდ დავალებულები ხართ შენც და სხვებიც, გაუფრთხილდი ბუნებას.

ამ სიტყვებში ღრმა ცოდნა ძევს.

მინდია მისნური, ერთი ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, ფაუსტური ნიჭის მძლავრი ზემოქმედების ქვეშ მოექცა, არჩევანი კი მაინც თვითონ გააკეთა უკვე ამ ნიჭის დაკარგვის შემდეგ, ოღონდ ამ ნიჭით მომადლებული ცოდნის სასარგებლოდ. ეს ცოდნა უკვე მისი პიროვნების განუყოფელი ნაწილი იყო.

5. ახალი თარგმანები

ვასილი შუკშინი

მიკროსკოპი

(რუსულიდან თარგმნა არსენ კორძაიამ)

ამ საქმეს გაბედვა უნდოდა. მან გაბედა.

ერთხელაც მოვიდა სახლში, უცნაურად დაბნეული, სახეგაყვითლებული. ცოლისთვის არც შეუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

– ისა... ფული დავკარგე. – და ამ დროს მისი ჩატეხილი ცხვირი (მოღრეცილი და კეხიანი), აქამდე ყვითელი, მთლად გაუწითლდა. – ას ოცი მანეთი.

ცოლს ყბა ჩამოუვარდა, სახეზე მუდარა აღებეჭდა: იქნებ ხუმრობს? არა, ეს ცხვირმოგრეხილი არასოდეს ხუმრობს, არ შეუძლია. ცოლმა სულელურად იკითხა:

– სად?

ქმარმა უნებურად ჩაიქირქილა:

– ჰიჰ, ეგ რომ ვიცოდე, წავიდოდი და...

– ოო, არა! – იფეთქა ცოლმა. – შენ დიდხანს არ გექნება საქმე საქირქილოდ! – თქვა ეს და სატაფეს ასაღებად გაიქცა. – ერთი ცხრა თვე მაინც, საძაგელო!

ქმარმა ლოგინზე ბალიშს სტაცა ხელი – დარტყმების მოსაგერიებლად. (ძველები მარტო ბაქიბუქობდნენ თავიანთი ელვარე ფარებით. ბალიში!) ცოლ-ქმარი ოთახში დატრიალდა.

– ბალიში, ბალიშს გასვრი! შენი გასარეცხი იქნება!..

– გავრეცხავ! გავრეცხავ, ცხვირმოღრეცილო! სამაგიეროდ, ორი ნეკნი ჩემი გახდება! ჩემი! ჩემი!

– ხელებზე ნუ მირტყამ, გაიგე?

– მოკლე-მოკლე ხელუკები, მოღრეცილი ცხვირუკები!

– ხელები, შე სენის წყარო! ასე ხომ ხვალ ბიულეტენზე დავჯდები! შენვე წააგებ!

– ჰოდა, დაჯექი!

– შენვე წააგებ...

– წავაგო!

– ვაიმე!

– აი, ასე!

– გეყო?

– არა, მაცადე, ბოლომდე გავერთო! სული უნდა მოვიოხო, შე ცხვირმოღრეცილო ჩერეტო შენა! კოდალავ... – აქ ცოლმა იმარჯვა და მტკივნეულად გაარტყა თავში. ცოტა თვითონვე შეეშინდა...

ქმარმა ბალიში დააგდო, თავში იტაცა ხელები და მორთო კვნესა. ცოლი გამომცდელად დააშტერდა ქმარს: თვალთმაქცობს თუ მართლა ეტკინა? გადაწყვიტა, რომ მართლა. დადო სატაფე, დაჯდა სკამზე და აყმუვლდა, მოთქმითა, მოთქმითა:

– ვაი, რატომ მერგო მე ასეთი ბედიიი?.. ვაგროვებდი, ვაგროვებდი!.. ვაი, ზედმეტად თეთრი პურის ლუკმა არ ჩამიდია პირშიიი!.. ვაი, ჩემი ბავშვებისთვის ტკბილი თაფლაკვერი არ მიყიდია!.. ვიზოგავდი, ვიზოგავდი, შე ცხვირმოღრეცილო ჩერეტო შენაააა!.. ვაიმეე!.. ყოველ კაპიკს ვიზოგავდი, მიხაროდა: ექნებათ ზამთარში ჩემს შვილებს თბილი და მორთული ქურქები! სკოლაში დაძონძილები და შეციებულები არ ივლიან!..

– როდის იყო, რომ დაძონძილები დადიოდნენ? – ვერ მოითმინა ქმარმა.

– ხმა ჩაიწყვიტე, შე ჩერეტო, შენა! გაჩუმდი. ეს ფულები საკუთარ შვილებს შეუჭამე! შეუჭამე და ყელზეც არ დაგადგა... ნეტა მართლა ყელზე დაგდგომოდა, ოდნავ შვება იქნებოდა ჩვენთვის.

– გმადლობ კეთილი სიტყვისთვის, – გესლიანად გამოსცრა ქმარმა.

– ოხ, შე ჩერეტო!.. მაინც, სად იყავი? იქნებ გაიხსენო? იქნებ სამუშაო ადგილას დაგრჩა? იქნებ დაზგის ქვეშ დადე და დაგავიწყდა?

– სად დამრჩებოდა სამუშაოზე!... შემნახველ სალაროში სამუშაოდან წავედი. სამუშაო ადგილასო...

– იქნებ ვინმესთან შეიარე, შე ჩერეტო?

– არავისთან მე არ შევსულვარ.

– იქნებ ჯიხურში ლოთებთან ლუდი დალიე?.. გაიხსენე. იქნებ იატაკზე დაგივარდა... გაიქეცი, ჯერ კიდევ დაგიბრუნებენ.

– არ შევსულვარ ამ ჯიხურში.

– აბა, სად შეიძლება დაგკარგვოდა, შე ჩერეტო?

– მე რა ვიცი?

– ველოდებოდი! ახლა წავიდოდი ბავშვებთან ერთად, ქურქებს მოვიზომებდით... უკვე შერჩეული მქონდა. ახლა იმათ უკვე დაიტაცებენ. ვაი, შე ჩერეტო, ჩერეტო...

– კარგი, გეყოფა! ამოიჩემა: ჩერეტო, ჩერეტო...

– აბა, ვინ ხარ?

– რა ვქნა ახლა?

– ორ ცვლაში იმუშავებ, ჩერეტო! აწი მჭლედ გვეყოლები... დალევ აწი ორას ორმოცდაათიანს აბანოს მერე, კი, როგორ არა! ცივ წყალს მიირთმევ ჭიდან...

– არც მინდა ეგ არაყი. როგორმე გადავიტან უმისობას.

– ფეხით ივლი სამუშაოზე! კი, ისეირნებ აწი ავტობუსით.

აქ უკვე ქმარმა გაკვირვება ვერ დამალა.

– ორ ცვლაში მუშაობა და თან ფეხით სიარული? მოფიქრება არ გინდა?

– კი, ფეხით! ფეხით ივლი, იქითაც და აქეთაც, ჩერეტო! ხანდახან სირბილითაც წახვალ, რომ არ დაგაგვიანდეს. ამოანთხევ იმ ფულებს, ბევრჯერ გაგახსენდება...



– ორ თვეში არა და თვენახევარში კი გამოვიმუშავებ, ეგ არაფერია, – სერიოზულად თქვა ქმარმა და ხელი მოისვა ნატკენ ადგილზე. – ოსტატს უკვე მოველაპარაკე... – თავიდან ვერ გაიაზრა, რომ თავი გათქვა, მაგრამ როცა ცოლმა გაკვირვებით შეხედა, გამოასწორა: – როცა ვნახე, რომ ფული დამეკარგა, სამუშაოზე დავბრუნდი და მოველაპარაკე.

– აბა, ერთი, შემნახევლი სალაროს წიგნაკი მაჩვენე, – მოსთხოვა ცოლმა. შეხედა, ამოიხვნეშა და ისევ მწარედ თქვა: – ჩერეტო.

სოფლიდან ცხრა კილომეტრის დაშორებით განლაგებული «ზაგოტზერნოს» პატარა სახელოსნოს დურგალი ანდრეი

ერინი ერთი კვირა თავს უგვანოდ გრძნოდა. ცოლი ისევ ისე ჯავრობდა, ისევ «ჩერეტოს» ეძახდა, და ქმარიც ჯავრობდა, მაგრამ ხმამაღლა ჩხუბს ვერ ბედავდა.

ამასობაში დღეები გადიოდა... ცოლი ნელ-ნელა მშვიდდებოდა. ანდრეი იცდიდა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ უკვე შეიძლება.

და აი, ერთ გვიან საღამოს (მართლა ერთნახევარ ცვლას «ასკდებოდა») დაბრუნდა ანდრეი სახლში, ხელში კი პატარა ყუთი ეჭირა, და ყუთში, იგრძნობოდა, რაღაც მძიმე საგანი იდო. ანდრეი ჩუმად ბრწყინავდა.

თუ რამე იყო გასაკეთებელი, სახლშიც ხშირად მოჰქონდა ხოლმე, ქაღალდში გახვეული რაღაც ხის საგნები, კოლოფები, და არავის გაკვირვებია, რომ რაღაც მოიტანა. მაგრამ ანდრეი ჩუმად ბრწყინავდა. ზღურბლთან იდგა, იცდიდა, როდის მიაქცევდნენ ყურადღებას... ყურადღება მიაქციეს.

– რაშია საქმე, რას ბრწყინავ მთვარიან ღამეში გამოდებული შიშველი უკანალივით?

– აი, მომცეს, დამკვრელური შრომისთვის, – ანდრეი მაგიდასთან მივიდა. დიდხანს ხსნიდა ყუთს. როგორც იქნა, გახსნა და მაგიდაზე შემოდგა... მიკროსკოპი. – მიკროსკოპი.

– რად გინდა ეგ?

ანდრეი ერინი დაფაცურდა. მაგრამ დაფაცურდა არა დამნაშავე სახით, როგორც სჩვეოდა, არამედ, როგორღაც, შემწყნარებლურად.

– მთვარეს დავაკვირდებით! – და გადაიხარხარა. მეხუთეკლასელმა ვაჟიშვილმაც გაიცინა: მიკროსკოპით – მთვარეს!

– რა დაგემართათ? – იწყინა დედამ.

მამა-შვილი გადაბჟირდა.

დედამ მკაცრად შეხედა ანდრეის. ისიც დამშვიდდა.

– შენ იცი, ყველა ფეხის ნაბიჯზე მიკრობები რომ გახვევია? აი, ტოლჩით წყალი ამოხაპე... ასე, ხომ? – ანდრეიმ ერთი ტოლჩა წყალი ამოიღო. – რა გგონია, წყალს სვამ?

– დამანებე თავი!

– არა, მიპასუხე!

– ჰო, წყალს ვსვამ.

ანდრეიმ შვილს შეხედა და უნებლიეთ ისევ ახარხარდა.

– თურმე, წყალს სვამს!.. სულელი არაა ახლა ეს ქალი?..

– ჩერეტო! ახლავე ავიღებ სატაფეს.

ანდრეი კვლავ დასერიოზულდა.

– მიკრობებს სვამ, ჩემო კარგო, მიკრობებს. წყალთან ერთად ერთ-ორ მილიონს ჩაყლაპავ და ეგაა, მიაყოლებ! – მამა-შვილმა ისევ გადაიხარხარა. ზოია (ცოლი) კუთხისკენ გაეშურა სატაფეს ასაღებად.

– აქეთ მოიხედე! – აყვირდა ანდრეი. ტოლჩით ხელში მიკროსკოპთან მიირბინა, დიდხანს აწყობდა ხელსაწყოს, მრგვალ სარკეს წყალი დააწვეთა, მილაკს თვალი დაადო და ორი წუთი მაინც იყურებოდა შიგ, სუნთქვაშეკრული. ვაჟი ზურგსუკან ედგა – იმასაც სასტიკად უნდოდა ჩახედვა.

– მამი!

– აი, ისინიც, ძაღლები!... – წაიჩურჩულა ანდრეი ერინმა. მერე რაღაც შემზარავი აღტაცებით დაიჩურჩულა: –

დასეირნობენ.

– კარგი, რა, მამი!

მამამ ფეხი დააბაკუნა:

– იქით-აქეთ, იქით-აქეთ!.. ძაღლები!

– მამიკო!

– ბავშვი მიუშვი, ნახოს! – მკაცრად უბრძანა დედამ, თვითონაც აშკარად დაინტერესებული ჩანდა.

ანდრეი დანანებით მოწყდა მილაკს და შვილს დაუთმო ადგილი. ხარბად და ეჭვიანად მიაჩერდა კეფაში, მოუთმენლად ჰკითხა.

– აბა?

ვაჟი დუმდა.

– აბა?!

– აი, ისინიც! – აყვირდა ბიჭი. – თეთრები...

მამამ შვილი მიკროსკოპს მოგლიჯა და დედას დაუთმო ადგილი.

– შეხედე! წყალს სვამს თურმე...

დედა დიდხანს უყურებდა... ხან ერთი თვალით, ხან – მეორეთი...

– ვერავისაც ვერ ვხედავ.

ანდრეიმ ერთბაშად იფეთქა, გასაოცრად გაბედული გახდა.

– დაუდგა თვალი! ნებისმიერ გროშს მიაგნებს ჯიბეში, აქ კი მიკრობების დანახვა არ შეუძლია.. ლამისაა, თვალებში მოგახტნენ, სულელო! აი, ასეთი, თეთრები არიან...

იმიტომ, რომ თვითონ ვერანაირ თეთრებს ვერ ხედავდა, მამა-შვილი კი ხედავდა, დედა არ გაწყრა.

– აი, აქ ყოფილან... – შეიძლება, მოიტყუა კიდეც, ტყუილი ადრეც დასცდენია. იყო მომტყუებელი.

ანდრეიმ გაბედულად მოაშორა ცოლი მიკროსკოპს და მილაკს თვითონ მიეწება. ამჯერადაც ჩურჩულზე გადავიდა:

– ოხ შენი, რას აკეთებენ! რას აკეთებენ!..

– მღვრიე რაღაცები რომაა, ჰო? – დაეკითხა ზურგსუკან მდგონი დედა შვილს. – სუპის ქონებივით?.. ამათზეა ლაპარაკი?

– ჩუ-მად! – დაიღრიალა ანდრეიმ ისე, რომ მიკროსკოპს არ მოშორებია. – ქონებიო... ქონი შენა ხარ. შაშხი. – საკვირველია, ანდრეი ერინი ოჯახის მყვირალა უფროსი ხდებოდა.

უფროსმა, მეხუთეკლასელმა ვაჟმა სიცილი დაიწყო. დედამ ალიყური აჭამა. მერე მიკროსკოპთან უმცროსები მიიყვანა.

– აბა, ჭკუისკოლოფო!.. ბავშვებიც ჩაახედე. ჩაშტერებიხარ აქ...

მამამ მიკროსკოპთან ადგილი დაუთმო და აღელვებულმა დაიწყო ოთახში ბოლთისცემა. რაღაცაზე ფიქრობდა.

ვახშმის დროს ანდრეი სულ ფიქრობდა, მიკროსკოპს გახედავდა ხოლმე და თავს იქნევდა. სუპიანი კოვზი შვილს აჩვენა.

– რამდენია აქ? დაახლოებით?

ვაჟმა შუბლი შეიჭმუხნა.

– ნახევარ მილიონამდე იქნება.

ანდრეი ერინმა თვალები მოჭუტა, კოვზს შეხედა.

– არანაკლები. ჩვენ კი მათ, ყლაპ! – სუპი ჩაყლაპა და მკერდზე მჯიღი დაირტყა. – და მორჩა. ახლა იქ თვითონ ორგანიზმი დაუწყებს ბეგვას. ეგ კი გაუსწორდება!

– შენ თვითონ მოითხოვე, ჰო? – ცოლმა მსუბუქი უკმაყოფილებით გახედა მიკროსკოპს. – იქნებ მტვერსასრუტი მოეცათ. მტვერი ვერაფრით მოგვიშორებია.

არა, რა, ღმერთმა, ქალს როცა ქმნიდა, რაღაცა გაართულა. გაერთო შემოქმედი, გაერთო. ისე, ყველა ხელოვანი ხომ ასეა. რა იყო, ბოლოს და ბოლოს, მოაზროვნეს ხომ არ აკეთებდა.

ღამით ანდრეი ორჯერ ადგა. აანთებდა შუქს, ჩაიხედავდა მიკროსკოპში და ჩურჩულებდა:

– აი, ძაღლები!.. რას სჩადიან. რას არ სჩადიან! ძილიც რომ არ ერევათ.

– არ გადაირიო, – უთხრა ცოლმა, – ისედაც ბევრი არ გინდა, მთლად გაგიჟდები.

– მალე აღმოჩენებს დავიწყებ, – თქვა ანდრეიმ და ცოლთან, თბილ ლოგინში შეძვრა. – მეცნიერთან წოლილხარ ოდესმე?

– კიდევ რას იტყვი!

– იწოლები. – ადრეი ერინმა ცოლს მოფერებით მოუთათუნა ხელი რბილ მხარზე. – იწოლები, ჩემო კარგო, იწოლები მეცნიერთან.

სადღაც, ერთი კვირა, ანდრეი ერინი თითქოს სიზმარში ცხოვრობდა. მოვიდოდა სამუშაოდან, ხელ-პირს

გულდასმით დაიბანდა, ჩქარა-ჩქარა ივახშმებდა... მიკროსკოპისკენ აპარებდა თვალს.

– საქმე ისაა, რომ, – ყვებოდა ანდრეი, – რომ ადამიანს ას ორმოცდაათი წლის სიცოცხლე ეკუთვნის. იბადება კითხვა: რატომაა, რომ სამოცი, დიდი-დიდი, სამოცდაათი წელი – და ფეხებს ჭიმავს? მიკრობები! ეს არამზადები დღეს უმოკლებენ ადამიანს. შეძვრებიან ორგანიზმში და როგორც კი ოდნავ დაუძლურდება, ჯაბნიან.

ვაჟიშვილთან ერთად საათობით იჯდა მიკროსკოპთან, კვლევებს აწარმოებდნენ. სინჯავდნენ ჭიდან ამოღებული წყლის წვეთს, სასმელ წყალს ვედროდან... როცა წვიმდა, წვიმის წვეთს სინჯავდნენ. გარდა ამისა, მამა სინჯისთვის გუბის წყლის მოსატანად გზავნიდა ხოლმე ვაჟს... იქ ის თეთრები პირდაპირ ფუთფუთებდნენ.

– ოხ, ამის დედა, რას შვრებიან!.. როგორ გინდა, ამათ შეებრძოლო? – ანდრეი უძლური იყო. – ჩადგა ადამიანმა ტლაპოში ფეხი, მოვიდა სახლში, კვალი დატოვა, იქვე გაიარა ბავშვმა, ფეხშიშველმა, და აი, ბატონო, აიკიდა. და ბავშვის ორგანიზმი ხომ მოგვეხსენება!

– ამიტომ ფეხები ყოველთვის უნდა გაიწმინდო, – შენიშნა შვილმა. – შენ კი არ იწმენდ.

– ამაში არაა საქმე. ამ მიკრობების წუმპეშივე განადგურება უნდა ვისწავლოთ. თორემ რა, მე კი შევიწმენდ, უკვე ვიცი, რომ საჭიროა, მაგრამ, აი, სენკა მაროვი... უმტკიცე, რამდენიც გინდა. როგორც ტყაპუნობდა, ისევე იტყაპუნებს.

ათვალიერებდნენ ოფლის წვეთსაც, რისთვისაც ბიჭი ქანცგაწყვეტამდე დარბოდა ქუჩაში, შემდეგ კი მამამ პატარა კოვზით ჩამოფხიკა შუბლიდან ცვარი – წვეთად შეაგროვეს და მიკროსკოპისკენ დაიხარნენ.

– არის! – ანდრეიმ გულდაწყვეტით დაირტყა მუშტი მუხლზე. – მიდი ახლა და იცოცხლე ას ორმოცდაათი წელი!.. კანი რომ კანია, იმაშიც არიან...

– მოდი, სისხლიც შევამოწმოთ! – შესთავაზა ვაჟმა.

მამამ თითში ნემსი იჩხვლიტა, ხასხასა წითელი სისხლის მძივი გამოიდინა, სარკეზე ჩამოფერთხა... მილაკისკენ დაიხარა და აკვნესდა.

– წასულია, შვილო, საქმე – სისხლშიაც გამძვრალან! – ანდრეი ერინი წელში გასწორდა, გაოცებით მიმოიხედა. – ესეც ასე. არადა, იციან, პარაზიტებმა, ჩემზე უკეთ იციან, და ხმას არ იღებენ.

– ვინ? – ვერ გაიგო შვილმა.

– მეცნიერები. იმათ ჩვენზე უკეთესი მიკროსკოპებიცა აქვთ, ყველაფერს ხედავენ, და ხმას არ იღებენ. არ უნდათ, რომ ხალხს გუნება წაუხდინონ. არადა, რატომ არ უნდა თქვან? იქნებ ყველას ერთად მოგვეფიქრებინა, როგორ მოგვესპო მიკრობები. არა, მოილაპარაკეს ერთმანეთში და ხმას არ იღებენ. მღელვარება არ დაიწყოსო.

ანდრეი ერინი სკამზე ჩამოჯდა, პაპიროსი გააბოლა.

– რა წვრილი ქმნილება სპობს ადამიანებს! – ანდრეი განადგურებული ჩანდა.

შვილი მიკროსკოპში იყურებოდა.

– ერთმანეთს დასდევენ! ესენი ოდნავ სხვანაირები არიან... მრგვალები.

– მრგვალებიც და მოგრძოებიც, ყველანი ერთი ჯიშისა არიან. დედას ჯერ არ უთხრა, რომ ჩემს სისხლშიც ვნახეთ.

– მოდი, ჩემიც ვნახოთ?

მამამ ყურადღებით შეხედა შვილს... ცნობისმოყვარეობა და შიში ირეკლებოდა ერინ უფროსის თვალებში. მრავალი წლის მანძილზე ნამუშევარი, დიდი, ფისის სუნით გაჟღენთილი ხელები მუხლებზე ოდნავ უკანკალებდა.

– არ გვინდა. იქნებ, პატარებს მაინც... ეხ, თქვენი! – ანდრეი წამოდგა, გაჯავრებულმა სკამს ფეხი წაკრა. – ყველანაირი ტილების, ბაღლინჯოების, ჭუპრების განადგურება კი ისწავლეთ, ეს კიდე... უპატარავეს წილზე პატარა რაღაცაა და ვერაფერი მოგიხერხებიათ! აბა, რას მიკეთებს თქვენი სამეცნიერო ხარისხი?

– ტილი ჩანს, ესენი კიდევ... ამათ რას მოუხერხებ?

მამა კარგახანს ფიქრობდა.

– სკიპიდარით?... ვერ მოერევა. არაყი ხომ უფრო მაგარია... მე ხომ ვსვამ, მაგრამ ხომ ვნახეთ, სისხლში რაც ხდება!

– არაყი რა, სისხლში შედის?

– აბა, სად? აბა, რისგან სულელდება ადამიანი?

ერთხელაც ანდრეიმ სამუშაოდან მოიტანა გრძელი, წვრილი ნემსი... პირი დაიბანა,შვილს თვალი ჩაუკრა და ორივენი ოთახში გავიდნენ.

– მოდი, ვცადოთ... მავთული დავაწვრილე, იქნებ ერთი-ორი წამოვაგოთ.

მავთულის წვერი წვრილი, წვრილი იყო, თმასავით. ანდრეი დიდხანს აფათურებდა ამ წვეტს წყლის წვეთში. ხვნეშოდა... ოფლმაც კი დაასხა.

– გარბიან ეს სენის წყაროები... არა, მსხვილია, ამაზე არ წამოეგებიან. საჭიროა უფრო წვრილი, უფრო წვრილი კი შეუძლებელია, ვერ გააკეთებ. კარგი, ახლა ვივახშმოთ,

მერე დენით ვცადოთ... ელემენტი წამოვიღე: ორ მავთულს მივუერთებთ და დავაკონტაქტებთ. ვნახოთ, მაშინ რა მოუვათ...

და აი, ამ დროს მოხდა არმოსახდენი: შემოიარა სერგეი კულიკოვმა, რომელიც ანდრეისთან ერთად მუშაობდა «ზაგოტზერნოში». შაბათის აღსანიშნავად სერგეი შეზარხოშებული იყო და ალბათ ამიტომ შებორიალდა ანდრეისთან – ისე, უბრალოდ.

უკანასკნელ ხანებში ანდრეის დალევისთვის არ ეცალა და მან, მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ მთვრალები შეზიზღებოდა. რაღაც, ძალიან სულელებივით იქცევიან და ათასგვარ აბდა-უბდას ლაპარაკობენ.

– ჩვენთან დაჯექი – უხალისოდ დაპატიჟა ანდრეიმ.

– რატომ? ჩვენ აქ... ჩვენ რა? ჩვენ – კუთხეში!..

«რა არის ახლა ეს, რა ღარიბი ნათესავივით იქცევა?»

– როგორც გინდა.

– მიკრობები მანახე, რა.

ანდრეი შეშფოთდა.

– რა მიკრობები? წადი, გამოიძინე, სერიოგა... არანაირი მიკრობები არა მაქვს.

– რატომ მალავ, ჰა? იარაღი ხომ არაა, რომ მალავ? სამეცნიერო საქმეა... ჩემმა ბიჭმა ყურები გამომიჭედა: ძია ანდრეის უნდა, რომ ყველა მიკრობი ამოწყვიტოსო. ანდრეი!... – სერგეიმ მკერდში იკრა მჯიღი, «მეცნიერს» მრისხანე მზერა მიაპყრო. – ოქროს ძეგლს ჩამოგისხამთ!.. საქვეყნოდ გაგითქვამთ სახელს! მე კი შენ გვერდით ვმუშაობდი!... ანდრიუხა!

ზოია ერინას, თუმცა მთვრალებს ისიც ვერ იტანდა, მაინც ეამა, რომ მის ქმარზე ამბობდნენ, მეცნიერიაო. უფრო იმის გამო, რომ ბუზღუნი სჩვეოდა, ვიდრე ნამდვილი გრძნობების კარნახით, ზოიამ შენიშნა:

– სხვა ვერაფერი მიაკუთვნეს? აჰა – მიკროსკოპი. კაცი ჭკუიდან შეირყევა, ღამეები არ სძინავს. მიენიჭებინათ მტვერსასრუტი... თორემ მტვერს მიაქვს აქაურობა, ყიდვას კი თავი ვერ მოვაბით.

– ვინ მიენიჭებინათ? – ვერ გაიგო სერგეიმ.

ანდრეის ტანში გაზრა.

– პრემია რომ გასცეს... ეს მიკროსკოპი...

ანდრეის უნდოდა, რაღაცნაირად, თვალით ენიშნებინა სერგეისთვის, რომ... მაგრამ გაგიგონია! სერგეი ზოიას მიშტერებოდა, ცხვარივით.

– რა პრემია?

– ხომ მოგცეს პრემია.

– ვის?

ზოიამ ჯერ ქმარს შეხედა, მერე – სერგეის...

– პრემია ხომ მოგცეს?

– ელოდე, მოგცემენ პრემიას! გზაშიც დაგეწევიან და კიდევ დაგიმატებენ. პრემიაო...

– ანდრეის კი, ხედავ, მიკროსკოპი მისცეს... დამკვრელური შრომისთვის... – ერინის მეუღლეს შემზარავად ჩაუწყდა ხმა. ყველაფერს მიხვდა.

– კი, მოგცემენ, როგორ არა! – აღარ გაჩუმდა კუთხეში მჯდარი მთვრალი სერგეი. – გასულ თვეში შეკვეთები ას

ოცდაათი პროცენტით დავხურე... ხომ ასეა? აი, ანდრეი არ მათქმევინებს ტყუილს...

ყველაფერი დაინგრა და საშინლად ჩაენარცხა სადღაც, უფსკრულში.

ანდრეი ადგა... წვდა ქეჩოში სერგეის და სახლიდან გაიყვანა. ეზოში ერთიც უთავაზა კინკრიხოში, მერე ჰკითხა:

– სამი მანეთი არ გექნება? ხელფასამდე.

– მაქვს... რაზე დამარტყი?

– წამო ჯიხურში. შე ჭაობის საფრთხობელა!.. რა ჯადაბას დახეტიალობ მთვრალი, ეზო-ეზო? ჩილიკა ხარ, თვალებდაჭყეტილი.

იმ ღამეს ანდრეი ერინი სერგეისთან დარჩა. დათვრნენ უღვთოდ. მთელი ფული დახარჯეს, კიდევ ვიღაცებისგან ისესხეს, ხელფასამდე.

ანდრეი მხოლოდ მეორე დღეს, სადილობისას დაბრუნდა სახლში... ცოლი შინ არ დაუხვდა.

– სადაა? – ჰკითხა ბიჭს.

– ქალაქში წავიდა, იმაში... რა ჰქვია... საკომისიოში.

ანდრეი მაგიდას მიუჯდა, თავი ხელებს დააყრდნო. დიდხანს იჯდა ასე.

– იჩხუბა?

– არა. ისე, ოდნავ. რამდენის დალიე?

– ოცი მანეთი. ეჰ, პეტკა... შვილო... – ანდრეი ერინს თავი არ აუწევია, მწარედ შეიჭმუხნა, კბილები დააღრჭიალა. – განა ამაშია საქმე?! ვერ გაიგებ, ჯერ პატარა ხარ... ვერ გაიგებ...

– მესმის: გაყიდის.

– გაყიდის, ჰო... ქურქები ხომ გჭირდებათ. კაი, ქურქები, ეგ კაი. არა უშავს... საჭიროა. მალე ზამთარი დადგება. ისწავლე, პეტკა! – ხმას აუწია ანდრეიმ. – თუნდაც ოთხით იფოფხე, მაგრამ იფოფხე მეცნიერებისკენ – დიდი საქმეა! შენა, ყულაბაში ხურდა სულ არ გაქვს?

– არა, – თქვა პეტკამ. იქნებ მოიტყუა კიდეც.

– რა გაეწყობა, – დაყაბულდა ანდრეი. – გეუბნები, ისწავლე. არასოდეს დალიო... ისინი არც სვამენ, ის მეცნიერები. რატომ უნდა დალიონ? ისედაც ბევრი საქმე აქვთ.

ანდრეი ერთხანს იჯდა, ნაღვლიანად აქნევდა თავს... მერე ოთახში გავიდა, დასაძინებლად.

ვენედიქტ ეროფეევი

მოსკოვი – პეტუშკი – პოემა (ნაწყვეტი)

(რუსულიდან თარგმნეს ნორიკ ბადოიანმა და გიორგი ფირცხალაიშვილმა)



ამ ტრაგიკულ ფურცლებს
ვუძღვნი
ჩემს პირმშოს, ვადიმ ტიხონოვს

მოსკოვი. გზად კურსკის
სადგურისაკენ

ყველა ამბობს: კრემლი,
კრემლი. მასზე ბევრისგან
მსმენია, მაგრამ თავად
არასდროს მინახავს. უკვე
მერამდენედ (მეათასედ),
გამომთვრალი ან ნაბახუსევი
მივუყვებოდი მოსკოვს
ჩრდილოეთიდან
სამხრეთისკენ, დასავლეთიდან – აღმოსავლეთისკენ,
ერთი ბოლოდან – მეორე ბოლოსკენ და როგორც
მომიხდებოდა – მაგრამ ვერცერთხელ ვიხილე კრემლი.

აი, გუშინაც ვერ ვნახე – არადა, მთელი საღამო იმ
ადგილების ირგვლივ ვტრიალებდი და იმასაც ვერ ვიტყვი,
რომ ძალიან მთვრალი ვიყავი: როგორც კი საველოვსკიზე
გამოვედი, დასაწყისისთვის ჭიქა ზუბროვკა გადავკარი,
გამოცდილებით ვიცი, რომ დილის დეკოქტად ხალხს ამაზე
უკეთესი არაფერი გამოუგონია.

ასე. ჭიქა ზუბროვკა. შემდეგ კი – კალიაევსკაიაზე – მეორე
ჭიქა, მაგრამ ამჯერად ზუბროვკა კი არა – კორიანდრის
არაყი. ერთი ჩემი ნაცნობი მეუბნებოდა, რომ კორიანდრი

ადამიანზე ანტიჰუმანურად ზემოქმედებს, ანუ ამაგრებს რა სხეულის ყველა ასოს, ადუნებს სულს. მე კი რატომღაც პირიქით დამემართა, სული უმაღლეს დონეზე გამიმაგრდა, ხოლო სხეული მომიდუნდა, თუმცა ვეთანხმები – ესეც ანტიჰუმანურია. ამიტომაც იქვე, კალიაევსკაიზე, დავამატე კიდევ ორი კათხა ჟიგულოვსკის ლუდი და პირდაპირ ბოთლის ყელიდან ალბ-დე-დესერტი.

თქვენ, ცხადია, მკითხავთ: მერე, ვენიჩკა, მერე – რას სვამდი? ხეირიანად თვითონაც არ ვიცი, რას ვსამდი. მახსოვს – ეს კი მკაფიოდ მახსოვს – ჩეხოვის ქუჩაზე ორი ჭიქა სანადირო დავლიე. ისე ხომ ვერ გადავკვეთდი სადოვაიას წრიულს, ცოტა რომ არ დამელია? არ შემეძლო. გამოდის, კიდევ რაღაც დავლიე.

შემდეგ ცენტრში მოვხვდი, რადგან ყოველთვის ასე მემართება: როცა ვეძებ კრემლს, გარდაუვლად კურსკის სადგურზე ვხვდები. ისედაც ხომ კურსკის სადგურზე უნდა მივსულიყავი, და არა ცენტრში, მე კი ჯიუტად ცენტრისკენ წავედი, კრემლისთვის ერთხელ მაინც რომ შემეხედა: სულერთია, ვფიქრობ, ვერავითარ კრემლს ვერ ვნახავ, რადგან პირდაპირ კურსკის სადგურზე მოვხვდები.

საწყენია, ლამის ცრემლები წამსკდეს. ცხადია, იმიტომ კი არა, რომ გუშინ საღამოს კურსკის სადგურამდე ვერ მივაღწიე. (ეს სისულელეა: ვერ მივაღწიე გუშინ – მივაღწევ დღეს). და არც იმიტომ, რომ დილით ვიღაცის უცხო სადარბაზოში გავიღვიძე (როგორც აღმოჩნდა, სადარბაზოში ჩამოვმჯდარვარ, კიბის მეორმოცე საფეხურზე, ჩემოდანი გულში ჩამიკრავს და ასე ჩამეძინა). არა, მაგიტომ არ მწყენია. აი, რაა საწყენი: ესესაა გამოვთვალე, რომ ჩეხოვის ქუჩიდან ამ სადარბაზომდე კიდევ ექვსი მანეთის დავლიე – რა და სად დავლიე? რა

თანმიმდევრობით? სასიკეთოდ ვსვამდი თუ საზიანოდ? ეს არავინ იცის, და ვერც ვერასდროს გაიგებს. დღემდე ისიც ხომ არ ვიცით: მეფე ბორისმა მოკლა უფლისწული დიმიტრი თუ პირიქით?

ეს რა სადარბაზოა? აქამდე აზრზე ვერ მოვსულვარ; მაგრამ ასეც უნდა იყოს. ყველაფერი რიგზეა. ამ ქვეყნად ყველაფერი უნდა ხდებოდეს ნელა და არასწორად, ადამიანმა თავი რომ ვერ შემოისაზღვროს, იყოს სევდიანი და დაბნეული.

როცა გათენდა, სუფთა ჰაერზე მაშინ გავედი. ყველამ – ყველამ იცის, ვინც გათიშული მოხვედრილა სადარბაზოში, ხოლო გამთენიისას გამოდიოდა იქიდან – ყველამ იცის, ამ უცხო სადარბაზოს ორმოც საფეხურზე რამხელა სიმძიმე ვატარე გულით და რა სიმძიმე გამოვიტანე ჰაერზე.

არაუშავს, არაუშავს, – ვუთხარი ჩემს თავს, – არაუშავს. აი, – აფთიაქი, ხედავ? იქვე – ეს ყავისფერქურთუკიანი პიჟონი ფხაჭნის ტროტუარს. ამას შენც ხედავ. ჰოდა, დამშვიდდი. ყველაფერი თავის ადგილზეა. თუ გინდა, მარცხნივ წადი, ვენიჩკა, მარცხნივ, მე არაფერს გაიძულებ. თუ მარჯვნივ წასვლა გინდა – მარჯვნივ წადი.

მარჯვნივ წავედი, თოშისა და ვარამისგან ოდნავ ვბარბაცებდი, ჰო, თოშისა და ვარამისგან. ო, ეს დილის ტვირთი გულში! ო, უბედურების ილუზორულობა! ო, გამოუვალობა! რა არის მასში მეტი, ამ ტვირთში, რომელსაც ჯერ ვერავინ უწოდა სახელი? რა არის უფრო მეტი: დამბლა თუ გულისრევა? ნერვების გამოფიტვა თუ მომაკვდინებელი დარდი, – სადღაც გულთან ახლოს? და თუ ეს ყველაფერი თანაბრადაა, მაშინ რაღაა მეტი: გახევება თუ ციებ-ცხელება?

არაუშავს, არაუშავს, – ვუთხარი საკუთარ თავს, – დაემალე ქარს და ნელ-ნელა გაუყევი. და ისუნთქე ისე იშვიათად, ისე ნელა. ასე ისუნთქე, მუხლები რომ არ მოგეკეცოს. წადი, ოღონდ სადმე წადი. სულერთია, სად. მარცხნივაც რომ წახვიდე – კურსკის სადგურზე მოხვდები, პირდაპირ წახვალ – მაინც კურსკის სადგურზე მოხვდები, მარჯვნივ წახვალ – მაინც კურსკის სადგურზე მოხვდები. ამიტომაც წადი მარჯვნივ, რომ უეჭველად იქ მოხვდე.

ო, ამაოება! ო, ეფემერულობა! ო, ყველაზე უძლური და სამარცხვინო დროება ჩემი ხალხის ცხოვრებაში – დრო განთიადიდან მაღაზიების დაკეტვამდე! რამდენი ზედმეტი ჭაღარა ჩააქსოვა მან ჩვენში, უსახლკარო და ნაღვლიან შავგვრემნებში. გასწი, ვენიჩკა, გასწი.

მოსკოვი. კურსკის სადგურის მოედანი

აი, ხომ ვიცოდი, რასაც ვამბობდი: – წახვალ მარჯვნივ – აუცილებლად კურსკის სადგურზე მოხვდები. მოგწყინდა ამ შესახვევებში, ვენიჩკა, მოინდომე ფუსფუსი – ჰოდა, მიიღე შენი ფუსფუსი...

– შეეშვი, – ხელი ავუქნიე საკუთარ თავს, – განა შენი ფუსფუსი მჭირდება? განა შენი ხალხი მჭირდება? აი, მაცხოვარიც კი, თავის მშობელ დედას ეუბნებოდა: «შენთან რა საქმე მაქვს?», მითუმეტეს, მე რა საქმე მაქვს ამ მოფუსფუსეებთან და საძულველებთან?

მირჩევნია, ბოძს მივეყრდნო და თვალები დავხუჭო, რათა გულისრევამ ცოტათი გადამიაროს...

– რა თქმა უნდა, ვენიჩკა, რა თქმა უნდა, – ისე ნელა, ისე მოალერსედ ვიღაც ამღერდა მაღლა, – თვალები დახუჭე, რომ გულისრევამ ცოტათი მაინც გადაგიაროს.

ო! ვცნობ! ვცნობ! ისევ ისინი არიან!

«უფლის ანგელოზებო! ისევ თქვენ ხართ?»

– ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ ვართ, – კვლავაც ასე მოალერსედ!..

«ანგელოზებო, იცით რა?» – ვკითხე, მეც ჩუმად-ჩუმად.

– რა? – მიპასუხეს ანგელოზებმა.

«მიმძიმს...»

– ჰო, ვიცით, რომ გიმძიმს, – მიგალობეს ანგელოზებმა. – გაიარ-გამოაირე, უკეთ გახდები. ნახევარ საათში კი მაღაზია გაიხსნება: მართალია, არაყი ცხრის მერე აქვთ, ღვინოს მაშინვე მოგცემენ...

«წითელს?»

– წითელს! – კვლავაც გალობით მიპასუხეს უფლის ანგელოზებმა.

«ცივს?»

– რა თქმა უნდა, ცივს...

ო, როგორ ავღელდი!..

«თქვენ მეუბნებით, გაირ-გამოიარე, უკეთ გახდები. მე კი სიარულიც აღარ მინდება. თვითონაც ხომ უწყით, ჩემს მდგომარეობაში როგორია გავლა-გამოვლა!..

დადუმდნენ ანგელოზები. შემდეგ კი კვლავ გალობა დაიწყეს:

– აი, რას გეტყვით: სადგურის რესტორანში შეიარე. მანდ საღამოს ხერესი ჰქონდათ. მთელ ხერესს ერთ ღამეში ხომ არ დალევდნენ!..

«კი, კი, კი. წავალ. ახლავე წავალ, გავიგებ. გმადლობთ, ანგელოზებო...»

და ისინი ისე ჩუმად-ჩუმად ამღერდნენ:

– არაფრის, ვენია...

შემდეგ კი ისე ალერსიანად:

– არ ღირს...

როგორი საყვარლები არიან!.. რას იზამ, თუ წასვლაა, წასვლა იყოს. რა კარგია, რომ გუშინ სასუსნავი ვიყიდე, – სასუსნავის გარეშე ხომ ვერ გავემგზავრები პეტუშკებში. წყალი არ გაუვა, ვერ წავალ. ანგელოზებმა შემახსენეს სასუსნავი, რადგან ისინი, ვისთვისაც ვიყიდე, თავად მაგონებენ ანგელოზებს. კარგია, რომ ვიყიდე... და გუშინ როდის იყიდე? გაიხსენე... იარე და გაიხსენე...

გავუყევი მოედანს, უფრო სწორედ – წავჩანჩალდი. ორჯერ თუ სამჯერ შევჩერდი და ადგილზე გავქვავდი – ცოტათი რომ გულზე მომშვებოდა. ადამიანში ხომ არამხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი მხარეცაა, და უფრო მეტიც – მისტიკური, ზესულიერი მხარე; მაშ ასე, ყოველ წამს ველოდებოდი, რომ შუაგულ მოედანზე, სამივე მხრიდან გული ამერეოდა. და კვლავ ვჩერდებოდი და ვშეშდებოდი. და გუშინ როდისღა იყიდე შენი სასუსნავები? სანადიროს შემდეგ? არა. სანადიროს შემდეგ, რა მესასუსნავებოდა. სანადიროს პირველსა და მეორე ჭიქებს შორის? არც ეს. მათ შორის ოცდაათწამიანი პაუზა იყო, მე კი ზეკაცი არა ვარ, ოცდაათ წამში რამე რომ მოვასწრო. სანადიროს პირველი ჭიქის მერე, მეორეს გადაუკვრელად, ზეკაციც კი წაიქცეოდა. მაშინ როდისღა? ღმერთო მოწყალეო, რამდენი საიდუმლოა ამ ქვეყნად! საიდუმლოებათა

გაუვალი ფარდა. კორიანდრამდე ან ლუდსა და ალბ-დე-დესერტს შორის?

მოსკოვი. კურსკის სადგურის რესტორანი

არა, ოღონდ ლუდსა და ალბ-დე-დესერტს შორის არა, მანდ უეჭველი არავითარი პაუზა არ ყოფილა. აი, კორიანდრამდე კი – სავსებით შესაძლებელია. ალბათ ეგრეცაა: თხილი კორიანდრამდე ვიყიდე, აი კანფეტები კი – შემდეგ. იქნებ პირიქითაც: როგორც კი კორიანდრის არაყი დავლიე...

– სპირტიანი არაფერი გვაქვს, – მითხრა დაცვამ. და თავიდან-ფეხებამდე ისე შემათვალიერა, გეგონება, მკვდარი ჩიტი ან ბინძური ყვავილი ვყოფილიყავი.

«სპირტიანი არაფერი გვაქვს!»

მიუხედავად იმისა, რომ სასოწარკვეთისგან მოვიკუნტე, ძლივძლივობით მაინც ამოვილუღლუღე, ამისთვის სულაც არ მოვსულვარ – მეთქი. რა იცი, რისთვის მოვედი? იქნებ ჩემს პერმის ექსპრესს რაღაც მიზეზით არ სურს პერმისკენ წასვლა, და აი აქ მოვედი: ვჭამო ბეფსტროგანოვი და მოვუსმინო ივან კოზლოვსკის, ან რაიმე მონაკვეთს «დალაქიდან».

ყოველი შემთხვევისთვის, ჩემოდანი თან წამოვიღე და შეკვეთის მოლოდინში, ისევე როგორც წუხელ სადარბაზოში, გულში ჩავიკარი.

სპირტიანი არაფერი აქვთ! ზეციურო დედოფალო! თუ ანგელოზებს დავუჯერებთ, აქ ხერესი ჯერ არ დაცლილა. ახლა კი – მხოლოდ მუსიკაა, ისიც კი რაღაც ძაღლური მოდულაციებით. ეს ხომ მართლაც ივან კოზლოვსკია, ეგრევე ვიცანი, ამაზე საზიზღარი ხმა არ არსებობს. ყველა მომღერლის ხმა ერთნაირად საზიზღარია, მაგრამ

თავისებურად საზიზღარი. ამიტომაც ხმით ადვილად ვარჩევ... მართლაც, ივან კოზლოვსკია, «ო-ო-ო, წინაააპრების ფიალავ... ო-ო-ო, ნება მომეცი, გიცქირო, ღამის ვააარსკვლავთა შუქზე...» რა თქმა უნდა, ივან კოზლოვკსია... «ო-ო-ო, რად ვარ შენით მოოოჯადოებული... ნუ უარმყოოფ...»

– რამეს შეუკვეთავთ ?

– და რა გაქვთ – მხოლოდ მუსიკა ?

– რატომ «მხოლოდ მუსიკა»? ბეფსტროგანოვი გვაქვს, ნამცხვარი. ჯიგარიი...

კვლავ გულისრევამ შემომიტია.

– და ხერესი ?

– ხერესი არ გვაქვს.

– საინტერესოა. ჯიგარი გაქვთ, ხერესი კი არა!

– ძძძალიან საინტერესოა. ჰო. ხერესი არა. ჯიგარი – კი.

და მარტო დამტოვეს. გული ძალიან რომ არ ამრეოდა, თავსზემოთ ჩამოკიდებული ჭაღის თვალიერება დავიწყე...

კარგი ჭაღია. მაგრამ ზედმეტად მძიმე. ახლა რომ ჩამოწყდეს და ვინმეს თავზე დაეცეს – საშინლად მტკივნეული იქნება... თუმცა არა, ალბათ მტკივნეულიც არ იქნება: სანამ ის გეცემა, შენ, არაფერს ეჭვობ, სვამ, მაგალითად, ხერესს. როგორც კი დაგეცემა – უკვე ცოცხალი აღარ ხარ. მძიმეა ეს აზრი:... ზიხარ, ზემოდან კი – ჭაღი გეცემა. ძალიან მძიმე აზრია...

არა, მძიმე რატომ ? თუ შენ, ვთქვათ, სვამ ხერესს, ნაბახუსევიდან უკვე გამოხვედი – არცისე მძიმე აზრია... მაგრამ თუ ნამთვრალევი ზიხარ, და ნაბახუსევიდან

გამოსვლაც ვერ მოასწარი, ხერესსაც არ გაძლევენ – აი ეს უკვე მძიმეა... ძალიან დამთრგუნველი აზრია. ყველას არ მოუვა ასეთი აზრი, განსაკუთრებით ნამთვრალევზე.

დათანხმდებოდი, ამგვარი რამ რომ შემოეთავაზებინათ: აი, ჩვენ ახლა მოგიტანთ 800 გრამ ხერესს, ამისათვის კი შენს თავს ზემოთ ჭაღს ჩამოვჭრით და...

– რაო, მოიფიქრეთ? შეუკვეთავთ რამეს?

– ხერესი, თუ შეიძლება. 800 გრამი.

– ერთი ამას შეხედე, შენ ვინ ყოფილხარ! ხომ გითხრეს უკვე რუსულად: ხერესი არ გვაქვს!

– მაშინ... დაველოდები... როცა იქნება...

– ელოდე-ელოდე... ეღირსები!.. მოგართმევენ ახლავე!

და კვლავაც დამტოვეს. ამ ქალს ზიზღნარევი მზერა გავაყოლე. განსაკუთრებით უნაკერო თეთრ წინდებს; ნაკერი დამამშვიდებდა, შესაძლოა, სული და სინდისი განმეტვირთა...

რატომ არიან ასეთი უხეშები? ჰა? და განსაკუთრებით ისეთ წამებში, როცა არ შეიძლება იყო უხეში, როცა ადამიანს ნაბახუსევზე ყველა ნერვი დაწყვეტაზე აქვს, როცა სულმოკლე და უტყვია! რატომ?! ო, მთელი სამაყარო, თითოეული ადამიანი მასში, ჩემსავით, უტყვი და დამფრთხალი, არაფერში თავდაჯერებული: არც საკუთარ თავში, არც ზეცის ქვეშ საკუთარი ადგილის სერიოზულობაში – რა კარგი იქნებოდა! არავითარი ენთუზიასტები, არავითარი გმირობები, არავითარი შეპყრობილობა! – საყოველთაო სულმოკლეობა. ამ ქვეყნად მარადიულად ცხოვრებას დავთანხმდებოდი, თუ მანამდე ისეთ ადგილს მაჩვენებდნენ, სადაც

გმირობებისთვის ყოველთვის არ სცალიათ. «საყოველთაო სულმოკლეობა» – სად არის ეს ხსნა ყველა უბედურებისგან, ეს პანაცეა, ეს დიადი სრულყოფილების პრედიკატი! ხოლო, რაც შეეხება ადამიანური ბუნების მოღვაწეობას...

– ვის სურს ხერესი?!

ჩემს ზემოთ – ორი ქალი და მამაკაცია, სამივე თეთრებშია გამოწყობილი. ავხედე – ო, ალბათ რამდენია ახლა ჩემს თვალებში ყოველგვარი უმსგავსობა და ბუნდოვანება – მათ, მათ თვალებს შევატყვე, იმიტომ რომ მათ თვალებში ეს ბუნდოვანება და უმსგავსობა ირეკლებოდა... მე რაღაცნაირად დავეცი და სული დავკარგე...

– მე ხომ... თითქმის არ ვითხოვ. მერე რა, რომ ხერესი არ გაქვთ, დაველოდები, უბრალოდ დაველოდები...

– რას ნიშნავს «უბრალოდ»?.. რას უნდა «დაელოდოთ»?!

– თითქმის არაფერს... მე ხომ უბრალოდ პეტუშკებში მივემგზავრები, საყვარელ გოგოსთან (ჰა-ჰა! «საყვარელ გოგოსთან»!) – აი სასუსნავიც ვიყიდე...

ეს ჯალათები ელოდებოდნენ, კიდევ რას ვიტყოდი.

– მე ხომ... ციმბირიდან ვარ, ობოლი... და ასე ძალიან რომ არ მერეოდეს გული... ხერესი მინდა.

ტყუილად, დავიწყე კვლავ ხერესზე, ტყუილად! მან ისინი ეგრევე განარისხა. სამივემ ერთდროულად მომკიდა ხელებში და მთელი დარბაზის გავლით – ო, ამგვარი სირცხვილის ტკივილი! – მთელი დარბაზის გავლით გამატარეს და ჰაერზე გამაგდეს. და უკან ჩემოდანი მოაყოლეს სასუსნავებითურთ – ისიც მოისროლეს.

კვლავ ჰაერზე. ო, უსაზრისობა! ო, ყოფიერების მხეცის ხახა!

მოსკოვი. მაღაზიის გავლით მატარებლისკენ

რა იყო შემდეგ – რესტორნიდან მაღაზიამდე და მაღაზიიდან მატარებლამდე – ადამიანის ენა ვერ აღწერს. მეც არ ვცდილობ. მაგრამ თუ ანგელოზები შეეცდებიან – უბრალოდ ატირდებიან, ხოლო აცრემლებულები ვერაფერს იტყვიან.

მოდით, ასე დავიწყოთ – წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ამ ორ მომაკვდინებელ საათს. გახსოვდეს, ვენიჩკა, ეს საათები. ცხოვრების ყველაზე ამაღლებულ, ყველაზე ბრწყინვალე დღეებში – გახსოვდეს ისინი. ნეტარებისა და ტკბობის წუთებში – არ დაივიწყო. ეს არ უნდა განმეორდეს. მივმართავ ყველა ახლობელსა და ნათესავს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, მივმართავ ყველას, ვისი გულიც ღიაა პოეზიისა და თანაგრძნობისთვის:

«მოწყდით თქვენს საქმეებს. შეყოვნდით ჩემთან ერთად, და წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ იმას, რაც გამოუთქმელია. თუ ხელთ რაიმე გაცრეცილი ზარი გაქვთ – დააჭირეთ».

ამგვარად. მეც ვჩერდები. ზუსტად წუთით, მღვრიედ შევყურებ სადგურის საათს, კურსკის სადგურის მოედნის შუაგულში ბოძივით ვდგავარ. ქარი ჩემს თმებს ხან აფრიალებს, ხან ყალყზე მიყენებს, ხანაც კვლავ აფრიალებს. ტაქსები ოთხივ მხრიდან გარსს მივლიან. ადამიანებიც, და მიყურებენ ისე ველურად: ალბათ ფიქრობენ, – ასეთივე ძეგლი ხომ არ გამოვძერწოთ მისგან, უძველეს ხალხთა ჭკუის სასწავლებლად, თუ არა?

და ამ სიჩუმეს მხოლოდ ქალის ჩახრინწული, არსაიდან მომავალი ბანი არღვევს:

«ყურადღება! 8 საათსა და 16 წუთზე მეოთხე ჩიხიდან გაემგზავრება მატარებელი პეტუშკებამდე. გაჩერებები: ნამგალი და ურო, ჩუხლინკა, რეუტოვო, რკინიგზის. შემდგომ ყველა პუნქტზე, გარდა ესინასა.

მე კი ისევ ვდგავარ.

«ვიმეორებ! 8 საათსა და 16 წუთზე მეოთხე ბაქნიდან გაემგზავრება მატარებელი პეტუშკებამდე. გაჩერებები: ნამგალი და ურო, ჩუხლინკა, რეუტოვო, რკინიგზის. შემდგომ ყველა პუნქტზე, გარდა ესინასა».

აი, მორჩა. წუთი მიიწურა. ახლა, რა თქმა უნდა, ყველანი თავს მესხმით კითხვებით: «შენ ხომ მაღაზიიდან გამოხვედი, ვენიჩკა?»

– ჰო, გპასუხობთ, – მაღაზიიდან. – თავად კი ვაგრძელებ ბაქნის მიმართულებით მოძრაობას, თავი კი მარცხნივ გადავხარე.

– დაგიმძიმდა ჩემოდანი? ჰო? გულში კი დუდუკი მღერის? ხომ მართალია?

– როგორ გითხრათ! – ვამბობ, მარჯვნივ თავგადახრილი. – ჩემოდანი, ნაღდად ძალიან მძიმეა. ხოლო დუდუკზე საუბარი კი ნაადრევია...

– რაო, ვენიჩკა, ბოლო-ბოლო, რა იყიდე? ძალიან გვაინტერესებს!

მესმის, რომ საინტერესოა. ახლავე, ახლავე ჩამოვთვლი: პირველ რიგში, ორი ბოთლი «кубанская», ორი და სამოცად თითო, ჯამში ხუთი და ოცი. შემდეგ: ორი მეოთხედი «русская», მანეთსა და სამოცდაოთხად, ჯამში ხუთი და ოცდაოთხის, მივუმატოთ სამი და ოცდარვა. რვა მანეთი და ორმოცდათორმეტი კაპიკი. და კიდევ რომელიღაც

წითელი. ახლავე გავიხსენებ. ჰო, – ვარდისფერი მაგარი მანეთად და ოცდაჩვიდმეტად.

– ჰო, ჰო, ჰო, – ამბობთ თქვენ, – და საერთო ჯამი? ეს ხომ ძალიან საინტერესოაა...

ახლავე გეტყვით საბოლოო ჯამს.

– საბოლოო ჯამი – ცხრა მანეთი და ოთხმოცდაცხრა კაპიკი, – ვამბობ ბაქანზე ფეხშემდგარი. – მაგრამ ეს ხომ მთლად საბოლოო ჯამი არაა. რომ არ მერწყია, ორი ბუტერბროდი კიდევ ვიყიდე.

– ვენიჩკა, იმის თქმა გსურს: «რომ გული არ აგრეოდა»?

არა, რაც ვთქვი, ის ვთქვი. პირველი დოზა მისაყოლებლის გარეშე არ შემიძლია, რადგან შეიძლება ვარწყიო. აი უკვე მეორე და მესამე ხმელადაც წავა, რადგან გული შეიძლება ამერიოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვარწყევ. და ასეა მეცხრემდე. იქ კი კვლავ დამჭირდება ბუტერბროდი.

– რატომ? ისევ აგერევა გული?

– არა, გული არავითარ შემთხვევაში აღარ ამერევა, მაგრამ რწყევით – ვარწყევ.

თქვენ ყველანი, რა თქმა უნდა, ამაზე თავს აქნევთ. აქედანაც – სველი ბაქნიდან, ვხედავ, მიმოფანტულნი ჩემს მიწაზე, როგორ აქნევთ თავებს და იწყებთ ირონიზირებას:

– რა რთულია, ვენიჩკა, რა ნატიფი!

– აბა, რა!

– აზროვნების როგორი სიზუსტეა! სულ ესაა? და ეს ყველაფერია, რაც ბედნიერებისთვის გჭირდება? მეტი – არაფერი?

– როგორ თუ არაფერი? – ვამბობ ვაგონში შესვლისას. – მეტი ფული რომ მქონოდა, კიდევ ლუდსა და წყვილ პორტვეინს ვიყიდდი, მაგრამ...

აქ კი უკვე საერთოდ აკვნესდებით.

– ო-ო-ო-ო, ვენიჩკა! ო-ო-ო, პრიმიტივი!

აბა, რა? იყოს პრიმიტივი – ვამბობ მე. და ამაზე ვწყვეტ თქვენთან საუბარს. «იყოს პრიმიტივი!» თქვენს შეკითხვებს კი პასუხს აღარ გავცემ. მირჩევნია ჩამოვჯდე, ჩემოდანს გულში ჩავიკრავ და ფანჯარაში გავიხედები. აი ასე. «იყოს პრიმიტივი!»

თქვენ კი თავს მაბეზრებთ:

– რა იყო? გეწყინა?

– არა, არა, – გპასუხობთ.

– არ გეწყინოს, შენთვის სიკეთე გვინდა. მაგრამ, სულელო, რად ჩაგიკრავს გულში ჩემოდანი? რადგან შიგნით არაყია?

აქ კი ძალიან ვბრაზდები: რა შუაშია აქ არაყი?

«მოქალაქე მგზავრებო, ჩვენი მატარებელი მიემგზავრება პეტუშკების სადგურამდე. გაჩერებები: ნამგალი და ურო, ჩუხლინკა, რეუტოვო, რკინიგზის. შემდგომ ყველა პუნქტზე, გარდა ესინასა». მართლაც, რა შუაშია აქ არაყი? რას გადაეკიდეთ ამ არაყს! რესტორანშიც გულში ვიკრავდი, მაგრამ არაყი მასში არ იდო. თუ კარგად გახსოვთ, სადარბაზოშიც გულში ვიკრავდი, იქ კი არყის სუნიც არ იდგა!.. თუ ყველაფრის ცოდნა გსურთ – მოგიყვებით,

ოღონდ მადროვეთ. აი ურროზე და ნამგალზე ნაბახუსევიდან გამოვალ და...

მოსკოვი - ნამგალი და ურო

და მაშინ ყველაფერს, ყველაფერს მოვყვები. მოითმინეთ. მეც ხომ ვითმენ! ჰო, რა თქმა უნდა, ყველანი სულელ ადამიანად მთვლიან. დილაობით და წინა დღის ნამთვრალევზე მეც იმავე აზრზე ვარ. თუმცა, ხომ არ შეიძლება ვენდოთ ადამიანის აზრს, რომელიც ჯერ ნაბახუსევიდანაც არ გამოსულა! სამაგიეროდ საღამოობით – როგორი სივრცეებია ჩემში!- თუ რა თქმა უნდა, კარგად ავივსები მთელი დღის განმავლობაში – როგორი სივრცეებია ჩემში საღამოობით!

მაგრამ არაუშავს. დაე, ვიყო ბრიყვი. საერთოდ ვამჩნევ: თუ დიალობით ადამიანი შეუძლოდაა, ხოლო საღამოობით სავსეა ჩანაფიქრებით, ოცნებებითა და ძალისხმევებით – ის ძალზედ სულელია. დილით ცუდადაა, საღამოობით კარგად – ეს სულელი ადამიანის ზუსტი თვისებაა. ხოლო თუ პირიქით – დილაობით თავს იმხნევებს და იმედებითაა აღსავსე, საღამოობით კი დაქანცულობა სძლევს – აი, ეს ადამიანი კი უეჭველი ნეხვი, საქმოსანი და უფერულია. მძაგს ასეთი ადამიანი. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მძაგს.

რა თქმა უნდა, ისეთებიც არსებობენ, ვინც ერთნაირად კარგადაა დილითაც, საღამოსაც და მზის ამოსვლაც უხარიათ და ჩასვლაც – ესენი უბრალოდ არამზადები არიან, მათზე საუბარიც გულისამრევია. მაგრამ თუ ვინმე ერთნაირად ცუდადაა დილითაც და საღამოსაც – აქ არც კი ვიცი, რა ვთქვა, ეს უკვე უკანასკნელი ჩათლახი და ნაძირალაა. იმიტომ რომ მაღაზიები ჩვენთან ცხრამდე მუშაობს, ხოლო ელისეევსკი – თერთმეტამდეც კი, და თუ ნაძირალა არ ხარ, ყოველთვის შეძლებ საღამოსკენ

რაღაცამდე მიაღწიო, რომელიღაც ცარიელ უფსკრულამდე...

მაშ ასე, რა გამაჩნია?

ჩემოდნიდან, რაც მქონდა, ყველაფერი ამოვიღე, ყველაფერს შევეხე: ბუტერბროდიდან მანეთი და ოცდაჩვიტმეტიან მაგარ ვარდისფერამდე. შევეხე – და უცებ სრულად დავიქანცე და გავფითრდი... ღმერთო, ხომ ხედავ, რა გამაჩნია. განა ეს მჭირდება? განა ამაზე დარდობს ჩემი სული? აი, რა მომცეს ადამიანებმა ნაცვლად იმისა, რაზეც ჩემი სული დარდობს! და თუ მივიღებდი იმას, განა ეს დამჭირდებოდა? შეხედე, ღმერთო, აი: მაგარი ვარდისფერი მანეთად და ოცდაჩვიდმეტად...

და ლურჯი ელვებით შემოსილმა, ღმერთმა მიპასუხა:

– რისთვის სჭირდება სტიგმატები წმინდა ტერეზას? ისინი ხომ მასაც არ სჭირდება. მაგრამ მისთვის სასურველია.

– აი-აი!- ვპასუხობდი აღტაცებით. – აი ჩემთვისაც, ასევე ჩემთვისაც – სასურველია ეს, მაგრამ არაფერში მჭირდება!

«ჰოდა დალიე, ვენიჩკა, თუ სასურველია», – ჩუმად გავიფიქრე, მაგრამ არ ვჩქარობდი. მეტყვის კიდევ რამეს ღმერთი თუ არ მეტყვის?

ღმერთი დუმდა.

კარგი, იყოს ეგრე. ავიღე მეოთხედი და ტამბურისკენ გავედი. ასე. ჩემი სული ტყვეობაში ოთხნახევარი საათი იტანჯებოდა, ახლა სასეირნოდ გავუშვებ. მაქვს ჭიქა და ბუტერბროდი, გული რომ არ ამერიოს. და მაქვს სული, ჯერ კიდევ ოდნავ შეღებული ყოფიერების შთაბეჭდილებებისთვის. გაიზიარე ჩემი ტრაპეზი, ღმერთო!

6. არტი

დავით ანდრიაძე

ტრიუმფატორი (მეტაკრიტიკული კონცერტი ორი ფლეიტისათვის)

ალექსანდრიელი

ზურაბ ნიჟარაძე უნიკალური ფენომენია — ჩვენს არაესთეტიკურ ეპოქაში განასახიერებს ხელოვანს, რომლის «იდეალისტური» ინტენციებიც, შეფარული ირონიით აღსავსენი, რაღაცნაირი რეტროპერსპექტივით გვმსჭვალავენ და მით უფრო ამყარებენ მარადისობაზე ორიენტირებული მხატვრის რეპუტაციას.


ზურაბ ნიჟარაძე

«იდეალური» და «მარადიული» — აი, გამოტირებული ცნებები, რომელთაც დამაჯერებლად გვიცოცხლებს ჩვენი მაესტრო.

თეოდორ ადორნო წერს, ბრუკნერის სიმფონიებში დასმულია საკითხი, თუ როგორ შეიძლება ძველი — ახალის სახით არსებობდესო...

და ესაა საკითხი, თანამედროვეობის შეუქცევადობას რომ ცხადყოფს.

თანამედროვეობა კი, ჩვენი ანტიკურობაა, დღეს ამგვარ პარადოქსსაც გადააწყდება კაცი.

ანტიკურობა, უფრო ზუსტად, ანტიკურობის სულია ზურაბ ნიჟარაძის იდეალიც;

მის მიერ აღქმული და გაგებული მოდერნისტი დიახაც, ანტიკურობასთან ლამობს სწორებას და ამდენადვე ავლენს მოდერნის, როგორც «მეორე ანტიკურობის» იდეას.

«მოდერნი — ანტიკურობა» როგორც ბინომი, ჯერ კიდევ ბოდლერმა მოსინჯა და ამ ოპოზიციაში ანტიკურობის შეცვლა კი არა, ჩანაცვლება იგულისხმა.

ეს იყო მოწოდება, რათა თანამედროვე მხატვარი ყოფილიყო ანტიკურობის ღირსი; ღირსი რაღაც მარადიულისა და ფუნდამენტურისა...

და ნიჟარაძეც, ყოველგვარი კლასიცისტურ-აკადემისტური ატრიბუტიკის გარეშე, როგორც თავის დროზე, ტაიროვის სპექტაკლების თანამედროვენი ამბობდნენ, «ელადის ატმოსფეროში გვძირავს».

ანდა, იქნებ, ეს ყველაზე თავისუფალი ხელოვნების ატმოსფეროა, რომელიც მართლაც ღირს ანტიკურობად, თუნდაც, მეორე ანტიკურობად?

რაც შეეხება ავანგარდს, მგონი, ეს უკანასკნელი ზურაბ ნიჟარაძესაც დიდი ევროპული ტრადიციის გაგრძელებად უნდა ესახებოდეს.

ამ გაგებით, ისიც თავისებური «ალექსანდრიელია».

ესაა ცდა, დიდი ევროპული წარსულიდან მოდერნიზმის მიერ ნამემკვიდრევი შედევრების «იმიტირების იმიტაციისა»; და მართლაც, თუკი კლასიკური ხელოვნება ბუნების ბაძვა იყო, ავანგარდი ბაძვის ბაძვაა.

ჩვენი მაესტროც ასე აშიშვლებს კლასიკურ «ტეხნეს» და ამდენადვე გვესახება განსწავლულ ვირტუოზად, რომელსაც არა იმდენად ინდივიდუალური ოპუსების სიუჟეტი, რამდენადაც თავად ფერწერა, როგორც დისციპლინა აინტერესებს.

ესაა ოპერირება ერთგვარი აბსტრაქციის მეოხებით, როდესაც მხატვარი გამეტებით აუქმებს «რას», რათა

თავისუფლად მოიხელთოს «როგორ».

რაც მთავარია, ნიჟარაძე მიზანმიმართულად ახდენს ტრადიციულ ფერწერულ ტექნიკათა ონტოთემატიზაციას; და ესეც, კულტურის ისტორიისადმი მისი უკიდურესად გამახვილებული შემეცნებითი ინტერესის გამოხატულებაა.

რაც შეეხება ამგვარი «ტეხნეს» დამგემოვნებელ მაყურებელს, ფერწერული ტილოს ფორმალური და არტეფაქტული მახასიათებლები მისთვის სწორედაც, ხელმისაწვდომია. ამის მიზეზი ის არის, რომ მას გააჩნია «თავისუფალი დრო და კომფორტი».

სულ ახლახან, გროისის მიერ ინტერპრეტირებული გრინბერგის თანახმადვე, ავანგარდული ხელოვნება ისეთივე შეძლებული და განათლებულ ადამიანების მიერ შეიძლება იყოს ფინანსურად და სოციალურად მხარდაჭერილი, როგორც ტრადიციული ხელოვნება.

ზურაბ ნიჟარაძე დღეს, ქართულ არტკულტურულ სივრცეში ყველაზე რესპექტაბელური მხატვარია.

რესპექტაბელური და... მოდურიც.

მაგრამ, «რესპექტაბელური» და «მოდური» რბილად რომ ვთქვა, მაინცდამაინც ვერ ჰგუობენ ერთიმეორეს: პირველი მათგანი მოასწავებს აპელირებას მარადიულისადმი, მეორე კი, წარმავალისადმი...

სხვა საქმეა, რომ ჩვენში «მოდა», როგორც ასეთი, რატომღაც «რესპექტაბელურადაც» ითვლება.

და მაინც, «რესპექტაბელური» არა იმდენად «პატივისცემის ღირსს», რამდენადაც «პატივისცემის საკმარისს» უნდა გულისხმობდეს.

ისე, დღეს მეტყველების სხვა, არაცნობიერი ფიგურაც იკიდებს ფეხს — «საკმაოდ კარგი», ანდა «საკმაოდ ცუდი».

ასე უფრო უფრო სოლიდურად ჟღერს!

მოკლედ, გამოთქმით — «საკმაოდ», ისევე როგორც სიტყვით «რესპექტაბელური», თანამედროვე კულტურა კიდევ ერთ არაცნობიერ მესიჯს გვიგზავნის; სახელდობრ იმას, რომ საზოგადოდ, კულტურის მიზანი — გარკვეული ანდა საკმაო დონის, ნორმის მიღწევაა და არა მისი დარღვევა.

სწორედ ეს ნორმატიულობა აქცევს ხელოვნების ფაქტს განხილვის ღირსად.

როგორც ზურაბ ნიჟარაძის ერთი, განუყრელი მეგობარი იტყვის ხოლმე: «აი, ამაშია საქმე!»

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ჩვენშიც შეეცადნენ ახალი ნორმატივების ინვესტირებას მხატვრობაში, ბევრი «იჯახირეს», რათა ეს «ნორმა» (თუ «ანორმა») სტატუსური გამხდარიყო.

არადა, სტატუსური გულისხმობს ელიტარულის «გამასობრივებას», «მაღალის» «გაბანალურებას».

ზურაბ ნიჟარაძე ელიტარული მხატვარია, ანუ ისეთი გამორჩეული გემოვნების ოსტატი, რომელიც მასაში არა და არ გათქვეფილა; და არც მისი მაღალი იდეალები ქცეულა ბანალურად...

ღირებულებათა ოფიციალური სისტემა რახანია, ჩვენშიც გადაისინჯა და ლამისაა ტოტალურად მოხდა რადიკალური ხელოვნების, ექსპერიმენტის ხელოვნების დაშვებაც და მისი რადიაციაც.

ყოველივე ეს ავადსახსენებელი საბჭოთა ხელოვნების ტოტალობასაც ჩამოჰგავს.

ისიც ხომ ეკლექტური იყო; ეკლექტური იმ გაგებით, რომ «მაღალს» (და «ეტალონურს») აცხადებდა «მასობრივად»; და მათი განსხვავების ნიშნად ამკვიდრებდა ცნებას — «სახალხო», რითაც იმაზე აკეთებდა აქცენტს, რომ არსებობს არა «მასა», არამედ «ხალხი».

დღეს «რესპექტაბელობა» სწორედ იმგვარ «სახალხოობას» მოასწავებს, რომელიც გამორიცხავს, — და საკმაოდ რეპრესიულადაც, ყოველივე იმის არსებობას, რაც არ არის რესპექტაბელური.

ნიჟარაძეს კი, ამ «ცოდვა-ბრალით» აღსავსე კითხვებისაგან შორს უჭირავს თვალი... როცა მოლბერტთან დგას და ღიღინ-ღიღინით ხატავს; თითქოსდა მთელი ეს პროცესი «თამაშად და უჩანს მღერად»... წერს, გადაწერს... თან, სახელოსნოში შეკრებილ მეგობრებსა თუ შემთხვევით სტუმრებს ემასლაათება; შემპარავი გატაცებით ლაპარაკობს სიცოცხლეზე, უკვდავებაზე, სიკვდილის შეუძლებლობაზე...

«აი, ამაშია საქმე!» — ისევ წამოიძახებს უცებ გამოფხიზლებული მეგობარი.

ნიჟარაძე კი, განაგრძობს; ხან ხატვას, ხან წრუპვას, ხანაც ქართულ-რუსულ ლაპარაკს; არა, ლაპარაკს კი არა, მსჯელობას...

და მისი ფერწერაც ესთეტიკური მსჯელობის მაგალითია თითქოს; ანდა სამაგალითო ესთეტიკური მსჯელობის არტისტული გამოხატულება; თანაც, საკუთრივ ფერწერის ენით მოტანილი... ფერწერისა, რომლის «პურისტული» სიწმინდე და შეუვალობაც მხატვრის არისტოკრატული

ნატურიდან გამომდინარე სილბოთი და დამაყვავებელი ინტონაციითაა შერბილებული.

ანტიკურობის მეორედ მოსვლა

მოდერნის ცნება და საერთოდ, ტერმინები — modernus, modernitas შუასაუკუნეებში ჩნდება და ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან — მოდუს, რაც ყველაფერთან ერთად ნიშნავს «წარმავალს», «სწრაფმავალ მომენტს»; და ასევე «მოდას». იმ დროს, როდესაც ანტიკურობა საკუთრივ «მარადიულთან» ასოცირდება; ამასთან, ასოცირდება «მაღალ კულტურასთან» და აღორძინების ეპოქაში მოდერნს კი არა, გოტიკურ «ბარბაროსობას» უპირისპირდება.

როგორც კი ანტიკურობა ხელახლა, აწ უკვე მეორედ «დაბერდება», ბალზაკი ტერმინს — modernite საიმისოდ შემოიტანს, რათა აღნიშნოს არა უბრალოდ ქრონოლოგიური მიკუთვნებულობა თანამედროვეობისადმი — ამისათვის საკმარისი იყო სიტყვა contemporain, — არამედ, თავად სული თანამედროვეობისა.

აი, სწორედ ეს სული, თანამედროვეობის სული, თანაც ანტიკურობასთან, როგორც «კაიროსთან» ანუ კაცობრული ისტორიის რაღაც განსაკუთრებულ ტემპორალურ მოდუსთან გაშუალებული მესახება ნიჟარაძის იდეალად, და, — ვიმეორებ, რაც არ უნდა ანაქრონისტულად ჟღერდეს ეს «იდეალი» და «იდეალური» — «ის მაინც ბრუნავს»...

ნიჟარაძის ფენომენი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს (ყოველ შემთხვევაში, მე მარწმუნებს!), რომ საჭიროა, ხელახლა აღმოვაჩინოთ ანტიკურობაც და მოდერნიც; ანდა, თანამედროვეობა, როგორც «ჩვენი ანტიკურობა».

აი, მაშინ მოვახერხებთ ავანგარდისტული სნობიზმისაგან გათავისუფლებასაც და გონების გამაწვრილებელი პოსტმოდერნული დეკონსტრუქციისაგან განრიდებასაც.

თუმცა, თავად ზურაბ ნიჟარაძეს სულაც არ აწუხებს პოსტმოდერნული კვაზიპასიონები; როგორც კარლ პოპერი იტყოდა «ინტელექტუალური მოკრძალებით» და ინტელექტუალურივე, ასე ვთქვათ, სოკრატული მამაცობით უტყდება ჯერ საკუთარ თავს, მერე კი თავის «მეგობრებს», რომ თავისი ნამუშევრებიდან თითქმის არაფერი არ მოსწონს.

სამაგიეროდ, ჩვენ მოგვწონს; და მერე როგორ!

მოგვწონს... და ეს მოწონება გვიღირს იმად, რასაც კანტი უწოდებდა «მიზანშეწონილობას მიზნის გარეშე».

და მაინც, ყველაფერი ეს ესთეტიკურ-კოგნიტური აბსტრაქციებია იმ ცოცხალ, ვიტალურ, ადამიანურ მგრძნობელობასთან შედარებით, რომელსაც ასხივებს ნიჟარაძის ფერწერა; ფერწერა, როგორც «ტეხნე» და ფერწერა, როგორც «ალეთეია» ანუ ჭეშმარიტება (როგორც ისინი დააწყვილა ჰაიდეგერმა).

ნიჟარაძის ესთეტიკური გემოვნება მართლაც გამორჩეულია და ამას აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს; მაგრამ კიდევ უფრო გამორჩეულია და უნიკალური მისი გემოვნება ჭეშმარიტებისადმი, რაც უკვე, უმცირესობის პრეროგატივაა; მით უფრო, როცა საქმე ეხება მხატვრულ ჭეშმარიტებას, რომელიც თავდაპირველი შინაარსით, ამ შემთხვევაშიც, გაიგება როგორც ვირტუოზული არტისტული ტექნიკა; ტექნიკა, რომელიც ნიჟარაძეს ონტოლოგიური რეალიზმისა და ნომინალიზმის ზღვარზე, ნამდვილ ფერწერულ სასწაულებს აქმნევინებს.

ნიჟარაძემ ესთეტიკურის სფეროში მოიძია თავისი «კატეგორიული იმპერატივი»; და ეს იმპერატივი მის უდიდებულესობა — ფერწერის ხელოვნებაში დანერგა, თუმცა ფერწერა (მადლობა ღმერთს!) მაინც დაუსრულებელ პროექტად რჩება; ისე, როგორც მოდერნი და... ასე განსაჯეთ, ანტიკურობაც...

ანტიკურობაც არასოდეს მთავრდება!

ნიჟარაძის ბოლოდროინდელ ოპუსებში თითქოსდა ყველაფერია იმისა, «რაც უკვე იყო» და იმისაც, რაც «ჯერ არასდროს არ ყოფილა»...

ამ «უკვე იყო»-სა და «არ ყოფილას» შორის დიდი განსხვავებაა; მეტიც, ესაა თვით ფერწერულ (ონტო)ტექსტთა კონსტიტუირების ის სივრცე, რომელიც უმალ ამჟღავნებს ამ «ტექსტებთან» ურთიერთობის არაკულტურულ ტიპებს.

ზურაბ ნიჟარაძე ჩვეული ტაქტითა და მიმტევებლობით «გვასწავლის», თუ რა აზრები და შეგრძნებები არ უნდა დაგვებადოს, არ უნდა გაგვიჩნდეს ფერწერული ტექსტის — სურათის, როგორც ასეთის აღქმისას, რათა არ დავარღვიოთ არტისტული კონვენციის პირობები.

ესაა არა თეორიული ინსტრუქციები, არამედ ისევ და ისევ, მისი არტისტული საქციელის თანდაყოლილი თვისებები.

ნიჟარაძის არტისტული საქციელი კი, როგორც მ. ბახტინი იტყოდა, არქიტექტონიკური საქციელია; მთლიანი, დაუნაწევრებელი, პიროვნული ღირსებითა და არისტოკრატიული სიამაყით აღსავსე საქციელი...

ეს არისტოკრატიზმია, რომელსაც ვერავინ გვასწავლის; რომელსაც «გარედან» ვერ შეიძენ...

ერთი «ლუმპენური» ჟესტი და... «გაყიდული ხარ»!

შესაძლოა, ეს — «გაყიდული ხარ»! ჩემი მხრიდანაც ლუმპენურად ჟღერდეს, მაგრამ დაწერილს ხომ ვეღარ წაშლი?!

ახლა კი, უფრო «არისტოკრატულად»:

ნიჟარაძე, როგორც ელიტარული მხატვარი, ტრადიციონალისტიცაა; დღევანდელი გადასახედიდან, იქნებ, კონსერვატორიც...

თუმცა, ეს «ტრადიცია» მას სულაც არ უნდა ესახებოდეს, როგორც სტილთა თუ მანერათა ცალსახა ესტაფეტა.

მისი, როგორც Modernity-ს რეპრეზენტანტის მიმართება ტრადიციასთან, თვით ამ კატეგორიის — «ტრადიციის» შიგნით მიმდინარე ცვლილებებითაა განპირობებული.

არატრადიციონალისტურ საზოგადოებაში, ესთეტიკური ტრადიცია a priori საეჭვოდაა მიჩნეული.

ახლის ავტორიტეტი — ისტორიულად გარდუვალის ავტორიტეტია.

ნიჟარაძემ ეს ისტორიული გარდუვალობა თავის თავზე აიღო, თანაც ყოველგვარი მანიფესტებისა და დეკლარაციების გარეშე... და ჩვენს ტრადიციონალისტურ, გნებავთ, თემურ საზოგადოებაში — Gemeinshaft-ში გააღვივა ახალი ტრადიცია, პრინციპულად დამყარებული «სხვის» ტრადიციაზე.

ეს — «სხვა» კი, ისევ და ისევ, ანტიკურობაა; თავისი წარმართული სულით, თავისი პოლითეიზმით, თავისი სხეულებრივი პრაქტიკებით, თავისი «ჰოლისტიკით», თავისი საჯაროობით, თავისი გაუცხოებით,

დისტანციურობით, თავისი — ნუ გაიკვირვებთ და «გულგრილობით», «სხვათაშორისობით»...

ამიტომაცაა ნიჟარაძე მიუხედავად თავისი არაჩვეულებრივი კომუნიკაბელობისა და ღიაობისა, «მონადურ» სიმარტოვეში დარჩენილი ადამიანი, პიროვნება, რომელიც «სხვათა», თუნდაც უახლოეს ადამიანთა, მაგრამ მაინც «სხვათა» გარემოცვაში, მით უფრო «მარტოხელად» რომ გამოიყურება.

პატრიარქის შემოდგომა

V საუკუნის ჩინელი სე ხეს ტრაქტატში — «შენიშვნები ძველი ფერწერის კლასიფიკაციის შესახებ» ექვსი მთავარი პრინციპია ჩამოწერილი.

პირველი მათგანი (ისევე, როგორც ყველა დანარჩენი) ოთხი იეროგლიფისაგან შედგება და ქართული ტრანსლიტერაციით ასე ჟღერს: «ციუნ-შენდუნ».

ქართულ თარგმანში იქნება «ცი-ს ვიბრაცია-სიცოცხლის მოძრაობა».

დღეს «ცი» უბრალო სიტყვით ითარგმნება — «ენერგია» ანდა «სასიცოცხლო ენერგია».

სწორედ ეს ენერგეტიკა გადმოედინება ნიჟარაძის ბოლოდროინდელი ნაწარმოებებიდან.

მე შემთხვევით არ მოვიხმე სწორედ ეს სიტყვა — ნა-წარმო-ები, ჰაიდეგერთან «რაღაც» გარე(შე)დან შემოტანილს რომ გულისხმობს.

ხოლო, თუ საიდან მოედინება ეს ენერგია ხელში, სხეულსა თუ სულში – მისტიკური საკითხია.

მხატვარი-რადიკალი ენერგეტიკულად «სოციალური პრაქტიკებით» და(იტენება); ფსიქოდელიის ადეპტი — შესაბამისი «ნივთიერებებით» მოიხელთებს, ტრადიციონალისტი კი ისტორიული საგანძურით მიეახლება.

ნიჟარაძეც ამ «თეზაურუსით» მეოხებით აღივსება ენერგიით, თუმცა, ეს ენერგია გზადაგზა ტრანსფორმირდება და უსათუთესი პიროვნული თვისებებით გვემცნაურება.

წეღან «ნივთიერება» ვახსენე და ნიჟარაძე არა მხოლოდ გრძნობად-ნივთიერი სამყაროს ფერწერულობას, არამედ ფერწერული სამყაროს ნივთიერებასაც (შე)ეხება.

და ყოველივეს, კვლავინდებურად, თავისი აბსოლუტური ხედვით მოიმხრობს; ხედვით, რომელიც ლევი-სტროსისა არ იყოს, ინტელექტუალური ოპერაციაა.

ამგვარი ოპერაციისას ახდენს იგი გამოსახულებითი ველის ანალიზსაც და სინთეზსაც;

ასე «იძლევა სურათს», რომლის არსიც ტოტალობაა.

დიახ, სურათი ნიჟარაძისათვის — ესაა გრძნობადი სამყაროს გამოსახულება მის მთლიანობაში; სამყაროს მთლიანი და ეფექტური (და არა აფექტური) სურათი.

აქედან: მხატვრის ტექნოლოგიური კონცეპციის სიცხადეც; კონცეპციისა, რომლის კვალობაზეც, სურათი მაშინ არის

ღირებული, როდესაც მასში ტექნოლოგიურად «დამაგრებული» ობიექტური შრეა დაუნჯებული.

თუმცა, მაესტრომ ბოლო დროს, ახალი მასალებიც მოსინჯა, კერძოდ, აკრილი ჩაუნაცვლა ზეთის საღებავს, რითაც მეტი გასაქანი მისცა თავის ელეგანტურ «ალა პრიმას» და სურათიც მით უფრო მიუახლოვა მაყურებლის თვალს, კიდევ უფრო საცნაურჰყო კოლორისტული არომატიც...

ესაა ნდობის კიდევ ერთი ავანსი, რომელსაც ისევ a priori ვღებულობთ.

არტისტული ქცევის არანაირი სტერეოტიპი!

ყველა ფერი მხატვრის ცოცხალ ფერწერულ პერფორმანსს ემორჩილება; უმწიკვლო ნახატთან ასიმილირებული ფერის ვიბრაციას, რომელიც მონასმის რიტმსაც ცვლის და ტილოზე დადებული ფერი-პიგმენტის შინაგან ნათებასაც სხვაგვარი ინტენსივობით მოსავს...

სხვათა შორის, იგივე ჩინელები ერთურთისაგან (გან)ანსხვავებდნენ გულის ტალანტს და ხელის ტალანტს.

ნიჟარაძის ფერწერაში სწორედ ეს — «ხელის ტალანტი» გვანცვიფრებს; არა მანიაკალური გა-ხელება, არამედ თავად ყოფიერებიდან მომდინარე ხელ-გაშლილობა...

ნიჟარაძის ხელშია მისი ძალა; არა უხეში ძალადობა ფერზე, არამედ ფერის სუფევა; ფერის გამსჭვალვა...

და ეს ხელი აძლევს უფლებას, მიწაზე კი არ დარჩეს, არამედ ცა-ში აიჭრას თავისი ზეციური მუსიკოსებით; და მიწაზე (თუ ქვე-ცაზე) მოგონებაღა დატოვოს...

და მაინც, ნიჟარაძე ყველაფერს წარმოგვიდგენს, როგორც ხელთ-ქმნილს, ხელთ-მყოფსა და ხელ-მისაწვდომს; მათ

შორის, «თვალითაც» ხელ-მისაწვდომს...

თავისი ნატურით ის ფილოსოფოსია; ფილოსოფია კი, გარკვეული გაგებით თამაშია; სერიოზული თამაში...

სერიოზულობა, როგორც ცნება, რაღაც (ისევ «რაღაც»!) ცხადის, ევიდენტურის, ყველასათვის მისაღების აღმნიშვნელი ცნებაა.

ასეთი «სიცხადე» და «საყოველთაო მოწონების» სიმპტომიც ანტიკური «წარმომავლობისაა» და თვით აზროვნების ონტოტექსტუალობასთანაა წილნაყარი; ონტოტექსტუალობასთან, ანუ იმგვარ ონტოლოგიასთან, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ტექსტს, პროგრამას, კოდს და ღია და დახურული ფორმებით არსებობს.

«ღიაობა» და «დახურულობა» თავის მხრივ, უსასრულოსა და სასრულის ონტოტექსტებში იძენს მნიშვნელობას და ნიჟარაძეც, ამ «კონტექსტებით» მოიაზრებს ფორმას, როგორც პრინციპულად უსასრულო გონის (სულის) სასრულ ადგილსამყოფელს.

რაც მთავარია, ესაა არა დაშლილი, დანაწევრებული, დაჩეხილი, პრეპარირებული ფორმა, არამედ, «შინაგანი ნახატით» — desegno interno-თი მოციმციმე, გრაციოზული ქრომატული ფეერია, სადაც მთლიანობისა და ჰარმონიის კვალი ცოცხლადაა შემონახული.

მოხუც ჰიუგოს უთქვამს რემბოს გამოჩენის გამო, ამ პოეტმა დაასაჩუქრა პოეზია frisson nouveau-თი ანუ თრთოლვითა თუ ჟრუანტელითო...

ნიჟარაძის ფერწერაც, თითქოსდა, რეაქციაა იმ სამარისებურ დახურულობაზე ანდა «სასაფლაოს ესთეტიკაზე», რომანტიკოსებმა და მერე კი,

სიმბოლისტებმა რომ დაამკვიდრეს და აბსტრაქტული მიმეზისით, უკეთ — მიმიკრიით, არაერთ უნიჭო ეპიგონსა და ესთეტიკურ ცვედანს მისცეს დროებითი თავშესაფარი.

ზურაბ ნიჟარაძე სიცოცხლის, და მეტიც, უსასრულო ყოფნის მხატვარია...

და ამდენადვე ქმნის ეს დიდი მაესტრო «ხარისხიან» არტისტულ პროდუქტს, განხორციელებულ ესთეტიკურ არტეფაქტებს, რომელთა non-finito-ც ანუ დაუსრულებლობაც, ამ სურათების პრინციპული არაფინალობაა.

მხატვრის «ტეხნე» დიახაც, განხორციელების ანტიკურ არქეტიპთა გამოცდილების გახსენებაა, მედიუმი (თუ ონტომედიალური დიფერენცი) ამ გამოცდილებისა — შეუფარავი ფერწერული ვნებით მოდელირებული ფორმაა; და სწორედ ამგვარი ფორმათქმნადობის არტისტული ნება, ვორინგერი Kunstwollen-ს რომ ეძახის, აღაზევებს ამგვარ ფერწერას რომანტიკული სენტიმენტალობისაგანაც და იმპრესიონისტული «ფანტომებისგანაც»...

ნიჟარაძის ბოლოდროინდელი ოპუსები ფერწერული დისკურსის ერთგვარი აპოთეოზია. აქ თავისებურად ზავდება ორი კოლორისტული სისტემა — მყისიერი ფერწერული ინფორმაციის პირველადი გრძნობადი სიგნალით მოწოდებული, «ღია» ფერის დიდრონი ქრომატული ლაქები და იმგვარი ფერწერული სტრუქტურა, რომელშიც ამ ჟღერად ლაქათა ლოკალურ პიგმენტებს ვეღარ «ვცნობთ»; და ესაა სპეციფიკური ტექნოლოგიური ტრანსცენდირება, ფერის უწყვეტობაში, მის კონტინუალობაში «გასვლა»...

ამგვარი პოეტიკის «აბსოლუტს» მსოფლიო ფერწერის დიდოსტატები, როგორც წესი, თავიანთ ყველაზე «მაღალ» პერიოდებში აღწევდნენ.

ასეთი «პერიოდი» უდგას ქართული ფერწერის პატრიარქსაც – «პატრიარქის შემოდგომა»!

ავტორეტროსპექტივიზმი ნიჟარაძემ საბოლოოდ ჩააყენა უნივერსალური ფერწერული ენის მოხელთების «სამსახურში» და თვით სურათის დასრულებულობის პრობლემაც, თავისებურად მოხსნა.

ამგვარი სიმაღლე ჯერ არცერთ ჩვენს მაესტროს არ აუღია, თვით ბაჟბეუქსაც კი, რომელიც თავის «ბოლო პერიოდში», მაინც სიჭრელით «სცოდავს»...

ნიჟარაძისთვის ყოველგვარი სიჭრელე დაძლეულია; მისი ფერწერაც კოლორისტული მთლიანობის თითქმის ეტალონური ფორმით სუნთქავს;

«გაკეთებულის», ფერით დაწერილის განცდას აქ სწორედაც «გაუკეთებელი» და «დაუწერავი» აღძრავს, რითაც თავად ხელთქმნილის, არტეფაქტულის მნიშვნელობაც უსასრულოდ მატულობს...

შემთხვევითი მარადიულობა

ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები შეიძლება აღიწეროს იმ თვისებით, რომელსაც ჯოისი თავის «ფინეგანის ქელეხში» ეძახის work in progress-ს ანუ ნაწარმოებს განვითარების პროცესში.

ზურაბ ნიჟარაძეც გულითადად მიგვიძღვება სიამოვნების იმ წყაროსთან, რომელიც გვეუფლება მხატვრული ნაწარმოებისა და მისი ქმნადობის პროცესის იმ ონტოპოეტოლოგიურ ლაბირინთში, რომელსაც უკვე

ვეღარც სპონტანურობას დაარქმევს კაცი, ვერც იმპროვიზაციულობას და ვერც შემთხვევითობას...

საუკეთესო ვარიანტი «აუცილებელი შემთხვევითობა» შეიძლება იყოს.

«ამქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით, — მარადიული ის არის მხოლოდ» — ეს ოთარ ჭილაძეა; და ეს «მარადიული შემთხვევითობა» თუ «შემთხვევითი მარადიულობაც» შვენის ნიჟარაძის მეთოდს, რომელსაც «არამეთოდური მეთოდიც» შეიძლება ვუწოდოთ.

ამბრუაზ ვოლარი არ ამბობდა სეზანზე, მისი ორი-სამი მონასმი — უკვე სურათიაო?!

ნიჟარაძე წინასწარ გრძნობს მომავალ ფერწერულ «ტექსტს», როგორც რაღაც «მთელს», ოღონდ პირველივე მონასმები უკვე ისეთივე სურათოვანი (თავის)უფლებებით აღიჭურვებიან, როგორც თავად ავტორი...

ძალა, რომელიც ეუფლება ავტორს, არა იმდენად ბოჭავს მის არტისტულ ნებას, რამდენადაც უმსუბუქებს ამოცანას.

აქ უკვე ერთი კი არა, ორი ხელი მუშაობს; ერთი თავი კი არა, ორი თავი ფიქრობს...

ეს პროცესი რაღაცით ჩამოჰგავს რეფლექსიებს, რომელთაც ავითარებს ჰენრიხ ფონ კლაისტი თავის ტრაქტატში «მეტყველების მდინარებისას აზრის თანდათანობითი მომწიფების შესახებ»: იწყებს რა ლაპარაკს მირაბო, მან ჯერ კიდევ არ იცის, რას იტყვის წუთის შემდეგ; და ამოძრავებს ნება, რომელიც წინ უსწრებს მის საკუთრივ შესაძლებლობებს.

ასე ერწყმის საავტორო ჩანაფიქრი იმპულსს, ანდა უკეთ, ძალას, «წინარე-ტექსტიდან» რომ მოედინება...

ამ შემთხვევაში, ნიჟარაძესთან დასახულია იმგვარი ონტოლოგიური ჰორიზონტი, სადაც «ძალა» ანდა «ენერგია» «სიცოცხლის» სინონიმებია; სიცოცხლისა, როგორც შე-უცვლელი სიკეთისა და უზენაესი (მათ შორის, მეტაფიზიკური გაგებით) ღირებულებისა და მიზნისა...

ამ კონტექსტში, ავტორი არ «კვდება»; ავტორი ცოცხალია; და ამ სიცოცხლით მისი ყოფიერებითი ფინალობის პრობლემაც თავისებურად უქმდება.

ნიჟარაძის ფერწერული ტექსტი, ანდა ტექსტი, როგორც ფერითი ნაწერი, თანაც ღია და დაუფარავი ნაწერი, ექსისტენციური შეტყობინების ფორმაცაა; ამგვარი შეტყობინება კი, ძირეულად, ფუნდამენტურად ეხება მისი მიმღები ადამიანის არსებობას; ესაა «მესიჯი», რომლის მიღების შემდეგაც, ექსისტენცია უკვე აღარაა ის, რაც მის მიღებამდე იყო.

ნიჟარაძის «ღია» ფერწერული ტექსტები, ბოლოს და ბოლოს, სადღაც «იკეტება».

პროცესი სრულდება.

პროცესის შედეგი კი, ისევე, როგორც თავად პროცესი, თავის მოძრაობაში შეჩერებული — ესაა ხელოვნების ნაწარმოები. ესეც — ადორნოა!

ერთურთთან მიმართებით ნიჟარაძის ნაწარმოებებიც ჩაკეტილნი არიან; ოღონდ, ამ თავიანთ ჩაკეტილობაში, ისინი საკუთარ თავს «უმხელენ», თუ მათ «გარეთ რა ხდება».

ამგვარი ტრანსცენდენტურობის ძალით გადალახავენ ეს ტილოები საკუთარ საზღვრებს და «გარედან» იღებენ იმას,

რისი წყალობითაც ისინი იმანენტურ სტრუქტურებად ყალიბდებიან.

აი, ამ პრინციპს ემორჩილება ნიჟარაძისეულ, ერთი შეხედვით «ღია» ნაწარმოებთა მონადოლოგიური ჩაკეტილობა.

რაც მთავარია, ეს ნაწარმოებები, როგორც მონადები, სწორედაც განცალკევებულობის პრინციპის განხორციელების მეოხებითაა, საყოველთაოს, როგორც ასეთს, რომ ეზიარებიან.

ამ «საყოველთაოს» მოხელთება აძლევს ოსტატს საშუალებას, შექმნას თავისი «დიდი სტილი», აღადგინოს «დიდი ფერწერული ნარატივები», თანაც, ყოველგვარი ლიტერატურულობის გვერდის ავლით... და აღგვიძრას ამა თუ იმ პლასტიკური ხატის ობიექტური აუცილებლობის (თუ გარდუვალობის) ილუზია, ანუ შექმნას იმგვარი იმანენტური კონტექსტი, სადაც ხსენებული აუცილებლობის ტოტალობა გონს დაემთხვევა, ხოლო ესთეტიკური საგანი, როგორც ჰეგელი იტყოდა, «ცნების სიცოცხლის» სახით იქნება მოხელთებული.

ჰამლეტის «ჯადოსნური ფლეიტა»

თავის დროზე, ეჟენ დელაკრუას თავის «დღიურში» ჩაუწერია ფანქრით: «სურათის უპირველესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ თვალისათვის იყოს დღესასწაული».

ნიჟარაძის ყოველი სურათიც, უწინარეს ყოვლისა, ამგვარი დღესასწაულია; რაც მთავარია, მხატვრის მიერ შექმნილი არტეფაქტი ესაა — «картина» და არა «картинка».

ნიჟარაძის მხატვრული მეთოდი ცხადყოფს, რომ სურათით მოგვრილი ესთეტიკური სიამოვნების წყარო რეალური უკმარისობის კომპენსაციაა.

და ისიც გამუდმებით მიილტვის, შექმნას ობიექტები, რომელთა სუბსტანციაც თვითკმარი სილამაზეა, ანუ ის, რის დეფიციტსაც სული (თუ კიდევ შეგვრჩა!) გამუდმებით განიცდის.

ნიჟარაძე ვირტუოზულად იყენებს ფერწერის, როგორც ხელოვნების ემანსიპაციას, რათა საკუთრივ პლასტიკური ფორმა გახადოს სრულ-ყოფილი; ცოცხალი პლასტიკური ფორმა და არა მკვდარი ნიშნები — ნახაზები თუ დიაგრამები...

იმასაც მშვენივრად გრძნობს (sic), რომ ფერწერის შედარებით ახლადმოპოვებული «თავისუფლებები» უწინ არსებულ თავისუფლებათა დათმობით არ უნდა ანაზღაურდეს.

ამიტომაცაა, რომ მის ბოლო ოპუსებში არა იმდენად გამოსახულება, რამდენადაც საკუთრივ სახვითი ფუნქციის მატარებელი ობიექტი ფიგურირებს.

მხატვარი თითქოსდა სამუდამოდ ივიწყებს თავის ადრეულ მონაპოვარს, ივიწყებს ნახატს, კოლორიტს, ფერწერის უწინდელ სიმკვრივეს; «დატენილ» ფორმას... ივიწყებს, რათა ახალი თვალითა და გონებით მოიპოვოს; მოიპოვოს, როგორც უხუნებელი არსი, ესენცია, რათა ძველ მონაპოვართაგანაც გათავისუფლდეს; გათავისუფლდეს, რათა გახდეს უფრო მთლიანი, დაუნაწევრებელი; და უსასრულოც...

მისი ახალი მონაპოვარი მართლაც თვალისმომჭრელია!

ესაა ფერწერის ტრიუმფატორის Spolia opima, ანუ უხვი ნადავლი.

ვლადიმერ სოლოვიოვი წერდა: «Я мыслю единое, потому что испытываю многое».

ნიჟარაძე ფერწერის ენით მოიაზრებს მთელს; მთელს-(და)ნაწილების გარეშე...

და კიდევ: ამ «ხარისხის» ფერწერა სწორედ იმით იწვევს ჩვენს აღფრთოვანებას, რომ წარმოგვიდგენს საგნებს, რომელთა «ორიგინალებიც», შესაძლოა სულაც არ იყოს აღმაფრთოვანებელი.

ბლეზ პასკალის პერიფრაზით გადმოცემულ ამ შენიშვნაზე პასუხი, ეტიენ ჟილსონისა არ იყოს, ყველა ესთეტიკოსის ვალია.

არადა, ჩვენმა მაესტრომ, თავის ფერწერაში, კარგა ხანია მიაგნო ისეთ მშვენიერ ობიექტებს, რომელთა «ორიგინალებიც» აღარ არსებობს.

ესაა მისი თვითკმარი სამყარო; ახალი სინამდვილე, რომელსაც თავისი ონტოლოგიური საფუძველი აქვს; საფუძველი, როგორც ხელში (და ხელებაში) აკუმულირებული ნება, თუნდაც თითებში ამოწვერილი; ნება და ვნება...

ამიტომაც მესახება ნიჟარაძის ფუნჯი (ე)მოცარტისტულ «ჯადოსნურ ფლეიტადაც» და ჰამლეტისეულ ფლეიტადაც...

ნიჟარაძის ხელოვნების სპეციფიკა იმაშია, რომ იგი არტისტის, როგორც ცოცხალი სუბიექტის ხელ-მყოფი ნაწარმოების, როგორც ასეთის ობიექტურობას მარჯვედ უხორცებს არტეფაქტის ობიექტურობას, ხოლო ყველაფერ ამას აკეთებს (sic) გაუცვეთელი მშვენიერების სახელით.

ანდა, უბრალოდ, სილამაზის სახელით, სილამაზისა, რომელიც შეუძლებელია გატყუებდეს...

ნიჟარაძისეული სილამაზე განუწყვეტელი მოჯადოებაა, ერთი თაყვანისმცემლიდან მეორეს რომ გადაეცემა.

«აი, ამაშია საქმე!»

ესაა მარადიული ლტოლვა ცოცხალი ფორმისადმი; და ამ ესთეტიკას არაფერი ესაქმება იმგვარ ფორმალიზმთან, რომელსაც მაქს ფრიშის მიერ «დონ-ჟუანზე» დაწერილი პიესის პარადოქსულ სათაურს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ეწოდოს «სიყვარული გეომეტრიისადმი».

მხოლოდ ცოცხალი ფორმაა, რისი მეშვეობითაც გვპირდება ხელოვნება ბედნიერებას. თანაც, ისეთ ბედნიერებას, რომელიც არასოდეს აგვისრულდება.

ასეთი ბედნიერება კი მით უფრო ძვირად ფასობს.

ზბიგნევ ჰერბერტი

ხელოვნების ფასი

(პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა)

ჩვენი დროის უდიდესი პოეტი და მწერალი ზბიგნევ ჰერბერტი დაიბადა 1924 წელს, ლვოვში. ის იყო ასევე ბრწყინვალე ესეისტი, რაზედაც წინამდებარე წერილი კრებულიდან «ნატურმორტი ლაგამთან ერთად», მეტყველებს.

ჰერბერტის სახელი მოიხსენიება ისეთი ცნობილი მწერლებისა და პოეტების სახელების გვერდით, როგორებიც იყვნენ ჩესლავ მილოში, თადეუშ რუჟევიჩი, ვისლავა შიმბორსკა. ეს შემოქმედები უყვართ და აფასებენ პოლონეთში და არა მხოლოდ იქ. აღსანიშნავია, რომ ჰერბერტი რამდენიმეჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მაგრამ ეს ჯილდო ვერ მიიღო.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კრებულს «რჩეული ლექსები» (1956-1998), რომელთაც ჰერბერტი სხვადასხვა ასაკში წერდა და აქვეყნებდა. ეს ლექსები ძირითადად კომუნისტურ პოლონეთში იწერებოდა, თუმცა პოეტს კომუნისტური მმართველობისთვის ქედი არ მოუხრია და სინდის-ნამუსისთვის არ უღალატია, როგორც არაერთ სხვა ხელოვანს. ამ ლექსების გაცნობით მკითხველი კარგად წარმოიდგენს, თუ რას ნიშნავდა კომუნისტური რეჟიმი.

ჰერბერტს მძიმე ბავშვობა ჰქონდა. თხუთმეტი წლის იყო, როცა ქალაქი ლვოვი, რომელშიც ის დაიბადა და გაიზარდა, რიბერტროპ-მოლოტოვის პაქტის საფუძველზე საბჭოთა კავშირმა დაიკავა, ცხრამეტი თვის შემდეგ კი, როდესაც საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომი დაიწყო, ქალაქში ნაცისტები შევიდნენ. სიცოცხლით სავსე, მრავალი ეროვნების წარმომადგენლით დასახლებული ჭრელი ქალაქი საკონცენტრაციო ბანაკად იქცა. ჰერბერტს ეს დრო კარგად ახსოვდა. ჰყვებოდა ხოლმე, როგორ მოკლეს მაშინ სკოლის ეზოში მისი მასწავლებელი, დანარჩენები კი ციხეებში ჩაყარეს.

ჰერბერტი პოლონურ წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდა, სწავლა კი მიწისქვეშეთის უნივერსიტეტში გააგრძელა. იმ ხანებში ბევრის ნახვა და გადატანა მიუწია: მასობრივი მკვლელობების მოწმეც ყოფილა და იძულებითი დეპორტაციაც გამოსცადა. მისი ოჯახი საბჭოელების მიერ ლვოვის აღებას არ დალოდებია, 1944 წელს კრაკოვში გაიქცა. წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ჰერბერტმა უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, თან სახვითი ხელოვნების აკადემიაში ხატვის კლასსაც ესწრებოდა და ამავე დროს, სავაჭრო აკადემიაში ეკონიმიკას სწავლობდა, ბოლოს ხარისხიც კი მოიპოვა.

როგორც ანტიკომუნისტური «არმია კრაიოვას» ყოფილი მებრძოლი, იმ წლებში პოლიტიკურად არასაიმედო პირად ითვლებოდა. ჰერბერტს მაშინ დიდი არჩევანი არ ჰქონდა, ათასგვარ სამუშაოზე უმუშავია, ხან ეკონიმიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ჟურნალის რედაქტორი იყო, ხანაც – ბანკის კლერკი, ნოქარი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. მოგვიანებით, პოლონელ კომპოზიტორთა კავშირის ადმინისტრატორი. ერთი წელი, როცა ძალიან გაუჭირდა, სისხლს აბარებდა და თავი ამ გზით მიღებული

შემოსავლით გაჰქონდა. 1950 წლამდე მისი ლექსები არსად გამოქვეყნებულა, 1956 წელს კი, ოცდათორმეტი წლის ასაკში, პირველი წიგნი, «სინათლის წნული» გამოსცა. მოგვიანებით თავის გამძლეობას, რომლის წყალობითაც «ძლიერთა ამა ქვეყნისათა» წინაშე მუხლი უკიდურეს გასაჭირშიც კი არ მოუხრია, შინაგან ძალას ან ხასიათის სიმტკიცეს კი არ მიაწერდა, ამბობდა, გემოვნების საქმეაო. სული ესთეტიზმის მეშვეობით იხსნა: საყოველთაო სიბინძურეში რომ არ გაისვარა, ამაში დიდი როლი სილამაზის მისებურმა აღქმამ ითამაშა.

ჰერბერტის როგორც პოეზია, ისე მთელი შემოქმედება ძირითადად ბერძნული და რომაული ანტიკურობის სიუჟეტებს ეყრდნობა. მისი ლექსები ადამიანური ბუნების წინააღმდეგობრივი ხასიათის დრამატიზაციაა. ჩვენ ხომ ღრუბელსა და ტალახიან გუბეს შორის ვცხოვრობთო, ამბობდა ჰერბერტი.

1958 წელს ჰერბერტმა პოლონეთის კულტურის სამინისტროსგან პირველი სამოგზაურო გრანტი მიიღო და უცხოეთში წავიდა. ბევრს მოგზაურობდა, იყო ინგლისში, იტალიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, სხვა ქვეყნებშიც; უმეტესად პარიზში, ბერლინში და ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა. «რჩეული ლექსების» გამოქვეყნებამ სახელი მოუტანა. გერმანიის ხელოვნების აკადემიის მუდმივ წევრად აირჩიეს, რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ლიტერატურული პრემია მიიღო, მუშაობდა თეატრში, რედაქტორობდა, ესეების ორი წიგნი გამოსცა: «ბარბაროსები ბაღში» (1962) და «ნატურმორტი უნაგირთან ერთად» (1993). 1974 წელს წიგნად გამოიცა მისი კიდევ ერთი კრებული, – «ბატონი კოგიტო», რომელშიც ამავე სახელის მქონე პერსონა პირველად შემოდის. ბატონი კოგიტო პირველ პირში საუბრობს ან მის შესახებ ყვება რომელიმე

სხვა პერსონაჟი. ყოველი ლექსი მცირე ბიოგრაფიული სკეტჩია, განსჯა ჰერბერტის გმირის გარშემო.

1992 წელს, სიღარიბისგან შეწუხებული, მძიმედ დაავადებული ზბიგნევ ჰერბერტი იძულებული გახდა, პარიზიდან ვარშავაში გადასახლებულიყო. პოლონეთში დაბრუნებულმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოფილი კომუნისტების მონაწილეობა ვერ აიტანა, ამას ბევრ ინტერვიუში უსვამდა ხაზს და მტერიც ბევრი გაიჩინა, თავისი ყოფილი მეგობრებისა და კოლეგების წრეშიც. ამ უკანასკნელთ ინტელექტუალური პატიოსნების ნაკლებობას საყვედურობდა და ამხელდა. ჰერბერტს იმის გადატანაც გაუჭირდა, რომ «არმია კრაიოვას» ბრძოლა, რომლის მონაწილე თავად იყო და ვარშავის 1944 წლის აჯანყება ახალ პოლონეთში ზოგიერთების მიერ პოლიტიკურ სიბეცედ და უაზრო მსხვერპლად იქნა შერაცხული. სიცოცხლის ბოლოს ჰერბერტი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მარტოდმარტო, პოლონელი მწერლების და ინტელექტუალების უმეტესი ნაწილის მიერ გარიყული და მოძულებული. ის ხომ ყოველთვის ისეთ რამეებს წერდა და ლაპარაკობდა, რისი წაკითხვა და მოსმენაც არავის სურდა.

თავის პოლიტიკურ შეხედულებებს საკუთარი ცხოვრების წესითაც უმაგრებდა ზურგს. მაგალითად, მისი ხელმოწერა ამშვენებს 70-იანი წლების შუა ხანებში პოლონელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საპროტესტო წერილს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორების წინააღმდეგ დაიწერა. ამის გამო, განრისხებულმა ხელისუფლებამ პოეტის ნაწერების გამოქვეყნება აკრძალა, რის გამოც ჰერბერტი იძულებული გახდა თავისი ნაწერები ემიგრაციულ და იატაკქვეშა გაზეთებში დაებეჭდა. ჰერბერტი მორალურ ავტორიტეტს

წარმოადგენდა მრავალი თაობის პოლონელისათვის, სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი ის ლუსტრაციისა და დეკომუნიზაციის უაღრესად აქტიური მხარდამჭერი იყო.

ჰერბერტი მდიდარი არასოდეს ყოფილა და ცხოვრებას საკმაოდ ფილოსოფიურად უყურებდა. იქნებ გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულიც კი არის ამ კრებულში შესული პატარა მოთხრობა «სპინოზას საწოლი», რომელიც მე ჯერ კიდევ 1998 წლის ოქტომბერში, ანუ პოეტის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ ვთარგმნე და გაზეთ «საქართველოში» დავბეჭდე, ხოლო შემდეგ წიგნში: «პოლონეთიდან დანახული საქართველო» მოვათავსე.

1972 წელს პოპულარულ ჟურნალ «პოლიტიკისათვის» მიცემულ ინტერვიუში მან ასეთი რამ განაცხადა: «მთელი ჩემი ცხოვრება შემდეგი მორალური კრედოთი ვხელმძღვანელობდი: თუ ორი გზიდან ერთ-ერთს უნდა დაადგე, აირჩიე ის, რომელიც შენთვის გაცილებით ძნელი გასავლელია». თავად მთელი სიცოცხლე ნამდვილად ასე იქცეოდა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კი თითქოს ანდერძივით დაიბარა:

«ცხოვრება ძაფის დართვას ჰგავს: ძველ ძაფს ახალი უნდა შეერიოს. სანამ კაცი საფლავში ჩავა, ის ტანისამოსი უნდა მოირგოს, რაც აქვს და რაც ტანზე კარგად ადგას. თუმცა, უნდა იცოდეს, როგორი ტანსაცმელია ეს, რომელი ნაწილები აქვს კარგად შენახული და რომელი გასცვეთია. საკუთარ ცხოვრებასაც ასეთი თვალით უნდა შეხედოს. მხოლოდ საკუთარს კი არა, იმ ერის და საზოგადოებისასაც, რომელშიც ცხოვრება გაატარა».

ჰერბერტი 1998 წლის 28 აგვისტოს ვარშავაში გარდაიცვალა.

ხელოვნების ფასი

Was macht die Kunst? [...] die Kunst geht nach Brot. Das muss sie nicht; das soli sie nicht [...] lesingi. emilia galoti[3]

ჩვენ წინ დიდი სახელოსნოა, საკმაოდ მოღუშული. მის ერთ მხარეს დიდი, თაღიანი ფანჯარაა, თუმცა მისი სქელი მინიდან დღის სინათლეს უჭირს სახელოსნოში შემოსვლა. ფანჯარასთან ხის მოლბერტი დგას, რომელსაც მხატვარი უზის. მას თავზე ცილინდრის ფორმის ქუდი ახურავს, ტანზე უხეში ტყავის ქურთუკი მოსავს, ხოლო ფეხებზე მოუხეშავი მძიმე ფეხსაცმელი აცვია. მარჯვენა ფეხი მოლბერტის ქვედა კადონზე უდევს. მხატვრის ფუნჯიანი ხელი ტილოს ზედაპირზე მოძრაობს. ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს აუჩქარებელი, არარეგულარული, ქანქარასავით მოძრაობა, წინ გადახრა – საღებავის წასმა, შემდეგ წელში გასწორება – მონასმის ეფექტის შემოწმება. სურათის ზედა ჩარჩოზე ქაღალდის ფურცელია მიმაგრებული – მხატვრის მიერ შესაქმნელი სურათის ესკიზი. სახელოსნოს სიღრმეში, ამაღლებულ ადგილას, სადაც კიბით შეიძლება ასვლა, რუხ კედელთან შეგირდი საღებავებს აზავებს.

ასე იბადება ხელოვნება.

ბნელ ოთახში, მტვერში, ობობას ბუდეებსა და წარმოუდგენელ უწესრიგობაში მრავალ სილამაზესა და მოხდენილობას მოკლებულ ნივთს ვხედავთ. შემოქმედებისათვის აუცილებელი საგნებიც კი – ეტიუდები, საღებავები, ფუნჯები, ქაღალდები, თაბაშირში ჩამოსხმული თავის ფორმები, ხის მენეკენები – აქეთ-იქით ყრია. ამ სცენაში იდუმალების, ჯადოქრობის, სულიერი

მგზნებარების ერთი წვეთიც კი არაა. უნდა ფლობდე ძლიერსა და ცხოველ წარმოსახვას, რომ მათში, როგორც ამას ერთი ხელოვნებათმცოდნე ახერხებს – ფაუსტური განწყობილება დაინახო. არავინ არა დგას მხატვრის ზურგს უკან. თუ რეკვიზიტებს მსუბუქად შეცვლი, მაშინ ამ სახელოსნოში სრულიად ადვილად შეუძლია მუშაობა დურგალს ან ნემსის ოსტატს.

ყოველნაირად დახვეწილი გემოვნება, ესთეტიკური წარმოდგენა აღიარებს თავის დამარცხებას და უკუიქცევა ამ სურათის ღრმა მატერიალური ხასიათის წინაშე. მისი მხატვრული მასალა მძიმე, მასიური და მოუქნელია. ასეთია ადრიან ვან ოსტადეს სურათი «მხატვარი თავის სახელოსნოში», რომელიც ზეთითაა შესრულებული. მისი ზომებია 38 x 35,5 სანტიმეტრი.

დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში, რომელიც ორმილიონიანი ჰოლანდიის უცხოური უღლიდან განთავისუფლების შემდეგ გავიდა, პატარა ქვეყანა გადაიქცა აყვავებულ და ძლიერ კოლონიურ სახელმწიფოდ. ის ფლობდა საკმარისად მძლავრ პოლიტიკურ მექანიზმს საიმისოდ, რომ წინ აღდგომოდა ისეთ ძლიერ ქვეყნებს, როგორებიც საფრანგეთი, ინგლისი და ესპანეთი იყვნენ.

XVII საუკუნის რელიგიური ომებით დაყოფილ ევროპაში ეს იყო უჩვეულო, საყოველთაო გაკვირვების გამომწვევი თავისუფლების, ტოლერანტობის, შემწყნარებლობის და კეთილდღეობის ქვეყანა. შემონახულია მოგზაურთა უამრავი მოგონება, რომლებიც ჰოლანდიას სტუმრობდნენ მის «ოქროს ეპოქაში». პატარა მეშჩანური რესპუბლიკა სტუმრებს აოცებდა ცხოვრების თავისი წესით და თავისებური საზოგადოებრივი წესრიგით, ასევე

შრომისმოყვარეობით, გამომგონებლობითა და ჯანმრთელი, კონკრეტული, გასაგები დამოკიდებულებით თავისი მოქალაქეების ცხოვრებისადმი. ჰააგაში ინგლისის ელჩი და ყურადღებიანი დამკვირვებელი ჰოლანდიური ცხოვრებისა, ვილიამ ტემპიე აღნიშნავდა: «აქ ადამიანები, როგორც მსოფლიო მოქალაქეები, ისე ცხოვრობენ. ისინი სიმშვიდისა და ზრდილობის ძაფებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები. მათ მიუკერძოებელი კანონები იცავთ».

მისი მეფური უდიდებულესობის ელჩი აიდეალებს ამ ქვეყანას. არც არაფერია ამაში გასაკვირი. ის ხომ მაღალ საზოგადოებრივ წრეებში ტრიალებდა. სამაგიეროდ, იმ მრავალი პამფლეტიდან და პასკვილიდან, რომლებიც დაწერილია იმ ეპოქაში, გამოსჭვივის შური და გაბოროტება მეზობელი ქვეყნებიდან. მათი მკვიდრნი ჰოლანდიას სხვისი სისხლით მკვებავ პარაზიტს ადარებდნენ. სისხლისმსმელები, «დამშეული ტილები» – არ იშურებდა მსგავს შეურაცხმყოფელ გამოთქმებს კარდინალი რიშელიე ჰოლანდიელების მიმართ. მათ შესახებ წერდნენ, რომ ისინი არიან – «კარაქით მოვაჭრენი, რომლებიც თავიანთ ძროხებს ოკეანეში წველიან და ცხოვრობენ ტყეებში, თავად მათ მიერ მოშენებულში, ანდა ჭაობებში, მათ მიერვე ბაღებად გარდაქმნილში». ძნელია ამ ფრაზაში არ გემცნაუროს აღფრთოვანების ნიშნებიც.

შემორჩენილია შედარებით ნაკლებ სუბიექტური დოკუმენტები, რომელშიც თითქმის არ იგრძნობა ასეთი ბოღმა და, რაც მთავარია, უშუალოდ ეხება ჩვენი განხილვის საგანს. პეტრე მანდს, რომელმაც ამსტერდამი 1640 წელს მოინახულა, არ შეეძლო თავისი გაკვირვება არ გამოეხატა იმ მგზნებარე სიყვარულის დანახვაზე, რომლითაც ჰოლანდიელები მხატვრობის მიმართ

განიცდიან. მხატვრობის ნიმუშები შეიძლებოდა გენახათ არამხოლოდ მდიდარი ჰოლანდიელების სახლებში, არამედ კიოსკებში, დუქნებში, ტრაქტირებში – ხელოსანთა სამუშაო ადგილებშიც კი, ასევე ქუჩებში, მოედნებზე.

სხვა მოგზაურმა, ჯონ ეველინმა, როტერდამში ყოველწლიურად გამართულ ბაზარზე ბევრი სურათი ნახა. არადა, მაშინ, სხვა ქვეყნებში, ეს ფუფუნების საგანი იყო, მათი შეძენა და ფლობა მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ. თავად ფაქტი სურათების არსებობისა დახლებზე, მოკრიახე ქათმებთან, ხილთან, ბოსტნეულთან, თევზთან, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან და ათასგვარი სახის მოხმარების საგნებთან ერთად, ჩვეულებრივ დამთვალიერებელს ნამდვილად მოეჩვენებოდა რაღაც განსაკუთრებულად, უჩვეულოდ და არც თუ ისე ადვილად გასაგებად. ეველინი, როდესაც ამ ფენომენის ახსნა-განმარტებას ცდილობს, როგორც ჩანს, თავის ფანტაზიას უხმობს, როდესაც ამბობს, რომ უბრალო გლეხებიც კი ჩვეულებრივ ნახატში ორ, სამ ათას ფუნტსაც კი (უდიდესი თანხა, დიდი ბაღის, ან თითქმის სამი მორგი მინდვრის საფასური) აძლევენო. ამასთან, ამას აკეთებენ გარკვეული ინტერესით, რადგან გარკვეული დროის შემდეგ იმავე «კოლექციას» სერიოზული მოგებით ყიდიანო.

ინგლისელი მოგზაური ცდება. ნახატი მართლაც გახლდათ სპეკულაციის საგანი, მაგრამ არ იყო კაპიტალის დაბანდების ყველაზე საუკეთესო ობიექტი. გაცილებით უკეთესი იყო ფულის პროცენტით გასესხება, ანდა, მაგალითად, აქციის ყიდვა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მხატვრობას ჰოლანდიაში მართლაც საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. როგორც ჩანს, აქაური ხელოვანები ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი პატარა

სამშობლოს ხილული სამყარო, გაეზარდათ რეალობა ათასი, მრავალი ათასი ნახატით, რომლებზედაც აღბეჭდილი იყო ზღვის სანაპირო, საძოვრები, არხები, ფართო ჰორიზონტი და ქალაქების ხედები. XVII საუკუნის ჰოლანდიური ფერწერის ასეთი უჩვეულო აყვავება არ უკავშირდება ერთი რომელიმე ძლიერი მფარველის, მეცენატის ან საქველმოქმედო დაწესებულების სახელს, რომელმაც მხატვრებს თავისი მოწყალე ხელი გადააფარა. ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ როდესაც კულტურის ისტორიაში რომელიმე «ოქროს ხანაზე» ვსაუბრობთ, ამ დროს ყოველთვის ვეძებთ პერიკლეს, მეცენატს ან მედიჩების ოჯახს. ჰოლანდიაში სრულიად სხვაგვარად იყო საქმე. ორანის ჰერცოგები თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევდნენ სამამულო ხელოვნებას: რემბრანდტს, ვერმეერს, გოიენს და მრავალ სხვას. ისინი ჰოლანდიურ ფერწერას ფლანდრიულ თუ იტალიურ მხატვრობას ამჯობინებდნენ.

როდესაც ამალია ვან სოლმსმა, ჰერცოგ ფრედერიკ ჰენრიხის ქვრივმა, მოისურვა თავისი ქალაქგარე აგარაკის დამშვენება, მან ამ მიზნით სწორედ ფლანდრიელ მხატვარზე, რუბენსის მოსწავლე იაკობ იორდანსზე შეაჩერა თავისი მოწყალე თვალი. ასე რომ, მდიდრები ადგილობრივ მხატვრებს დიდად არ წყალობდნენ. მცირერიცხოვანი და პოლიტიკურ გავლენას მოკლებული თავად-აზნაურობაც ასევე არ გამოირჩეოდა დიდი სურვილით, მხარი დაეჭირა და წაეხალისებინა თავისი ქვეყნის ხელოვნება, ან თუნდაც ზეგავლენა მოეხდინა თანამემამულეთა გემოვნებისა და მოდის ჩამოყალიბების პროცესზე. ბოლოს, ეკლესიამაც, რომელიც სხვა ქვეყნებში ტრადიციულად ერთ-ერთი ძლიერი მხარდამჭერია მხატვრებისა, ჰოლანდიელ ფერმწერთ, რომელთაც მკაცრი კალვინისტური სიშიშვლე ახასიათებდათ, მჭიდროდ

ადრიან ვან ოსტადე. `მხატვარი თავის სახელოსნოში~. 1663 წელი.

მიუხურა თავისი სამლოცველოების კარი.

ამიტომ იბადება კითხვა: როგორ მატერიალურ მდგომარეობაში იყვნენ ჰოლანდიელი მხატვრები და რითი გამოიხატებოდა მათი საოცარი ნაყოფიერება – ალბათ, ნამდვილად არა მათი დიდი იდეალური სიყვარულით სილამაზისადმი. ჩვენი პასუხი არც მთლად უბრალო იქნება და არც ცალსახა. ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ არასრულ, ფრაგმენტულ და ამასთან, თანამედროვე ენაზე ძნელად გადასატან მონაცემებს.

წმინდა ლუკას გილდიის წევრები – ეს ამაყი დასახელება შესაძლოა, სხვათაშორის, აღნიშნავდეს ასევე

სახარებისეულ ღარიბთა კავშირს – სადაც გაერთიანებული იყვნენ საზოგადოების მხოლოდ დაბალი ფენებიდან წარმოშობილი ხელოსნები, იყვნენ მეწისქვილეთა, წვრილი ვაჭრების და ხელოსნების, ტრაქტირების მფლობელთა, თერძთა და ხარაზთა შვილები. სახელდობრ ასეთი, და არა სხვაგვარი, იყო მათი საზოგადოებრივი სტატუსი. მათი ტილოები ნამდვილად ანიჭებდა ადამიანებს ესთეტიკურ სიამოვნებას, მაგრამ ამავე დროს იყო საქონელი, რომელიც ბაზარზე გასაყიდად გამოდიოდა და ბაზრის მოთხოვნილების კანონს ექვემდებარებოდა. «ყველაფერი, რაც გაცვლის საგანს წარმოადგენს, ერთმანეთს უნდა შეუდარდეს. ამისათვის კი გამოიყენება ფული, რომელიც გარკვეული აზრით შუამავლად გვევლინება» – გვეუბნება არისტოტელე. ძნელია შეფასდეს, თუ როგორი იყო «საშუალო» – სტატისტიკოსების მიერ მოგონილი უცნაური ტერმინი – ჰოლანდიური ხელოსნის ოჯახის შესანახი ხარჯები ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. ჩვენ არ ვიცით მრავალი პირველი მოხმარების საგნის საცალო ფასი, ვიცით მხოლოდ საბითუმო ფასი. სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, რომ ხარჯმა ოჯახის შენახვაზე XVI საუკუნიდან XVII საუკუნის შუამდე თითქმის სამჯერ იმატა. ფული თავის ღირებულებას კარგავდა, და, თუმცა გამომუშავებაც იზრდებოდა, მაგრამ ის ფეხს ვერ უწყობდა ინფლაციას. მართალია, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მდიდართა მდგომარეობა უკეთესი ხდებოდა და ქონებაც ეზრდებოდათ, მაგრამ სიღარიბის მასშტაბები კვლავ დიდი იყო. როგორ უნდა გარკვეულიყო ადამიანი სიტუაციაში, ისეთ ცვალებადში, როგორიც თავად ცხოვრებაა? რომელი მგრძნობიარე მაჩვენებლები უნდა გამოგვეყენებინა, რომ დაგვენახა ეკონომიკური მოვლენების მიმდინარეობა, ტენდენციები, კონკრეტულ ადგილსა და დროს?

წყაროებზე დაყრდნობით შესაძლოა, მაგალითად, ვთქვათ, რომ ამა და ამ წელს ამსტერდამში სახლი ამდენი და ამდენი ღირდა. ეს ბევრი არაა. ხოლო სოციოლოგები, განსაკუთრებით მათი უცნაური მუტაცია – «ხელოვნების სოციოლოგები», ფლორინებსა და გულდენებს არ იშურებენ, რათა თავი მოიწონონ და თავიანთ საწყალ ცოდნას ზუსტი, თითქმის მათემატიკური მეცნიერების სიზუსტე მისცენ. მოდით, ერთად ვცადოთ – ასეთი მიდგომა მეჩვენება ყველაზე აზრიანად, გონივრულად განვსაზღვროთ შრომის ანაზღაურება XVII საუკუნის ჰოლანდიაში, რამდენადაც ეს წყაროები ამის საშუალებას იძლევა. ფულად ერთეულად გულდენი მივიჩნიოთ, რომელსაც მეტ-ნაკლებად იმდენი ღირებულება ჰქონდა, რამდენიც მის პარალელურად ბრუნვაში არსებულ ფლორენს. არსებობდა ასევე გადახდის სხვა საშუალებებიც, მაგრამ ახლა უმჯობესია ასეთ სიღრმეებში არ შევიდეთ.

გაკეთდა მრავალი მცდელობა – არც თუ ისე დიდად წარმატებული, – გულდენის ეკვივალენტის დადგენისა როგორც ჩვენი თანამედროვე ვალუტების, ასევე ოქროს მიმართ. ეს სერიოზული სიძნელე აღმოჩნდა. ამ კეთილშობილი ლითონისადმი გულდენი თავის ღირებულებას განუწყვეტლივ კარგავდა, რის გამოც აუცილებელი ხდებოდა გილდიის რთული მონაცემების გათვალისწინება. ერთმა ცნობილმა მკვლევარმა დაწერა, რომ გულდენს რემბრანდტის დროს ოცჯერ უფრო მეტი მსყიდველობით ძალა გააჩნდა, ვიდრე თანამედროვე გულდენსო. შესაძლებელია, მაგრამ როდესაც წლები გავიდა მისი კვლევების ჩატარებიდან, მისი მტკიცების ძალა, რომელიც, ცოტა არ იყოს, ჰაერიდანაა აღებული, კვლავ უკან, ჰაერშივე აორთქლდა.

ცხოვრების დონის შესახებ მაჩვენებლები ჩვენ შეიძლება ვნახოთ პაულ შუმტორთან, რომელსაც მოაქვს მონაცემები გადასახადების შესახებ ამსტერდამში 1630 წელს. იქიდან ცხადი ხდება, რომ დაახლოებით ათას ხუთას ადამიანზე მეტი შეძლებული ოჯახის ქონება შეიძლება შეფასებულიყო ოცდახუთიდან ორმოცდაათ ფლორინამდე. ბევრ ოჯახს უფრო მეტი ქონებაც ჰქონდა, როგორც, მაგალითად, ჰოლანდიაში დასახლებულ პორტუგალიელ ლოპეს სუასოს, რომელმაც ჰერცოგ ვილჰელმ III-ს ორი მილიონი გულდენი ასესხა, როდესაც ეს უკანასკნელი ინგლისზე თავდასასხმელად ემზადებოდა. მანუფაქტურაში დასაქმებული მუშებისა და ხელოსნების შრომა ძალზე ცუდად ნაზღაურდებოდა; ამ მხრივ განსაკუთრებით მქსოველები იყვნენ საბრალო მდგომარეობაში. მხოლოდ ლეიდენში სხვადასხვა ბუნაგში ოცი ათასზე მეტი ეს უბედური ადამიანი ბინადრობდა, რომლებიც ოცსაათიან სამუშაო დღეში რაღაც კაპიკებს იღებდნენ.

მრავალგზისი აჯანყება და ხმაურიანი პროტესტი ცოტათი თუ აუმჯობესებდა მათ მდგომარეობას, ისე რომ, საუკუნის შუაში ისინი კვირაში შვიდ გულდენს იღებდნენ. მეთევზის შრომის ანაზღაურება, რომელიც ნავით ქაშაყს იჭერდა, ხუთ-ექვს გულდენს შეადგენდა, მაშინ, როდესაც კვალიფიციური მუშები, მაგალითად, ხომალდის მშენებელი დურგლები და ქვის დამგებნი, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, კვირაში ათ გულდენამდე გამოიმუშავებდნენ.

ჩვენთვის თითქმის არაფერია ცნობილი იმ ხალხის შესახებ, რომლებიც მზად იყვნენ ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ნებისმიერი სამუშაო შეესრულებინათ. მათი პროფესიების დასახელება შემორჩენილია ძველ ლექსიკონებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ცხოვრებაში

თავიანთი ადგილის დასაკავებლად ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, უდიდეს ძალისხმევას იჩენდნენ. იმ ხელოვნების ნაწარმოებების საბაზრო ფასებს სპეციფიკური მექანიზმები განსაზღვრავდა. ეს ჩვენთვის ცნობილია საკმაოდ მდიდარი ჰოლანდიური არქივების გამოქვეყნების შედეგად. ტალანტების სიუხვემ ათასობით სახელოსნოში, რომლებიც რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქში არსებობდა, ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ სურათების რაოდენობა ბევრჯერ აღემატებოდა მათზე მწირ მოთხოვნას. მხატვრები მუშაობდნენ კონკურენციის დიდი ზეწოლის ქვეშ. არ არსებობდა მხატვრული კრიტიკა.

საზოგადოების განათლებული წრეები არ ცდილობდნენ ხალხის გემოვნების დახვეწას, რაც ძალზე დემოკრატიული იქნებოდა. შედეგად, ხშირად ისე ხდებოდა, რომ გამოჩენილი მხატვრები უფრო ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ვარდებოდნენ, ვიდრე მათი ნაკლებდაოსტატებული კოლეგები.

მხატვრული ნაწარმოებებით მოვაჭრე, მრავალრიცხოვანი სპეკულიანტები ეთიკური პრინციპებით როდი ხელმძღვანელობდნენ. ჯ. მონტიასი, რომელმაც 1617-1672 წლებში დელტას არქივში რამდენიმე ასეული წიგნი შეისწავლა, თავის ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოთვალა, რომ სურათის საშუალო ფასი შეადგენდა 16,6 გულდენს (ხელმოუწერელი სურათის – 7,2 გულდენს). ეს შრომატევადი ანგარიშები ყურადღების ღირსია, რამდენადაც საზოგადოებრივი ხასიათის ღირებულ ინფორმაციას შეიცავს. თუმცა, მოდით, შევეცადოთ თავი დავაღწიოთ ამ სტატისტიკურ «სიმართლეს» იმიტომ, რომ ერთადერთ ეგზემპლარად არსებობდა და სხვას ვერაფერს შეუდარებ, ანუ კონკრეტულ ფასს კონკრეტულ ნახატზე ვერ

გაიგებ. და აქ ჩვენ დავინახავთ მათ საოცარ დიაპაზონსა და სხვადასხვაობას.

რა განაპირობებდა ფერწერული ტილოს საბაზრო ფასს? მხატვრის სახელი, მისი სახელოსნოს რეპუტაცია, მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად, და უფრო მეტადაც, – თემა. და ამაში ნამდვილად საწყენი არაფერია. წარმოსახვითი მოთხრობა ხალხზე ყოველთვის აკმაყოფილებს შემეცნების ჩვენთვის დამახასიათებელ მოთხოვნას, ხოლო აღფრთოვანება იღბლიანი იმიტაციით გვევლინება რაღაც სრულიად ბუნებრივ მოვლენად. XVII საუკუნის ჰოლანდიაში როგორც საზოგადოება, ისე ხელოვნების კრიტიკოსები, ისეთები, როგორებიც იყვნენ მაგალითად, კარლ ვან მენდერი ან სამუელ ვან ხოოგსტრატენი, ყველა ჟანრზე ზევით აყენებდნენ ეგრეთ წოდებულ ჰისტორიენს (historien), ანუ ფიგურულ კომპოზიციას.

გმირი, ბრბო, დრამატული ამბავი, რომელიც ბიბლიიდან ან მითოლოგიიდანაა აღებული – აი, რა სარგებლობდა დიდი წარმატებით და რაში იხდიდნენ მუშტრები მაღალ ფასს. ასეთი იყო მუდმივი კრიტერიუმი, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იღებდა და რომელიც რენესანსის თეორიტიკოსებმა განავითარეს. მსგავსი კრიტერიუმები თითქმის XIX საუკუნემდე მოქმედებდა. ისტორიული ფერწერა ხელოვნების მწვერვალი იყო. ერთი ფრანგი მოგზაური გაკვირვებით აღნიშნავდა, ვერმეერის სურათში, რომელზეც მხოლოდ ერთი ადამიანი ეხატა, ექვსას გულდენს ითხოვდნენო. ეს თითქოს დაშორებული იყო შუასაუკუნეების ტრადიციას, როდესაც მხატვარს, რომელიც ეკლესიის ინტერიერს ხატავდა, დახატული კოლონების რაოდენობის მიხედვით უხდიდნენ.

ერთმა ჰოლანდიელმა თავის საყვარელ მხატვარს შეუკვეთა საბაზრო სცენები, თან მოითხოვა, მასზე გამოსახული ყოფილიყო რაც შეიძლება ბევრი ხორცის ნაჭერი, თევზი და ბოსტნეული. ოო, დაუკმაყოფილებელი, გაუმაძღარი შიმშილი სინამდვილისა! ისტორიული ხასიათის ფერწერაზე მნიშვნელოვნად იაფი ღირდა პეიზაჟი, ჟანრული სცენები, ნატურმორტი. მაშ რატომ გვხვდება ჰოლანდიურ მხატვრობაში ასეთი სიუხვით, უფრო მეტიც, დომინირებული სახით ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ამ «დაბალ» ჟანრს მიეკუთვნება? ყოველმა საბაყლოს ვაჭარმა იცის, რომ კარგ ფირმას საწყობში ყოველთვის უნდა ჰქონდეს რომელიღაც განსაკუთრებული სახის ჩაი ან რომელიმე არომატული თამბაქო, რომელიც კლიენტს მიიზიდავს. ასევეა ხელოვნებაშიც. ბრძოლამ არსებობისათვის აიძულა მხატვარი დარჩენილიყო არჩეული ჟანრის ერთგული. ამის წყალობით ის და მისი სურათები არ ტოვებდნენ პოტენციური მყიდველის მეხსიერებას. მაგალითად, ყველასთვის ცნობილი ვილეემ ვან დერ ველდეეს ფირმა ზღვის პეიზაჟებს ხატავდა, ხოლო პიტერ დე ხოოხი – სახლის ინტერიერებს. თუ რომელიმე პორტრეტისტი ერთ მშვენიერ დღეს იმ დასკვნამდე მივიდოდა, რომ მას მოსწყინდა მაგისტრატების ქონისაგან გასიებული სიფათების ხატვა და მოინდომებდა გადართვას გაცილებით სასიამოვნო ფერებზე, ის თავს სერიოზული რისკის წინაშე აყენებდა. ამით ის ძველ კლიენტებს დაკარგავდა და იმათ ტერიტორიაზე გადავიდოდა, ვინც უფრო ადრე სპეციალდებოდა ტიტების, ნარცისებისა და ვარდების თაიგულების ხატვაზე.

უფიცის გალერიის შედევრებს შორის ძნელია გვერდი აუარო პატარა სურათს, რომელსაც «ოჯახური კონცერტი» ეწოდება. ის ფრანს ვან მირისის ფუნჯს მიეკუთვნება. ესაა

სცენა რჩეული ჰოლანდიური საზოგადოების ცხოვრებიდან, რომელიც მუსიკისადმი დიდი სიყვარულით იყო განმსჭვალული. ამ სურათზეც იგრძნობა, რომ მუსიკა და მხიარულება ეს-ესაა ჩაწყნარდა და სასმელის მოყვარულნი ღვინოს მიეძალნენ. მდიდარი ინტერიერის ფონზე ექვსი ადამიანია წარმოდგენილი – როგორც იტყოდა ვერმეერის სურათის დამთვალიერებელი ფრანგი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ტოსკანელმა ჰერცოგმა კოზიმო III-მ მასში ჰოლანდიის პირობების გათვალისწინებით, უზარმაზარი თანხა, ორიათას ხუთასი გულდენი გადაიხადა, ანუ ცხრაასი გულდენით იმათზე მეტი, ვინც თავისი ვაჭრული ჯიბიდან რემბრანტის სურათს, «ღამის დაზვერვაში» მისცა.

როგორ ხდებოდა XVII საუკუნის ჰოლანდიელი მხატვრების სურათებზე საბაზრო ფასის დადგენა? ამ პრობლემას ვერ დავიყვანთ ერთ უბრალოდ ამხსნელ ფორმულამდე, ვერ მოვაქცევთ ერთ უფერულ «საშუალოში». იმ რთულ მექანიზმში, როგორსაც სურათებით ვაჭრობა წარმოადგენდა, მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ ფაქტორებსაც, რომელთა ახსნაც რაციონალურად შეიძლება და ასევე შემთხვევითებს, რომელთა განჭვრეტაც ჩვენს ძალებს აღემატება. მაგალითად, მხატვრის ცხოვრებისეული მდგომარეობა მოცემულ მომენტში, ასევე კეთილი, ან – უფრო ხშირად – ბოროტი განწყობა კლიენტისა მის მიმართ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა სურათის მესაკუთრე გამხდარიყო, თან ისე, რომ, რაც შეიძლება იაფი გადაეხადა მასში. თავისი დიდების ზენიტში რემბრანდტი მეტად მტკიცე პირობებს დებდა და უფრო ხშირად იღებდა კიდეც მოთხოვნილს. სხვა, დღეს აღიარებული ოსტატები, იძულებული ხდებოდნენ ისეთი მიზერული ანაზღაურებით დაკმაყოფილებულიყვნენ, რომ

ძალზე ძნელი გასაგებია, თუ როგორ ინახავდნენ თავს, მით უმეტეს, ოჯახს, თუნდაც უაღრესად ხელხვავიანნი ყოფილიყვნენ.

1657 წელს ამსტერდამში გარდაიცვალა ხელოვნების ნიმუშთა ცნობილი ანტიკვარი და ვაჭარი იოხანეს რენიალმე. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ახლობლები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მისი დარჩენილი ქონების აღწერას. გარდა უძრავი ქონებისა და ძვირფასეულობისა, მას დარჩენოდა ოთხას სურათზე მეტი და მერე როგორი! – გოლბეინის, ტიციანის, კლოდ ლორენის, ყველაზე გამოჩენილი ჰოლანდიელი ოსტატების. ყველა მათგანს მითითებული ჰქონდა რეალური საბაზრო ფასი, ანუ ისეთი, რომელიც მიწვეული მხატვრების, პროფესიონალი შემფასებლების დასკვნით, შეიძლებოდა მიეღოთ hie et nunc[4], თუ მისი შთამომავლები მათ გაყიდვას მოისურვებდნენ.

ჰოლანდიის არქივში შემონახულია მრავალი მსგავსი დოკუმენტი, რომლებიც მკვლევარებს სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. ყველაზე ძვირად, სერიოზულ თანხად – ათას ხუთას გულდენად – იყო შეფასებული რემბრანდტის სურათი – «ქრისტე და ცოდვილი ქალი». ეს სრულიად გასაგებია, თუკი მხატვრის დონესა და თემის პოპულარობას გავითვალისწინებთ. მაგრამ თეორიის საპირისპიროდ, რემბრანტის შემდეგ მოდიოდა ტიპიური ჟანრობრივი სცენა, კერძოდ, გერარდ დოუს «ქალი სამზარეულოში». ამ სურათს საკმაოდ მაღალი ფასი, ექვსასი გულდენი ჰქონდა. დოუ მოდური და პოპულარული მხატვარი იყო. თბილი, ტკბილი კოლორიტი, ფერების ოსტატური შერწყმა, სიზუსტით გამორჩეული სურათი. მხატვარზე ჰყვებიან ანეკდოტებს, თითქოს ის ცოცხის წვერების დახატვას მთელ დღეებს ანდომებდა,

ისეთ დიდ ყურადღებას აქცევდა სურათის ყოველ დეტალს. მას უდიდესი სიმპათია ჰქონდა მოპოვებული ფერწერის მრავალ მოყვარულს შორის, მათ შორის, ჰოლანდიის საზღვრებს გარეთაც. სამაგიეროდ, არანაკლები ოსტატობის მქონე მხატვრებს შემფასებლები, როგორც გერს, ისე უდგებოდნენ. ამ სიის ბოლო ადგილს იკავებდა ბრწყინვალე, ჩვენი გაგებით, ადრიან ბრაუვერი, რომლის ნამუშევრები სამარცხვინოდ დაბალ ფასად, მხოლოდ ექვს გულდენად იყო შეფასებული.

ჩვენ მხოლოდ მკითხაობა შეგვიძლია, თუ ფასების ასეთი განსხვავება (მასალის თვითღირებულებასა და იმ თანხას შორის, რომელიც კვალიფიციური ხელოსნის რამდენიმე წლის ანაზღაურებას შეადგენდა), როგორ მოქმედებდა მხატვრის ფსიქიკაზე. ბევრს ნამდვილად აღაგზნებდა, რადგან შეიცავდა რისკის ელემენტს, დიდი მოგების მიღების იმედს, ბედის გაღიმებას. ხომ არსებობდა შანსი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გულუხვი კლიენტი გამოჩნდებოდა, – როგორც ის კოზიმო, ზღაპრული უფლისწული, – და ერთი შესყიდვის შედეგად ახალი ცხოვრების პერსპექტივას გაუხსნიდა მას. სახელდობრ, ალბათ ასეთ იმედს ატარებდა გერარდ ტერბორხი, როდესაც 1648 წელს «მიუნსტერის ზავს» ხატავდა. მაგრამ მხატვართა უმრავლესობა როდი ამყარებდა თავის იმედს ასეთ სასწაულებზე. ისინი მუშაობდნენ დღე და ღამე, ებრძოდნენ ღრმა სულიერ კრიზისს და თავიანთ ნამუშევარს კაპიკებში ყიდიდნენ.

1641 წელს ფინანსური სიძნელეების გამო დეპრესიაში ჩავარდნილმა ისააკ ვან ოსტადემ, ადრიანის ძმამ, ერთ ვაჭარს (ამ მძარცველის გვარი დოკუმენტებმა შემოინახა) ოცდაათი სურათი სასაცილო ფასად – ოცდაშვიდ გულდენად მიჰყიდა. ორი გულდენი იყო ნახატების

(საღებავებისა და ქაღალდის) თვითღირებულება. არადა, ამ სურათის ასლში, რომელსაც მისი შეგირდები ასრულებდნენ, ზოგჯერ ათ გულდენსაც კი იხდიდნენ.

XVII საუკუნის ჰოლანდიურ საშუალო შეძლების ოჯახებში შეიძლება შეხვედრილიყავით სადმე სხვაგან გაუგონარ, წარმოუდგენელ რამეს – ას, ორას და უფრო მეტ სურათს. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ, რომ ამსტერდამელმა რომელიღაც ქვრივმა, რომელიც გარდაცვალებული ქმრის დანატოვარს ყიდიდა, გაყიდა, ასე ვთქვათ, ბითუმად, ასოთხმოცი სურათი სამასორმოცდაათ გულდენად, ნათლად წარმოგვიდგება ხელოვანისათვის არცთუ ისე კეთილსასურველი მდგომარეობა. ამის მიზეზი კი იყო უზარმაზარი მიწოდება, რომელიც ბევრად აღემატებოდა მოთხოვნას. ბაზარი გადავსებული იყო იაფი სურათებით. საგნების ასეთ მდგომარეობას გარკვეულწილად არბილებდა საზოგადოების მაღალი წრეების მზარდი კეთილდღეობა, მათი ვნება კოლექციონირებისადმი და დიდი სიყვარული ჰოლანდიური ხელოვნებისადმი. ჩვენ დღეს გვხიბლავს ფაქტი, რომ ძველი ოსტატების: ვან ეიკის, მემლინგის, კვანტინა მაისეისის, ფლამანდიური ხელოვნების ბრწყინვალე ფუძემდებლების ნაწარმოებები – იყო შედარებით იაფი და არ იწვევდა, როგორც ეს შეგვიძლია ვივარაუდოთ, მყიდველთა დიდ ინტერესს.

1654 წელს შეიძლებოდა ნაცნობ დილერთან შეგეძინა იან ვან ეიკის სურათი 18 გულდენად. XVII საუკუნის ჰოლანდიაში სურათები ხდებოდა სპეკულაციის საგანი, მათით ინტენსიურად ვაჭრობდნენ, ისინი ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. ამასთან, სურათებით სხვადასხვა ფორმით ვაჭრობდნენ, რაც ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ამ ქვეყანაში სურათებმა ვალუტის ფუნქციის შესრულება დაიწყეს. ის ერთგვარი

დამატებით საგადამხდელო საშუალებას წარმოადგენდა, ან, თუკი უფრო ახლო მსგავსებას მოვძებნით, ის იყო ერთგვარი აქციის მსგავსი – ცვალებადი, მაცდური, რომლის ფასიც ძალზე რთული განსაჭვრეტი იყო.

არსებითად, ჰოლანდიელ მხატვარს შეეძლო, თავისი ნახატით გადაეხადა თითქმის ყველაფერი, ხშირად მისით უხსნია თავი გაკოტრებისა და ციხისაგან. ამ მეთოდს განსაკუთრებით ხშირად რემბრანდტი მიმართავდა, რომელმაც, მაგალითად, ვან ცატერბურგს თავისი რამდენიმე სურათი და ჩანახატი გადასცა ვალის, 3000 გულდენის სანაცვლოდ. იმ ეპოქაში სურათების გირაოს ქვეშ შეიძლებოდა სესხის აღება, ვალის გადახდა, მკერავისთვის შეკვეთის მიცემა, ყასაბთან ხორცის აღება, ხაბაზისათვის პურის გამორთმევა და სხვ. ასეთ შემთხვევაში ფასი დგინდებოდა მეტისმეტად თავისუფლად. მტაცებელი-კრედიტორის უპირატესობა აშკარა იყო. თუმცა იყო გამონაკლისებიც.

კერძოდ, საშუალო ნიჭის ფლამანდიელმა მხატვარმა, ტენიერსის და ბრაუვერის მიმბაძველმა, მათე ვან ჰელმონტმა, რომელსაც ლუდის გამყიდველისათვის ვალის გადახდა არ შეეძლო, სანაცვლოდ მას სურათი «გლეხის ქორწილი» მისცა, რითაც თავისი ვალი სერიოზული თანხით, 240 გულდენით შეამცირა. ეს ის თანხაა, რომელსაც ვერმეერიც კი ყოველთვის ვერ იღებდა სურათში. ბრწყინვალე მხატვარი იოს დე მომპერს, ამაღელვებელი «იმპრესიონისტული» ნახატების შემქმნელს, სმა უყვარდა და ხშირად სტუმრობდა ვინმე გიისბრეხტის პატარა რესტორანს. ამ დაწესებულების მესაკუთრის სახლში, მისაღებ დარბაზს, რომლის კედლებზეც მოოქროვილი ტყავი იყო აკრული, ამშვენებდა მომპერის ოცდასამი პეიზაჟი, – მთელი კოლექცია,

რომელიც მსოფლიოს ყველაზე დიდ და მდიდარ მუზეუმებს შეშურდებოდათ.

იან სტენმა, რომელიც ტრაქტირის მესაკუთრეც იყო, ერთხელ თავისი მომწოდებლისთვის ერთი კასრი ღვინის საფასურად სურათი დახატა. ერთი თაიგულის ხატვის ოსტატს ხაბაზის ოცდათხუთმეტი გულდენის ვალი დაედო. მან ამის ნაცვლად მევალეს სურათი მისცა, რომელიც ხაბაზმა გაყიდა და სამჯერ მეტი მოგება ნახა. სურათით შეეძლოთ გადაეხადათ სახლის ქირა, ეყიდათ ცხენი, ანდა ქალიშვილისთვის მზითევში გაეტანებინათ, თუ მხატვარს სხვა სახის მატერიალური სიმდიდრე არ გააჩნდა. ერთმა მხატვარმა თავის კოლეგას სახლი მიჰყიდა 9000 გულდენად. მყიდველმა პირობა დადო, რომ ყოველთვე 31 გულდენის ღირებულების სურათს დაუხატავდა (ეს გულისხმობს «დიდ» სურათს, რადგან საშუალო ზომის 18 გულდენად იყიდებოდა). ვალდებულების შესრულების დაგვიანებისათვის მყიდველი ჯარიმის სახით გადაიხდიდა 6 გულდენს. რაც შეეხება სამხატვრო მასალას – ტილოს, საღებავის, ასევე ჩარჩოს საფასურს, ეს ორივეს თანაბრად უნდა გადაეხადა.

აი, კიდევ ერთი უცნაური ხასიათის ხელშეკრულება: ერთი მხატვარი, რადგან ქირის გადახდას ვერ ახერხებდა, სახლის პატრონს შეჰპირდა დაეხატა რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი საყვარელი ქალიშვილის პორტრეტი.

პორტრეტის დახატვა (სახელდობრ ამან გაუთქვა სახელი რემბრანდტს, ხოლო შემდეგ მისი დამცირების მიზეზიც გახდა) ამცირებდა მხატვრის რისკს, რადგან მოდელი იმავდროულად იყო სურათის შემსყიდველიც. ამ უკანასკნელს საკუთარი პიროვნების უკვდავყოფა სურდა თავის გაფურჩქვნის პერიოდში. ხშირად პატივმოყვარული

სურვილი, საკუთარი პორტრეტის დახატვა მიენდო ცნობილი მხატვრისთვის, ჯაბნიდა კლიენტის ადამიანურ სიძუნწეს. სურათზე მხატვარს უნდა გამოესახა შემკვეთის სისხლსავსე სახე, მისი გაბედულად გამომზირალი თვალები, მისი სამოსის ყოველი წვრილმანი. ყოველ შემკვეთს სურდა გაცილებით უკეთესად გამოსულიყო პორტრეტზე, ვიდრე ის სინამდვილეში იყო. ხშირად მხატვარი ნებდებოდა მათ ამ სახის სურვილს. შემკვეთმა, რომელმაც ხელშეკრულება გააფორმა იან ლევენსოსთან, ხელოვანი დაითანხმა, სურათზე ის სციპიონ აფრიკელისთვის, ხოლო მეუღლე – ათენა პალადასათვის მიემგვანებინა. კოლონიურმა ვაჭარმა გაბრიელ ლეინკაპმა მხატვარს მოსთხოვა მისი პორტრეტი მთავარანგელოზი გაბრიელისთვის დაემგვანებინა, ხოლო მისი საყვარელი ცოლი – ღვთისმშობელი მარიამისთვის.

ხელოვნების ბაზარზე, მშვენიერი ნამუშევრების გვერდით, მრავლად იყო ცუდი ნახატი (დროის გასვლის შემდეგ ისინიც კარგებად გვეჩვენება), ასევე უამრავი ასლი. შეგირდები ხომ კარგი სურათების ასლების კეთებით იწყებდნენ ხელოვნების სწავლას, თავად ოსტატებიც «იმეორებდნენ» თავიანთ სურათებს, ნაკლები ტალანტის მქონენი მოურიდებლად ამგვანებდნენ თავიანთ ნამუშევარს დიდი ოსტატის ნახატს.

1632 წელს ადრიან ბროუვერმა ნოტარიუსთან განაცხადა, რომ დახატა მხოლოდ ერთი სურათი «გლეხების ცეკვა» და რომ ამ სურათს რუბენსი ფლობს. ამრიგად, მხატვარს სურდა თავი დაეცვა უამრავი მიმბაძველისგან, რაც, როგორც დრომ აჩვენა და დაამტკიცა, ქარის წისქვილებთან ბრძოლას უდრიდა.

სურათების მიმგვანების პროცედურა ისევე ძველია, როგორც თავად ხელოვნება, მაგრამ ის განსაკუთრებით XVII საუკუნის ჰოლანდიაში გავრცელდა. ისტორია, რომელსაც ახლა ჩვენ ძალზე გამარტივებით მოვყვებით, თავის თავში თაღლითური რომანის ელემენტებს შეიცავს. მისი დასათაურება შეიძლება როგორც «აღზევება და დაცემა გერიტა ოლენბურგისა». ვინ იყო მისი გმირი? უნიჭო მხატვარი, ხოლო როგორც ეს ისტორიიდანაა ცნობილი, ასეთი ადამიანები საფრთხეს უქმნიან ახლობლებს, განსაკუთრებით, თუ ბუნებამ ისინი ძლიერი ნებისყოფით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნებისმიერი გზით კარიერის გაკეთების უდიდესი წყურვილით დააჯილდოვა.

მამამისმა, ჰენრიკ ოლენბურგმა, რემბრანდტის ცოლის, სასკიას ბიძაშვილმა, სხვადასხვა ხელობა მოსინჯა: ვაჭრობდა ხელოვნების ნაწარმოებებით, წმინდავდა და ლაქით ფარავდა ნახატებს. მშრომელი ადამიანი იყო. მისი ვაჟი გერიტი სრულიად სხვა მასალისგან იყო შექმნილი. ამბიციური, ადვილად იზიდავდა თავისკენ ადამიანებს, ეხერხებოდა ინტრიგების ხლართვა. მალე რესპუბლიკის ყველაზე გავლენიან ხალხს დაუახლოვდა. 1660 წელს გენერალურმა შტატებმა ის ინგლისში, კარლოს II-ის კარზე მიმავალ საელჩოს შემადგენლობაში შეიყვანა. მეფისათვის საჩუქრად გერიტს იტალიური სკოლის წარმომადგენელი ოსტატების 24 სურათი მიჰქონდა. ეს სურათები ერთმა მდიდარმა ქვრივმა არცთუ ისე იაფად, 80 ათას გულდენად გაყიდა.

ასე ძვირფასი საჩუქრებით კუნძულისაკენ მოგზაურობამ განაპირობა ოლენბურგის ბედი. არც ზღვის დემონებს, არც დიად მაცდურს არ მოსვლია თავში ამაზე ზრუნვა: ცდუნება თავისთავად მოვიდა გერიტას მეტად პრაქტიკულ გონებაში, რომელმაც სასწაულად უბრალო იდეის ფორმა

მიიღო. რა აზრი ჰქონდა სურათების ვენეციიდან თუ რომიდან წამოღებას, განა ჰოლანდიაში მხატვრები არ იყვნენ?! ისინიც არანაკლებ ხატავდნენ და თანაც გაცილებით იაფად. ახლა იტალიელებისთვის მათივე იარაღით უნდა ეჯობათ – ასეთი იყო მისი საბრძოლო ლოზუნგი. ამსტერდამში დაბრუნებულმა გერიტამ ორი სახლი იყიდა, მათში საგამოფენო დარბაზები, სახელოსნოები მოაწყო და მუდმივი სამუშაოს მძებნელი ჰოლანდიელი მხატვრები მიიზიდა. ასე წარმოიშვა იტალიური ფერწერის დიდი სახელოსნო ჰოლანდიაში. მთელი ეს წამოწყება ძალზე გასაიდუმლოებული იყო. თავიდან ყველაფერი ჩანაფიქრის შესაბამისად მიმდინარეობდა, საქმე კონკრეტულ სახეს იღებდა, ვიდრე სრულიად მოულოდნელად, წყეულმა ისტორიამ გერიტა თავის საცეცებში არ გაახვია.

იმ პერიოდში ოლენბურგმა ძალზე მომგებიანი ხელშეკრულება გააფორმა ჰერცოგ ბრანდებურგთან. მას ჰერცოგისთვის გამოჩენილი იტალიელი მხატვრების 13 სურათი უნდა მიეწვდინა, რის გამოც ავანსად 4 ათასი გულდენი მიიღო. ვის შეეძლო განეჭვრიტა, რომ ჰერცოგის კარზე აღმოჩნდებოდა ყვავილების ნატურმორტის ცნობილი ოსტატი ჰენდრიჰ ფრომანტენი, რომელიც მანამდე კაპიკებად მუშაობდა ფაბრიკანტი «იტალიელების» made in Amsterdam სახელოსნოში. მისი შურისძიება იყო ტკბილი, ხოლო ექსპერტიზის შედეგი – გამანადგურებელი: «იტალიური სკოლის» არცერთი სურათი ორიგინალი არ აღმოჩნდა. შემდგომში მოვლენები სწრაფად განვითარდა. ჰერცოგი ნაყიდ სურათებს უკან აბრუნებს. ამით შეურაცხყოფილი გერიტა – საქმე მთელ ქვეყანაში ბომბივით გასკდა – ექვსი სპეციალისტისგან კომისიას ქმნის, რომელიც სოლომონისებურ

გადაწყვეტილებას იღებს: ზოგი სურათი კარგია, ზოგი ცუდი, მაგრამ ყველას შეუძლია თავისი ადგილი დაიკავოს იტალიური ხელოვნების გალერეაში.

რას ნიშნავდა ეს – უცნობია. გარკვეულ გაუგებრობას, იდუმალებას ფორმულირებაში, ისევე, როგორც ქალის გარეგნობაში, თავისი მომხიბვლელობა აქვს. ამბიციურ გერიტას მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, არ აწყობდა. მან რამდენიმე წელი გააგრძელა ჯიუტად ბრძოლა საქმიანი ადამიანის სახის შესანარჩუნებლად, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, თავისი არსებობისთვის. ექსპერტიზებს დასასრული არ უჩანდა. სპეციალისტები, რომელთა შორისაც ცნობილი მხატვრები, ვილემ ვან ალსტი და ვილემ კელფიც იყვნენ, დაუფარავად აცხადებდნენ, რომ გერიტას მთელი კოლექცია დიდ არაფერს წარმოადგენდა. სამაგიეროდ ცოტა მოგვიანებით შედგენილი კომისიის მიერ გამოტანილი ვერდიქტი შედარებით ნაკლებ პრინციპული იყო: ოცდათერთმეტი მხატვარი ადასტურებდა ნამუშევრების ორიგინალობას, ოცს ამის საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა. ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსში, ექსპერტების ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მხოლოდ ართულებს საქმეს. აფერა ორ დონეზე განვითარდა. პირველი იყო სკანდალი, რომელსაც დაძაბულობაში ამყოფებდა ჰოლანდიის ხელოვანთა მთელ სამყაროს. ვრცელდებოდა ხუმრობები, პამფლეტები, ლექსები, მათ შორის, საკმაოდ ცნობილი პოეტებისაც, რომლებიც იცავდნენ ან უმოწყალოდ აკრიტიკებდნენ ოლენბურგს.

ყველა ისინი, მოდით, გულახდილი ვიყოთ, რომელთაც უყვართ საქვეყნო სკანდალები, დასჯები და გაკოტრებები, ამით საკმაოდ კარგად ერთობოდნენ. მეორე ნაწილს წარმოადგენს უფრო დაფიქრებული ნაწილი

საზოგადოებისა, სადაც იმალება აფერის ჭეშმარიტი ზამბარები. რითი შეიძლება აიხსნას ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავება რამდენიმე ათეულ ჰოლანდიელ მხატვარს შორის, რომლებიც ექსპერიმენტში იღებდნენ მონაწილეობას? ხომ არ იყო ეს საიდუმლო სასამართლო, მიმართული იტალიური ხელოვნების წინააღმდეგ, რომელიც მრისხანე კონკურენციას უწევდა ადგილობრივ მხატვრებს, რომლებიც მათ ვერაფერს უპირისპირებდნენ? ბოლოს გერიტი იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა. 1674 წელს მან თავისი «იტალიური» სურათები აუქციონზე გაიტანა. ორი წლის შემდეგ ის თავისი კოლექციის ნარჩენებს ჰყიდის, მათ შორის, ხელოვნების ისეთ ბრწყინვალე ნიმუშებს, როგორებიც იყო რემბრანდტის, ლასტმანის, ვან ალტსის, მეტსიუს და ჰერკულეს სეგერსის ნამუშევრები. ცხადია, ყველა ორიგინალური ნიმუშია. შემდეგ ოლენბურგი ტოვებს უმადურ სამშობლოს და ინგლისში მიემგზავრება. სიცოცხლის ბოლომდე ის თავის ინგლისელ კოლეგასთან თანამშრომლობს – პორტრეტებისთვის პეიზაჟის ფონს აფერადებს.

Ars alit artificem[5] ისევე, როგორც ყოველგვარ აფორიზმს, სენტენციას, რომელთაც კალენდარზე ამოვიკითხავთ, ამასაც გარკვეული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. თუ ხელოვნება ნამდვილად აცხოვრებს ხელოვანს, ეს მკვებავი, ეს ხელოვანთა მაცოცხლებელი – მეტად კაპრიზული, პრეტენზიული, დაბნეულია, ხშირად სრულიად განუჭვრეტელიც. «ოქროს ხანის» ჰოლანდიელი ოსტატები ძალზე განხვავებულ საქმეებს ჰკიდებდნენ ხელს, ისეთებს, რომელთაც დღევანდელი ეგრეთ წოდებული მხატვარი დამამცირებლად მიიჩნევდა. რას იზამ, ისინი ხელოსნები

იყვნენ, ხოლო მათი თავდახრა ცხოვრების წინაშე იყო უზარმაზარი, გასაოცარი და მშვენიერი.

ამ დამატებითი საქმიანობიდან ზოგიერთი როგორღაც დაკავშირებული იყო მათ პროფესიასთან და მოითხოვდა ფუნჯის ხმარებისა და სამხატვრო მასალის ცოდნას, თუმცა გადიოდნენ დაზგური ფერწერის ფარგლებიდან. ისინი ხატავდნენ კარებებს, დარაბებს, გემებს, ეტლებს, საათებს, კერამიკას, სავაჭრო დუქნებს, მათ ფირნიშებს. კარგ მხატვარს, გერიტა ბერკხეიდეს ფირნიშების რაფაელი შეარქვეს. ფრანგი მოგზაური სორბიე გაოცებული იყო ჰოლანდიური სავაჭრო დუქნების მოხატულობითა და ესთეტიკით, «რომელთა ფირნიშები ზოგჯერ საუცხოო სურათებია». კარელ ფაბრიციუსი ოჯახის ბიუჯეტს ავსებდა ქალაქის გერბების ხატვით. თითოეულს ხატავდა 212 გულდენად. სხვები, და მათ შორის, ცნობილი და გამოჩენილი ოსტატები – გაორებულ პროფესიულ ცხოვრებას ეწეოდნენ: იყვნენ მზარეულები, დუქნების, აგურის საამქროს მესაკუთრენი, წვრილი მოხელეები, ვაჭრობდნენ ხელოვნების ნაწარმოებებით, უძრავი ქონებით, წინდებით, ტიტებით. მოკლედ, რაზედაც ხელი მიუწვდებოდათ.

ჰოლანდიელ მხატვართა კარგი სახელი მათ უცხო სამეფო კარზე მიწვევას ჰპირდებოდა. მაგალითად, გოდფრიედ შალკენი, ადრიან ვან დერ ვერფი, ეგლონ ვან დერ ნეერი დიუსელდორფის სამეფო კარზე წლობით მუშაობდნენ. მაგრამ დიდ მხატვრებს – ვერმეერს, ჰალსს, რემბრანდტს არასოდეს გადაუკვეთავთ ალპები, მეზობელ ქვეყანაშიც კი არ გადასულან. ისინი საკუთარი სამშობლოს, მშობლიური ქალაქის, სოფლის, ხეების, კედლების, ღრუბლების ერთგულნი რჩებოდნენ, და რაც გასაკვირია, მათი ეს პროვინციალიზმი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მათი

ენერგიის წყარო ხდებოდა და სიკვდილისშემდგომ ტრიუმფსაც განაპირობებდა. არასტაბილური მდგომარეობა, ხვალინდელი დღის უიმედობა კოშმარი იყო მხატვრისთვის, ამიტომ ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა გზით ებრძოლათ ამის წინააღმდეგ, რათა როგორღაც მოეპოვებინათ არსებობის მუდმივი წყარო, თუმცა ამას მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ახერხებდა.

დიდად დაფასებული მხატვარმა ემანუელ დე ვიტტემ ხელშეკრულება გააფორმა ნოტარიუს იორისომ დე ვიისომთან. დოკუმენტის მიხედვით, მას მთელი თავისი წლიური პროდუქცია ნოტარიუსისთვის 800 გულდენად უნდა მიეცა, მასთან ეცხოვრა და ეკვება. ხდებოდა, რომ მდიდარ ვაჭარს ან კოლექციონერს, როდესაც საფრანგეთში ან იტალიაში სამოგზაუროდ მიდიოდა, თავისთან მხატვარი მიჰყავდა, რომელიც გარკვეული ანაზღაურების ფასად მისთვის პეიზაჟის ჩანახატებს აკეთებდა, იხატავდა ქალაქების ღირსშესანიშნაობებს, ხედებს.

ჩვენ შევეცადეთ XVII საუკუნის ჰოლანდიელი მხატვრების ცხოვრებისთვის შეგვეხედა ბანალური, ბუღალტრული შემოსავალ-გასავლის კუთხით. ამგვარი შეხედულება გაცილებით უკეთესი და პატიოსანია, ვიდრე პათოსი და სენტიმენტალური ოხვრა, რაც ასე ძალიან უყვართ ავტორებს რომანტიკული ბიოგრაფიებისა, რომელთაც ისინი მგრძნობიარე გულის პატრონებისთვის წერენ.

რაც მართალია, მართალია, ბედმა არ დაინდო წმინდა ლუკას გილდიის წევრები. ცნობილია, რომ ჰერკულეს სეგერსმა და 75 წლის ემანუელ დე ვიტტემ, მატერიალური ზრუნვით დაქანცულებმა, თავი მოიკლეს, ფრანს ჰალსი, მეინდერტ ხობემი და იაკობ ვან რეისდალი დავრდომილთა თავშესაფარში გარდაიცვალნენ.

სიღარიბე, ალკოჰოლიზმი საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა მათ რიგებში, თუმცა გამონაკლისებიც იყვნენ. ცნობილი ფილიპ ვოუვერმანი ქალიშვილს მზითევში ატანს 20 ათას გულდენს, მარინისტ იან ვან დე კაპელეს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო საიქიოში გამგზავრების წინ: მან ასი ათას გულდენად შეფასებული ქონება და ორასი სურათისაგან შემდგარი (მათ შორის – რუბენსი, ვან დეიკი, რემბრანტი) მშვენიერი კოლექცია, ასევე რამდენიმე ათასი გრავიურა დატოვა. საჭიროა, სხვათაშორის, ამასთან ერთად ისიც ითქვას, რომ ვან დე კაპელე იღებდა გაცილებით მეტ შემოსავალს კარგად მომუშავე სამღებრო საამქროდან, ვიდრე თავად ფერწერული ნამუშევრებიდან.

ჰოლანდიელი მხატვრების შესახებ შემონახული ცნობები ძალზე მწირია, ისინი ეხება ხელოვანთა მხოლოდ იმ კატეგორიას, რომელთაც დატოვეს ხელოვნების ნიმუშები და არა მხოლოდ ოხვრა და კვნესა. მართლაც, აქ ვერ ნახავთ დრამატულ სიუჟეტებს, ავადმყოფურ სახეებს, რაიმე სენსაციას. მთელი მათი მიწიერი ცხოვრება რამდენიმე თარიღით: დაბადების, ოსტატის წოდების მიღების, დაქორწინების, ბავშვების ნათლობის და ბოლოს, სიკვდილის თარიღშია კონცენტრირებული. შეიძლება მათი შეგშურდეს. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ბრწყინვალება და დაცემა, კარიერული აღმასვლა თუ დაქვეითება, მათი როლი საზოგადოებაში, მათი ადგილი დედამიწაზე ეჭვს არ იწვევდა. მათი პროფესია საყოველთაოდ იყო აღიარებული და ისევე ეჭვგარეშე იყო, როგორც პროფესიონალი ყასაბის, თერძის ან ხაბაზის. არავის თავში არ მოუვიდოდა კითხვა, თუ რა საჭიროა ხელოვნება – რადგანაც სამყარო სურათების გარეშე უბრალოდ გაუგებარი იქნებოდა. თანამედროვე მხატვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქაოსის მხარეს

დგება, ისინი სიცარიელეში ჟესტიკულირებენ, ან თავიანთი ბერწი სულის ისტორიას ჰყვებიან. ძველ ოსტატებს, თითქმის გამონაკლისის გარეშე, შეუძლიათ გაიმეორონ რასინთან ერთად: «ჩვენ იმისთვის ვმუშაობთ, რომ საზოგადოებას მოვეწონოთ». მაშასადამე, მათ სწამდათ თავიანთი საქმის, ადამიანებს შორის ურთიერთგაგების შესაძლებლობის. ისინი ამტკიცებდნენ ხილულ სინამდვილეს მთელი თავისი აღმაფრთოვანებელი სკრუპულოზობით და ბავშვური სერიოზულობით, თითქოს მთელი სამყაროს წესრიგი და ვარსკვლავთა მოძრაობა ამაზე იყო დამოკიდებული.

დაე, დალოცვილი იყოს ეს გულუბრყვილობა.

[1] ისრაელში მცხოვრები ებრაელები, რომლებიც იქ არიან დაბადებული.

[2] უნგრული კერძი, რომელიც კეთდება ქათმისგან.

[3] რას შვრება ხელოვნება? [...] ხელოვნება ცდილობს, პური იშოვოს; ეს მან არ უნდა აკეთოს.[...]

[4] დაუყოვნებლივ.

[5] ხელობა ოსტატს პურს აჭმევს.